

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

თეონა აბულაძე

**აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების
თავისებურებანი
(სოციოკულტურული ასპექტები)**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი მარინე გიორგაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მამია ფაღავა

ბათუმი - 2018

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. ფონეტიკური თავისებურებანი	
§1. ბგერითი შედგენილობა -----	27
1.1. ხმოვანთა სისტემა -----	27
1.2. დიფთონგი -----	28
1.3. თანხმოვანთა სისტემა -----	29
§ 2. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები -----	39
2.1. ასიმილაცია -----	39
2.2. დისიმილაცია -----	40
2.3. ბგერის დაკარგვა -----	41
2.4. ბგერის განვითარება -----	46
2.5. ბგერათგადასმა (მეტათეზისი) -----	47
2.6. ბგერათმონაცვლეობა -----	48
თავი II. პონტოური დიალექტის გრამატიკული თავისებურებანი	
§1. მორფოლოგია -----	51
1.1. არსებითი სახელი -----	51
1.2. ზედსართავი სახელი -----	61
1.3. რიცხვითი სახელი -----	67
1.4. ნაცვალსახელი -----	68
1.5. ზმნა -----	74
1.6. ზმნიზედა -----	78
1.7. წინდებული -----	81
1.8. კავშირი -----	83
1.9 ნაწილაკი -----	83
§2. სინტაქსი -----	84
2.1. კუთვნილებითი ნაცვალსახელის წყობა -----	85
2.2. კნინობით-ალერსობითი სახელები -----	86
2.3. ნაწარმოები სახელები -----	86

2.4. კომპოზიტები -----	87
თავი III. პონტოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი	
§1. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების საკითხისათვის-----	90
1.1. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ქართული მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი-----	91
1.2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა, როგორც ბილინგვალთა/მულტილინგვალთა მეტყველების თავისებურებანი-----	94
1.3. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური მეტყველების თავისებურებანი-----	97
§2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური ლექსიკის თავისებურებანი -----	99
2.1. პონტოური ბერძნული ლექსიკის მიმართება თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან-----	99
2.2. არქაიზმები პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში -----	104
2.3. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ლექსიკის მიმართება საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკასთან -----	112
§3. ნასესხები ლექსიკა -----	118
3.1. თურქიზმები ბერძნულში -----	118
3.2. რუსული ლექსიკა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში -----	121
3.3. ქართული ლექსიკა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში -----	124
§ 4. ბერძნიზმები ქართულში -----	126
თავი IV. ქართულ-ბერძნული ურთიერთობების სოციოკულტურული ასპექტები	
§1. ქართული კულტურა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში --	135
§2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობა -----	142
ძირითადი დასკვნები -----	150
გამოყენებული ლიტერატურა -----	164

შესავალი

0.1. საქართველოს უხსოვარი დროიდან დღემდე მრავალ ეთნიკურ ჯგუფთან ჰქონდა ისტორიული თუ სოციალურ-კულტურული ურთიერთობები. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. თამამად შეიძლება თქმა, რომ ამ ურთიერთობების შედეგად შექმნილ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან ეთნიკურ მოზაიკაში ბერძნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ისტორიულმა რეალობამ დიდი ხნის წინ დააკავშირა ეს ორი, თავის მხრივ, მრავალჭირგადატანილი ერი ერთმანეთს. ამ მჭიდრო ურთიერთობებმა კი შექმნა მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების ლოგიკური სისტემა, რამაც თავის მხრივ, ორი კულტურის, ტრადიციების, ყოფითი ელემენტების შერწყმა განაპირობა. კულტურათა შერევა ხანგრძლივი პროცესია, რაც გამოძახილს ჰპოვებს ენაშიც.

უცხოენობრივ გავლენებს, კულტურათა დიალოგის კვლევას, სოციოკულტურული ასპექტების გამოვლენას მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია კონკრეტული ენის განვითარების ისტორიის საერთო პროფილის დასადგენად. ენა ხომ თავის მხრივ უშრეტი წყაროა ტრადიციული ყოფითი კულტურის, ეროვნული მემკვიდრეობის, იდენტობის ნიშანთა სისტემისა. იმ ნიშანთა სისტემისა, რომლებიც ერის არსებობის თვითმყოფადობის, მენტალობის მთავარი დასტურია.

საშურია ენის ან კონკრეტული ტერიტორიული დიალექტის კვლევა, მით უფრო მაშინ, როცა საკვლევი დიალექტი უცხო ენობრივ გარემოცვაშია მოქცეული და დიდია მისი სრული ასიმილაციის საფრთხე. ჩნდება კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს. ვფიქრობთ, ბერძნული დიასპორის ენობრივი თავისებურებები კვლევის არეალში აუცილებლად უნდა მოექცეს და დასმულ კითხვებს დამაჯერებელი პასუხები გაეცეს.

0.2. კვლევის საგანი და ობიექტი: ჩვენი ნაშრომი ეხება აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების კვლევას, ინტერდისციპლინარული, სოციო-კულტურული ასპექტების გამოვლენას.

შესწავლის ობიექტი აჭარის გეოგრაფიულ არეალში განსახლებულ პონტოელ ბერძენთა ენაა, იმ ფონეტიკურ თუ ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების

გათვალისწინებით, რომლებიც აქაურთა მეტყველებას შემორჩა და დაილექა მათ მეხსიერებაში. ჩვენი საკვლევი ობიექტი „ენაა სოციალურ გარემოში“, ხოლო სოციუმი, როგორც კვლევის ობიექტი, გვანტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი არის ენობრივი თავისებურებების გამოვლენის მთავარი მექანიზმი. კვლევის საგანს წარმოადგენს აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა „ენა მის სოციალურ კონტექსტში“ (ლადარია, 2002:5).

ორი განსხვავებული კულტურის ურთიერთქმედების პროცესში საინტერესოა როგორც მეტყველების გავლენა საზოგადოებაზე, ასევე ის, თუ როგორ აისახება საზოგადოების გავლენა მეტყველებაზე.

საინტერესოდ გვესახება როგორც ენობრივი თავისებურებების კვლევა წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, ასევე გამოვლენა იმის, თუ უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულ ენაში არსებული ლექსიკისა და თავისებური ფრაზეოლოგიის წყალობით რამდენადაა შესაძლებელი ერთი კულტურის მატარებელი ერი გახდეს სხვა კულტურის ნაწილი.

0.3. კვლევის მიზანი: წინამდებარე სადისერტაციო შრომის მიზანია, შევისწავლოთ აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი. ბერძენთა მიგრაცია, უკუმიგრაცია საკუთარ სამშობლოში და კვლავ დასახლება ბათუმის მიმდებარე სოფლებში გარკვეულ კვალს ტოვებს არამხოლოდ ეთნიკური ცვლილებების სახით, არამედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლექსიკური თუ სოციოკულტურული თვალსაზრისითაც.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს პონტოელთა ყოფის სოციოკულტურული ასპექტების კვლევა, რაც მათი იდენტობის, მენტალობის მთავარი მახასიათებელი ნიშანია.

შევეცადეთ, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებით, შეგვესწავლა მათი ამჟამინდელი ენობრივი მდგომარეობა. საკვლევადა საყურადღებოდ გვესახება თითოეული ლექსიკური თუ გრამატიკული ფორმისა და კონსტრუქციის დაფიქსირება და გამოწვლილვით შესწავლა. საინტერესოა, მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები რამდენად აისახა ენაში, რა ცვლილებები განიცადა

ენამ უცხო გარემოში, რა ფორმით შემორჩა მათ მეხსიერებას და სად უნდა ვეძებოთ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები.

0.4. თემის აქტუალობა და სიახლე: ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა განავითარა და ადგილობრივ გარემოზეც გავლენა მოახდინა, ამასთან, მათ დამხვედურთაგანაც ბევრი რამ შეითვისეს, გაითავისეს და გაიტანეს ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი. მიმდინარეობს კულტურათა შერევის, შერწყმისა და ურთიერთგაცვლის ხანგრძლივი და მძიმე პროცესი, რაც ნათლად ვლინდება ენაში. ენა ხომ ცოცხალი ორგანიზმია, მუდმივად იცვლება, ივსება ახალი ფორმებით, მაგრამ მნიშვნელოვანია არ დაიკარგოს მისი თავდაპირველი სახე. ამ საკითხების შესწავლა საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს.

ვფიქრობთ, აქტუალურია აღნიშნული პრობლემის შესწავლა იმდენად, რამდენადაც თანამედროვე პირობებში (გლობალიზაცია, მიგრაცია, უკუმიგრაცია..) ტრადიციული ყოფისთვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი თუ ლექსიკური ერთეული იკარგება ან სახეს იცვლის. საკვლევი თემის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ პონტოური საფრთხის შემცველ ენათა რიგს მიეკუთვნება, ვინაიდან არ ხდება ენის წერილობითი ფიქსაცია და თაობიდან თაობას გადაეცემა მხოლოდ ზეპირი გზით, რაც ზრდის ენის დაკარგვის საფრთხეს.

საკვლევ მასალად ძირითადად ვიყენებთ ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს, რომლებიც ჩვენ მიერვეა მოპოვებული საველე მუშაობით. ასევე ვიყენებთ კორპუსის მასალებს, რომელიც განთავსებულია საერთაშორისო პორტალზე (corpus resource: TLA, Donated Corpora, XTYP Lab) (იხ.<https://corpus1.mpi.nl/ds/asv/?95>). კორპუსი მოიცავს საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ინტერვიუების შემცველ 2005-2014-2016 წლების მასალებს, რომლებიც შეკრებილია გერმანიის ბილფელდის უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში. კვლევას ვაწარმოებთ არამარტო უშუალოდ ველზე მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველების თავისებურებებით შემოიფარგლება, არამედ საკუთრივ პონტოურ დიალექტთან შეპირისპირებით და პარალელებს ვავლებთ ძველ და თანამედროვე ბერძნულთან, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო სურათს ქმნის. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აქვს შემონახული არქაული ელემენტები

საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებას, რამდენად არის დაშორებული იგი საკუთრივ პონტოურ დიალექტს და, თავის მხრივ, სალიტერატურო ენას, რაც აუცილებელია ენის განვითარების საერთო სურათის წარმოსადგენად.

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოელი ბერძნების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს, თუმცა ამ გამოკვლევებში ნაკლებად არის შესწავლილი აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველება წმინდა ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ჭრილში.

ჩვენი შრომა პონტოელ ბერძენთა მეტყველების ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ჭრილში მონოგრაფიული შესწავლის პირველი მოკრძალებული ცდაა, რითაც განისაზღვრება მისი მეცნიერული სიახლე.

0.5. კვლევის მეთოდოლოგია: საკითხის კვლევისას ვიყენებთ **საველე მეთოდს**, რაც ველზე, ბუნებრივ პირობებში მასალის შეგროვების მიზნით ენის, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის კვლევის საშუალებას გვაძლევს. საველე მუშაობის გზით მოვიპოვეთ ემპირიული მასალა, რომელიც ჩავიწერეთ როგორც ხელით, ასევე აუდიო-ვიდეო ფორმატებზე, ეს უკანასკნელი საკვლევ ფორმებზე დაკვირვებისა და გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საველე მეთოდი წარმატებული ლინგვისტური თუ ეთნოგრაფიული კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება ენობრივ ფორმებს, მათ პარადიგმატულ თუ სინტაგმატურ კვლევას. ენა ხომ მუდმივად ვითარდება, ყოველთვის იბადება ახალი სიტყვა, ფრაზა თუ ფორმა, რომელთა დაფიქსირებაც ცოცხლად აუდიო თუ ვიდეო ფორმაზე ყველაზე უტყუარი საფუძველია მათი შემდგომი კვლევისა. საველე მუშაობამ მოგვცა შესაძლებლობა, შეგვეჩია ჩვენი კვლევისთვის საჭირო ინფორმატორები, დავახლოვებოდით და მათგან მიგველო ბუნებრივი ცოცხალი საკვლევი მასალა.

უშუალო **დაკვირვების მეთოდის** გამოყენებით შევეცადეთ მოპოვებული მასალის ფარგლებში კონკრეტული ლექსიკური ერთეულების, ფრაზეოლოგიური შესატყვისებისა და ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ახსნას თვით საკვლევი ენის და კულტურის მატარებელთა თვალთ. დაკვირვების მეთოდის გამოყენების ერთი რომელიმე წეს-ჩვეულების დეტალური შესწავლით გამოვლინდა შესაბამისი

ლექსიკური ერთეულებიც, რამაც შემდგომში თემატურ–დარგობრივი ლექსიკის მოპოვებისა და დაზუსტების საშუალება მოგვცა.

ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ მოპოვებული ემპირიული მასალის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

პარალელურად, ვიყენებთ **შედარება-შეპირისპირების მეთოდს**, რომელიც ისეთი საკითხების კვლევის საშუალებას იძლევა, როგორცაა კონკრეტული მოვლენების მსგავსება–განსხვავებები. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით ისტორიულ-გენეტიკურ კავშირებსა და ნასესხობის გზით გავრცელებულ მოვლენებს.

0.6. პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: პონტოელ ბერძენთა საქართველოში გადმოსახლების ისტორიისა და მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლას გარკვეული ტრადიციები აქვს. ამ საკითხს ეძღვნება საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა როგორც ქართულ, ასევე უცხოური ენებზე. ქართულ და რუსულ ენებზე არსებობს ცალკეული გამოკვლევები, რომლებშიც ასახულია კავკასიელი ბერძენების კულტურის, ენისა და ყოფის ცალკეული საკითხები.

საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ნარკვევი „ბერძენების დასახლების ისტორია საქართველოში“. ნაშრომი გამოცემულია ორ ნაწილად ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომებში, 1942-1946 წელს (იხ. **ყაუხჩიშვილი 1942: 1946**).

პ.გ. აკრიტასს ეკუთვნის ნაშრომი „კავკასიის ბერძენები“, რომელიც გამოქვეყნებულია კრებულში „კავკასიის ხალხები“ (II ტომი) (იხ. **აკრიტას, 1962**).

მნიშვნელოვანია ლ. ფაშაევას გამოკვლევები პონტოელ ბერძენთა შესახებ, რომლებიც ძირითადად მათი ყოფის ანალიზს ეძღვნება (იხ. **ფაშაევა, 2008**).

პონტოელ ბერძენთა ყოფასა და ტრადიციებს ეძღვნება ლ. დემუროვას ნაშრომები (იხ. **დემუროვა 1983: 1986**).

აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელთა ყოფას ეძღვნება მ. გიორგაძისა და ნ. მეგლაძის ნაშრომები (იხ. **გიორგაძე..., 2013**).

საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ისტორიისა და ბერძნული ეკლესიების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ს. ანგელიდის ნაშრომები (იხ. **Αγγελίδης 1999**), ხოლო პონტოელთა ფოლკლორულ საკითხებს ეძღვნება თ. კონსტანტინიდის და პ. ხეროპულოს ნაშრომები (იხ. **Κωνσταντινίδης, 2013; Χαϊρόπουλος, 1998**).

მნიშვნელოვანია რისმაგ გორდეზიანის ღვაწლი ბერძნული ცივილიზაციისა და ისტორიის საკითხების შესწავლაში (იხ. **გორდეზიანი, 2007; გორდეზიანი..., 2001**).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ესტატე ლაზარევის, წარმოშობით პონტოელის ღვაწლი. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა თავისი ხალხის დიალექტისა და კულტურის შესწავლას, თუმცა სიცოცხლეში ვერ მოასწრო ნაშრომის გამოცემა. მის ოჯახს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების ლაბორატორიისთვის შესასწავლად გადაუცია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც დაცული იყო ამავე ლაბორატორიაში, ამჟამად, სამწუხაროდ, ეს მასალები მიუწვდომელია მკვლევართათვის.

სწორედ ლაზარევის ხელნაწერებს ეყრდნობა ერთობლივი მონოგრაფია „ბერძენები საქართველოში“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის ეგიდით გამოსცა ავტორთა ჯგუფმა (ლ. ბერძენიშვილი, ი. გარაყანიძე, რ. გორდეზიანი, ა. მიქაბერიძე, ნ. ტონია, მ. ფხაკაძე, მ. შახპაზიდი, ა. ჩეპიდი, ნ. ჯანაშია). მონოგრაფია გამოცემულია 1990 წელს რ. გორდეზიანის რედაქტორობით. ეს ნაშრომი, ფაქტობრივად, პირველი ცდაა პონტოელ ბერძენთა ისტორიის, კულტურის, ყოფისა და დიალექტის საკითხთა კომპლექსური შესწავლისა (იხ. **ბერძენიშვილი..., 1990**).

ყველა შრომა, ძირითადად, აღწერილობითი ხასიათისაა და ეხება ბერძენთა ემიგრაციისა და მათი ყოფა-ცხოვრების ისტორიულ საკითხებს.

რაც შეეხება თავად პონტოურ დიალექტს, მასზე მრავალი გამოკვლევა არსებობს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ენის შესახებ დღემდე არ არსებობს მეტად თუ ნაკლებად საყურადღებო ნაშრომი. ბოლო პერიოდში შეინიშნება დაინტერესება პონტოური დიალექტის მიმართ. ამ მხრივ უნდა

აღნიშნოს სვეტლანა ბერიკაშვილის ღვაწლი საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ზოგიერთი საკითხის კვლევის საქმეში (იხ. **Berikashvili, 2016, 2017**).

გასათვალისწინებელია, რომ საერთოდ პონტოელებზე და მათ მეტყველებაზე არსებული საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა ნაკლებად ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ელინოფონ მოსახლეობას.

საკუთრივ პონტოური დიალექტის შესახებ ორი მონოგრაფია არსებობს, ესენია: Ιστορική Γραμματική της Ποντικής Διαλέκτου - ავტორი ანთიმოს პაპადოპულოსი (Ανθίμος Παπαδόπουλος) -გამოცემულია 1955 წელს და მეორე 1958 წელს დიმოსთენის იკონომიდისის (Δημοσθένης Οικονομίδης) ავტორობით გამოცემული - Γραμματική της Ελληνικής Διαλέκτου Πόντου (იხ. Σαχαριδης, 2013:<http://pontos-patridamou.blogspot.com/2013/03/blog-post.html#axzz2OvOdsX9X>);

ბერძენი მეცნიერი კირიაკოს სახარიდისი (Κυριακός Σαχαρίδης) მოიშველიებს მ. ტრიანდაფილიდისის (Μ. Τριανταφυλλίδης) სიტყვებს, რომელიც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ პონტოური დიალექტი არ უნდა იქნეს მივიწყებული, რომ ის ბერძნული ენის ნაწილია. პონტოური დიალექტის შესახებ ეს ორი მნიშვნელოვანი ნაკვლევი, რომლებიც ხელნაწერების სახით გამოიცა ავტორთა გარდაცვალების შემდეგ, უნდა გადამუშავდეს ერთ საერთო ნაშრომად, შეივსოს ახალი ფორმებით, რათა უფრო ადვილად გასაგები გახდეს მკითხველისთვის და პონტოურის საკითხებით დაინტერესებულთ შეეძლოთ კითხვებზე პასუხების მიღება (Σαχαριδης, 2013:<http://pontos-patridamou.blogspot.com/2013/03/blog-post.html#axzz2OvOdsX9X>).

აქვე აღვნიშნავთ, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ლინგვისტური პრობლემების კვლევით დაინტერესებულია ბსუ-ს მკვლევართა ჯგუფი პროფესორ მარინე გიორგაძის ხელმძღვანელობით, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „პონტოელი ბერძენები აჭარაში – წარსული და თანამედროვეობა“ ფარგლებში.

პროექტით გათვალისწინებული იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობებისა თუ საარქივო ფონდებში დაცული მასალების და აჭარაში დამკვიდრებულ ბერძენთა ყოფისა და ენობრივი

თავისებურებების კვლევა, რაც ერთიან სურათს შექმნის მათი ისტორიის, კულტურული ფასეულობებისა თუ ენობრივი თვითმყოფადობის შესახებ. როგორც ვხედავთ, პროექტი კომპლექსურია. იგი ითვალისწინებს პონტოელ ბერძენთა ისტორიული, სოციალური, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური თვალსაზრისით კვლევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ავტორთა ჯგუფის მიერ გამოიცა შემაჯამებელი მონოგრაფია „პონტოელი ბერძენები აჭარაში-წარსული და თანამედროვეობა“, თბ. 2017. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომიც ამ კვლევის ნაწილია.

0.7. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ბერძნული ენის პონტოური დიალექტი გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო იზოლირებულად ვითარდებოდა, ამიტომაც ის საგრძნობლად დამორდა როგორც ბერძნული ენის სხვა დიალექტებს, ასევე სალიტერატურო ენასაც.

უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი დიალექტი, ძირითადად ზეპირი გზით ვითარდებოდა, ბოლო პერიოდში გაჩენილი დიდი ინტერესი დიალექტების წერილობითი ფიქსაციისა, ნაკლებად ეხება აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენი მოსახლეობის მეტყველებას.

ვფიქრობთ, ძველი ცივილიზაციის მქონე ერის იმ ნაწილის, რომელიც ბედის უკუღმართობამ უცხო სამყაროში გადაისროლა და არაერთი საუკუნე უცხოთა გვერდით არგუნა ცხოვრება, მეტყველების ფიქსაციას და კვლევას მნიშვნელოვანი თეორიული თუ პრაქტიკული ღირებულება უნდა ჰქონდეს როგორც სოციოლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ასევე ერთიანი ბერძნული ენის ისტორიული განვითარების პროცესების შესასწავლად.

ამავდროულად, ნაშრომს მეტ ღირებულებას სძენს ის ფაქტიც, რომ პონტოელ ბერძენებთან ერთად ე.წ. პონტოს რეგიონში სახლობდნენ ქართველური ტომები, კერძოდ, ლაზები. ამ ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს „არამართო ცალკეული ენობრივი ელემენტები, რომელნიც, ერთის მხრივ, თურქეთის ლაზური მოსახლეობის ენაში პონტოური დიალექტის გავლენის კვალს ასახავენ და, მეორეს მხრივ, პონტოურში – ქართველურისას, არამედ მოსახლეობის შერევის პროცესიც“ (ბერძენიშვილი..., 1990:6).

ყურადსაღებია ისიც, რომ ბერძნები მრავალი ათეული წლის წინ საქართველოში დამკვიდრდნენ, აქ ჰპოვეს მეორე სამშობლო და ბუნებრივია, ყოველივე ეს უთუოდ დატოვებდა თავის კვალს მათ ყოფაში, ენასა თუ ფსიქოლოგიურ წყობაში, რისი კვლევაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

0.8. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ბაზა: საკვლევ მასალად ძირითადად ვიყენებთ საველე მუშაობის დროს სპეციალური კითხვარის მიხედვით ჩვენ მიერვე შეგროვებულ ემპირიულ მასალას, რომელიც მოპოვებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“ ფარგლებში. გარკვეული მასალის გადამოწმების და შევსების მიზნით, ინდივიდუალურადაც ვაწარმოებდით საველე სამუშაოებს. მასალები დაცულია პირად არქივში.

გარდა ამისა, შესადარებლად ვიყენებთ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალებს (პონტოურ ტექსტებს, ლექსიკას) შესაბამისი წყაროების მითითებით. მასალის შედარებისას გამოყენებული თანამედროვე და ძველი ბერძნული ენის ლექსიკონები მითითებული გვაქვს გამოყენებული ლიტერატურის სიაში.

გამოვიყენეთ კორპუსის მასალები, რომლებიც განთავსებულია საერთაშორისო პორტალზე (corpusresource: TLA, DonatedCorpora, XTYP Lab). კორპუსი მოიცავს საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ინტერვიუების შემცველ 2005-2014-2016 წლების ჩანაწერებს. მასალების ჩაწერა და დამუშავება განახორციელეს ბილგელდის უნივერსიტეტის (გერმანია) თანამშრომლებმა პროექტის ფარგლებში. საველე მუშაობის პარალელურად, შესწავლილია სათანადო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა.

0.9. ნაშრომის სტრუქტურა: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შედგება ოთხი თავისგან.

პირველ თავში „**ფონეტიკური თავისებურებანი**“ განვიხილავთ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ფონეტიკურ თავისებურებებს, ბგერით შედგენილობას და ძირითად ფონეტიკურ მოვლენებს.

მეორე თავში „**პონტოური დიალექტის გრამატიკული თავისებურებანი**“ განაალიზებულია აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები.

მესამე თავში „**პონტოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი**“ განვიხილავთ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ლექსიკურ თავისებურებებს, ვსაუბრობთ პონტოელთა მეტყველების სახეებსა და ფორმებზე, ნასესხებ (თურქული, რუსული, ქართული) ლექსიკაზე. პონტოური ბერძნულის ლექსიკას განვიხილავთ თანამედროვე ბერძნულ ენასთან და საკუთრივ პონტოურ დიალექტთან მიმართებით. წარმოვადგენთ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში გამოვლენილ არქაიზმებს და ლაზურსა თუ ქართულში დამკვიდრებულ ბერძნიზმებს.

მეოთხე თავი „**ქართულ-ბერძნული ურთიერთობების სოციოკულტურული ასპექტები**“ ეძღვნება აჭარის ბერძენთა მეტყველებაში ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობების ასახვას. ცალკე პარაგრაფში განვიხილავთ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ქართულის კვალს და ცალკე – პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველ საკითხებს.

დასკვნაში განზოგადებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სამენციერო სტატიებსა და მოხსენებებში.

0.10. ზოგი რამ პონტოელ ბერძენთა განსახლების, დასახლებებისა და დიალექტის შესახებ. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ბერძენთა ერთი ნაწილი კომპაქტურად იყო დასახლებული აწინდელი თურქეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შავიზღვისპირა რაიონში, რომელიც პონტოს სამეფოდ იწოდებოდა. აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც -პონტოელი. ტერმინები „პონტოელი ბერძენები“, „პონტოელები“ (უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „πόντιος“ („ზღვა“) საყოველთაოდაა გავრცელებული და სხვა ენებშიც ამ ტერმინით აღინიშნება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ მცირე აზიელ ბერძენთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობა (გიორგაძე..., 2017:11).

პონტოელთა დასახლებები მრავალრიცხოვანი ყოფილა აღმოსავლეთით –რიზეს და დასავლეთით –გირუსუნს შორის. თავდაპირველად 102 ელინოფონურ დასახლებას ითვლიდნენ პონტოს რაიონში. გარდა ბერძნებისა, აქ სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ, მათ შორის ქართველური ტომებიც, კერძოდ, ლაზები, თუმცა „ბერძნულენოვანი მოსახლეობა პონტოს რეგიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი ყოფილა“ (ბერძენიშვილი..., 1990:6), ალბათ ამიტომაც მხოლოდ ბერძნები იწოდებიან პონტოელებად იქ მოსახლე სხვა ტომთა შორის.

ბერძენთა მიგრაცია საქართველოში არ იყო ერთჯერადი და მარტივი პროცესი. იგი სხვადასხვა დროს განხორციელდა, სხვადასხვა მიმართულებით და მიზნით.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ანატოლიელი ბერძნები საქართველოს შავიზღვისპირეთში XVI საუკუნეში ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ გადმოსახლდნენ. ამის მიზეზი, გარდა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორისა, რელიგიურიც იყო, ვინაიდან ხშირად ყოფილა მცდელობა ოსმალეთის მხრიდან არათურქი მოსახლეობის გამუსლიმანებისა.

ცნობილია, თუ როგორი ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა თურქებსა და თურქების გარემოცვაში მოქცეულ ბერძენთა შორის, ვინაიდან „ბერძნებისთვის მართლმადიდებლური ეკლესია მხოლოდ სალოცავს არ წარმოადგენდა, ეს იყო „ხალხთა თავმოყრის ადგილი“, ერთგვარი სათათბირო (ბერძენიშვილი..., 1990:41).

რუსეთსა და თურქეთს შორის XVIII-XIX საუკუნეებში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა პონტოელ ბერძენთა დიდი ტალღის მოდინება საქართველოში.

მართალია, ბერძენთა გადმოსახლება ეტაპობრივად ხდებოდა სხვადასხვა დროს, თუმცა მასობრივი გადმოსახლების თარიღად მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებს ასახელებენ.

გადმოსახლებულ ბერძენთა შორის ყოფილა ის ნაკადიც, რომელსაც ნაკლებად განუცდია რეპრესირებულთა მწვავე ხვედრი, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი რელიგიურ უთანასწორობას გამოქცევნიან და ერთმორწმუნე საქართველოსთვის შეუფარებიან თავი.

საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია. მცირეაზიელი ბერძნები საქართველოში მოსულან ქალდიის პროვინციებიდან, კერძოდ, არზრუმიდან, ტრაპეზუნტიდან (ტრაპიზონიდან), როდოპოლისიდან, ნეოკესარიდან, ანკარადან. ასევე ირკვევა, რომ ისინი გადმოსული არიან მაღალმთიანი ალპური ზონიდან – სოფ. სანტადან, რიზეს, ფაცას, ორდუს, გირესუნისა და სამსუნის პროვინციებიდან. თრიალეთელი თურქულენოვანი ბერძნები – ურუმები, წარმომავლობით ოსმალეთში მდებარე სანთადან, ნეო-ხარაბადან, გუმბათიდან, ტარსინიდან ყოფილან. გადმოსახლებულ ბერძენთა შორის ყოფილან ვაჭრები და ხელოსნები.

არაერთი წერილობითი წყარო ადასტურებს, დაახლოებით XIX საუკუნის მიწურულს ოსმალეთის ტრაპეზუნდის ვილაეთიდან ბერძენთა შვიდი სოფლის აყრის შესახებ, რომელმაც სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს ვერ გაუძლო, აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით დაიძრა. მათი ნაწილი საბერძნეთს დაუბრუნდა, ნაწილმა საქართველოს მიაშურა და ძირითადად საქართველოს შავიზღვისპირეთში განსახლდა (გიორგაძე..., 2017:19).

ეს დასტურდება აჭარაში მცხოვრებ დღევანდელ ბერძენთა საუბრებიდანაც: „წარმოშობით, საერთოთ ჩვენები არიან კერასუნდელები, თურქეთის მხარეს. ბაბუაჩემი ვაჭარი ყოფილა. რაღაც თურქებმა გაუჭირვეს, დატია და წამოვიდა აქეთ, იცოდა, რომ აქ ბერძნები არიან და ჩამოვიდა აქ“ (ახალშენი); „მამაჩემი ხელოსანი ყოფილა, ქვის მტეხელი“ (კვირიკე).

საქართველოში ბერძნები ახალ დასახლებებს ქმნიან.

ისტორიულად დადასტურებულ ბერძნულ ახალშენთა შორის პირველ დასახლებად სამეცნიერო ლიტერატურაში **ბეშთაშენი** (თურქ. ხუთი ქვა) სახელდება. ეს სოფელი 1829 წელს არზრუმიდან წამოსულ ბერძნებს დაუარსებიათ. ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, სოფლის ძველი ქართული სახელი უნდა ყოფილიყო **ბეშქენაშენი**. შემდგომ რუსეთ-თურქეთის ომმა კიდევ უფრო გაართულა თურქებსა და მცირე აზიელ ბერძნებს შორის ისედაც დამაბული ურთიერთობები. ომის სიმძიმე კი არანაკლებ მძიმედ დააწვა აჭარის შავიზღვისპირეთსაც. ამ პერიოდში ხდება ქართველთა იძულებითი გამაჰმადიანება. ომის შემდგომ კი დაიწყო უკვე

გამაჰმადიანებული ქართველების გადასახლება თურქეთის რესპუბლიკაში (იხ. **ყაუხჩიშვილი 1942:1946**).

აჭარის დაცარიელებულ ადგილებში თანდათან იქმნებოდა თურქეთიდან გადმოსახლებულ ბერძენთა დასახლებები.

საქართველოში გადმოსახლებული ბერძნები უკვე გამაჰმად იანებულ ქართველთა გარემოცვაში მოხვდნენ, ამას ემატებოდა მწირი მიწები, მოუსავლიანობა და ეპიდემიაც არ ყოფილა იშვიათი მოვლენა, მსგავსი მიზეზებით ბერძენთა უმეტესი ნაწილი იძულებული გამხდარა, მასობრივად უკან წასულიყო, დაბრუნებოდა ანატოლიის ძველ ნასახლარებს.

საქართველოში დასახლებული ბერძნები თურქების მიერ განადგურებული მართლმადიდებლური მატერიალური კულტურის ძეგლების ადგილას ახალი ძეგლების, ძირითადად ტაძრების მშენებლობას იწყებენ, რაც დღემდე გრძელდება.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში რუსეთსა და თურქეთს შორის ხელმეორედ გართულებულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა საფუძველი ჩაუყარა კრეტელთა აჯნაყებას, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა, რასაც შედეგად მოჰყვა თურქეთის რეპრესიები მცირეაზიელი ბერძნების წინააღმდეგ.

ბათუმში, როგორც ზღვისპირა საპორტო ქალაქში, ადრეც ყოფილან ბერძნები დამკვიდრებული, მაგრამ სოფლებში იმ დროს ბევრი ემიგრანტი არ დასახლებულა. მცირეაზიელ ბერძენთა მასობრივი ჩასახლება აჭარის სოფლებში იწყება XIX საუკუნის ბოლოს. ამავე პერიოდში ყარსში დასასახლებლად წამოსულ ბერძენთა დიდი ჯგუფი, ძლიერი ქარბუქის გამო, დროებით ბათუმში შეჩერებულა და აქვე დამკვიდრებულა.

ერთ-ერთი პირველი ანატოლიური ახალშენი სოფელი დაგვა გახდა. აქ დამკვიდრებულ ბერძენთა ოჯახებს თანდათან ემატებოდა ახალი ოჯახები (**ბერძენიშვილი..., 1990:66**). სხვა წყაროების მიხედვით, პირველ დასახლებად ახალშენი სახელდება, სადაც იშხანიდი, ავგოპულო და ასანიდის გვარების მქონე ბერძნები დასახლებულან (**დემუროვა, 1983:97**).

ბერძენთა მოდინების პროცესი პერიოდულად მიმდინარეობდა. ნაციონალური ჩაგვრით შევიწროებული ბერძნები მოდიოდნენ თავიანთ ნათესავებთან თუ

ახლობლებთან და ასე იქმნებოდა ბერძენთა დასახლებები აჭარაში. XX საუკუნის დასაწყისისთვის აჭარაში ბერძენთა რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილა.

სოფლებში ბერძნული ოჯახები მეტ-ნაკლებად კომპაქტურად სახლდებოდნენ. მათთან ერთად ქართული ოჯახებიც ცხოვრობდნენ, იქმნებოდა დასახლებები ნარევი ეთნიკური ჯგუფებისგან.

დასასახლებლად ბერძნები მაღლობ ადგილებს ირჩევდნენ, ვინაიდან „წამოგავდა თურქეთის ადგილმდებარეობას“ (ახალშენი), მერე თანდათანობით „სხვებიც, გამოქცეულები აგენს მიეყრდნენ და გადიდა სოფელი“ (ახალშენი). გარდა ამისა, დაბლობში ცუდი კლიმატური პირობები, მალარიის კერა დახვდათ, „ხალხი ბუზებივით კდებოდა“ (ახალშენი) – ესეც გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი მაღლობ ადგილებში ბერძენთა დასახლებისა.

საქართველოში ბერძნული დასახლებები უმეტესწილად განლაგებულია საქართველოს სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში. აჭარაში ბერძენთა კომპაქტური დასახლებები არის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: დაგვა, კვირიკე, აჭყვა, ქალაქი ქობულეთი, ხელვაჩაურის სოფლები: ახალშენი, ყოროლისთავი, ფერია.

ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და მახლობელი სოფლების გარდა, ბერძნები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ და უმეტესად ხელოსნობას, მჭედლობას მისდევდნენ.

ბერძნები ბარის სოფლებში კომპაქტურად სახლობდნენ, ხოლო მთაში ცალკეულ ოჯახებად ყოფილან წარმოდგენილი, რასაც რამდენიმე ტოპონიმიც მოწმობს **ბერძნაული** (სათესის სახელი სოფ. ლაკლაკეთში), **ბერძენაული** (სათესი: სოფელი ხევითავი, უჩამბა-შუახ. (იხ. სიხარულიძე, 1959).

საარქივო-ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ბერძნები აჭარის მთაში სამხრეთ საქართველოდან, ძირითადად, წალკიდან ხვდებოდნენ და უმეტესად ხელოსნობას - მჭედლობას მისდევდნენ. აჭარის სახელმწიფო არქივში 1919 წლის სინამდვილის ამსახველი ერთი რუსულენოვანი დოკუმენტი ინახება, რომელშიც მოხსენიებულია აჭარის მთიან სოფლებში -სოფელ ბოძაურში მცხოვრებ ბერძენთა

შემდეგი სახელები და გვარები: ეფრემ ეფრემიდი, პანჩო ეფრემიდი, პანბელი პაპოპულო, მიტო ფოკანდი, პანჩო მჭედელი (კახიძე, 2001:46).

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ზეპირი გადმოცემებით, თავდაპირველად ამ სოფლებში ოთხი მოსახლე ყოფილა, ბერძენები: **ციროვები, შაფლახიდები, ელენიდები და ვალიკიდები.**

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, აღნიშნულ სოფლებში ბერძენთა მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ძირითადად ხანდაზმულები. გავრცელებული გვარებია: ქსანდოპულო, კურტოვი, ჩილინგარიდი, როდოპულო, ცაცანიდი, მურუზიდი, ორახოვი, დიმიტრიადი, ტავრილიდი, მავროპულო, გონიადი, პერუკიდი, ჩილიკიდი, ფუტურიდი, სამარციდისი, პაპანდოპულო, ნიანიდი, სიდროპულო, იორდანიდი, მალკოჩიდი, კაიდალიდი, პაროციდი..

აჭარიდან საბერძნეთში წასული ბერძენები ძირითადად სახლობენ თესალონიკში, ათენში, კავალაში, ქსანთიში, ზოგი – კომოტინში.

პონტოელი ბერძენების ის ნაწილი, რომელიც საქართველოში გადმოსახლდა, არ ყოფილა თავიდანვე ერთგვაროვანი. საქართველოში მცხოვრებ ბერძენებს ყოფენ ორ დიდ ჯგუფად: ელინოფონურ, ანუ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე და თურქულენოვან ჯგუფებად. თავის მხრივ, არც ბერძნული ენის პონტოური დიალექტი არის საქართველოში ერთგვაროვანი, ხასიათდება სხვადასხვა რეგიონში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავებებით. სკოლებში ისწავლებოდა თანამედროვე ბერძნული ენა (იხ. ძნელაძე, 2017:128-148), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბერძენთა აბსოლუტური უმეტესობა ოფიციალურ სამწერლობო ენად იყენებს რუსულს და ქართულს.

„აჭარის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ბერძენთა მეურნეობის შესახებ არსებული ცნობებიდან ჩანს, რომ ბერძენი ემიგრანტები არამარტო ითვისებდნენ მათ მიერ არჩეული სამოსახლოების მკვიდრთა მეურნეობას, არამედ თავადაც ახდენდნენ გავლენას ადგილობრივი მეურნეობის განვითარებაზე“ (ბერძენიშვილი...,1990: 88).

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ბერძენების საქმიანობა მრავალფეროვანი იყო. მათ ძირითადად იწვევდნენ სპეციალური სამუშაოების

შესასრულებლად (მემთამადნეობა, კალატოზობა). დროთა განმავლობაში, მათი საქმიანობა ადგილობრივ მეურნეობას ერწყმოდა.

საქართველოში ჩამოსახლებული ბერძნების ოფიციალური რელიგია მართლმადიდებლობა იყო. სწორედ რწმენამ და ეკლესიამ შეუნარჩუნა ცენტრალური თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერძნებს ნაციონალური თვითმყოფადობა.

პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაცია, რომელიც 1920-1921 წლებში განხორციელდა, სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან იყო უშუალოდ დაკავშირებული. თანდათან მცირდება ბერძენთა რაოდენობა საქართველოში, რაც, ვფიქრობთ, კავკასიასა და ანატოლიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგი იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ პერიოდშიც, სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, რომლის არსებითი შედეგი ოსმალეთის იმპერიის დაშლა და ახალგაზრდა თურქეთის „გადარჩენა“ იყო, პონტოელ ბერძენთა დიდი ნაკადის ბათუმში მოდინება და ბათუმიდან სამშობლოში დაბრუნება განაპირობა (გიორგაძე..., 2017).

უკუმიგრაციის ანალოგიური ისტორია XX საუკუნის 90-იან წლებშიც განმეორდა, როცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.

ის ფაქტი, რომ საქართველოდან წასული ბერძნები არ ცდილობენ, აქ დატოვებული სახლ-კარი გაყიდონ, გვაფიქრებინებს, რომ უკან დაბრუნების შესაძლებლობას იტოვებენ, რათა ცხოვრების პირობების შეცვლის შემთხვევაში შეძლონ „მეორე სამშობლოში“ დაბრუნება. მით უფრო, რომ აქ მამა-პაპათა საფლავები ეგულებათ.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტიც არ ყოფილა ერთგვაროვანი. სპეციალურ ლიტერატურაში ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბერძნები უკვე ძვ.წ. II ათასწლეულიდან მოსახლეობენ ეგეოსის ზღვის აუზში, ასევე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოგვეპოვება წერილობითი დოკუმენტური მასალა ბერძნულ ენაზე - ე.წ. B ხაზოვანი წარწერების სახით, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ბერძნული ენის დიალექტური დიფერენციაციის პროცესი უკვე შორეულ ეპოქაში უნდა დაწყებულიყო.

როგორც ბერძნული დიალექტოლოგიის თანამედროვე მკვლევარნი აღნიშნავენ, უკვე ძველი და კლასიკური ეპოქის საბერძნეთში არსებობდა მრავალი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული დიალექტი, რომელთაც შემდეგ ძირითად ჯგუფებად ყოფენ:

1. დორიული (მასთან ახლოს იყო ჩრდილო-დასავლეთის, ელიდური და აქეური, დასავლეთ ბერძნული დიალექტები).
2. ეოლიური (ლესბოსური, თესალიური და ბეოტური დიალექტებით).
3. იონიურ-ატიკური.
4. არკადულ-კვიპროსული.

ამ დიალექტების გარდა, დასახელებულია მიკენურიც, რომელიც რამდენიმე საუკუნით არის დაშორებული წერილობითი წყაროების მიხედვით აღნიშნულ დიალექტებს და ამდენად, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამავე კონტექსტში განიხილავენ პამფილიურსაც, რომელიც ტერიტორიულადაც და ენობრივადაც საკმაოდ იზოლირებულია (ბერძენიშვილი..., 1990:130). ამათგან ატიკური დიალექტი განსაკუთრებით მასშტაბური და პოპულარული იყო, რასაც მეტწილად განუსაზღვრავს ბერძნული ენის შემდგომი განვითარების გზები.

ელინისტურ ეპოქამდე ერთიანი ბერძნული სალიტერატურო ენა არ არსებობდა. ყველა დიალექტი ერთგვარად კანონიკური ხდებოდა ლიტერატურის გარკვეული ჟანრისათვის და სალიტერატურო ენის ფუნქციას ასრულებდა, შესაბამისად, იქმნებოდა ერთიანი სალიტერატურო ნორმების ფორმირების აუცილებლობა.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით სწავლულები, მიისწრაფოდნენ ნორმირებული სამეტყველო ენის ჩამოყალიბებისკენ, რაც აფერხებდა სასაუბრო ენის ბუნებრივ განვითარებას.

ბერძნული ენის დიალექტთა ამგვარი განვითარების პროცესები თანდათანობით განსაზღვრავდა ერთიანი სალიტერატურო ოფიციალური ენის ჩამოყალიბებას. ამისთვის ხელი შეუწყვია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებსაც, რასაც მოჰყვა ხმელთაშუა ზღვის მთელ აღმოსავლეთ რეგიონში ელინისტური სახელმწიფოების შექმნა, შედეგად, აუცილებელი ხდება ბერძნული ენის გამოყენება

არა მხოლოდ ბერძნული დიასპორის, არამედ ალ. მაკედონელის იმპერიის ფარგლებში მოქცეული სულ სხვადასხვა ხალხისთვისაც.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დასმულიყო საკითხი ერთიანი ოფიციალური ბერძნული ენის – ელინისტური სამყაროსათვის საკომუნიკაციო ენის შემოღებისა, ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური საფუძველი უკვე შემზადებული იყო.

ატკური დიალექტი მეტ-ნაკლებად წარმატებით ასრულებდა განათლებული ფენის ენის ფუნქციას. ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულიდან გამოიკვეთა მისწრაფება ენობრივი ერთიანობისაკენ და ამ დროიდან მოყოლებული, აქტუალური ხდება საერთო ბერძნულის, ანუ კოინეს (κοινή διάλεκτος) საბოლოო ფორმირების საკითხი.

კოინე ახ.წ. IV საუკუნემდე ბერძნულენოვანი სამყაროს ძირითად ენას წარმოადგენდა. იგი არ იყო ერთგვაროვანი. ატიკურ-იონური დიალექტის ბაზაზე ფორმირებულმა კოინემ, ბევრი რამ შეითვისა სხვა ბერძნული დიალექტებისგანაც. მისი ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანი იყო ელინისტური სამყაროს ორბიტაში მოქცეული მრავალი უცხო ენის - ლათინური, სემიტური და სხვა ენების გავლენაც (იხ. schwyzer, 1939:116).

კოინეს განვითარებასთან ერთად, ტრადიციული ბერძნული დიალექტები თანდათანობით ქრებოდნენ, რადგან კარგავდნენ ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა წმინდა ატიკური დიალექტის აღდგენისა, მაინც ვერ შეუშალეს ხელი კოინეს საფუძვლიან დამკვიდრებას. რეგიონალური დიალექტები თანდათან უფრო მეტად განიცდიდნენ კოინეს გავლენას და მას თანდათანობით ერწყმოდნენ.

ელინისტურ ეპოქაში არსებობდა, ერთის მხრივ, ატიკურის საფუძველზე ჩამოყალიბებული ე.წ. ლიტერატურული კოინე, ხოლო, მეორეს მხრივ, ხალხური კოინე. ამ პერიოდში, ფაქტობრივად მიმდინარეობს ე.წ. დიდლოსის ანუ ორენოვნების პროცესი. მწერლობაში ცდილობენ მკაცრად დაიცვან კლასიკური ბერძნული ნორმების საფუძველზე შექმნილი კოინე, თუმცა, მცდელობის მიუხედავად, იზრდება ინტერესი სასაუბრო ენის განვითარებისა, რამაც განაპირობა კოინეში ფონოლოგიური თუ გრამატიკული ცვლილებების გამომწვევი ინტენსიური პროცესები.

ცალკეულ რეგიონებში იწყება კოინეს დიალექტური დიფერენციაცია. საშუალო ბერძნული და ახალი ბერძნულიც (ბიზანტიის იმპერიის დაცემიდან – XX საუკუნემდე) სამწერლობო ენის დონეზე ცდილობენ კოინეს ტრადიციების მეტ-ნაკლებად დაცვას, ხოლო სასაუბრო ენაში კი მიმდინარეობს კოინეს ელემენტთა განუწყვეტელი ტრანსფორმაცია. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბერძნულ დიალექტთა აბსოლუტური უმეტესობა კოინედან და არა უფრო ადრეული დიალექტებიდან იღებს დასაბამს (იხ. ბერძენიშვილი..., 1990: 133; schwyzer, 1939).

დაპირისპირება ოფიციალურ სამწერლობო და ხალხურ სასაუბრო ენას შორის ამ დრომდე გრძელდება. არქაიზებული წმინდა ენა –კათარეუსა (καθαρεύουσα) ინარჩუნებს ატიციზმის გარკვეულ ტრადიციებს, ხოლო, ხალხური ენა –დიმოტიკი (δημοτική, καθομιλισμένη) კვალდაკვალ მიჰყვება ცოცხალი სასაუბრო ენის განვითარების ბუნებრივ ტენდენციებს. დიმოტიკიმ სულ უკანასკნელ წლებში მოიპოვა არსებითი უპირატესობა და ამჟამად მთელი ბერძნულენოვანი სამყაროსათვის იგი წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო და ოფიციალურ ენას (იხ. ბერძენიშვილი..., 1990:133).

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ბერძნულ დიალექტთა უმეტესობა მიმდინარეობს უშუალოდ კოინედან. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ცაკონური დიალექტი, თუმცა ისიც არსებითად კოინეს ნიშნებს ატარებს.

თავისი კონსერვატიზმით, ანუ არქაულ ელემენტთა მეტ-ნაკლებად შემონახვით თანამედროვე ბერძნულ დიალექტთა შორის გამოირჩევა ე.წ. პერიფერიული დიალექტები: პონტოს, კაპადოკიური, კვიპროსული, დოდეკანისური (როდოსული), ქიოსური, იკარიული, იონურ კუნძულთა, სამხრეთ იტალიური, კრეტული და სხვა (იხ. ბერძენიშვილი..., 1990:133).

ბუნებრივია კითხვა: როდის უნდა დაწყებულიყო ამ ე.წ. ახალ დიალექტთა წარმოქმნა? სპეციალურ ლიტერატურაში გარკვევით მიუთითებენ ახ.წ. XII საუკუნიდან ამ დიალექტთა არსებობაზე. პროცესის დასაწყისად ახ.წ. VI-VII საუკუნეები სახელდება.

მე-15 საუკუნიდან ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ბერძნული ენის განვითარება საკმაოდ წინააღმდეგობრივად წარიმართა. ერთი მხრივ ცდილობდნენ

სალიტერატურო ენაში არქაიზმის სულის შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი – ხალხური ენისათვის სალიტერატურო ნორმის სტატუსის მიცემას. ამ უკანასკნელ ტენდენციას მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოუპოვებია უპირატესობა, თუმცა დღემდე საბერძნეთში დიმოტიკისთან (ხალხურ ენასთან) ერთად მომხრეები არქაიზებულ კათარევუსას ჰყავს.

XIX საუკუნის სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა ახალი ბერძნული ენის წარმოშობის შესახებ. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ ახალი ბერძნული ეოლიური და დორიული დიალექტების ერთგვარ გაგრძელებად უნდა მიჩნეულიყო (ა. ხრისტოპულოსის თეორია), მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ახალი ბერძნული ენა არა მველი ბერძნული დიალექტების, არამედ კოინეს განვითარების შედეგად იყო მიღებული (ჰაილმაიერის თეორიის მომხრეები გ. ხამიდაკისი, ი. ფსიხარისი, ჰ. კრეჩმერი, ჰ.პერნო, ა. თუმბი, კ.დიტერიხი და სხვა) (გორდეზიანი, 2001:15). სასაუბრო ენის მწერლობაში გამოყენების პირველი მცდელობა მე-16 საუკუნით თარიღდება.

დიმოტიკი ანუ სასაუბრო ენა სულ უფრო მკვიდრდებოდა მწერლობაში, რისთვისაც ბერძენ ინტელექტუალებს მცდელობა არ დაუკლიათ, დიმოტიკი ოფიციალურ სამწერლობო ენად დაემკვიდრებინათ.

ბერძნული ენის ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მველი დიალექტების გაქრობის კვალდაკვალ, დაიწყო ახალი დიალექტების და კილოების ჩამოყალიბების პროცესი.

თანამედროვე ბერძნულ ენაში გამოყოფენ შემდეგ დიალექტებს:

ცაკონური (გავრცელებულია პელოპონესოსის რიგ რაიონში და პირობითად მველი დორიულის მემკვიდრედ მიაჩნიათ).

სამხრეთ იტალიური (გავრცელებულია საბერძნეთში და კოინედან მომდინარედ ითვლება).

კაპადოკიური (ვრცელდებოდა მცირე აზიაში, ისტორიული კაპადოკიის ტერიტორიაზე).

პონტოური (გავრცელებულია ძირითადად ანატოლიის მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში). მიგრაციის შედეგად ამ დიალექტზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოშიც (**გორდეზიანი, 2001:17**).

ახალ დიალექტთა შორის თავისი ბგერითი შემადგენლობითა და გრამატიკული სტრუქტურით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **პონტოს დიალექტს**. სახელწოდება „პონტოს“ მცირე აზიის გარკვეული ტერიტორიის მიმართ, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ ადრე გამოიყენებოდა.

ჰეროდოტედან მოყოლებული ბერძნულ წყაროებში არაერთგზის მოიხსენიება პონტო, სადაც ცხოვრობენ **ელინები, არაელინი კოლხურ-ქართველური ტომები** და სხვები. ამ დროიდან დაწყებული სახელები „პონტო“ (პონტოს რეგიონი) და „პონტოელი“ მყარად დაუკავშირდა აღნიშნულ ტერიტორიასა და მის მცხოვრებლებს.

ამ პერიოდიდან პონტოელთა ცხოვრებაში მრავალმა წყალმა ჩაიარა. ისინი ხან რომის იმპერიის, ხან ბიზანტიის, ხან საქართველოს, ბოლოს კი ოტომანთა იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ. იცვლებოდა ისტორიული ვითარება, იცვლებოდა მათი ენაც, მაგრამ უცვლელი დარჩა მათი სახელწოდება – „პონტოელი“. სწორედ ამიტომ საქართველოში, რუსეთში, აშშ-ში, კონტინენტურ საბერძნეთში დამკვიდრებულ თურქეთის ამ რეგიონიდან წამოსულ ბერძნებს ერთხმად ვუწოდებთ „პონტოელ ბერძნებს“, ხოლო მათ დიალექტს პონტოურს (**ბერძენიშვილი..., 1990:34**).

პონტოურ დიალექტს იონურიდან მომდინარედ თვლის ბერძენი მეცნიერი პოლატიდის ვასილიოსი (Πολατίδης Βασίλειος), რომელიც აღნიშნავს – შეიძლება ითქვას, რომ პონტოური დიალექტი შეიქმნა ადრეული ხანის ბერძნული ენის იონურისაგან, რამაც განაპირობა მისი ბიზანტიური ხასიათი, თუმცა ყველაზე დიდი გავლენა -ლექსიკური, გრამატიკული და სინტაქსური განიცადა თურქულისგან, რაც თურქებთან ხანგრძლივმა ცხოვრებამ გამოიწვია. მოგვიანებით ბევრი სიტყვა სესხების გზით დამკვიდრდა კავკასიურიდან, რუსულიდან და ა.შ. (Πολατίδη, 2011: http://pontos-patridamou.blogspot.com/2011/10/blog-post_7913.html#axzz1xqmLpWSn).

პონტოს რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აქ მცხოვრებ ელინთა გამუდმებულმა კონტაქტებმა სხვადასხვა ხალხთან, განსაზღვრა პონტოური დიალექტის სხვა, ბერძნული დიალექტისაგან მკვეთრად გამორჩეული ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურ დიალექტს თანამედროვე ბერძნულის დიალექტთა შორის დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს, იმდენად დამოუკიდებელი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არის აზრი პონტოური დიალექტის ცალკე ენად მიჩნევისა, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა პონტოურს აღიარებს არა როგორც დამოუკიდებელ ენას, არამედ როგორც ბერძნული ენის დიალექტს. აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებაზე დაკვირვება ამ შეხედულების საფუძველს იძლევა.

პონტოურ დიალექტზე მოლაპარაკე ბერძნების თვითსახელწოდება ყოფილა ეთნონიმი: **რომეო, რუმი, გრეკო და ელინო, უნანტი, ბიზანსი**, რომელთაგან თურქეთის ქართველებში გვხვდება **რუმი, უნანი** – აღნიშნავს **ბერძენს**. ეს სახელები თურქულიდანაა შესული.

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტის, მისი თქმებისა და კილოკავების და ზოგადად, ბერძნული ენის აღმნიშვნელად ადგილობრივი ელინოფონი მოსახლეობა თითქმის ერთსულოვნად ხმარობს ერთ ტერმინს – „**რომეიკა**“ (η ρωμαίικη γλώσσα), ხოლო თავიანთ თავს ბერძენი „**რომეი**“-ს (οι Ρωμαιοι) - რომაელებს უწოდებენ (**ბერძენიშვილი..., 1990:137**).

საქართველოში მცხოვრები ბერძენი თავიანთ ენას „**პონტიაკა**“-საც (ποιντιακή γλώσσα) უწოდებენ. აღნიშნული ტერმინის გვერდით, რომელშიც ძირითადად საბერძნეთის მკვიდრნი აქაურ ბერძნულ ენას გულისხმობენ, იხმარება „**ელინიკა**“ (η ελληνική γλώσσα). ის გავრცელებულია საქართველოს ბერძნული მოსახლეობის სწორედ იმ ფენებში, რომლებსაც ან რამდენადმე კავშირი აქვთ საბერძნეთთან, ან კიდევ ადგილობრივ სკოლებში ბერძნულ ენაზე მიუღიათ განათლება.

ამრიგად, საქართველოში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობის სალაპარაკო ენის აღსანიშნავად **ორი ტერმინი** გვაქვს. „**რომეიკა**“ და „**პონტიაკა**“, რომელიც მიღებულ ტერმინად ითვლება. ე. ლაზარევი ასახელებს კიდევ ერთ განსხვავებულ ტერმინს, - „**აპლას**“ (απλός - უბრალო, მარტივი) სამეცნიერო ტერმინად, რაც მხოლოდ გაუბრალოებულ, გამარტივებულ ხალხურ ბერძნულ ენას გულისხმობს, თუმცა აღნიშნული ტერმინი „**რომეიკასა**“ და „**პონტიაკას**“ ეპითეტებად **სახელდება მხოლოდ** (იხ. **ბერძენიშვილი..., 1990:138**).

აჭარაში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ–გეოგრაფიული პირობების გამო ერთგვარად დაშორდა ბერძნული ენის პონტოს დიალექტის სხვა შტოებს, - დღემდე მეტყველებს პონტოს დიალექტზე და თავის სამეტყველო ენას „პონტოურს“ უწოდებს სხვადასხვა ვარიაციით – **პონტოური/პონდიური/პონტიური/პონდიაკა/პონდიკა.**

ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში აღვნიშნავთ, რომ თურქეთის შემადგენლობაში შემავალ პონტოს რეგიონიდან წამოსულ ბერძნებს ეწოდათ პონტოელი ბერძნები, ხოლო მათ დიალექტს – პონტოური. ჩვენ ნაშრომში „**პონტოურს**“ ვუწოდებთ აჭარაში დამკვიდრებული ისტორიული პონტოს რეგიონის ბერძენთა შთამომავლების მეტყველებას, ხოლო ზოგადად პონტოურ დიალექტზე საუბრისას ნაშრომში მოვიხსენიებთ **საკუთრივ პონტოური** დიალექტის სახელით.

თავი I. ფონეტიკური თავისებურებანი

§1. ბგერითი შედგენილობა

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტის ბგერათა სისტემა ძველ და ახალ ბერძნულთან მიმართებით მეტ-ნაკლებ თავისებურებებს ავლენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდად არ განსხვავდება საკუთრივ პონტოური დიალექტის ბგერათა სისტემისგან.

1.1. ხმოვანთა სისტემა

ძველ ბერძნულ ენაში მოქმედებდა კვანტიტეტის კანონი, განირჩეოდა გრძელი და მოკლე ხმოვნები (ურუშაძე, 1997:10). ანტიკური პერიოდიდან იწყება ხმოვანთა გამარტივების პროცესი და თანდათან აღარ განირჩევა გრძელი და მოკლე ხმოვნები. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა ახ.წ. VIII-X საუკუნეებში და მას შემდეგ ბერძნულ ენაში ხმოვანთა სისტემაში აღარაფერი შეცვლილა (გორდეზიანი..., 2001:20), შესაბამისად, თანამედროვე ბერძნულში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე აღარ განირჩევა (ტრიანდაფილიდისი, 1999:25-26). ეს მოვლენა არც პონტოურში ჩანს (ბერძენიშვილი..., 1990:141;142). პონტოური დიალექტის ბგერათა სისტემაში რეალიზებულია მარტივი ხმოვნები: -α, -ε, -ο, -ω, -ι, -η, -υ.

ბერძნულ-α ხმოვანს შეესატყვისება ქართული -ა, -ო-სა- და -ა ხმოვნებს - ქართული -ო, -ი, -ე, -უ ხმოვნებს ქართული -ი და -ე-ს -ქართული -ე.

გარდა აღნიშნული ხმოვნებისა, ბერძენი მეცნიერი ხ. სიმეონიდისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტისთვის გამოყოფს ოთხ სპეციფიკურ ხმოვანს, ესენია -ä, -ö, -ü, -i ხმოვნები და იმოწმებს შესაბამის მაგალითებსაც (Διάβαλος/δᾶβαλος; ο ἦλιος/ήλιος) (ბერძენიშვილი..., 1990:140).

სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია სიმეონიდისის მოსაზრება და აღნიშნულია, რომ ამ ხმოვანთაგან თითქმის ყველა არის საქართველოში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში. მართალია, მკვლევრები -ö და -ü ბგერების არსებობას ვერ ადასტურებენ მათ ხელთ არსებულ მასალებში, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამ ბგერათა კვალი შეიმჩნევა ზოგიერთ კილოკავში. ასეთ ხმოვანთა არსებობას თურქეთში გავრცელებულ ბერძნულ დიალექტებსა და სუბდიალექტებში და

საქართველოს პონტოურში თურქული ენის უშუალო გავლენით ხსნიან (ბერძენიშვილი..., 1990: 141).

ჩვენი დაკვირვებით, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ე.წ. უმლაუტიანი ხმოვნები გავრცელებული არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით თითო-ორი შემთხვევას, როგორცაა მაგ: τετρακό[sh]ä (ტეტრაკოშა) (პონტ.) – τετρακόσια (ტეტრაკოსია) (ახ. ბერძ.). შესაძლოა, მსგავსი ფორმები გადმოჰყოლოდა თურქეთიდან მიგრირებულ პონტოელთა მეტყველებას თურქულის გავლენით, თუმცა საქართველოში, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდა, რადგან უმლაუტის, როგორც ფონეტიკური მოვლენის არსებობა ქართული ენის ზოგიერთ კილოში თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონტაქტებით აიხსნება და არარეგულარულ, მეორეულ მოვლენად მიიჩნევა. ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი უმლაუტის შემთხვევები მოწმობს, რომ იგი „დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული ენის დიალექტებისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, ენამ ვერ იგუა იგი (იხ. ფაღავა, 2002:19; ჯორბენაძე, 1989:38). აქედან გამომდინარე, შესაძლებლად ვთვლით, პონტოელთა მეტყველებას, თურქულის გავლენით, მართლაც გადმოჰყოლოდა უმლაუტი, თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა, თუმცა გავრცელება ვერ ჰპოვა.

შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია, უმლაუტი, როგორც ფონეტიკური მოვლენა ქართული ენის გავლენით ვერც საქართველოში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში განვითარებულიყო, ამასთან, დასაშვებია, პონტოურში უმლაუტის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი ყოფილიყო ისიც, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში შეინიშნება ახალი ბერძნული ლექსიკის დამკვიდრების ტენდენცია (ახალი ბერძნულისთვისაც არ არის დამახასიათებელი უმლაუტიანი ხმოვნები), რაც გამოწვეულია თანამედროვე ბერძნულ ენაზე მოლაპარაკებთან ხშირი კონტაქტებით.

1.2. დიფთონგი

პონტოურისთვის, მსგავსად ძველი და თანამედროვე ბერძნულისა, დამახასიათებელია დიფთონგები. დიფთონგი მიიღება ხმოვნისა და ნახევარხმოვნის შეერთებით, რომელთაგან ერთი მარცვლიანია, მეორე - არა.

აჭარაში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში ხმოვნები ისეთივე დიფთონგებს ქმნის, როგორც ბერძნული ენის სხვა კილოკავებისთვისაც ნიშანდობლივია:

ასეთებია: -αι, -αυ, -ει, -ευ, ηυ, -οι, -ου.

αι- გამოითქმის როგორც, ქართული -ე (γυναικα (დინეკა) - ქალი, αιμα (ემა)- სისხლი);

αυ - გამოითქმის როგორც -ა(ვ)უ, -ავ, -ავ (ხვალ - ανριον (ავრიონ), ანთება - αυτινα (ავტინო/ავტინო), ეზო -αυλιν (ავლინ);

ει - გამოითქმის როგორც -ი (θειος (თიოს) - ზიძა, ονειρον (ონირონ)-სიზმარი), κηδεια (კიდეა) - დაკრძალვა, πετεινος (პეტინოს) - მამალი);

ευ - გამოითქმის -ეფ, -ევ (πνευμανια (პნევმონია) - ფილტვი, ცარიელი - ες(φ)κερον - ევ(ფ)კერონ, ორშაბათი - Δευτέρα (დეფტერა/დევტერა);

οι - გამოითქმის -ოი (ცოლი - οικυρα (იკოკირა), კლიტე -ανιγάρ (ანიღარ), მუცელი - κοιλια (კილია);

ου- გამოითქმის -უ (σπισδι (სტუზი) - ძვალი, αλεισι (ალეპუ) -მელა), γισλα (ღულა) -კისერი, ყელი);

1.3. თანხმოვანთა სისტემა:

პონტოური	ქართული შესატყვისები
β	ვ
γ	ღ, გ
δ	დ, [th]
ζ	ზ
θ	თ, [th]
κ	კ
λ	ლ
μ	მ
ν	ნ
π	პ
ρ	რ

ς	ს
τ	ტ
φ	ფ
χ	ხ
ξ(κς)	ქს (კს)
ψ(πς)	ფს (პს)

ბგერათა კომპლექსები

პონტოურში, ისევე როგორც ბერძნულ სალიტერატურო ენაში, გარდა რთული ξ (=κ+ς) და ψ (=π+ς) თანხმოვნებისა, დასტურდება ორმაგი (ორნიშნა) თანხმოვნები და ხმოვნები, რომლებსაც ქართულში რამდენიმე ვარიანტი შეესაბამება.

μπ- შეესატყვისება ქართული - (მ)ბ, მპ, პ (სიძე - γαμπρός (და(მ)ბროს), ღილი - κουμπίν (კუმბინ), ლამპა - λάμπα (ლამპა), მუალკონ (ბალკონ) - აივანი, კუზი - καμπούρα (კა(მ)ბურა), მური[ტς]/მური[ტσ]ილც (პრინძ/პრინძოლის) - ბრინჯი, მუენჯი (ბენჯინი)-ბენჯინი.

ντ - შეესატყვისება -დ, -ნტ, -ნდ (კბილი - δόντιν (დონდინ), ჭექა-ქუხილი βροντά και στράφτ - ვრონდ(ნტ)ა კე სტრაფტ, ქოლგა - ζόντικον-ზონტიკონ, სქელი, მსუქანი-χοντρόν (ხო(ნ)დრონ);

γκ - შეესატყვისება -გ, -ნგ/ნკ (იდაყვი - αγκάνα -ანგ(კ)ონა, ფიკიურა (ფიგურა) - აღნაგობა);

γγ - შეესატყვისება -ნგ, -გ, (შვილიშვილი - εγγιόν (ენგონონ), მრგვალი - στριγγιλόν (სტრო(ნ)გილო), ნახტომი - λαγγεμάν (ლანგემან), კიტრი -αγγის (ან)გურ);

τჯ- შეესატყვისება -ჭ, -ძ, -ჯ (ღრძილი - γρίν[τჯ]ιλია (ღრინძილია), პიჯაკი - πι[τჯ]აკ (პიჯაკ), ჟანგისფერი - [ტჯ]αγγιμένον χρώμα (ჟანგომენონ ხრომა);

τς -შეესატყვისება -ჩ, -ც -წ (ქალის მკერდი - [ტჯ]ι[ტჯ]ია (ციცია), ქუსლი - κό[ტჯ]α (კოჩა), წიწმატი - [ტჯ]ι[ტჯ]μάτ (წიწმატ);

για- შეესატყვისება -ია (ბებია -γιαγιά (იაია), -γιο შეესატყვისება -იო (დედისერთა -μοναχογιός (მონახოიოს), გიოს (იოს) - ვაჟი;

აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში, როგორც მასალები გვიჩვენებს, ძირითადად დაცულია ბერძნულის ბერათა სისტემა, თუმცა საკუთრივ ბერძნული სალიტერატურო ენისა და მისი სხვა კილოკავებისგან განსხვავებით, იგი გარკვეულ თავისებურებებს მაინც ავლენს.

ბერძნული კონსონანტიზმისათვის უცხოა კავკასიური და ინდოევროპული ენებისთვის დამახასიათებელი აფრიკატების (ძ.წ.ც.ჯ.ჭ.ჩ), ნაპრალოვნების (ჟ-შ) შესატყვისი ფონემები, რომლებიც არც ძველ და არც ახალ ბერძნულში არ ჩანს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამათგან ქართული -ც-ს შესატყვისად ახალ ბერძნულში გამოიყენება ორმაგი თანხმოვანი-რც (რომელიც, ძველი ბერძნულისთვის, როგორც ჩანს, უცხო იყო (გორდეზიანი..., 2001:23) და ქართული -ძ ფონემის შესატყვისად -რც. სხვა აფრიკატების შესატყვისი ბგერები ბერძნულში არ არის (ტრიანდაფილიდისი, 1999:27).

ამ ბგერების არსებობაზე პონტურში მიუთითებდა ჯერ კიდევ ე. ლაზარევი, რომლის მოსაზრების შესახებ საუბარია სამეცნიერო ლიტერატურაში. აღნიშნულია, რომ ე. ლაზარევი საქართველოში გავრცელებულ პონტურ დიალექტში შესაძლებლად მიიჩნევს -წ და -ჭ ფონემების გამოყოფას. ავტორთა ჯგუფი ლაზარევის მასალებზე დაყრდნობით, ასახელებს კიდევ შესაბამის მაგალითებს (იხ. ბერძენიშვილი..., 1990:149-151).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მასალების მიხედვით, პონტურში საკმაოდ პროდუქტიულია ქართული აფრიკატებისა და ნაპრალოვნების შესატყვისი ბგერები, როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ პონტურ ლექსიკაში. განსაკუთრებით გავრცელებულია -შ ფონემა, შედარებით ნაკლებია -ჩ, -ც და -ძ ფონემები, ხოლო, -წ, -ჭ და -ჯ ფონემები მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა. მართალია, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება განიცდის თურქული და რუსული ენების დიდ გავლენასაც, თუმცა ამ ფონემათა გამოყენების შემთხვევები და სიხშირე გვაფიქრებინებს, რომ ეს მოვლენა, ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას (შესაძლებლად მიგვაჩნია პონტურში ნასესხები ლექსიკა, რომლებშიც აღნიშნული აფრიკატებიც დასტურდება, მეტწილად, მსესხებელი ენიდანაა შესული და დამკვიდრებული პონტურში).

შ: ნასესხებ სიტყვებში:

თავსაფარი - κα[sh]κίν (კაშკინ) (რუს.косынка) -[ახ. ბერძნული - η μαντίλα, το τσεμπέρι] (ი მანდილა, ტო ცემპერი). შდრ. ქართ. კაშნე (კაშნესი) (ფრ.) - ყელზე შემოსახვევი ქსოვილი, თბილი (ქეგლ, 1990:567).

საფულე - κα[sh]ιλák (კაშილოკ) (რუს.кошелёк) - [ახ. ბერძნული - πορτοφόλι] (პორტოფოლი);

ქამარი - γά[sh] (ყაღშ) (თურქ. kayış) - [ახ. ბერძნული - η ζώνη] (ი ზონი), შდრ. აჭარ. ყაღში (თ. Kayis) – ტყავის სარტყელი, ღვედი, თასმა, ქამარი (ნიჭარაძე, 1971:367);

ქუდი - [sh]άπκav (შაპკან) (რუს шапка) (თურქ. Sapka) -[ახ. ბერძნული - το καπέλο] (ტო კაპელო), საკუთრივ პონტოურში დასტურდება σάπκα (κηρυκόπουλος, 2014:138), შაფხა გავრცელებულია მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშიც ქუდის მნიშვნელობით (ფუტკარაძე, 1993:627), შაფხა დასტურდება აჭარულშიც და იგივეა, რაც კეპი -კაცის რბილი ქუდი, წინ წამოწეული ერთგვარი საჩრდილობლით (ცოცანიძე..., 2014:319);

შარვალი - [sh]αβάλ (შარვალ) (ქართ.) - [ახ. ბერძნული - το πανταλόνι, το παντελόνι] (ტო პანდელონი);

ია - μανου[sh]άκια (მანუშაკია) - [ახ. ბერძნული - ο μενεξές (ო მენექსეს) (თურქ. menekses), ძვ. ბერძნული -το ίον (ტო იონ). საკუთრივ პონტოურ დიალექტში დასტურდება το μανουσάκ (κηρυκόπουλος, 2014:138);

ჭიშკარი -τι[sh]κάπι (ტიშკაპი) (ქართ.) - [ახ. ბერძნული - η πούλη, εξάπορτα] (ი პული, ექსოპორტა);

ხრეში χρέ[sh]α (ხრეშა) – (ქართ. ხრეში) - [ახ. ბერძნული - το χαλίκι] (ტო ხალიკი), საკუთრივ პონტოურში დასტურდება χαλίκ (Τσοπουριδη, 1978:72);

მუშმალა (ზღმარტლი) - άγρευμου[sh]μουλά (აღრევმუშმულა) (muşmula-თურქ.) შდრ. ქართ. მუშმალა/მუშმულა (აჭარ.) - მრგვალი ან ოვალური წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, ნარინჯისფერი ან ყვითელი, კურკოვანი ხილი (ცოცანიძე..., 2014:440);

ატამი - [sh]οφάλια (შოფტალია) - [ახ. ბერძნული - το ροδάκινο/ρόδακινο (შუასაუკუნეების - ροδάκινον, δαράκινον, ლათ. - duracinum), ὁ γιαρμάς, (თურქ. şeftali);

საწური - [sh]i[sh]kiá[ch] (შიშკიაჩ) - [ახ. ბერძნული - το στραγγιστήρι, το σιουρωτήρι (თურქ. süzgeç).

პირსახოცი - πε[sh]κίρ (პეშკირ) (თურქ. peşkir)- [ახ. ბერძნული - η πετσέτα (იტალ. pezzetta)], შდრ. აჭარ. ფეშკირი <თურქ. Peşkir) - პირსახოცი (ნიჟარაძე, 1971:344);

ძმა - Καρτά[sh] (კარტაშ) (თურქ. kardeş) - [ახ. ბერძნული - ο αδελφός, ძვ. ბერძნული - ὁ ἀδελφός], შდრ. აჭარ. ყარდაში-ძმა. ამავე მნიშვნელობით გავრცელებულია მუჰაჯირთა მეტყველებაშიც: ყარდეში - ძმა (ფუტკარაძე, 1993:615);

შ: საკუთრივ ბერძნულში: ბერძნულის -χ(ხ) პონტოურში გამოითქმის როგორც ყრუ შიშინა -შ ბგერა თუ მას მოსდევს ხმოვნები -ε,-ι,- η, -α:

ბაგე - [sh]λία (შილია) (პონტ.) – χελιος (ხილოს) (ახ. ბერძ.);

ავდარი - ε[sh]κέβρε[sh] (ემკევრეშ) (პონტ.) - βροχή (ვროხი) (ახ. ბერძ.);

თოვა - [sh]ιονίζ (შიონიზ) (პონტ.) – χιονίζα (ხიონიზო) (ახ. ბერძ.);

წვიმა - βρε[sh]ήν (ვრეშინ) (პონტ.) – βροχή (ვროხი) (ახ. ბერძ.);

დანა - μα[sh]έρ (მაშერ) (პონტ.) – μαχαίρι (მახერი) (ახ. ბერძ.);

სქელი/მსხვილი - χοντρόν/πα[sh]ίν (ხონდრონ/პაშინ) (პონტ.) - χοντρός/παχής (ხონდროს/პახის)(ახ. ბერძ.);

სამაჯური βρα[sh]ιόλ (ვრაშიოლ) (პონტ.) – βραχιόλι (ვრახიოლი) (ახ. ბერძ.);

ფრჩხილი -ν[sh]α, ν[sh]ι (ნუშა, ნუში) (პონტ.) - παρένθεση/νύχι (პარენთესი/ნიხი) (ახ.ბერძ.) - ბრჭყალი, ფრჩხილი, კლანჭი;

მერცხალი - [sh]ελιδόν (შელიდონ) (პონტ.) - το χελιδони (ტო ხელიდონი) (ახ. ბერძ.);

ზურგი -ρά[sh]α (რაშა) (პონტ.) - η ράχη (რახი), η πλάτη, τανώτα (ახ. ბერძ.), η ράχις (რახის) (ძვ. ბერძ.);

სტვენა - [sh]ίριμαν (შირიმან) (პონტ.) - το σφύριγμα (სფირილმა), το σύρισμα (სირისმა) (ახ. ბერძ.), ὁ συριγμός (სირილმოს) (ძვ. ბერძ.);

ხვლიკი - καλο[sh]άφτρα (კალოშაფტრა) (პონტ.) - η σαύρα (სავრა) (ახ. ბერძ.), ἡ σαύρα (საურა)(ი სავრა)(ძვ. ბერძ.);

ზღარბი -[sh]ιράχαντρος (αχάντ - ეკალი) (შირახანდროს)(პონტ.)- ο σκαντζόχοιρος (ახ. ბერძ.), - ὁ ἀκανθόχοιρος (ძვ. ბერძ.);

η μιτέρα [sh]οι αλεγουμε (PNT-TRA-PC-00000-B22);

κλό[sh]κετε (PNT-TRA-PC-00000-B22);

-shk (შკ) კომპლექსი მიღებულია sk (სკ) კომპლექსისგან თუ მას მოსდევს -ი, -ე ხმოვნები:

საცერი -κο[sh]κίν (კოშკინ) (პონტ.) – κόσκιο (კოსკინო) (ახ. ბერძ.);

გაცრა - κο[sh]κινίζω (კოშკინიზო) (პონტ.) - κοσκινίζω (კოსკინიზო) (ახ. ბერძ.);

ჭურჭელი - [sh]κέβια (შკეβია) (პონტ.) – σκεύος (სკეიოს) (ახ. ბერძ.);

დახურული -[sh]κεπασμένος (შკეპასმენოს) (პონტ) – σκεπασμένος (სკეპასმენო) (ახ. ბერძ.);

პარასკევი - Παρα[sh]κείν (პარაშკეინ) (პონტ.) – Παρασκευή (პარასკევი) (ახ. ბერძ.);

ksh (კშ) კომპლექსი მიღებულია ჳ(ქს) ბგერისგან თუ მას მოსდევს ხმოვნები-ო - ou: გარეთ - οκ[sh]οικά, οκ[sh]οικά (ოკშოკა, ოკშუკა) (პონტ.) - (ახ. ბერძ.- ეჭა) (ექსო);

-შ მიღებულია -ს-გან, რასაც ახლავს ფონეტიკური მოვლენა (ასიმილაცია, ბგერის დაკარგვა..):

ბალი - κερά[sh]α (კერაშა)(პონტ.) - το κεράσι (ტო კერასი) (ახ. ბერძ.);

სტვენა - [sh]ίριμαν (შირიმან) (პონტ.) - το σφύριγμα, το σύρισμα (ტო სფირილმა, ტო სირისმა) (ახ. ბერძ.);

ოთხასი - τετρακό[sh]α (ტეტრაკოშა) (პონტ.) – τετρακόσια (ტეტრაკოსია) ახ. ბერძ.;

ც: ნასესხებ სიტყვებში

ციტრუსი - [τσ]ιτρούσια (ციტრუსია) (პონტ.) (ლათ.citrus) - სუბტროპიკული ხილი) - [ახ. ბერძნული - το εσπεριδιοιδές] (ტო ესპერიდოიდეს), ლათინურიდან დამკვიდრებულია ქართულშიც;

ობობა - ἀράχνα, [τς]άν[τς]αρος (არახნა, ცანცაროს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η ἀράχνη, ძვ. ბერძნული - ἡ ἀράχνη], შდრ. ქართ. ცანცარი -1.ოდნავ რხევა, ტოკვა. ფეხს

აცანცარებს, წვერი უცანცარებს. 2. გადატ. დაუფიქრებლად, არასერიოზულად მოქცევა, ნუ ცანცარებ! (ცოცანიძე..., 2014:730);

ქორი - πῖν[τϛ] (პიტენც) (პონტ.) - [ახ. ბერძ. το γεράκι, ძვ. ბერძ. ο ἰεράξ];

ც: საკუთრივ ბერძნულში:

მკერდი (ქალის) - [τϛ]ι[τϛ]ία (ციცია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο στήθος/το στήσι (ო სტითოს, სტითი), ძვ. ბერძნული - ὁ στήθις (ო სტითოს)];

ტყავი - πέ[τϛ]iv (პეცინ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - τὸ πετσίν (ტო პეტსინ)];

ციცაბო - κα[τϛ]απράνια (კაცაპრანია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - τα κατσαβραχα, απόκρημνος, απότομος] (ტა კაცავრახა, აპოკრიმნოს, აპოტომოს);

-ც ფონემა ხშირად გამოითქმის **სიტყვის ბოლოს** ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოკვეცისას:

მაგ: მამინაცვალი - παρακέρ[τϛ] (პარაკირც) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο πατριός] (ო პატრიოს);

კურკა - κουκός[τϛ] (კუკუც) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το κουκούτσι], (იტალ. cucuzza)];

ზოგან ბოლოკიდური ხმოვანი შენარჩუნებულია:

მული - αντραέφ[τϛ]α (ანდრაეფცა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η ανδραδέλφη, η κουσιάδα] (ი ანდრადელფი, ი კუნიადა);

გოგრა - καστανί[τϛ]α (კასტანიცა) (პონტ.), (ძვ. ბერძნ. κάστανιον - წაბლი), [ახ. ბერძნული - το κολοκύθι, ძვ. ბერძნული - ἡ κολοκύνθη/κολόκυσθα, κολοκύνθιοι];

ენბელა - κορονί[τϛ]α (კორონიცა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο γαλάνθος, ο χιονώδης, ძვ. ბერძნული - ἡ κορώνη (გვირგვინი)];

სახეხი - τριπί[τϛ]α (ტრიფტიცა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - τρίπητες];

თრითინა, დედოფალა - νυφί[τϛ]α (ნიფიცა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - νυφίτσα, შუასაუკუნეების σύμφη (პატარძალი)];

ჯ: ძირითადად ნასესხებ ლექსიკაში გვხვდება

პიჯაკი - πι[τჯ]აკ (პიჯაკ) (პონტ.) (ინგ.pea-jacket) დამკვიდრებულია ქართულში, რაც ნიშნავს - მამაკაცის კოსტიუმის ნაწილი, ზედა ჩასაცმელი (ცოცანიძე..., 2014:491) [ახ. ბერძნული - το σακάκι] (ტო საკაკი);

ყვადანი [τჯ]εβჯ (ჯევზე) (პონტ.) (თურქ.cezve) -[ახ. ბერძნული - η καφετιέρα (ო კაფეტიერა)];

ღრენა - γριν[τჯ]άνιμαν (ღრინჯანიმან) (შდრ.ქართ. იღრიჯება, დაღრეჯა) - სახის უშნოდ დამანჭვა (ცოცანიძე..., 2014:222) (ნუ იღრიჯები - იტყვიან სახეს უშნოდ ნუ მანჭავ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο γογγισμός (ო ღონღისმოს), ძვ. ბერძნული - ο σιγγοισμός (ო სინგოგისმონ)];

ძ: ნასესხებ ლექსიკაში:

ბრინჯი - μπριν[τჯ]/μπριν[τჯ]იღ (პრინძ/პრინძოღის)(ქართ. ბრინჯი) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το ρύζι (ტო რიზი), ძვ. ბერძნული - ο ριζα (ო რიზა)], საკუთრივ პონტოურში დასტურდება რჯ ფორმით;

ღრძილი - γρίν[τჯ]ίღ (ღრინძიღია) (პონტ.)(ქართ. ღრძილი) - [ახ. ბერძნული - το ούλι/τα ούλα (ტო ულო, ტა ულა), ძვ. ბერძნული - τὸ οὐλίον/τὰ οὐλα (ტო ულონ/ტა ულა)];

ძ: საკუთრივ ბერძნულში:

ბადრიჯანი - μαν[τჯ]άνα (მანძანა) (პონტ.) – μελιτζάνα (მელინძანა) (ახ.ბერძ.);

განქორწინებული - χარიσμένος (ხორისმენოს), χარიμέν[τჯ]αγάριν (ხორიმენძაღ-რინ), ανδρισμέν[τჯ]ακεν (ანდრისმენძაკევ) - [ახ. ბერძნული - χარიσμένος /χარიσμένη) ხორისმენოს/ხორისმენი);

ხაჭო - μιν[τჯ]ίν (მინძინ) [ახ. ბერძნული - η μτζήθρα, შუასაუკუნეების - μτζήθρα, ძვ. ბერძნული - μτζა];

ჩ: საკუთრივ ბერძნულში:

წამწამი - ματο[ch]α[ch]α (მატოჩაჩა) (პონტ.) – ματόκλαδο/βλεφαρίδα (მატოკლაღო/ვლეფარიდა) (ახ. ბერძ.), საკუთრივ პონტოურში ματοτσιάτσια;

გოგო - κορίτς (კორიც), κορτσόπον/κοτι[**ch**]ια (კორცოპონ/კოტიჩია) - [ახ. ბერძნული - το κορίτσι (ტო კორიცი), ძვ. ბერძნული - κόρη (კორი) + კნინობითი - ίτσι (იტსინ)];

ფეხსაცმელი - τα παπού[**ch**]ιαμ (ტა პაპუჩიამ) (პონტ.), παπούτσι/σπόδημα (პაპუცი /იპოზიმა) (ახ. ბერძ.);

ჭრიჭინა - [**ch**]ιχρίτης (ჩიხრიტის) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο τζιχρικός, το τριζόνι] (მიძიკას, ტრიზონი);

ჯიბე - [**ch**]όπιαν (ჩოპიან) (პონტ.) – τσέπι/μσλάκιο (ცეპი/თილაკიო) (ახ. ბერძ.);

წვილი, წრიპინი - [**ch**]ίψιμαν (ჩივიმან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η τσιρίδα, το τριζύμο (ი ცირიზა, ტო ტრიქსიმო)];

ჩ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჩხირი - [**ch**]ίριαν (ჩივიან) (პონტ.) (თურ. Civi) - [ახ. ბერძნული - η ράβδος (ი რავდოს)], ჩივი გავრცელებულია აჭარულ დიალექტშიც, რაც თურქული სიტყვაა და ერთ-ერთი განმარტებით ნიშნავს სოლი, ტარიანი ჯოხი, პასალი, რომლითაც თამბაქოს, მხლისა და მისთ. ნერგს რგავენ (ნიჟარაძე, 1971:401), ჩივი დასტურდება მუჰაჯირთა მეტყველებაში და ნიშნავს - სოლი, წვირა (ფუტკარაძე, 1993:641);

კამეჩი - [**ch**]ამέ[**ch**] (ჩამეჩ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - βισύβαλις (ვუვალოს), ძვ. ბერძნული - το βισυβαλι (ტო ვუვბალო)];

ყვავილი - [**ch**]ი[**ch**]აკ (ჩიჩაკ) (პონტ.) - ყვავილის ფურცელი - [**ch**]ი[**ch**]აკი ფύλλο (ჩიჩაკი ფილო) - (თურქ. çiçek), ჩიჩეგი მუჰაჯირთა მეტყველებაშიც არის გავრცელებული ამავე მნიშვნელობით (ფუტკარაძე, 1993:643).

ფერადი - [**ch**]ი[**ch**]აკλίν (ჩიჩაკლინ) - [ახ. ბერძნული - πολυχρωμος, χρωματιστός];

ყბა - [**ch**]αγκιά (ჩანგია) - (απάνι [ch]αγκιά) (აპანი ჩანგია) - ზედა ყბა, αγκά [ch]αγκιά (აფკა ჩანგია) - ქვედა ყბა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το σαγόნი (ტო სალონი), ძვ. ბერძნული - ἡ σιαγών (ი სიადონ)], შდრ. აჭარ. ჩენგე<თურქ.Çene - ქვედა ყბა (ფუტკარაძე, 1993:640; ნიჟარაძე, 1971:400);

ზოლიანი - [**ch**]იζιλίν (ჩიზილინ) (პონტ.) (თურქ.Çizgili) - [ახ. ბერძნული - ραβδωτός (რავდოტოს), ძვ. ბერძნული - ῥαβδωτός (რავდოტოს)];

ქუსლი -κό[**ch**]α, το κότσι (კოჩა, კოჩ(ც)ი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული -η φτέρνα, η πτέρνα, ძვ. ბერძნული-η πτέρνα];

ტილო (მტვრის) - πα[**ch**]άουρα (პაჩაურა) (პონტ.) (თურქ. pacavra) - [ახ. ბერძ. το κουρέλι, ლათ. Corellum, corium];

ღობე - [**ch**]απάρ (ჩაპან)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο φράκτης, ძვ. ბერძნული -τὸ φράγμα, περίφραγμα, τὸ ἔρκος], çeper- თურქ. -გალავანი, ღობე;

ტურა - [**ch**]άκαλος (ჩაკალოს) (პონტ.) -[ახ. ბერძნული - το τσακάλι (თურქ. çakal)];

ღუმელი, ზუხარი - [**ch**]αχ (ჩახ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το τζάκι, η εστία, შუასაუკუნეების - ὁ τζάκι (თურქ. ocak), ძვ. ბერძნული - ἡ ἔστια];

ზეწარი - [**ch**]αρ[**ch**]άφ (ჩარჩავ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - σεντόνι, შუასაუკუნეების - σινδόνιον, ძვ. ბერძნული - ὁ σινδών] – çarşaf (თურქ.);

Αβούτο [ch]i[ch]äken (ავუტო ჩიჩაკე) (**PNT-TRA-PC-00000-B22**);

ჟ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჟანგისფერი - [τჯ]αγγομένον χράμα (ჯანგომენონ ხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το χράμασκουριάς] (ტო ხრომასკურიას);

ფოთოლი - φύλλο, [τჯ]βέρι (ფილო, ჟვერი), [ახ. ბერძნული - το φύλλο, ძვ. ბერძნული - τὸ φύλλον];

წ: ნასესხებ ლექსიკაში:

წიწმატი - [τწ]i[τწ]μάτ (წიწმატ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το λεπίδιο (ტო ლეპიდიო), το ήμερο (ტო იმერო), το κάρδαμο (ტო კარდამო), ძვ. ბერძნული - τὸ κάρδαμιον (ტო კარდამონ)];

ჭ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჭიპი - [τჭ]ίπαν (ჭიპან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο αφαλός (ო აფალოს), ο ομφαλός (ო ომფალოს), ძვ. ბერძნული - ὁ ὀμφαλός (ო ომფალოს)];

მსგავსი ნასესხობანი კულტურათა დიალოგის შედეგია. ბერძნები ძირითადად ეკონტაქტებოდნენ ქართულ, რუსულ და თურქულ კულტურებს, შესაბამისად,

სესხების პროცესი მხოლოდ ლექსიკით არ შემოფარგლულა. ენათა გავლენები ენის განვითარების ყველა დონეზე ვლინდება მეტნაკლებად.

§ 2. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება მრავალფეროვანი და საკმაოდ საინტერესო ბგერათვლილებებით ხასიათდება. გვაქვს სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებით საერთო აქვთ, პონტოურში კი გარკვეული ფონეტიკური სახეცვლილებით დამკვიდრებულა. გვხვდება ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, მეტათეზისის და ბგერათშენაცვლების შემთხვევები.

2.1. ასიმილაცია

მეტნაკლებად გავრცელებულია ასიმილაციის თითქმის ყველა სახეობა. გვხვდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები.

ა. ხმოვანთა ასიმილაცია

რეგრესული დისტანციური ასიმილაციით მომდევნო ხმოვანი იმსგავსებს წინამავალ ხმოვანს სრულად:

ε > ο: γεμάτος (ღემატოს) (ახ.ბერ.), γομάτον (ღომატონ) (პონტ.) - სავსე;

υ > ε: μυγάτερα (თილატერა) (ახ. ბერძ.), μεγάτερ (თელატერ) (პონტ.) - ქალიშვილი;

ου > ε: χαρισμένος (ხარუმენოს) (ახ. ბერძნული), χαρεμένος (ხარემენოს) (პონტ.) - გახარებული;

η > ε: πρησμένος (პრისმენოს) (ახ. ბერძნული), πρεσμένος (პრესმენოს) (პონტ.) - შეშუპებული;

პროგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაცია - წინამავალი ბგერა იმსგავსებს მომდევნო ბგერას სრულად:

ι > ε: ελιά (ელია) (ახ. ბერძნული), ελέας (ელეას) (პონტ.) - (ελια>ελεια>ελεα) - ზეთისხილი;

ε > ου: το σεντούκι (ტო სენდუკი) (ახ. ბერძ.), σουντούκι (სუნდუკი) (პონტ.) - სკივრი;

ε-ι > ε-ε: η μέλισσα (ი მელისა) (ახ. ბერძნული), μελέσια (მელესია) (პონტ.) - ფუტკარი;

ბ. თანხმოვანთა ასიმილაცია

გვხვდება პროგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაციის შემთხვევები-წინამავალი ლატერალი -ლ ბგერა იმსგავსებ მომდევნო - ვ ბგერას:

β > λ: παλαβός (პალავოს) (ახ. ბერძნული), παλαλός (პალალოს) (პონტ.) - გადარეული, გაგიჟებული;

θ > τ: δαχτυλίθρα (დახტილითრა) (ახ. ბერძნული), δαχτυλίτρα (დახტილიტრა) (პონტ.) - სათითე;

რეგრესული სრული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები:

κ > χ: καρχαρία (კარხარიას) (ახ. ბერძნული), χαρχαρία (ხარხარიას) (პონტ.) - ზვიგენი;

π > φ: το πιλάφι (ტო პილაფი) (ახ. ბერძნული) (თურქ. pilav), φιλάφ (ფილაფ) (პონტ.) - ფლავი;

კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით წინამავალი ყრუ მკვეთრი ბაგისმიერი -პ ბგერა ნაწილობრივ იმსგავსებს მომდევნო ბგერას:

ντ > νδ: Πέντε (პენტე) (ძვ. ბერძნული), πένδε (პენდე) (პონტ.) - ხუთი;

σκ > shk: κόσκινο (კოსკინო) (ახ. ბერძ.), κο[sh]κίν (კოშკინ) (პონტ.) - საცერი;

σκέυος (სკევოს) (ახ. ბერძ.), [sh]κέβια (შკევია) (პონტ.) - ჭურჭელი;

σκαπασμένος (სკეპასმენოს) (ახ. ბერძ.), [sh]καπασμένος (შკეპასმენოს) (პონტ.) - დახურული;

2.2. დისიმილაცია

დისიმილაცია ასიმილაციასთან შედარებით ნაკლებად გავრცელებული ჩანს პონტოურ დიალექტში.

ა. ხმოვანთა დისიმილაცია:

ε -ε > α- ε: რეგრესული დისტანციური სრული დისიმილაცია:

μυσκαμένος, βρεγμένος (ვრედმენოს) (ახ. ბერძნული), βραχμένον (ვრახმენონ) (პონტ.) - გაჟღენთილი, დასველებული;

υ-ι > ε-ι: η αλυσίδα (ალისიდა) (ახ. ბერძნული), ἄλυσις (ალისის) (ძვ. ბერძნული),
αλεσιδα (ალესიდა) (პონტ.) - ძეწვევი;

ბ. თანხმოვანთა დისიმილაცია

γγ > γκ: მიღებულია რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი დისიმილაციით:

στριογγυλός (სტრონგილოს) (ახ. ბერძნული), στριογκυλόν (სტრო(ნ)დილონ)
(პონტ.) - მრგვალი;

სიტყვის ბოლოს ყრუ მკვეთრი ბგერა (τ) განიშგავსებს ყრუ ფშვინვიერ (φ) -ს,
რასაც მოსდევს ბგერის დაკარგვა: **π > φ:** Πέμπτη (პემპტი) (ახ. ბერძნული), Πεφτ
(პეფტ)(პონტ.) - ხუთშაბათი;

2.3. ბგერის დაკარგვა

პონტოურ დიალექტში ხშირია ბგერის დაკარგვის შემთხვევები. იგი სხვა
ფონეტიკურ მოვლენებთან შედარებით ფართოდ არის გავრცელებული. იკარგება
როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი.

ა. ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

იკარგება -**ου** ხმოვანი **ε-ε** პოზიციაში.

მაგ: το μάγισλο (ტო მალულო) (ახ. ბერძ.), το μάγιο (ტო მალლო) (პონტ.) - ლოყა;

იკარგება -**ι** ხმოვანი **-ε-ν** პოზიციაში:

το γέλιο (ტო ლელიო) (ახ. ბერძ.), γέλιος (ღელიოს) (პონტ.) - სიცილი;

რედუქცია ხდება ნაწარმოებ სიტყვებში **ν-ν** პოზიციაში:

Απόεκει (აპოეკი) (ახ. ბერძ.), αποκει (აპოკი) (პონტ.) - იქიდან, მიღებულია
από+εκει სიტყვისაგან, წინდებულის დართვის შედეგად ორი ხმოვანი (οε) იყრის
თავს, რომელთაგანაც ერთი იკარგება, ასევეა:

πίσω (პისო) (ახ. ბერძ.), οπίς (ოპის) (პონტ.) - უკან, მაგრამ უკანიდან -**απ'οπίς**
(აპ'ოპის) - ახ. ბერძნული - **απόπίσω** (აპოპისო);

ქვემოთ - **αφκά** (აფკა), მაგრამ ქვემოდან **απ'αφκά** (აპ'აფკა) - (ახ. ბერძნული -
απόκάτω) (აპოკატო);

მსგავსი მოვლენა ელიზიის სახელითაა ცნობილი და ნიშნავს სიტყვის ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის ამოვარდნას მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის გავლენით. დაკარგული ხმოვნის ადგილზე დაისმის აპოსტროფი (ურუმაძე, 1987:15).

ელიზია ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ძველ ბერძნულში. ელიზიას განიცდიდა წინდებულებისა და კავშირების ბოლოკიდური ხმოვნები, ასევე იგი დამახასიათებელი იყო რთული სიტყვებისთვისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ელიზირებული ხმოვანი აპოსტროფით არ აღინიშნებოდა (გორდეზიანი..., 2001:29). ძველი ბერძნულისგან განსხვავებით თანამედროვე ბერძნულში, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, ელიზიას ექვემდებარება, არტიკლები (το, του, τα), ნაწილაკები (θα, να) და ენკლიტიკური ნაცვალსახელები (με, σε, το, τα).

პონტოურში ელიზიას განიცდის ძირითადად წინდებულის ბოლოკიდური ხმოვანი. ან კიდევ წინდებულის ბოლოკიდური ხმოვნის გავლენით იკარგება მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვანი.

პონტოურს შემოუნახავს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ე.წ. კრასისის (შერევის) შემთხვევები (რაც თანამედროვე ბერძნულისთვის იშვიათი მოვლენაა), როცა სიტყვის ბოლოკიდური მარტივი ხმოვნის ან დიფთონგის შერწყმა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან იწვევს ორი სიტყვის შერევას.

მაგ: იკარგება კითხვით წინადადებაში ზმნური სიტყვის წინამავალი ხმოვანი **v-v** პოზიციაში:

მაგ: - **τι ώρα είναι?** (ტი ორა ინე) (ახ. ბერძნული), **το ώρα εν?** (ტო ორაენ) (პონტ.) - საათი (რომელი საათია, წუთია?). თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ **-εν** ძველ ბერძნულში ყოფნა ზმნაა, თანამედროვე ბერძნული **-είνε** ზმნის შესატყვისი. პონტოური **-εν** ფორმას შესაძლოა ძველი ბერძნულის გავლენით გამოიყენებს.

-ο ხმოვნით დაწყებულ სახელზე არტიკლის დართვა იწვევს თავკიდური ხმოვნის დაკარგვას:

კვერცხი პონტოურად არის- **οβα** (ოვა), **το** არტიკლის დართვით ორი **-ο** იყრის თავს, რომელთაგანაც ერთი, სახელისეული **-ο** იკარგება, როგორცაა **το (ο)βα**.

მაგ: η μαμά μου ποισά το (ο)βά - (ი მამა მუ პოიცა ტო ოვა) - დედამ შეღება კვერცხი (კვირიკე).

პონტოურში კრასისის, როგორც ფონეტიკური მოვლენის არსებობის შესახებ საუბარია სამეცნიერო ლიტერატურაში, გაზიარებულია სობოლენსკის მოსაზრება ძველი ბერძნულის კრასისის შესახებ: როცა -τ ფონემით დაწყებულ არტიკლს მოჰყვებოდა ხმოვანი, კრასისის შედეგად ნაცვალსახელის ფორმებს შეერწყმოდა (ταυτου=τουαυτου). მსგავსად ძველი ბერძნულისა, პონტოურში დასტურდება არტიკლის კუთვნილებით ნაცვალსახელებთან შერწყმის შედეგად მიღებული კრასისის შემთხვევები, მაგ: τ'εμόν, τ'εμέτερον, აქედან, τεμόν=το εμόν, τεμέτερον=το εμέτερον, τεμά=το εμά, τεμέτερα=τα εμέτερα (ბერიკაშვილი, 2014:218). კუთვნილებით ნაცვალსახელებში კრასისის მსგავსი შემთხვევები ჩვენს მასალებშიც ასეთივე ფორმით გვხვდება:

მაგ: τεμόν ο πατέρας - მამაჩემი; τεμά (ჩემი საკუთარი - მრ.რ.), τεμόν (ჩემი საკუთარი - მხ.რ.), τεσόν-τεσά (ტესონ, ტესა (შენი თქვენი), τεμόν το πέδιον τράνευεν (ტემონ ტო პედინ ტრანენენ) - ჩემი ბიჭი დიდია.

კრასისის შემთხვევები, საკმაოდ გავრცელებულია პონტოურში, მიიღება არტიკლის არსებით სახელთან შერწყმით:

Απάν εν το'φίν (το οφιν) (PNT-TRA-PC-00000-B22);

Πετινόν εν σά λογόν απάν ο πετινόν με τά'λογον (τα αλογον) (PNT-TRA-PC-00000-B22);

Το'φίδι εν Μαρίκα - მარიკა გველია (გადატ. მნიშვნელობით) (PNT-TRA-PC-00000-B22);

Εγὼ καθόλου κε'κουσα (και ακουσα) - საერთოდ არ ვუსმენ (PNT-TRA-PC-00000-B22);

с-ν პოზიციაში იკარგება -ი ფონემა სიტყვაში ოთხასი - τετρακό[sh]α (ტეტრაკომა) – τετρακόσια (ტეტრაკოსია) -ახ. ბერძ., მაგრამ შენარჩუნდება რიცხვით სახელში 300, როგორც ჩანს, წინამავალი „i” -ის გავლენით:

მაგ: τετρακό[sh]α γραμάρια δαχάρη, τριακο[sh]ιά βούτιρο (ტეტრაკომა ღრამარია ზახარი, ტრიაკომა ვუტირო-ოთხასი გრამი შაქარი, სამასი -კარაქი;

ბ. თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

იკარგება -τ თანხმოვანი c-v პოზიციაში:

η άρκτος (ი არკტოს), η αρκούδα (ი არკუდა) (ახ. ბერძნული), άρκος (არკოს) (პონტ.) - დათვი.

იკარგება -λ თანხმოვანი c-v პოზიციაში:

κλώσα (კლოსა) (ახ. ბერძ.), κλώσα (ძვ. ბერძ.), κόσος (კოსუს) (პონტ.) - კრუხი.

გავრცელებულია -γ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები

v-c პოზიციაში:

το σφύριγμα (ტო სფირიღმა), ὁ σφυγμός (ო სირიგმონ) (ძვ. ბერძ.), [sh]ίριμα (შირიმან) (პონტ.) - სტვენა.

v-v პოზიციაში:

ο πυξός (ო პიქსოს), το πυξάρι, τα βάγια (ტა ვა(ლ)ია) (ახ. ბერძ.), βῆτον/[sh]ιμ[sh]ίρ (ვაიონ/შიმშიფ) (პონტ.) - ბზა, შდრ. აჭ. შიმშირი;

το φαγητό (ტო ფალიტო) (ახ. ბერძ.), φαή (ფაი) (პონტ.) - საჭმელი;

αναλογία (ანალო(ლ)ია) (ახ. ბერძ.), αναλοής (ანალოის) (პონტ.) - თანაბარი, პროპორცია;

η μύγα (ი მილა), η μύα (ი მი(ლ)ა) (ახ. ბერძ.), μουα (მუია) (ძვ. ბერძ.), μύα (მია), (პონტ.) - ბუზი;

პონტოური დიალექტისთვის ბგერის დაკარგვის შემთხვევები დამახასიათებელია, უპირატესად, სიტყვის ბოლოს ან სიტყვის დასაწყისში.

ხშირად იკარგება -γ ფონემის სიტყვის დასაწყისში:

(γ)είτνια (ლ)იტონია), (γ)ηνέκα (ლ)ინეკა), γιός-ბიჭი, (γ)ιαγιά (იაია) - ბებია, და მის.

მაგ: μαμά μου έπεγνε (γ)είτνια) (მამა მუ ეპედნეს იტონია) - ჩემი დედა წავიდა მეზობელთან (კვირიკე);

δεν έσανε (γ)είτνια (დენ ესანე (ლ)იტონია) - მეზობელი არ იყო (დაგვა);

(γ)ηνέκα μου είναι - (ლ)ინეკა მუ ინე) - ჩემი ცოლი არის (კვირიკე);

იკარგება -σ v-c პოზიციაში:

το μουρμούρισμα (ტო მურმურისმა), μουρμούριμα (მურმურიმან) (პონტ.) - ბუტბუტი;

ხშირია ბგერის დაკარგვის შემთხვევები წინდებულებში:

მაგ: ο παπάς μου **σo** (სო) (στο-სტო) ἰδρῖουμ, **σo** (სო) πόνεμο, **σo** (სო) χορείο (ო პაპას მუ სო ირზრუმ, სო პოლემო, სო ხორიო) - ჩემი ბაბუა იყო ირზრუმში, ომში, ქალაქში (ახალშენი);

εμεῖς εἶμερ σα **σoν** (სინ) (σoν-სტინ) ἀ[sh]χνα (ემის ინე სა სინ აშხვა) - ჩვენ ვართ აჭყვიდან (აჭყვა);

έρχουμε των ἀλόν **σα** (სა) (σo-სტა) σπoία (ერხუმე ტონ ალონ სა სპოტია - მოვედით სხვა სახლებიდან (აჭყვა);

გ. ორმაგი თანხმოვნების გამარტივების შემთხვევები

ცალკე განვიხილავთ ბგერის დაკარგვის ისეთ შემთხვევას, როდესაც სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერა იყრის თავს. ეს მოვლენა დამახასიათებელია როგორც ძველი, ასევე ახალი ბერძნულისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ბერძნულისთვის დამახასიათებელი ორმაგი თანხმოვნები პონტოურში ძირითადად ერთით გადმოიცემა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა ქართველური ფონოტაქტიკის გავლენის შედეგია, ორი იდენტური თანხმოვანი ვერ ძლებს.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ძველი ბერძნულის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია სიტყვაში ორი **σ-ს** თავმოყრისას პირველის ამოვარდნის შემთხვევები (τειχεσσι>τειχεσι, εσσομα>εσομα) (ურუშაძე, 1987:18), თუმცა მხოლოდ „σ“ ბგერის დაკარგვისა (რაც შეიძლება აიხსნას მეზობელი ბგერების გავლენით, კომპლექსის გამარტივებისაკენ სწრაფვით τειχεσσι>τειχεσι>τειχος, εσσομα>εσομα>μαεσει) და ისიც, არა ყველა სიტყვაში (შდრ.μαλασσα, μελισσα, γλασσα..), რაც ვერ გვაფიქრებინებს, რომ ორმაგი თანხმოვნების გამარტივება ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს. ე.წ. ორმაგი თანხმოვნები, ჩვეულებრივ თანამედროვე ბერძნულში გამოიყენება.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ქართულ გარემოში მოხვედრილ პონტოურ დიალექტში ქართული ენის ფონოტაქტიკის გავლენით, იწყება ორმაგი თანხმოვნის გამარტივების პროცესი. ვინაიდან, პონტოელ ბერძენთა ენა ზეპირი გზით გადაეცემა

თაობათა თაობას და არ ხდება წერილობითი ფიქსაცია, არ უსწავლიათ პონტოური ანბანის, ტექსტების საფუძველზე, შესაბამისად, ქართული ფონოტაქტიკის გავლენით ამბობენ ისე, როგორც ესმით. აქედან გამომდინარე, ორმაგი თანხმოვნები პონტოურში აღარ გვხვდება. ასეთებია:

საწოლი - κρεβάτι (კრევატი) (პონტ.) – κρεββάτι (კრევევატი) (ახ. ბერძ.);

ეკლესია - εκκλησία (ეკლისია) (პონტ.) – εκκκλησία (ეკკლისია) (ახ. ბერძ.), εκκλησία (ძვ. ბერძ.);

ფუტკარი - μελέσια (მელესია) (პონტ.) - η μέλισσα (მელისსა) (ახ. ბერძ.) -ή μέλισσα (მელისსა) (ძვ. ბერძ.);

წურბელა - εβδέλαν (ევდელან) (პონტ.) - η βδέλλα (ვდელლა) (ახ. ბერძ.) -ή βδέλλα (ვდელლა) (ძვ. ბერძ.);

ვარდი - τριαντάφυλο (ტრიანდაფილო) (პონტ.) - το τριαντάφυλλο (ტო ტრიანდაფილო) (ახ. ბერძ.);

დედობილი, ძიძა, გამზრდელი - παραμάννα (პარამანა) (პონტ.) -η παραμάννα (პარამანნა) (ახ. ბერძ.);

თმა - μαλία (მალია) (პონტ.) - τα μαλλιά (ტა მალლია) (ახ. ბერძ.) - ό μαλλίον (მალლიონ) (ძვ. ბერძ.);

გრამარია (გრამარია) – გრამი (პონტ.) –გრამარია (ლრამმარია)- ახ. ბერძ.;

ენა - γλώσσα (ღლოსა) (პონტ.) – γλώσσα (ღლოსსა) (ახ. ბერძ.);

ორმაგი თანხმოვნები არც პონტოური ტექსტების კორპუსში არსებულ მასალებში დასტურდება:

Αρμενανδιον γλόσαν, εξερο azeirbaijanski (PNT-TXT-LG-000000-A04);

2.4. ბგერის განვითარება

-**ou** ბგერა ჩართულია **c-c** პოზიციაში:

მაგ: ο φούρνος (ო ფურნოს) (ახ. ბერძ.), φουρσύνι (ფურუნნი) (პონტ.) - თონე;

-**ts** ჩართულია **v-v** პოზიციაში:

τριφτης (ტრიფტის) (ახ. ბერძ.), τριφτίτσα (ტრიფტიცა) (პონტ.) - სახეხი;

-**z** ჩართულია **v-c** პოზიციაში:

το βραδινό (ტო ვრაზინო) (ახ. ბერძ.), βραδινό (ვრაზინო) (პონტ.) - ვახშამი;

-γ ჩართულია v-v - პოზიციაში:

ή μητρικά (მეტრუკა) (ძვ. ბერძ.), μετρώγα (მეტრულა) (პონტ.) - დედინაცვალი;

ბგერა გაჩენილია სიტყვის დასაწყისში:

τότε (ტოტე) (ახ. ბერძ.), ατότες (ატოტეს) (პონტ.) – მაშინ;

τινάζω (ტინაზო) (ახ. ბერძ.), τινάζω (ტინასო) (ძვ. ბერძ.), ατινάζω (ატინაზო) (პონტ.) - დაბერტყვა;

ზოგჯერ ბგერის გაჩენას სხვა ფონეტიკური პროცესი უსწრებს:

მაგ: წამოხველება - ξεοβήξ (ქსეროვეის) - მიღებული უნდა იყოს ძვ. ბერძნული ფორმისგან -ό ξηρόβηξ (ქსეროვექს), შესაძლოა ამგვარი ფონეტიკური პროცესის დაშვებაც: ξηρόβηξ > ξεοβήξ (ძვ. ბერძნულში -η გამოითქმის როგორც -ე და პონტოურში -η (იტა) ადვილად შეცვალა -ε-მ (ეფსილონმა) > ξεοβήξ (ξ-ც მონაცვლეობით) > ξεοβήξ (ბგერის გაჩენით).

ბგერა განვითარებულია სიტყვის ბოლოს:

λεκάνη, σκάφη (ლეკანი, სკაფი) (ახ. ბერძ.), ή σκάφη (ო სკაფი) (ძვ. ბერძ.), σκαφίρ (სკაფირ) (პონტ.) - ტაშტი, გობი;

2.5. ბგერათგადასმა (მეტათეზისი)

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეტათეზისი ხშირად გვხვდება წალკის რეგიონში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებაში, თუმცა იშვიათად სხვა ბერძნულენოვან რეგიონებშიც დადასტურებულია რამდენიმე მაგალითი, მათ შორის.

ართოპოს < ძვ. ანთროპოს - ადამიანი; ადეფლოს < ძვ. ადელოფოს - ძმა;

ეს სიტყვები ამავე მნიშვნელობით გვხვდება აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში, თუმცა მეტათეზისის გარეშე, -გამოითქმის, როგორც άμφαπος (ანთროპოს) -ადამიანი და αδελφόν (ადელფონ) - ძმა.

ზოგადად მეტათეზისი პონტოურში ფართოდ გავრცელებული არ არის, მაგრამ მაინც დაჩნდება როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ ბერძნულ ლექსიკაშიც:

მაგ.: η κνίδη, η τσουκνίδα (ი კნიდი, ი ცუკნიდა) (ახ. ბერძ.), κινδέα (კინდეა) (პონტ.) - ჭინჭარი;

η καφετιέρα (ი კაფეტიერა) (ახ. ბერძ.), [τζ]εβζε (ჯევეზე) (პონტ.) (თურქ.cezve) - ყავადანი;

2.6. ბგერათმონაცვლეობა

ბგერათმონაცვლეობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველებაში. გვხვდება როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევებიც:

ა. ხმოვანთა და ხმოვანთა კომპლექსის მონაცვლეობა

ou > o: μουριά (მურია) (ახ. ბერძ.), μύρια (მორია) (პონტ.) - მაცვალი;

το πειρύνι (ტო პირუნი) (ახ. ბერძ.), πειρόν (პირონ) (პონტ.) - ჩანგალი;

το τραγούδι (ტო ტრალუდი) (ახ. ბერძ.), τραγοῖδια (ტრალოდია) (პონტ.) - სიმღერა;

o > e: το ποντίκι (ტო პონდიკი) (ახ. ბერძ.), πένδικος (პენდიკოს) (პონტ.) - თაგვი;

o > ou: το σκουλήκι (ტო სკულიკი) (ახ. ბერძ.), σκουλέκ (სკოლეკ) (პონტ.) - მატლი, ჭია;

το αγόρι (ტო აღორი) (ახ. ბერძ.), χάταλον, αγούρ, αγουρόπον (აღურ, აღუროპონ) (პონტ.) - ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი);

το δαμάλι (ტო დამალი), το μοσχάρι (ტო მოსხარი) (ახ. ბერძ.), μουσκάρ (მუსკარ) (პონტ.) - ხზო;

u > e: το χτύπημα (ტო ხტიპიმა) (ახ. ბერძ.), χτέπεμαν (ხტეპემან) (პონტ.) - ზაკუნი (ფეხის);

ou-ou > o-o: η κουρσούνα (ი კურუნა), ο κόρακας (კორაკას), κορόνα (კორონა) (პონტ.) - ყვავი, ყორანი;

e > i: το κεφάλι (ტო კეფალი) (ახ. ბერძ.), ἡ κεφαλή (ი კეფალი) (ძვ. ბერძ.), κίφαλ (კიფალ) (პონტ.) - თავი;

i > ou: λιλά (ლილა) (ახ. ბერძ.), λουλακίον χρώμα (ლულაკინხრომა) (პონტ.) - იისფერი;

η > e: τηλέφωνο (ტილეფონო) (ახ. ბერძ.), τελέφωνο (ტელეფონო) (პონტ.) - ტელეფონი;

η νύφη (ი ნიფი) (ახ. ბერძ.), ἡ νύμφη (ი ნიმფი) (ძვ. ბერძ.), η νύφη (ი ნიფე) (პონტ.)
- პატარძალი, რძალი;

υ > ου: ζυμῶνα (ზიმონო) (ახ. ბერძ.), ζυμῶ (ზიმო) (ძვ. ბერძ.), ζουμῶνα ζουμάρ
(ზიმონო ზუმარ) (პონტ.) - ცომის მოზელა;

ბ. თანხმოვანთა მონაცვლეობა

χθ > ψ: χθες/χτες (ხთეს/ხტეს) (ახ. ბერძ.), οψέ (ოფსე) (პონტ.) - გუშინ;

ξ > δ: η κατσικά, ο τράγος (ახ. ბერძ.), αἴξ, αἴγος (აიქს) (ძვ. ბერძ.), εἶδος (ეიდ)
(პონტ.) - თხა;

λ > ρ: ο ξάδελφος/η ξαδέλφη (ო ქსადელფოს/ი ქსადელფი) (ახ. ბერძ.), αδερφοπαίδ
(ადერფოპეი) (პონტ.) - ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი;

χ > [sh]: το χείλος (ხილოს) (ახ. ბერძ.), τὸ χεῖλος (ძვ. ბერძ.), [sh]ίλια (შილია) -
ბაგე;

η ράχη, η πλάτη, τα νάτια (ი რახი, პლატი, ნოტა) (ახ. ბერძ.), ἡ ῥάχις (პახის) (ძვ.
ბერძ.), რასაც ხმოვნის მონაცვლეობაც სდევს თან - α<η, ρά[sh]α (რაშა) (პონტ.) -
ზურგი;

χιοινίζα (ხიონიზო) (ახ. ბერძ.), [sh]ιοινίζ (შიონიზ) (პონტ.) - თოვა;

το χέρι (ტო ხერი) (ახ. ბერძ.), το χέριν, το χέριον (ტო ხერინ, ტო ხერიონ)
(შუასაუკუნეების), ἡ χεῖρ (ხეირ) (ძვ. ბერძ.), [sh]έρι (შერი) (პონტ.) - მკლავი;

ხშირია სიტყვის ბოლოკიდურ ბგერათა <v> მონაცვლეობა, რასაც
მორფოლოგიური ფაქტორი განაპირობებს პონტოურში:

μακρύν, μακρόν (მაკრის, მაკროს) (ახ. ბერძ.), μακρύν (შუასაუკუნეების), μακρόν
(ძვ. ბერძ.), μακρίν (მაკრინ) (პონტ.) - გრძელი;

τυλιγμένος (ტილიდმენოს) (ახ. ბერძ.), τυλιγμένον (პონტ.) - დახვეული;

στενός (სტენოს) (ახ. ბერძ.), στενόν (სტენონ) (პონტ.) - ვიწრო;

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება, როგორც მასალები
გვიჩვენებს, ფონეტიკურად ავლენს მნიშვნელოვან თავისებურებებს როგორც
თანამედროვე და ძველ ბერძნულ ენასთან მიმართებით, ასევე საკუთრივ პონტოურ
დიალექტთან მიმართებითაც. ეს თავისებურებები ვლინდება როგორც ბგერით

შედგენილობაში, ასევე ფონეტიკურ მოვლენებში როგორც ნასესხებ, ისე ბერძნულ ლექსიკაში. ზოგიერთი თავისებურება უცხო ენათა გავლენით აიხსნება.

თავი II. პონტოური დიალექტის გრამატიკული თავისებურებანი

§1. მორფოლოგია

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება თანამედროვე და ძველ ბერძნულ ენასთან მიმართებით ავლენს გრამატიკულ თავისებურებებს.

1.1. არსებითი სახელი

პონტოურში, ისევე როგორც ძველსა და თანამედროვე ბერძნულში, არსებით სახელებს აქვთ გრამატიკული სქესი, რომლის მთავარი გამომხატველია არტიკლი, ე.წ. ათრონი, რომელიც უსწრებს არსებით სახელს (სხვა გრამატიკულ კატეგორიასაც -რიცხვს, ბრუნვას).

სამეცნიერო ლიტერატურაში პონტოურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად არსებითი სახელის სქესის ცვლილებას ასახელებენ (იხ. ბერძენიშვილი...,1990:155). ეს თავისებურება აჭარის მკვიდრ ბერძენთა მეტყველებაშიც პროდუქტიულია.

მდედრობითი სქესის სახელები

პონტოურში მდედრობითი სქესის სახელებს ნაკლებად განუცდიათ სქესის ცვლილება, ძირითადად იმავე სქესს გამოხატავენ, რასაც ძველი და თანამედროვე ბერძნულის არსებითები:

პატარძალი, რძალი პონტოურში გამოითქმის - η νύφη (ი ნიფე), დაერთვის მდედრობითი სქესის არტიკლი, ასევეა ახ. ბერძნულში - η νύφη (ი ნიფი) და ძვ. ბერძნულში - ἡ νύμφη (ი ნიმფე) და მისთ.

მდედრობითი სქესის სახელები პონტოურ ბერძნულში ჩვეულებრივ დაირთავენ -η არტიკლს, ასეთებია -α, -ια, -η, -ε ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები, როგორცაა, მაგალითად:

გული - η καρδιά (კარდია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η καρδιά, ძვ. ბერძნული - η καρδιά];

და - η αδέλφη(ν) (ადელფინ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η αδελφή, ძვ. ბერძნული - ἡ ἀδελφή];

დედამთილი - η πεθερά (პეთერა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η πεθερά/η πενθερά, ძვ. ბერძნული - ἡ πενθερά];

დედინაცვალი - η μετρίσγα (მეტრულა) - [ახ. ბერძნული - η μητριά (მიტრია), ძვ. ბერძნული - ἡ μητρικά (მიტრუია)];

მუცელი - η κοιλία (კილია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η κοιλία, ძვ. ბერძნული - ἡ κοιλία];

α, ä და ε - სუფიქსები მდედრობით სქესს აწარმოებს, პონტოურში ამავე სუფიქსებზე დაბოლოებული სახელები ძირითადად მდედრობით სქესად რჩება (იხ. berikashvili, 2016:236).

ძველი ბერძნულის ზოგიერთი საშუალო სქესის სახელი პონტოურში იმავე სემანტიკის ფორმით განსხვავებული სახელებია და მდედრობითი სქესისაა:

მაგ: კისერი, ყელი - η γούλα (ლულა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο λαϊμός (ო ლემოს), ძვ. ბერძნული - ὁ λαϊμός (ო ლემოს)];

მკერდი (ქალის) - η τσιτσία (ი ციცია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο στήθις/το στήθι (ო სტიითოს, ტო სტიითი), ძვ. ბერძნული - ὁ στήθις (ო სტიითოს)];

ხორხი - η χουρτουδία (ი ხურტუდა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο φάρυγγας (ო ფარინგას), ძვ. ბერძნული - φάρυγξ (ფარინქს)];

ჭრიჭინა - [ch]ιχρίτης (ჩიხრიტის) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο τζιτζικας (ო ძიძიკას), ძვ. ბერძნული - ὁ τέτιξ, τριζα (ო ტეტიქს, ტრიზო)];

ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის სახელები თანამედროვე ბერძნულსა და პონტოურში საშუალო სქესის სახელებად გვევლინება, ასეთებია, მაგალითად:

მკლავი το [sh]έρι (შერი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το χέρι (ტო ხერი), შუასაუკუნეების ბერძნული- το χέρι, το χέριον (ტო ხერინ), ძვ. ბერძნულში- ἡ χείρ (ი ხეირ)];

მამრობითი სქესის სახელები

მამრობითი სქესის სახელები პონტოურში ფონოლოგიურად ისეთივე ფორმით იხმარება, როგორც მსგავსი ფუმის ამავე სქესის სახელები თანამედროვე და ძველ ბერძნულში:

ადამიანი - ο άνθρωπος (ო ანთროპოს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο άνθρωπος, ძვ. ბერძნული - ὁ ἄνθρωπος];

ბაზუა, პაპა - ο παππούλης (ო პაპულის) (პონტ.) (παππούλικα- კნინობითი) - [ახ. ბერძნული - ο παππούς (ო პაპუს), ძვ. ბერძნული - ὁ πάππος (ო პაპოს)];

ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი - ο/η αδερφοπαιδ (ო/ი ადელფოპედ) (პონტ.) [ახ. ბერძნული - ο ξάδελφος/η ξαδέλφη (ქსადელფოს/ქსადელფი), ძვ. ბერძნული - ὁ ἑξάδελφος (ო ექსადელფოს)];

ვაჟი, ვაჟიშვილი - γιος (იოს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο γιος, ძვ. ბერძნული - ὁ υἱός];

ამ ტიპის სახელები, მსგავსად ძველი და თანამედროვე ბერძნული არსებითი სახელებისა, მამრობითი სქესისაა.

ბერძნულ ენაში, როგორც წესი, სახელების გრამატიკულ სქესზე მიუთითებს სუფიქსები, რომლებსაც დაირთავენ სახელები მხოლოდით რიცხვში. აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში, როცა ერთი ფუძით ნაწარმოებ სიტყვებთან გვაქვს საქმე, როგორცაა მაგ: ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი - ο ξάδελφ-ος (მამრ.სქ), ხოლო η ξαδέλφη-η (მდ.სქ.), ამ შემთხვევაში სქესის გარჩევა გარდა არტიკლისა, ხდება სუფიქსების საშუალებით. აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში ზოგჯერ ნასესხები სიტყვები არ დაირთავენ სქესის მაწარმოებელ სუფიქსებს, სქესი არ არის მარკირებული.

მაგ: **საქმრო** (მამრ. სქესი) და **საცოლე** (მდედრ. სქესი) პონტოურში გამოითქმის ერთი და იმავე ფორმით - **vous[sh]αλός** (ნუშალუ). მომდინარეობს თურქული სიტყვისგან **nisanli Kiz** (საცოლე), **nisanli** (საქმრო), ახალსა და ძველ ბერძნულში **საქმროს** შესატყვისად გვაქვს - ο γαμπρός (ო ღამბროს), ხოლო **საცოლის** შესატყვისად - ახ. ბერძნულში - η νύφη (ნიფი), ძვ. ბერძნულში - ἡ σύμφη (ნიმფი).

შესაძლებლად მიგვაჩნია, მსგავსი მოვლენა აიხსნას უცხო ენის გავლენით, სადაც არ განირჩევა გრამატიკული სქესი და ბერძნულში სესხების გზით რა ფორმითაც შემოვიდა, ისეთივე ფორმით დამკვიდრდა.

როდესაც ნასესხები სიტყვა არ აწარმოებს სქესს პონტოურში და სქესის მიხედვით არ ხდება გრამატიკული მარკირება - ეს ფენომენი ახსნილია როგორც

„შესაძლო ფონოლოგიური უმოქმედობის შედეგი“. სქესის გაფორმება შესაძლოა დაკავშირებული იყოს თურქულთან, რომელიც სქესის გრამატიკულ კატეგორიას არ იცნობს, თურქულის გავლენის პარალელურად, შესაძლოა ეს ძირითადად შიდა ენობრივი ფაქტორებით იყოს გამოწვეული (berikashvili, 2016:259-264).

მამრობითი სქესისაა პონტოურში სხვა და სხვა ფუმის სახელები, რომელთა შესატყვისებიც ახალ და ძველ ბერძნულში საშუალო სქესისაა.

მაგ: თემო -ο σκούλος (სკულოს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το ισχίο (ტო ისხიო), ძვ. ბერძნული - τὸ ισχίον] (ტო ისხიონ).

გვხვდება შემთხვევები, როცა განსხვავებით თანამედროვე ბერძნულისაგან, პონტოურს შენარჩუნებული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ფორმები.

მაგალითად - ο ψάρ (ო ფსარ) - თევზი ძველ ბერძნულში მამრობითი სქესისაა, თანამედროვე ბერძნულში საშუალო სქესს განეკუთვნება, პონტოურში მამრობით სქესს - ο ψάρ. ასევე, თავი - ο πένδικος (პენდიკოს) [ახ. ბერძნული - το ποντίκι (ტო პონდიკი), ძვ. ბერძნული - ὁ ποντικός, μύς (ო პონტიკოს, მუს)];

თვალი - ομάτ, ομάτια (ματιάζω - გათვალვა) (ო მატ, მატია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το μάτι (ტო მატი), შუასაუკუნეების ბერძნული -μάτιν, ძვ. ბერძნული - ὀμματίον (ო მატონ), τὸ ὄμμα-ს კნინობითი ფორმა, ὁ ὀφθαλμός (ოფთალმოს)];

პონტოურში მამრობითი სქესის სახელი, შესაბამისი სუფიქსის გარეშე გვხვდება, მაგ: მამინაცვალი - παραικίρτς (პარაკირტ) - [ახ. ბერძნული - ο πατριός (ო პატრიოს), ძვ. ბერძნული - ὁ πατριός (ო პატრიოს), ὁ πατρῶς].

საშუალო სქესის სახელები

საშუალო სქესის სახელები პონტოურში გაცილებით პროდუქტიულია და განსაკუთრებულ თავისებურებებს ავლენს.

ძველი ბერძნულის მამრობითი სქესის სახელი პონტოურში, თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესისაა:

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – χάταλον, **αγούρ** (აღურ), **μαρόν**, **αγουρόπον** [ახ. ბერძნული - **το αγόρι** (ტო აღორი), შუასაუკუნეების ὁ ἄγιος-ის კნინობითი ფორმა ἄγιρι(ν), ძვ. ბერძნული - **ο ἄριος** (ო აროს) (ზედს. სახ.)];

ფეხი - **το ποδάρι/ποδάρα** (ტო პოდარი/პოდარა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - **το πόδι** (ტო პოდი), ძვ. ბერძნული - ὁ πούς (ო პუს) (პოდός, πῶδιον)];

თითი - **το δάχτυλον** (ტო დახტილონ) (პონტ.) -(**το μικρόν** - ნეკი, **το μίσεον** - შუათითი) - [ახ. ბერძნული - **το δάχτυλο** (ტო დახტილო), ძვ. ბერძნული - **ο δάκτυλος** (ო დაკტილოს)];

თირკმელი - **το εφρόν** (ტო ეფრონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - **το νεφρό** (ტო ნეფრო), ძვ. ბერძნული - ὁ νεφρός (ო ნეფროს)];

კბილი - **το δόντιν** (ტო დონდინ) (**το μασότερ** (ტო მასოტერ) - სიბრძნის, **παρადόντιν**, **στράβονδόντιν** - ლოჯი) - [ახ. ბერძნული - **το δόντι** (ტო დონდი), შუასაუკუნეების ბერძნული - **δόντιον** (დონდიონ), **ο δόντιον**, ძვ. ბერძნული - ὁ ὀδύς (ო ოდუს), ὀδόντος];

პონტოურში საშუალო სქესისად ითვლება ის სახელები, რომლებიც ძველ ან თანამედროვე ბერძნულ ენაში **ორსქესიან** მდედრობითი ან მამრობითი სქესის სახელებად იწოდებიან:

მაგ: ბარძაყი - **το μερίν, τα μερία** (ტო მერინ, ტა მერია)(პონტ.) [ახ. ბერძნული - **ο μηρός** (ომეროს), **το μηρί** (ტო მერი), **το ισχίον, ο γόφο**, ძვ. ბერძნული - ὁ μηρός (ო მეროს), τὸ μηρίον (ტო მერიონ)];

ბეჭი, მხარი - **το αμίν** (ტო ომინ), **τα αμία** (ტა ომია) - [ახ. ბერძნული - **η αμοπλάτη, ο ἄμος** (ი ომოპლატი, ომოს), ძვ. ბერძნული - ἡ ἄμοπλατη (ი ომოპლატი), ὁ ἄμος (ო ომოს)];

კუჭი - **το στόμαχον** (ტო სტომახონ) (პონტ) - [ახ. ბერძნული - **το στομάχι/ο στόμαχος** (ტო სტომახი, ὁ στόμαχος), ძვ. ბერძნული - ὁ στόμαχος (ო სტომახოს)];

ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის სახელი პონტოურში, თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესის სახელად გვევლინება:

მაგ: თავი - **κίφαλ** (კიფალ) (პონტ.) [ახ. ბერძნული -**το κεφάλι** (ტო კეფალი). შუასაუკუნეების ბერძნული - **κεφάλιν, κεφάλιον**, ძვ. ბერძნული- ἡ κεφαλή (ი კეფალი)];

ოთახი საძინებელი - το καμάρι (ტო კამარინ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το κρεβατοκάμαρα (ტო კრევატოკამარა), ძვ. ბერძნული - ἡ καμάρα (ი კამარა) (ლათ. camara, camera - თალი, გადახურული ურიკა)];

პონტოურში საშუალო სქესის სახელად გვხვდება მსგავსი ფუძის თანამედროვე ბერძნულის ან ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის სახელი:

მაგ: კანი - το πετσί (ტო პეცი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το δέρμα, η πέτσα (იპეცა) (იტალ. pezza), ძვ. ბერძნული - τὸ δέρμα (ტო დერმა)];

დაფა (პურის დასაჭრელი..) – το ξύλον (ტო ქსილონ)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ξύλοκοπής (ქსილოკოპის), ძვ. ბერძნული - τὸ ξύλον (ტო ქსილონ)];

სუფრა - τραπέζι, τραπεζομάντιλο (ტრაპეზი, ტრაპეზომანდილო) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το τραπέζι, το τραπεζομάντιλο (ტო ტრაპეზი, ტო ტრაპეზომანდილო), ძვ. ბერძნული - ἡ τραπέζα (ი ტრაპეზა)];

კვირის დღეების სახელები ძველ ბერძნულში ძირითადად მამრობით სქესს მიეკუთვნება, თანამედროვე ბერძნულში - მდედრობით სქესს, ხოლო პონტოურში გაგებულია როგორც მდედრობითი სქესის სახელები, თუმცა მდედრობითი სქესის მაწარმოებელი სუფიქსი არ დაერთვის, გაბმულ მეტყველებაში ხშირად არტიკლის გარეშე გამოიყენებენ:

ორშაბათი - Δευτέρα (დეფტერა) [ახ. ბერძნული - η Δευτέρα (დეფტერა), ძვ. ბერძნული - ο δεύτερος (დეფტეროს)];

სამშაბათი - Τρίτη (ტრიტი) [ახ. ბერძნული - Τρίτη (ტრიტი), ძვ. ბერძნული - τρίτος (ტრიტოს)];

ოთხშაბათი - Τετάρτη (ტეტარტი) [ახ. ბერძნული - Τετάρτη (ტეტარტი), ძვ. ბერძნული - τέταρτος (ტეტარტოს)];

ხუთშაბათი - Πέμπτη (პემპტი) [ახ. ბერძნული - Πέμπτη (პემპტი), ძვ. ბერძნული - πέμπτος (პემპტოს)];

პარასკევი - Παρα[sh]σκευή (პარაშკევინ)[ახ. ბერძნული - Παρασκευή (პარასკევი), ძვ. ბერძნული - παρασκευή (პარასკევი)];

შაბათი- Σάββα - (სავრა) პონტოურში მდედრობით სქესს განეკუთვნება (თუმცა, პარალელურად გვხვდება Σάββατο (სავატო) (საშ.სქ.) ახ. ბერძნულში - Σάββατο (სავვატო) საშუალო სქესის სახელია.

სავარცხელი - χταν (ხტან) პონტოურში, ძველი ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესისაა, ახ. ბერძნულში კი მდედრობითი სქესის სახელია -η χτένα (ი ხტენა).

ძველი ბერძნულისა და თანამედროვე ბერძნულის მამრობითი სქესის სახელები პონტოურში საშუალო სქესისაა:

მაგ: თონე - φουρνί (ფურუნი) - [ახ. ბერძნული - ο φούρνος (ფურნოს), შუასაუკუნეების ბერძნული - φούρνος (ლათ. furnus)];

ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის ზოგი სახელი პონტოურში საშუალო სქესისაა:

გვიმრა - φτερίν (ფტერინ) [ახ. ბერძნული - η φτέρη (ი ფტერი), ძვ. ბერძნული -ή πτέρυς (ი ფტერის)];

ცომი - ζυμαρά (ზუმარ) [ახ. ბერძნული - η ζύμη (ი ზიმი), ძვ. ბერძნული -η ζύμη (ი ზიმი)];

არტიკლის ბრუნვა

მამრობითი სქესი

მხოლოდობითი რიცხვი

Ονομ. – ο

Γεν. – τη

Αιτ. – το(ν)

Κλητ.

მრავლობითი რიცხვი

οι - τα

τη – τη

τη(ν) – τα

მდედრობითი სქესი

მხოლოდობითი რიცხვი

Ονομ. – η

Γεν. – τη

Αιτ. – τη(ν)

Κλητ.

მრავლობითი რიცხვი

οι - τα

τη – τη

τη(ν) - τα

საშუალო სქესი

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Ονομ. – το	τα
Γεν. – τη	τη
Αιτ. – το	τα
Κλητ.	

როგორც პონტოური დიალექტის მასალები გვიჩვენებს, არტიკლი (ართრონი) მრავლობით რიცხვში ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძველსა და ახალ ბერძნულ ენასთან შედარებით, მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს მრავლობითში -οι ან -τα არტიკლი დაერთვის, ხოლო საშუალო სქესისას არტიკლი τα.

მამრობითი სქესი:

- ο άνθραπος (მხ.რ.) – οι άνθραποι (მრ.რ.);
- ο κεφτές (მხ.რ.) – οι κοφτάδες (მრ.რ.);
- ο πεθερός (მხ.რ.) – οι πεθερα (მრ.რ.);
- ο αρκακός (მხ.რ.) – τα αρκακά (მრ.რ.);

მდედრობითი სქესი:

- η καρδιά (მხ.რ.) – οι καρδιά(მრ.რ.);
- η ρά[sh]α (მხ.რ.) – τα ρά[sh]α (მრ.რ.);
- η θεγατέρ (მხ.რ.) – τα θεγατέρα (მრ.რ.);
- η μάνα (მხ.რ.) – οι μανάδες (მრ.რ.);

საშუალო სქესი:

- το δένδρο (მხ.რ.) – τα δενδρα (მრ.რ.);
- το ψαμί (მხ.რ.) – τα ψαμία (მრ. რ.);
- το μερίν (მხ.რ.) – τα μερία (მრ.რ.);
- το ποδარი (მხ.რ.) – τα ποδαρα (მრ.რ.);

არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოური დიალექტი მრავლობითის წარმოების განსხვავებულ მოდელს გვიჩვენებს. მრავლობითობას აწარმოებს სუფიქსები: -ς, -α,

αρα, -αδες, -ιδες, -ανδ, -οι, -ομε, ნულოვანი... (μάννα)(მანა)(მხ.რ.) – μαννα-δες (მანადეს) (მრ.რ.), θεγατέρ (თეგატერ)(მხ.რ.) – θεγατέρ-α (თეგატერა) (მრ.რ.), πλεκος (პლეკოს) (მხ.რ.) – πλεκ-ομε (პლეკომე) (მრ.რ.), ποδι/ποδαρι (პოდი/პოდარი)(მხ.რ.) – ποδ-αρα (პოდარა) (მრ.რ.), δαχτυλο (დახტილო) (მხ.რ.) – δαχτυλα-ς (დახტილას) (მრ.რ.), [sh]ερι (შერი) (მხ.რ.) - [sh]ερι-α (შერია) (მრ.რ.), νι[sh] (ნიშ) (მხ.რ.) - νι[sh]-ια (ნიშია) (მრ.რ.). γαρί (ღარი) (მხ.რ.) - γαρίδες (ღარიდეს) (მრ.რ.).

πετινός (პეტინოს)(მხ.რ.) – πετινάρα (მრ.რ.) (პეტინარა), χτίον (ხტინონ)(მხ.რ.)– χτίνα (ხტინა) (მრ.რ.) (PNT-TRA-PC-00000-B25).

ბ. არსებით სახელთა ბრუნვა

ბერძნულ ენაში სახელობითი ბრუნვა, ისევე როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში, არის ქვემდებარის ბრუნვა. ბერძნულ სახელობით (ονομαστική) ბრუნვას შეესაბამება ქართულის სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, - ქვემდებარის ბრუნვები.

მამრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნვა:

მხოლოდითი რიცხვი

Όνομ. – ο πεθερός (ო პეტეროს)

Γεν. – τη πεθερό/πεθερός (ტი პეტერო/პეტეროს)

Αιτ. - το(ν) πεθερόν (ტო(ნ) პეტერონ)

Κλητ. Πεθερό/πεθερέ (პეტერო/პეტერე)

მრავლობითი რიცხვი

τα –πεθερά /οι πεθεροί (ტა პეტერა / ი პეტერი)

τη – πεθερα /τη πεθεραουσδες (ტი პეტერა / ტი პეტერაუდეს)

τη(ν) πεθεραν/τα πεθεραδέν (პეტერან/ ტა პეტერადენ)

მხოლოდითი რიცხვი

Όνομ. – ο παρακύρς (ო პარაკირც)

Γεν. – τη παρακύρ (ტი პარაკირ)

Αιτ. -το(ν) παρακύρ (ტო(ნ) პარაკირ)

Κλητ. Παρακύρ (პარაკირ)

მრავლობითი რიცხვი

οι – παρακύρ (ი პარაკირ)

τη –παρακύρτς (ტი პარაკირც)

τη(ν) -παρακύρτς (ტი(ნ) პარაკირც)

παρακύρ (პარაკირ)

მდედრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნება:

მხოლოდობითი რიცხვი

Όνομ. – η μάνα (ი მანა)

Γεν. – τη μάνας (ტი მანას)

Αιτ. - τη(ν) μάνα(ν) (ტი(ნ) მანა(ნ))

Κλητ. – μάνα (მანა)

Όνομ. – η γλώσσα (ი ღლოსა)

Γεν. – τη γλώσσας (ტი ღლოსას)

Αιτ. Τη(ν) γλώσσαν (ტი(ნ) ღლოსან)

Κλητ. γλώσσα (ღლოსა)

მრავლობითი რიცხვი

οι μανάδες (ი მანადეს)

τη μανάδες (ტი მანადეს)

τα μανάδες (ტა მანადეს)

μανάδες (მანადეს)

τα γλώσσας (ტა ღლოსას)

τη γλώσσας (ტი ღლოსას)

τα γλώσσας (ტა ღლოსას)

γλώσσας (ღლოსას)

საშუალო სქესის არსებით სახელთა ბრუნება:

მხოლოდობითი რიცხვი

Όνομ. – το δένδρον (ტო დენდრო)

Γεν. – τη δένδρος (ოს)(ტი დენდროს (უ))

Αιτ. Το δένδρον (ტო დენდრონ)

Κλητ. Δένδρο(ν) (დენდრონ)

მრავლობითი რიცხვი

τα δένδρα (ტა დენდრა)

τη δένδρα (ტი დენდრა)

τα δένδρα (ტა დენდრა)

δένδρα (დენდრა)

Όνομ. – το στόμαν (ტო სტომა)

Γεν. – τη στόματη (ტი სტომატი)

τα στόματα (ტა სტომატა)

τη στόματι (ტი სტომატი)

Αιτ. το στόμαν (ტო სტომან)

τα στόματα (ტა სტომატა)

Κλητ. στόμαν (სტომან)

στόματα (სტომატა)

წოდებითი ბრუნვა მიმართვის ფორმით გამოიყენება და საინტერესო ფორმებს ავლენს:

[Sh]κιλε, οφίγιον απαδάκες (შკილე, ოფიგონ აპადაკეს) - **ძალლო**, გადი აქედან!

Κοριτζ, έλα εδάκα (კორიც, ელა ედაკა) - **გოგოვ**, მოდი აქ!

νέπε/αγούρε (ნეპე/ალურე) - **კაცო!**

νεπττσι/νέψα (ნეპუცი/ნეფსა) - **ქალო!**

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება საკუთრივ პონტოური დიალექტის ბრუნვათა სისტემასთან შედარებით თავისებურებებს ავლენს (იხ. Τσοπουρίδης 1989).

არსებითი სახელები, როგორც მასალები გვიჩვენებს, ძველ და თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით, გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. ცვლილებები შეიმჩნევა ბრუნვებში, განსაკუთრებით სქესის კატეგორიაში. ჩანს, სქესი როგორც გრამატიკული კატეგორია, აღრეულია. ზოგჯერ ნასესხები ლექსიკა არ დაირთავს სქესის მაწარმოებელ სუფიქსებს, არ არის მარკირებული, რაც, ბუნებრივია, მსესხებელი ენის ბუნებითაა განპირობებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პონტოურს გარკვეული სქესის სახელები შემოუნახავს ძველი ბერძნულის მსგავსად, განსხვავებით თანამედროვე ბერძნულისა, ნაწილს თანამედროვე ბერძნულის მსგავსად აწარმოებს, თუმცა ვლინდება სქესის ცვლილების ისეთი შემთხვევებიც, რითაც განსხვავდება როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ბერძნულისგან.

1.2. ზედსართავი სახელი

პონტოურში ზედსართავი სახელი პრეფიქსებით, სუფიქსებითა და პრეფიქს-სუფიქსებით იწარმოება. ძველ და თანამედროვე ბერძნულ ენასთან შედარებით გარკვეული თავისებურებები აქაც ვლინდება.

როგორც წესი, ძველ ბერძნულში პირველი ტიპის ზედსართავი სახელები სქესის საწარმოებლად დაირთავდა სუფიქსებს -**ος**, -**α**, -**ον** – (μικρός, μικρά, μικρόν) და -**ος**, -**η**, -**ον** (καλός, καλή, καλόν).

ახალმა ბერძნულმა, არსებითად, შეინარჩუნა მსგავსი ტიპის ზედსართავი სახელები, თუმცა საშუალო სქესის დაბოლოებად ნაცვლად-ov-ისა გადმოვიდა -o-თი, მაგ. ძვ. ბერძნ.: νέος, νέα, νέοι – ახ. ბერძნ. -νέος, νέα, νέο, ძვ. ბერძნ. (καλός, καλή, καλόν, ახ. ბერძნ. καλός, καλή, καλό (გორდეზიანი, 2001:62; ურუშაძე, 1987:45).

მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ პონტოურს თანამედროვე ბერძნული ენისგან განსხვავებით, შემონახული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი წარმოება, კერძოდ, საშუალო სქესის საწარმოებლად -v სუფიქსი, როგორცაა, მაგალითად:

v: მწარე - πικρόν (პიკრონ)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - πικρός/η/ο, ძვ. ბერძნული - πικρός/α/v];

გრძელი - μακρῖν (მაკრინ)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - μακρός, μακρός/α/ο (მაკრის), შუასაუკუნეების - μακρός, ძვ. ბერძნული - μακρός/α/v (მაკროს)];

თხელი - λεπτόν (ლეპტონ) (პონტ.) [ახ. ბერძნული - λεπτός/η/ο (ლეპტოს), ძვ. ბერძნული - λεπτός/η/v (ლეპტოს)];

კარგი - καλόν (კალონ)(პონტ.), ახ. ბერძნ. -καλός/ή/ο, ძვ. ბერძნ. καλός, καλή, καλόν;

ვიწრო - στενόν (სტენონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - στενός/α/ο, ძვ. ბერძნული - στενός/α/v];

ამავე მოდელით უნდა იყოს ნაწარმოები:

წყალწყალა - νεροῦλον (ნერულონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - σδαρής, νεροῦλος (იდარის, ნერულოს), ძვ. ბერძნული - τὸ ὕδωρ (ტო იდორ)];

ტკბილი - γλυκῖν (ღლიკინ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - γλυκός/η/ο (ღლიკოს), ძვ. ბერძნული - γλυκός (ღლიკის)];

წვეტიანი - ξυμῖν (ქსილონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - αιχμηρός, μπερῖν, ὄξυς, ძვ. ბერძნული - αἰχμή, ὄξυς];

სქელი, მსუქანი - χοντρόν, πα[sh]ῖν (ხონდრონ, პაშინ)(პონტ.), [ახ. ბერძნული - παχός, χοντρός, ძვ. ბერძნული - παχός];

მაღალი - ψηλόν (ფსილონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ψηλός, ძვ. ბერძნული - ὑψηλός];

რიგი ზედსართავი სახელებისა პონტოურში ისევე იწარმოება, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავები თანამედროვე და ძველ ბერძნულში:

ოც: გადარეული, გაგიჟებული - παλαλός (პალალოს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ტრელός, παλαβός, παράφρων (ტრელოს, პალავოს, პარაფრონ), ძვ. ბერძნული - ἀπολωλος (პალოლოს) ზმნისაგან ἀπόλλυμαι (παλαός)];

გულკეთილი - κалόκαρδος (კალოკარდოს)(პონტ.), [ახ. ბერძნული - ο κалόκαρδος (ო კალოკარდოს), ძვ. ბერძნული -ή καρδιά, καλός, χρηστοηθής (კარდია, კალოს, ხრისტოთის)];

მშვიდი - ήσυχος (ისიხოს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ήσυχος, ήρεμος (ისიხოს, ირემოს), ძვ. ბერძნული -ήσυχος (ისიხოს)];

იყ: თანაბარი - αναλοιής (ანალოის) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ομοιόμορφος, ίσος, ομαλός, ισόπεδος, αναλογία (ანალოია)];

მზინვარე - γυαλής (გუალის) (პონტ.) [ახ. ბერძნული - αστραφτερός, λαμπερός, το γυαλί (ტო გუალი) (შუშა)];

მოხერხებული - πε[ch]αροχλής (პეჩაროხლის) (პონტ.), [ახ. ბერძნული - δεξιότηχης (დექსიოტეხნის), ευέλκτος ეველიკტოს), ευστροφος ევსტროფოს), ძვ. ბერძნული - μηχανικός (მიხანიკოს)];

მტირალა - κλαψιάρης (კლაფსიარის) (პონტ.) [ახ. ბერძნული - κλαψιάρης (კლაფსიარის), ძვ. ბერძნული -κλαίω (კლეო)];

ენ: მთელი - ολόεν (ოლოენ) [ახ. ბერძნული - όλος (ოლოს), ολόκληρος, ολάκερος, ძვ. ბერძნული - ὅλος (ოლოს)];

მკვახე - αχάμ, (κε) φτάσεν (ახამ, კე ფტასენ) [ახ. ბერძნული - άγουρος (აგუროს), შუასაუკუნეების - άγουρος, ძვ. ბერძნული - ὁ άσρος (აოროს)];

აღსანიშნავია, რომ ახალ ბერძნულში გვაქვს ზედსართავ სახელთა ერთი ჯგუფი, რომელიც მიღებულია არა ძველი ბერძნულის ზედსართავ სახელთაგან (ძველ ბერძნულში მსგავსი წარმოების ზედსართავი სახელები არ არის და არც ამ ზედსართავების მაწარმოებელი არსებითების უმრავლესობაც), არამედ შედარებით მოგვიანებით არის მიღებული არსებით სახელთაგან და აღნიშნავენ ამა თუ იმ ფერს და მათი დაბოლოებებია -იყ, -იα, -ი (გორდეზიანი, 2001:75).

მსგავსი ტიპის ზედსართავი სახელები პონტოურშიც დასტურდება და ქართულის ანალოგიით, აღწერითად იწარმოება, რაც ზოგადად ბერძნულსა და საკუთრივ პონტოურ დიალექტს არ ახასიათებს, ასე გამაალითად:

ბაცი - **ανοιχτό χρώμα** (ანიხტოხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ανοιχτός];

ვარდისფერი - **τριαντάφυλι** χρώμα (ტრიანდაფილი ხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - τριανταφυλλής, რიჯ, ძვ. ბერძნული];

თაფლისფერი - **μέλι χρώμα** (მელიხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - μελής];

ლიმონისფერი **λεμονί χρώμα** (ლიმონიხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - λεμονής];

ლურჯი (მუქი) **μοβ/μάβι χρώμα** (მოვ/მავიხრომა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - μπλε];

ოქროსფერი - **χρυσόν χρώμα** (ხრისონ ხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - χρυσαφής, ძვ. ბერძნული - χρύσεος, χρυσιύς];

იისფერი **λουλακίν χρώμα** (ლულაკინხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - λιλά] - λουλακτο (საკ. პონტ.);

მუქი - **σκούρο χρώμα** (სკუროხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - σκούρος) (იტალ. oscuro, ლათ. obskurus)];

ცისფერი - **συρανήν χρώμα** (ურანიხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - γαλάζιος, γαλανός];

მაგრამ: ალუბლისფერი - **βυσινίχρώμα** (ვისინიხრომა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - βυσσινίχρώμα, βυσσινής, ძვ. ბერძნული - βυσσινύς];

არ დაირთავს სუფიქსს:

ნესტიანი - **έχομε σίριστ** (ეხომე სიროსც) (პონტ.) (სპეციფ. რუს.), [ახ. ბერძნული - κάνει σγρασία (კანიგრასია), ძვ. ბერძნული - ἡ ἰγρασία (ი იგრასია)].

პონტოურისთვის დამახასიათებელია მიმღობა, განსაკუთრებით გავრცელებულია ვნებითი გვარის მიმღობის ფორმები და თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, ხშირად ზედსართავი სახელის მნიშვნელობით იხმარება.

Μ-εν-ος / η / α / μ-εν-τδα:

დაკეტილი - **κλειδαμένιος** (კლიდომენოს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - κλειδαμένιος, κλειστός (კლიდომენოს, კლისტოს), ძვ. ბერძნული - κληϊστός (კლისტოს)];

დაძაბული - σφιγμένος (სფიღმენოს)(პონტ.), [ახ. ბერძნული - τεταμένος (ტეტამენოს), σφιγμένος (σφίγγα) (სფიღმენოს), ძვ. ბერძნული - σφίγγα (სფიღო)];

დაჩეხილი - ψιλοκομένος (ფილოკომენოს)(პონტ.), [ახ. ბერძნული - κομμένος (კომენოს) (κόβω), ძვ. ბერძნული - κόπτω (კოპტო)];

დახურული - [sh]κερασμένος (შკეპასმენოს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - σκερασμένος (სკეპასმენოს), ძვ. ბერძნული - σκεπάζω (სკეპაზო)];

გახარებული - χαρμένος (ხარემენოს)(პონტ.), [ახ. ბერძნული - χαρούμενος (ხარუმენოს), ძვ. ბერძნული - χαίρομαι (ხერომე)];

გაღიმებული - χαμογελαστός (ხამოღელასტოს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - χαμογελώ (ხამოღელო), ძვ. ბერძნული - μείδω, τὸ μείδημα (მიდაო, ტო მიდემა)];

განქორწინებული - χαρισμ-έν-ος, χαρισμ-έν-τζαγარიν, ανδρισμ-έν-τζაკენ (ხორისმენოს, ხორისმენძაღარინ, ანდრისმენძაკევ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - χαρισμένος/χαρισμένη, შუასაუკუნეების ბერძნულის ფორმიდან χαρισμός - გაყრა, დაშორება];

μ-εν-τბა - სუფიქსი პონტოური კილოს თავისებურებაა და არც ახალ და არც ძველ ბერძნულში არ აწარმოებს ზედსართავ სახელს.

μενον/σεν :

დაშაქრული - ζαχάρισεν, (ზახაროსენ) ζαχαρισμένος (ზახარომენონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ζαχαρμένος (ზახარომენოს)];

დაწინწკლული - κουκουτσίν (კუკუცლინ)(პონტ.), [ახ. ბერძნული - πιτσισμένος (πιτσιστός)(პიცისმენოს), κηλιδαμένος (კილიდომენოს), ძვ. ბერძნული - κηλιδάω (კილიდო)];

ზედსართავი სახელების ხარისხის წარმოება

ბერძნული ენისთვის დამახასიათებელია ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოების რამდენიმე ტიპი, კერძოდ, სუფიქსების დართვით აწარმოებს ხარისხს (დადებითი, შედარებითი, აღმატებითი), ახასიათებს სუპლექტური, დეფექტური, აღწერილობითი წარმოება (იხ. გორდეზიანი, 2001; ტრიანდაფილიდისი, 1999; ურუშაძე, 1987).

ზედსართავი სახელების ხარისხს პონტოურში სუფიქსები არ აწარმოებს. პონტოური ძირითადად მიმართავს აღწერით წარმოებას და ხარისხის საწარმოებლად გამოიყენებს დამხმარე სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულია ძველი და თანამედროვე ბერძნულისგან (ძველი ბერძნული გამოიყენებს ზმნიზედას **μάλα**, შედარებით ხარისხის საწარმოებლად **μάλλον** (უფრო), ახალი ბერძნული **πιο** (<πλιό<πλί<πλέ<ძვ. ბერძ. πλέον), ხოლო აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად **μάλιστα** (ძალიან)-ძვ. ბერძ., **οπισο** -ახ. ბერძ.).

წინდებული -**αξ**:

Ανούτος **αξ** εσέν καλός εν (ავუტოს ას ესენ კალოს ენ) - ის უფრო კარგია, ვიდრე შენ (ბერძენიშვილი..., 1990:163).

Μικρόν - **κι άλλο** μικρός - **πόλλα** μικρός/[**ch**]ιπ μικρόν (მიკრონ კი ალო მიკროს, პოლა მიკროს) - პატარა, უფრო პატარა, ძალიან პატარა;

Χαρουμένον - **κι άλλο** χαρουμένος - **πόλλα** χαρουμένος (ხარუმენონ, კი ალო ხარუმენოს, პოლა ხარუმენოს) - ბედნიერი (გახარებული), უფრო ბედნიერი;

სოფ. საჩინოში ხარისხის წარმოების ამგვარ ფორმებს იყენებენ, როგორცაა:

τράνονε (ტრანონე) - დიდი, **κε άλλο** τράνον (კე ალო ტრანონ) - მოდილო, [**ch**]ιπ τράνο (ჩიპ ტრანო) - უდიდესი;

τυχερόν (ტიხერონ) - იღბლიანი, **κε άλλο** τυχερός - უფრო იღბლიანი, [**ch**]ιπ τυχερός (ჩიპ ტიხეროს) - ძალიან იღბლიანი;

εν **ch**ιπ όμορφος - (ენ ჩიპ ომორფოს) - ძალიან ლამაზია;

რისამე ნაკლები ხარისხის გამოსახატავად ზედსართავს უმატებენ **ολιγόν** ფორმას:

ασπρον (ასპრონ) - თეთრი, **ολιγόν** άσπρος (ოლილონ ასპროს) - მოთეთრო (ნაკლებად თეთრი), **πόλλα** άσπρος (პოლა ასპროს) - ძალიან თეთრი;

κάλον (კალონ) -კარგი, **ολιγόν** κάλο (ოლილონ კალო) - ნაკლებად კარგი - [**ch**]ιπ κάλον (ჩიპ კალონ) - ძალიან კარგი;

პონტოურში არ დასტურდება ხარისხის არაწესიერი წარმოება, რომელიც შეინიშნება ძველ ბერძნულ ენაში (ბერძენიშვილი..., 1990: 163).

ჩანს, პონტოურ ბერძნულში ზედსართავი სახელები წარმოების განსაკუთრებულ მოდელს აჩვენებს, რაც არც ძველი და არც თანამედროვე ბერძნულისთვის არ არის დამახასიათებელი.

1.3 რიცხვითი სახელი

ბერძნულ ენაში რიცხვითი სახელის კლასიფიკაციისას, გარდა რაოდენობითი და რიგობითის, გამოყოფენ წილობით, ჯერობით და კრებით რიცხვით სახელებსაც.

პონტოურში რაოდენობით სახელებზე სუფიქსის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორცაა:

Τρία (ტრია) - სამი – τρίτον (ტრიტონ) - მესამე;

Πέντε (პენდე) - ხუთი - πέμπτον (პემპტონ) - მეხუთე;

რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან **αρία/αδα** დაბოლოებების დართვით იწარმოება ე.წ. კრებითი რიცხვითი სახელები, როგორცაა, მაგ.: δεκα**αρία**, τετρα**δα** და მისთ. პონტოურში გავრცელებულია **-αρ**, **-ορ** სუფიქსებით ნაწარმოები რიცხვითი სახელები, რომლებსაც ქართულში შეესაბამება **იან** სუფიქსიანები, ასეთებია: **ενα>εναρ** -(ენა>ენარ) -ერთიანი, **διο>διαρ/διορ** (დიო>დიარ) - ორიანი, მრავლობითი რიცხვის შესაბამისი სუფიქსებია - **αρα**, **ορα** – **διορα** (დიორა), **τριόρα** (ტრიორა), **τεσάρα** (ტესარა) და მისთ., (ბერძენიშვილი..., 1990:167).

რიცხვით სახელთა მსგავსი წარმოება აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაშიც გვხვდება:

მაგ: **καλά οικοσ-άρ-α** (კალა იკოსარა) - ოციანი;

να πλιρο την οικοσ-άρ-αν χρήματα (ნა პლირო ტინ იკოსარან ხრიმატა)- გადავიხდი ოციანს);

οικοσ-არ-α δεν το κουμπαρο (იკოსარა დენ ტო კუმბარო);

გარდა აღნიშნული სუფიქსებისა, გამოიყენება **λοιά**, როგორცაა, მაგალითად:

ενάλοιό (ენა ლოიო) - ერთიანი, **διολοια** (დიო ლოია) - ორიანი, **πεντελοιά** - ხუთიანი (სოფ. აჭყვა).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ოცი** ბერძნულად გამოითქმის -οικοσι (ოიკოსი) - **ოცი**, პონტოურში ფონეტიკური ცვლილების შედეგად გვხვდება -**იკოსა/იკო[sh]α** (იკოსა/იკოშა), **τετρακοσά/ια/τετρακο[sh]ά** (ტეტრაკოსია/ ტეტრაკოშა).

მსგავსი ფორმები ოცობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას:

ίκο[sh]α γράμια (იკოშა ღრამია) - ოცი გრამი;

τετρακο[sh]ά γράμια ζάχαρι (ტეტრაკოშა ღრამარა ზახარი) - ხუთასი გრამი შაქარი;

მაგრამ: **διάκοσα** χρόνια έρχουσιν εδι (დიაკოსა ხრონია ერხუსან ედო) - მოვიდნენ უკვე ორასი წელია;

შეგვხვდა ოცობითი რიცხვითი სახელის ასეთი წარმოებაც:

Ακό[sh]ια σεράνδα ένεα κε μετά στο βατούμι (აკოშა სერანდა ენეა კე მეტა სტო ბატუმი) - ას ორმოცდაცხრაში..ბათუმში.

ასეულების აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას დასტურდება პარალელური ფორმები **შ||ხ||ჰ** ფონემების მონაცვლეობით სიტყვის დასასწყისსა და ბოლოში:

Χιλια ενδακόσια ενενινδά μετά πολς έφυγαν στην ελάδα (ხილია ენდაკოსია ენენინდა მეტა პოლი ეფიგან სტინ ელადა) - ათას ცხრაას ოთხმოცდაათ წელს ბევრი წავიდა საბერძნეთში;

Διο χιλιάδες έφτας χρόνια (დიო ხილიადეს ეფტას ხრონია) - ორი ათას შვიდი წელი;

χ[ჰ]ιλια οκτακόσιαε αδομινδά χρόνια (ჰილია ოკტაკოსიაე ოდომინდა ხრონია)- ათას რვაას ოთხმოცი წელი;

1.4. ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი მეტყველების ნაწილია, რომელიც სხვა სახელის, უპირატესად არსებითი და ზედსართავი სახელის მაგივრობას ეწევა. ნაცვალსახელის სახელდებაც ამას უკავშირდება (αντι+οσιμα-οσιμα) (ურუშაძე, 1987:117).

ძველ ბერძნულთან შედარებით, თანამედროვე ბერძნულში ნაცვალსახელი არსებით ტრანსფორმაციას განიცდის. პონტოური, ნაცვალსახელების წარმოების

თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, უფრო ახლოს დგას თანამედროვე ბერძნულთან, თუმცა გარკვეულ თავისებურებებს ამ მხრივაც ავლენს.

ბრუნებისას, როგორც ძველი, ასევე ახალი ბერძნულისთვის დამახასიათებელია ე.წ. სუპლექტივიზმი, როდესაც პირველი პირის სახელობითი ბრუნვის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა სხვა ბრუნვებში ფუძეს იცვლის. ეს მოვლენა პონტოურისთვისაც დამახასიათებელია.

პირველი პირის ნაცვალსახელება: -εγώ/ογώ – εμείς (ეგო/ოგო-მე, ემის-ჩვენ), მეორე პირის ნაცვალსახელება: εσύ – εσείς /εκεῖν (ესი-შენ - ესის/ეკინ-თქვენ) და მესამე პირის ნაცვალსახელები ფონეტიკური სახეცვლილებით გვხვდება - αὐτός/αυτός/αυτοῦ/αυτοῦ და ἐκεῖνος-ἐκεῖν (ავტოს/ავტოს/ავუტო/ავოტო/ეკინოს-ის, ისინი). (αὐτός -ახალ ბერძნულში ასრულებს ჩვენებითისა და მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციას, მაშინ როცა ძველ ბერძნულში იგი განსაზღვრებითად ითვლებოდა (გორდეზიანი, 2001:95), მისი ფონეტიკური ვარიანტები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება:

αὐτά είναι παλιγὰς (ავტა ინე პალიგას);

αὐτότο εχθι (ავუტო ეხო);

αὐτοῦε chichak φιλο, αὐτοῦεν νιαχουρι (ავოტოე ჩიჩაკ ფილო, ავოტოენ ნიახური)- ეს არის ყვავილის ფოთოლი, ეს არის ნიახური (კვირიკე).

ძველი ბერძნული იონური დიალექტი იყენებდა მესამე პირის ნაცვალსახელებს σφεῖς, σφέα. მის ნაცვლად ატიკურ დიალექტში გამოიყენებოდა განსაზღვრებითი ნაცვალსახელის - αὐτός ირიბ ბრუნვათა ფორმები და ჩვენებითი ნაცვალსახელები: ἐκεῖνος, οὗτος, ὅδε. თანამედროვე ბერძნულში მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს αὐτός, αὐτή, αὐτό (გორდეზიანი, 2001:94).

აღსანიშნავია, რომ პონტოური მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოიყენებს ჩვენებით ნაცვალსახელს (ἐκεῖνος - ἐκεῖν) ისევე, როგორც ატიკური დიალექტი:

მაგ.: ἐκεῖνος ἐτά - ის იყო, ἐκεῖν ἐσαν - ისინი იყვნენ.

ἐκεῖν ἐσαν πεντένοματ - ისინი ხუთნი იყვნენ.

პირის ნაცვალსახელები პონტოურში შემდეგნაირად იბრუნება:

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
-------------------	-------------------

Όνομ. – εγώ/ογώ (ელო/ოლო)	έμεις (ემის)
---------------------------	--------------

Γεν. – έμεν (ემენ)	έμας (ემას)
--------------------	-------------

Αιτ. – έμεν (ემენ)	έμας (ემას)
--------------------	-------------

Κλητ.

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
-------------------	-------------------

Όνομ. – εσύ (ესი)	εσείς (ესის)
-------------------	--------------

Γεν. – εσέν (ესენ)	εσάς (ესას)
--------------------	-------------

Αιτ. – εσέν (ესენ)	εσάς (ესას)
--------------------	-------------

Κλητ.

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
-------------------	-------------------

Όνομ. – ατός/έ/ό	ατοίν/ατέντς/ατά
------------------	------------------

Γεν. –ατόν/έν/ό	ατοίντς
-----------------	---------

Αιτ. -ατόν/έν/ό	ατοίντς
-----------------	---------

Κλητ.

მაგ.: **εσεν** κι **θέλω** (ესენ კი თელო) - **შენ** არ მჭირდენი; **ατός** εν κλέφτες (ატოს ენ კლეფტე) - **ის** არის ქურდი, **ατό** εν καλόν (ატო ენ კალონ) - **ის** არის კარგი, **ατέ** εν μικρέσα (ატე ენ მიკრესა) - **ის** არის პატარა (კვირიკე).

ჩვენებითი ნაცვალსახელები:

1. ατός/ατέ/ατό (მაგ.: ατός ο κύριος...ეს ბატონი);
2. αβούτος, αβούτε, αβούτο (αβούτο εν χιχιάκ φιλο, αβούτο εν νιαχούρι - ეს არის აყვავილის ფოთოლი, ეს არის ნიახური);
3. εκείνος, εκείνε, εκείνο (ის, იგი);
4. αήκος, αήκσα, αήκον (ასეთი) (κι είνε αήκα παιδία) -არ არიან ასეთი ბავშვები;
5. ατόσον, ατόσα, ατόσων (ამდენი, ისეთი);

ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება

მხოლოებითი რიცხვი

Όνομ. αβουτός/ε/ο (ავუტოს/ე/ო) / εκείνος/ε/ο (ეკინოს/ე/ო)

Γεν. ταβουτουςού /νες/τανουτου (ტავუტუნუ/ნეს/უ)

Αιτ. αβουτόν/εν/ο (ავუტონ/ენ/ო)

Κλητ.

მრავლობითი რიცხვი

Όνομ. αβουτέ/ανουτό/εκείν (ავუტე/ავუტო/ეკინ)

Γεν. ταβουτινές/ταβουτού (ტავუტინეს/ტავუტუ)

Αιτ. αβουτέν/αβουτού (ავუტენ/ავუტუ)

მრავლობითი რიცხვი (მდ. და მამრ. სქ.)

(საშ.სქ.)

Όνομ. αβουτήν (ავუტინ)

αβουτά (ავუტა)

Γεν. ταβουτινητερά (ტავუტინიტერა)

ταβουτινετερά (ტავუტინიტერა)

Αιτ. - ταβουτονεδιόν (ტავუტონედიონ)

ταβουτινετερά (ტავუტინეტერა)

Κλητ.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

კუთვნილებით ნაცვალსახელებად პონტოურში აქტიურად გამოიყენება პირის ნაცვალსახელის სუსტი ტიპი ნათესაობით ბრუნვაში: **μ** (αντρασίμ/γარიμ - ჩემი მეუღლე) მეუღლე - άντρας/γάριν, αντρασίμ/γარიμ (ჩემი მეუღლე). (γυναίκίζα - დაქორწინება (მამაკაცზე ამბობენ), αντριζα - დაქორწინება (ქალზე ამბობენ) [ახ. ბერძნული - ο/η σύζυγος, ძვ. ბერძნული - ὁ σύζυγος].

ცოლის ძმა - τη γάρισιμ αδελφός (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο γυναικάδελφος];

τεμόν (ტემონ) (მხ.რ.), **τεμά** (ტემა) (მრ.რ.) - ჩემი საკუთარი;

მაგ.: **τεμόν** ο πατέρας - ჩემი მამა, მაგრამ πατεραμ - მამაჩემი.

τεσόν (ტესონ) (მხ.რ.) - **τεσά** (ტესა) (მრ.რ.) - შენი საკუთარი;

το δάχιλο (ტო დახტილო) - თითი, το δάχιλομ (ტო დახტილომ) - ჩემი თითი;

τα δάχιλαμ - (ტა დახტილამ) - ჩემი თითები;

τη' κοριτσιμ άνδρας (ტი კორიციმ ანდრას) - ჩემი გოგოს ქმარია;

ταπουνοῦ (მისი საკუთარი - მხ.რ. მამრობითი სქესი);

ταπινέζ (მისი საკუთარი, მხ.რ. მდედრობითი სქესი);

τέμον (ტემონ) - τεμετερά (ტემეტერა) - ჩემი - თქვენი;

τέσον (ტესონ) - τεσετερόν (ტესეტერონ) - შენი, თქვენი;

τέκινου (ტეკინუ) – τεκινετερόν/ταπινέτερον (ტეკინეტერონ) -მისი-მათი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვალსახელების წარმოების თვალსაზრისით პონტოური ბევრ არქაულ ელემენტს ინარჩუნებს, რომელიც თანამედროვე ბერძნულში აღარ გვხვდება. მოყვანილი კუთვნილებითი ნაცვალსახელები ისევე იწარმოება, როგორც ძველი ბერძნულისთვის არის დამახასიათებელი. აღვნიშნავთ, რომ -μ კუთვნილების აღსანიშნავად თურქულ ენასაც ახასიათებს (იხ. წიკლაური 2014:32). პონტოელ ბერძნებთან სიტყვის ბოლოს გამოიყენებული -მ ფონემები, რაც კუთვნილებას გამოხატავს, შესაძლოა თურქული ენის გავლენის შედეგად იყოს, როგორცაა: καρδιά-μ (კარდიამ) (პონტ) - გული..

აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძნულში საკუთრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარდა, კუთვნილებითის ფუნქციით პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიც გამოიყენებოდა, ანუ პარალელურად გვხვდებოდა ფორმები: ο εμός φίλος/ο φίλος μου, პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შემორჩა ახალ ბერძნულს. პონტოურში, კი, პარალელურად ორივე ფორმა გვხვდება τ'εμον η μάνα (ტემონ ი მამა) / η μάνα μου (ი მამა მუ) - ჩემი დედა/დედაჩემი.

კითხვითი ნაცვალსახელები:

ντο (დო) - რა (არ იბრუნვის).

ντο άραν έρται (დო ორან ერტე)-რა დროს მოდიხარ?

ντο θα φταμε (დო ნა ფტამე) - რა გავაკეთოთ?

Ποίος (ვინ? მამრ. სქ. მხ. რიცხვი), ποίεσα (ვინ? მდედ. სქ. მხ. რ.) ποίον (ვინ? საშ. სქ. მხ. რ.), τίναν (ვის? მამრ. ს. მხ. რ.), ποίεσαν (ვის? მდედ. ს. მხ. რ.), ποίον? (ვის? საშ. სქ. მხ. რ.), τίνοσ/τίων (ვისი? მხ. რ. /მრ. რ. - კუთვნილების აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელები, რომლებიც პონტოურში შემოვიდა ძველი ბერძნული ფორმით),

ποιόσατους (ვინ? მამრ. სქ. მრ. რ.), ποίσαστε (ვინ? მდედ. სქ. მრ. რ.), ποία (ვინ? საშ. სქ. მრ. რ.).

მაგ. Τίνας εν το χαραάφ - ვისია ყანა/მინდონი?

-**πας, πιος (პიოს), πισον (პოსონ), πιον (პიონ)**, გარდა აღნიშნული კითხვითი ნაცვალსახელებისა, პონტოურში გვხვდება **ვისი?, რისი?** კუთვნილების აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელები, რომლებიც პონტოურში შემორჩა ძველი ფორმით - **τίνας (ტინოს)**, მას ახალ ბერძნულში სხვა პარალელური ფორმები შეესატყვისება - **πιανού, πιανής** (პიანუ, პიანის) (ბერძენიშვილი..., 1990:165).

ვისი?-τίνας (ტინოს)?

ვინ? რისი? – πίος (პიოს)?

რა?-δισεν (დოენ)?

როგორი?-δαγνον (დაღნონ)? (სოფ. საჩინო).

მიმართებითი ნაცვალსახელები: οτι, οπιος (ოტი, ოპიოს) - რაც, რომელიც. მიმართებით ნაცვალსახელად მიიჩნევა **-დი (νδι)**, რომელსაც კითხვით ნაცვალსახელადაც თვლიან (ბერძენიშვილი..., 1990:165). -ντο (γ)ινετε - რაც მოხდება..

პონტოურში ხშირად გამოიყენება **განსაზღვრებითი ნაცვალსახელები αλος (ალოს) - სხვა, ολα (ოლა) - ყველა, καθα/καθε (კათე) - ყოველთვის, ხოლო განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად გვხვდება - ενας (ენას) - ერთი, καπιος (კაპიოს) - რომელიმე..;**

უარყოფითი ნაცვალსახელებია: Κάνεις, τίθεν, τίποτα, δενπα/δεντα-არაფერი, ვერაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცვალსახელი თანამედროვე ბერძნულში ძველთან მიმართებით ტრანსფორმირებულია და, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ პონტოურში დადასტურებული ნაცვალსახელები უფრო ახლოს დგას ახალ ბერძნულთან, ამ უკანასკნელს მაინც ბევრი ელემენტი აქვს შემონახული ძველი ბერძნულის. განსაკუთრებით, ეს ითქმის კუთვნილებით ნაცვალსახელებზე. ისევე როგორც ძველ და თანამედროვე ბერძნულში, პონტოურისთვისაც სუპლეტური წარმოებაა დამახასიათებელი. იგი ავლენს ასევე ატიკური დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებას.

1.5. ზმნა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია პონტოური ზმნის ერთი განსაკუთრებული თავისებურების შესახებ, რომელიც ამ დიალექტისთვის სპეციფიკური ჩანს. მასზე ჯერ კიდევ ე. ლაზარევი მიუთითებდა, როცა მსჯელობდა პონტოური ზმნის მრავალპირიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ზმნის მრავალპირიანობა, როგორც ენობრივი მოვლენა, უცხოა თანამედროვე სალიტერატურო და ძველი ბერძნული ენისთვისაც. პონტოურში შესაძლებლად მიაჩნიათ ერთ, ორ და სამპირიანი ზმნების ფორმათა არსებობა, რაც მიიღება ზმნისა და აკუსატივის ფორმით პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწილის შეხორცების ნიადაგზე, როგორცაა, მაგალითად:

περα (პერო) (ელო - ვიღებ მე) - ზმნა ერთპირიანია, περασε (პეროსე) (ელო-ესენ - მე შენ ვიღებ), περας (პერც) (ესი-იღებ), περασε (პერსმე) (ესი ემენ-შენ მე მიღებ) - ორპირიანი ზმნები და περασα (პეროსა) (ელო, ესენ ატო - მე შენ მას ვიღებ) - ზმნა სამპირიანია (იხ. ბერძენიშვილი..., 1990:168).

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში მრავალპირიანობა შემდეგნაირად გამოიხატა:

πουλίετε (პულიეტე) - იყიდება;

Α πουλάω το σπίτι (ა პულაო ტო სპიტი) - ვყიდი მე სახლს;

Εγόραζα (ელორაზა) - ვიყიდე;

χτιζω (ხტიზო) - ვიშენებ;

ογώ χτιζω γεία μένα (ოლო ხტიზო ია მენა) - ვიშენებ ჩემთვის;

χτίετε (ხტიეტე) - სახლი შენდება;

Εγώ θα χτιζω (ელო სა ხტიზო) - ვუშენებ მე ჩემ შვილს სახლს;

Εβγάλοσεν φωτογραφία (ევგალოსენ ფოტოლრაფიან) - გიღებ სურათს;

εβγάλ[τζ]μεν φωτογραφία (ევგალმმენ ფოტოლრაფია) - შენ მე მიღებ;

ψέ[sh]κετε φαγην (ფსემკეტე ფაინ) - საჭმელი მზადდება;

Εγώ ψένω φαή (ელო ფსენო ფაი) - ვამზადებ;

Ψένω φαή γεία το παιδί (ფსენო ფაი (იგივეა) ან ია ტო პედინ (შვილისთვის ვამზადებ) - ვუამზადებ საჭმელს შვილს;

Εσς έμεν ψέν[τς]μεν φάη (ესი (ემენ) ფსენძმენ ფაი) -მიმზადებ შენ მე საჭმელს;

γράφετε (ლრაფკეტე) - წერილი იწერება;

Εγς γράφω (ელო ღრაფტო) - მე ვწერ;

Εγς γράφω γράμα (ელო ღრაფტო ღრამა) - მე ვუწერ;

Εσς έμεν γράφω (ესი ემენ ღრაფც ღრამან) - შენ მე მიწერ;

პონტოურ დიალექტში ზმნის მრავალპირიანობა ქართული ენის გავლენით აიხსნება.

პონტოურ ზმნურ ფორმებს შემდეგი დროების მნიშვნელობა აქვთ: აწმყო (πλένω), იმპერფექტი (έπληνω), აორისტი (έπλησα). აწარმოებს მომავალ დროს (σα πληνω).

პონტოურში გვხვდება დამხმარე ზმნები: **πρεπ κε στεκο, ε[sh]κε...**რომლებიც უღლებისას ფორმაუცვლელია. თავისებურად იუღლება -ვარ (ειμαι) და -Eχω- მაქვს ზმნები:

აწმყო

έχω (მხ.რ.) (ეხო) - მაქვს

έχομε/εχομε (მრ.რ.) (ეხუმე/ეხომე) - გვაქვს

είς (ეის) - გაქვს

έ[sh]ετε (ეშეტე) - გაქვთ

έ[sh] (ეშ) - აქვს

έχνε (ეხნე) - აქვთ

იმპერფექტუმი

είχα (მხ.რ.) (იხა) - მქონდა

είχαμε (მრ.რ.) (იხამე) - გვქონდა

εί[sh]ες (იშეს) - გქონდა

εί[sh]ετε (იშეტე) - გქონდათ

εί[sh]εν (იშენ) - ჰქონდა

είχαν(ε) (იხან(ე)) - ჰქონდათ

მყოფალი

θα έχω (სა ეხო)-მექნება

θα έχομε (სა ეხომე) - გვექნება

θα είς (სა ეის)-გვექნება

θα έ[sh]ετε (სა ეშეტე) - გვექნებათ

ά[sh]/θα έ[sh] (აეშ/ სა ეშ) - ექნება

θα έχνε (სა ეხნე) - ექნებათ

აწმყო

είμαι (იმე) - ვართ

είμες (ემის) - ვართ

είσαι (ისე) - ხართ

είσεν/ίδνε/είστουσ (ისნენ/იზნე) - ხართ

εν/άεν (ენ/აენ) - არის

είνε (ინე) - არიან

იმპერფექტი

εμ (ემ)/έμνε (ემნე) - ვიყავი

είμεε/έμνεε (იმეს/ემენ) - ვიყავით

ες (ეს)/έσνε (ესნე) - იყავი

εσνε(ν)/έδνε/ εστουνε (ესნე/ედნე) - იყავით

ετον/ετιν (ეტონ/ეტინ) - იყო

έταν/έσαν (ეტან/ესან) - იყვნენ

მყოფალი

θα είμε (სა იმი) - ვიქნები

θα είμεε (სა იმეს) - ვიქნებით

θα είσε (სა ისე) - იქნებიან

θα είσνε/είστου/θα ίζνε (სა იზნე) - იქნებით

θα εν (სა ენ)- იქნება

θα είν (სა ინ) - იქნებიან

εφταω (არაწესიერი ზმნა)

აწმყო

εφτάω (ეფტაო) - ვაკეთებ

εφτάμε (ეფტამე) - ვაკეთებთ

εφτάς (ეფტას) - აკეთებ

εφτάτεν (ეფტატენ) - აკეთებთ

εφτά/εφτάει (ეფტაი) - აკეთებს

εφτάνε (ეფტანე) - აკეთებენ

იმპერფექტუმი

έφτανα (ეფტანა) - ვაკეთებდი

εφτάναμε (ეფტანამე) - ვაკეთებდით

έφτανες (ეფტანეს) - აკეთებდი

εφτάνετε (ეფტანეტე) - აკეთებდით

έφτανεν (ეფტანენ) - აკეთებდა

εφτάναν (ეფტანან) - აკეთებდნენ

აორისტი

έπηκα (ეპიკა) - გავაკეთე

επήκαμε (ეპიკამე) - გავაკეთეთ

έπηκες (ეპიკეს) - გააკეთე

επήκατε (ეპიკეტენ) - გააკეთეთ

έπηκεν (ეპიკენ) - გააკეთეს

επήκανε (ეპიკანე) - გააკეთეს

მყოფალისა და კავშირებითი კილოს ფორმები: θα/να εφτάω

σκανω

აწმყო (მოქმედებითი გვარი)

იმპერფექტუმი

σκάω (მხ.რ.) - ვიღებ

έσκανα (მხ.რ.) - ვიღებდი

σκάντε (სკონტე) - იღებ

έσκανες (ესკონეს) - იღებდი

σκαν (სკონ) - იღებს

σκανοιμε (მრ.რ.) (სკონომე) - ვიღებთ

σκάνετε (სკონეტე) - იღებთ

σκάνει (სკონე) - იღებენ

აორისტი

έσκασα (ესკოსა) (მხ.რ.) - ავიღე

έσκασαε (ესკოსეს) - აიღე

έσκασαεν (ესკოსენ) - აიღო

έσκασαμε (ესკოსამე) (მრ.რ.)- ავიღეთ

έσκασατε (ესკოსეტე) - აიღეთ

έσκασαν (ესკოსან) - აიღეს

აწმყო (ვნებთი გვარი)

σκιόμαι (სკუმე) (მხ.რ.) - ვდგები

σκίπσαι (სკუსე) - დგები

σκίπται (სკუტე) - დგება

σκιόμεε (სკუმეს) (მრ.რ.) - ვდგებით

σκίπστε (სკუსტე) - დგებით

σκίπταν (სკუნტან) - დგებიან

იმპერფექტუმი

εσκιόμυε (ესკუმნე) (მხ.რ.) - ვდგებოდი

εσκιόσυε (ესკუსნე) - დგებოდი

εσκιόπουεν (ესკუტუნ) - დგებოდა

εσκιόμυεε (ესკუმნეს) - ვდგებოდით

εσκιόσπουεν (ესკუსტონ) - დგებოდით

εσκιόπταν (ესკუნტან) - დგებოდნენ

έσκασεν (ესკონენ) - იღებდა

έσκασαμε (მრ.რ.) (ესკონამე) - ვიღებდით

έσκασετε (ესკონეტე) - იღებდით

έσκοναν (ესკონან) - იღებდნენ

აორისტი

εσκάμθαι (ესკოთა) (მრ.რ.) - ავდექი

εσκάμθεε (ესკოთეს) - ავდექი

εσκάμθεν (ესკოთენ) - ადგა

εσκάμამე (ესკოთანე) - ავდექით

εσκάμθετε (ესკოთეტე) - ავდექით

εσκάμαν (ესკოთან) - ადგნენ

1.6. ზმნიზედა

ძველ ბერძნულში ზმნიზედის სამ ჯგუფს გამოყოფენ (ადგილის, დროის, ვითარების). თანამედროვე ბერძნულში დამატებით რაოდენობის, მტკიცების და უარყოფის (ყოყმანის) ზმნიზედათა ჯგუფები გამოიყოფა (გორდეზიანი, 2001:85).

პონტოურში გავრცელებული ზმნიზედები საკმაოდ პროდუქტიულია. ძირითადად გავრცელებულია ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის გამომხატველი ზმნიზედები. უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურში ზმნიზედები ძველ და თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით გარკვეულ თავისებურებებს ავლენს.

ადგილის ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე που (სად?):

აქ - ἀδικά (ადაკა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - εδω - ნაწარმოებია ძველი ბერძნული ἄδω-დან), ძვ. ბერძნული - ἐνταῦθα, δεῦρο];

აქეთ-იქით - ἀδὰ καὶ ἀποκεῖ (ადა კე აპოკეი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ἀπόδω καὶ ἀποκεῖ (აპოდო კი აპოკეი)];

ახლო, ახლოს - σὺμα, κοντά (სუმა, კონდა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - κοντά (კონდა), ძვ. ბერძნული - ἐγγύς (ენგის), παρά (პარა)];

იქით - ἀκές/μακρῖα (აკეს/მაკრია) (ἐνέαρα[sh]ῖα μακρῖα)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - πρὸς τὰ ἐκεῖ (პროს ტა ეკეი), ძვ. ბერძნული - ἐκεῖ, ἐκεῖσε (ეკეი, ეკისე)];

გარეთ - οκ[sh]οκὰ, οκ[sh]οκὰ (ოკშოკა, ოკშუკა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ἔξω (ექსო), ძვ. ბერძნული - ἔξω (ექსო)];

იქ - ἐκικὰ (ეკიკა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ἐκεῖ (ეკეი), ძვ. ბერძნული - ἐκεῖ (ეკეი)];

იქიდან - ἀποκεῖ (აპოკეი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ἀπὸ ἐκεῖ (აპოეკეი), ძვ. ბერძნული - ἐκεῖθεν (ეკითენ)];

მარცხნივ - ζεσρά (ზევრა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ἀριστερά (არისტერა)];

მარჯვნივ - δεξιά (დექსია) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - δεξιά];

მაღლა, ზემოთ - ἀπάν (აპან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ψιλὰ, πάνω (ფსილა, პანო), ძვ. ბერძნული - σψηλα (იფსილა)];

პირდაპირ, წინ - ἰσάμο μπισοστάμ (ისამო ბროსტამ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - μπισοστά (ბროსტა), ძვ. ბერძნული - ἐμπῆς, πρὸσθεν (ბროსთენ)];

უკან - οπίς (ოპის) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - πίσω (პისო), ძვ. ბერძნული - ὀπισθε ὀπισთე)];

ქვემოთ - αφκά (აფკა) - (მაგიდის ქვეშ) - (στο τραπέζι αφκά) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - κάτω (კატო)];

ყირამალა - οξοπίς (ოქსოპის) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ανάποδα (ანაპოდა)];

შიგნით απές (აპეს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - μέσα (მესა)];

შორის - ανάμεσα (ანამესა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ανάμεσα, μεταξύ, ძვ. ბერძნული - ἀνάμεσα];

შუა - σιμέσιν (სიმესინ)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - μέσα, ανάμεσα (მესა, ანამესა), ძვ. ბერძნული - ἀνάμεσα (ანამესოს)];

მიმართებითი ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე αποθεν (აპოთენ) (საიდან?):

დაბლიდან - αποφκακίαν (აპოფკაკიან) - [ახ. ბერძნული - από κάτω (აპოკატო), ძვ. ბერძნული - κάτωθεν (კატოთენ)];

შორიდან - απόμακρά (აპომაკრა) - [ახ. ბერძნული - απόμακρὰ (აპომაკრია)];

ზევიდან - απόκατάν (აპოკატან) - [ახ. ბერძნული - από το επάνω (აპოტოეპანო)];

საიდან - Απόθεν (აპოთენ) - [ახ. ბერძნული - από που (აპო პუ); ძვ. ბერძნული - ἄποθεν (აპოთენ)];

უკანიდან - ἀπ'οπίς (აპოპის) - [ახ. ბერძნული - από πίσω (აპოპისო)];

ქვემიდან - ἀπο'φκά (აპოფკა) - [ახ. ბერძნული - από κάτω (აპოკატო)];

მაღლიდან - απόπαν (აპოპან) - [ახ. ბერძნული - από πάνω (აპოპანო)];

მეორე მხრიდან, მეორე მხარეს - εκεί σο μέρος/επεκεί σο μέρος (ეკი სო მეროს)[ახ. ბერძნული - από την άλλη πλευρά (აპო ტინ ალი პლეერა), ძვ. ბერძნული - τὸ μέρος (ტო მეროს)];

დროის ზმნიზედების კითხვაა ποτε? - (როდის?).

ადრე, დილაადრიან - πρώπρω (პროიპროი)[ახ. ბერძნული - πρώπρω, ძვ. ბერძნული - πρῶν (პროი)];

ამალამ - το βραδύ (ტო ვრადი) - [ახ. ბერძნული - ἀπόψε (აპოფსე), ძვ. ბერძნული - τῆδε τῆ νυκτι (ტი ნიკტი)];

ამასწინათ - σαβούτα τα ημέρας (სავუტა ტა იმერას) [ახ. ბერძნული - προσφάτως, πρὸσφατα, τελευταία (პროსფატოს), ძვ. ბერძნული - προσφατός];

ამიერიდან - ασαβούτον τον καιρόν (ასავუტონ ტონ კერონ) - [ახ. ბერძნული - απόσήμερα, από τώρα και στο εξής (აპო ტორა კე სტო ექსის)];

ამჟამად, ახლავე, ახლახან - αβούτο το λεπτόν (ავუტო ტო ლეპტონ) [ახ. ბერძნული - τώρα, αυτήν την στιγμή (ტორა ავტინ ტინ სტიგმი), ძვ. ბერძნული - νუნ];

ახლა - ατώρα (ატორა) - [ახ. ბერძნული - τώρα, შუასაუკუნეების - τῆ ᾠρα (ძვ. ბერძნ.), ძვ. ბერძნული - ნუნ];

ბოლოს - σο τέλος (სოტელოს) - [ახ. ბერძნული - το τέλος, ძვ. ბერძნული - τὸ τέλος];

გაისად - του χρόνου (ტუხრონუ) - [ახ. ბერძნული - του χρόνου, ძვ. ბერძნული - ὁ χρόνος];

გვიან - αργά (არლა) - [ახ. ბერძნული - αργά, შუასაუკუნეების - ἄργα (ძვ. ბერძნ. ἄργος)];

გუშინ - ὀψέ (ოფსე) - [ახ. ბერძნული - χτες/χτες (ხთეს/ხტეს), ძვ. ბერძნული - χθές (ხთეს)];

გუშინწინ, სხვა დღეს - Ὀψεκές (ოფსეკეს) - [ახ. ბერძნული - προχτές/προχθές (პროხთეს)];

დღეგამოშვებით - μέρα με τη μέρα (მერა მე ტინ მერა) - [ახ. ბერძნული - μέρα παρά μέρα (მერა პარა მერა)];

თვალის დახამხამეზაში - [ch]αμλὶς τα ματιάς (ჩამლის ტა მატიას) - [ახ. ბერძნული - ενριπήοφθαλμὸς (ენრიპიოფთალმუ) (მატიაც)];

მაღე - αλύγορα (ალილორა) - [ახ. ბერძნული - σελίγο, σύντομα, γρήγορα (გრიგორა), ძვ. ბერძნული - δι' ὀλίγου (დიოლიგუ)];

მაშინ - ατότες (აპოტეს) - [ახ. ბერძნული - τότε (ტოტე), ძვ. ბერძნული - τότε (ტოტე)];

მაშინვე - εκείκό το λεπτόν (ეკიკო ტო ლეპტონ) - [ახ. ბერძნული - αμέσως (ამესოს), ძვ. ბერძნული - ἄμεσος];

ნაშუადღევი - το μεσημέρι (ტო მესიმერ) - [ახ. ბერძნული - το μεσημέρι, ძვ. ბერძნული - μεσημέριος];

ხვალ - αύριον (ავრიონ) - [ახ. ბერძნული - αύριο, ძვ. ბერძნული - ἄυριον];

ვითარების გამომხატველი ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე -πας (როგორ?).

წინააღმდეგ - εναντίον (ენანდიონ) - [ახ. ბერძნული - απέναντι, έναντι, ძვ. ბერძნული - ἔναντιος];

ცალცალკე - χωριά-χωριά (ხორია-ხორია) - [ახ. ბერძნული - χωριστά, χάρια, ξεχωριστά, შუასაუკუნეების - χωριά, ძვ. ბერძნული - χάρις];

γριγορα-ჩქარა; Πολα-ძალიან..;

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მახვილდება პონტოურში დადასტურებულ ვითარების გამომხატველ ზმნიზედებზე, რომლებიც ზედსართავი სახელებისგან იწარმოება -α –εα სუფიქსების დართვით (ბერძენიშვილი..., 1990:172), მსგავსი ფორმები ჩვენს მასალებშიც ფიქსირდება:

απλδ>απλδ– უბრალოდ, მარტივად;

καλδ>καλδ - კარგად, ლამაზად;

πλατδ>πλατδ - ფართოდ;

პონტოურში დასტურდება ზომისა და ოდენობის გამომხატველი ზმნიზედებიც, რომლებიც მოგვიგებს კითხვებზე - πίσσον (პოსონ) -რამდენად)? Ποσαφοραδ- (პოსაფორას) - რამდენჯერ?

καθδδ (კათოლუ) - სრულიად, μιδν (მიან) -ერთჯერ, διδν (დიონ) -ორჯერ, πιδδφοραδ (პოლაფორას) - ბევრჯერ...

ზმნიზედების წარმოების თვალსაზრისით პონტოური განსხვავებებს გვიჩვენებს ძველსა და ახლა ბერძნულთან მიმართებით, როგორც წარმოების, ისე ფორმის თვალსაზრისით.

1.7. წინდებული (თანდებული)

წინდებულები ზმნიზედასთან, კავშირთან და შორისდებულთან ერთად მეტყველების უბრუნველი ნაწილია. წინდებული ზმნიზედისგან იმით განსხვავდება, რომ წინადადებაში იგი დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებს, მხოლოდ გარკვეულ

ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად იძენს მნიშვნელობას (გორდეზიანი, 2001:172). წინდებულები ეწოდებათ ფორმაუცვლელ სიტყვებს, რომლებიც სახელებს ან ზმნიზებებს წინ ერთვიან, მათთან ერთად ადგილის, დროის, ვითარების, რაოდენობის, მიზეზის...გამოსახატავად (ტრიანდაფილიდისი, 1999:305).

ზოგიერთი წინდებული ჩვეულებრივ მხოლოდ სხვა სიტყვებთან ერთად, სინტაქსურ წყვილებში გამოიყენება, $\mu\epsilon$, $\sigma\epsilon$, $\gamma\iota\alpha$, $\omega\varsigma$, $\chi\alpha\rho\iota\varsigma$..., ხოლო წინდებულები $\pi\rho\iota\varsigma$, $\mu\epsilon\tau\alpha$, $\kappa\alpha\tau\alpha$, $\pi\alpha\rho\alpha$, $\alpha\nu\tau\iota$, $\alpha\pi\iota$ - სინტაქსური წყვილების გარდა კომპოზიტებშიც - პირველი წევრის ფუნქციით.

წინდებული $\alpha\pi\iota$ ხშირად განიცდის აპოკოპეს -კარგავს ბოლოკიდურ σ -ს, τ -თი დაწყებული ფორმების წინ. წინდებულებმა $\gamma\iota\alpha$, $\kappa\alpha\tau\alpha$, $\pi\alpha\rho\alpha$ შეიძლება დაკარგონ ბოლოკიდური ხმოვანი α -თი დაწყებული სიტყვის წინ, $\kappa\alpha\tau'\alpha\upsilon\tau\alpha$...

რაც შეეხება წინდებულის ადგილს წინადადებაში, ძველ ბერძნულში დაისმოდა როგორც არსებითი სახელის წინ, ისე მის შემდეგაც, მაგრამ ახალ ბერძნულში დასაშვებია მხოლოდ ამგვარი წყობა: წინდებული+არსებითი სახელი.

პონტოურში წინდებულები ისეთივე ფუნქციის მატარებელია, როგორისაც თანდებულები ქართული ენაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ პონტოურში წინდებულებთან ერთად რამდენიმე თანდებულებიც გვხვდება.

ქართულის დან თანდებულის შესატყვისია პონტოური - $\alpha\pi\acute{\omicron}$.

Αποφκακίαν (აპოფკაკიან) დაბლიდან - (პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\kappa\alpha\tau\alpha$ (აპოკატო), ძვ. ბერძნული - $\kappa\acute{\alpha}\tau\omega\theta\epsilon\nu$ (კატოთენ)];

შორიდან - $\alpha\pi\acute{\omicron}\ \mu\alpha\kappa\rho\acute{\alpha}$ (აპო მაკრა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\ \mu\alpha\kappa\rho\acute{\iota}\alpha$];

ზევიდან - $\alpha\pi\acute{\omicron}\ \kappa\alpha\tau\acute{\alpha}\nu$ (აპოკატან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\ \tau\omicron\ \epsilon\pi\acute{\alpha}\nu\alpha$ (აპო ტო ეპანო)];

იქიდან - $\alpha\pi\omicron\kappa\acute{\epsilon}\iota$ (აპოკი)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\ \epsilon\kappa\acute{\epsilon}\iota$ (აპოკი), ძვ. ბერძნული - $\acute{\epsilon}\kappa\epsilon\iota\theta\epsilon\nu$ (ეკითენ)];

უკანიდან - $\alpha\pi'\omicron\pi\acute{\iota}\varsigma$ (აპოპის)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\pi\acute{\iota}\sigma\alpha$ (აპოპისო)];

ქვემოდან $\alpha\pi\omicron'\phi\kappa\acute{\alpha}$ (აპოფკა)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - $\alpha\pi\acute{\omicron}\kappa\acute{\alpha}\tau\alpha$ (აპოკატო)];

თვის თანდებულს შეესაბამება - $\gamma\iota\alpha$:

για το σπίτι, για το σάβατο (ია ტო სპიტ, ია ტო სავატო) - სახლისთვის, შაბათისთვის.

ში - თანდებული გადმოიცემა - σ(τ)ο, τη: τη σαλασα, σο σπιτ (სი სალასა, სო სპიტ) - ზღვაში, სახლში;

απάν -ზე:

σο στολ απάν (სო სტოლ აპან) - მაგიდაზე.

წინდებული μεσα - შორის, შუა ითხოვს ორ ბრუნვას და იხმარება -σα წინდებულთან ერთად. სახელობით ბრუნვაში აქვს - შორს ზმნიზედის მნიშვნელობა, ხოლო ნათესაობითში -შუა ზმნიზედისა (ბერძენიშვილი..., 1990:173):

Μεσά σα δένδρα (მესა სა ზენდრა) - ხეებს შორის;

Μεσά σα λιθαρίον (მესა სა ლითარიონ) - ქვებს შუა;

პონტოურში თანდებულებად სახელდება - κικα (კიკა), რომლის მნიშვნელობაა - თან, καν (კან) - ზე, კენ, κες (კეს) - კენ (ბერძენიშვილი..., 1990: 174):

καν და κες უფრო ფართოდ გავრცელებულია აჭარის პონტოელთა მეტყველებაში, κικα - იშვიათად.

მასალები გვიჩვენებს, რომ პონტოურისთვის წინდებულებთან ერთად თანდებულებიც დამახასიათებელია, ახალ და ძველ ბერძნულში -ოდენ წინდებულია, რაც პონტოურისთვის დამახასიათებელ თავისებურებად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, ქართული ენის გავლენით აიხსნება.

1.8. კავშირი

პონტოურ დიალექტში გავრცელებული კავშირებია: αλα (მაგრამ), ούτε (ან), ὅτι (რომ), ὅπως (როგორც), ὅτε (როდესაც), αφου (ვინაიდან), και (და), εἰν (თუ)γιατί (იმიტომ, რომ), πριν (მანამ), ὅποταν (რაკი), ὅσπιτα (სანამ), γιατεκείνο (იმისათვის) და მისთ. მაგ.:βριοντά και στραφτ - ჭექა-ჭუხილი.

1.9. ნაწილაკი

პონტოურ დიალექტში გამოყოფენ უარყოფით ნაწილაკებს: κ, κε, κι, κια, რომლებსაც ქართულში შეესაბამება - არ, არა (ბერძენიშვილი..., 1990: 175):

εχο – κ-εχο (მაქვს, არ მაქვს), οροτο- κε-ροτο (ვეკითხები, არ ვეკითხები), παγο- κι-παγο (მივდივარ, არ მივდივარ), λεγο- κι-λεγο (ვსაუბრობ, არ ვსაუბრობ) და მისთ.

κι ξε'ρο (კი ქსერო) - არ ვიცი (**berikashvili 2014: PNT-TXT-FM-00000-B25**);

κι ακουγα (კი აკულო) - არ ვუსმენ;

νι περιτς (ნი პერც) - ნუ წაიღებ;

κε φτάσεν (კე ფტასენ) - მკვახე, არა მწიფე;

ανδρισμέν[τζ]α κεν (ანდრისმენმა კევ) - გაუთხოვარი, არაგათხოვილი;

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ამ მხრივ განსაკუთრებული თავისებურებები არ ვლინდება.

§2. სინტაქსი

ბერძნულ ენაში ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. შემასმენელი - ზმნა შეთანხმებულია ქვემდებარესთან პირსა და რიცხვში. თუ ქვემდებარე საშუალო სქესის სახელია და მრავლობით რიცხვში დგას, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სრულადაა შეთანხმებული ქვემდებარესთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში, ზმნური ნაწილი კი ჩვეულებრივ მხოლობით რიცხვში დაისმის. ეს კანონზომიერია როგორც ძველი და თანემედროვე ბერძნული ენისთვის, ასევე პონტოურისთვისაც. ამ მხრივ განსაკუთრებული თავისებურებები არ ვლინდება აჭარის მკვიდრს ბერძენთა მეტყველებაში.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება:

φτάμε λάχανα, τα κέρκοτα (ფტამე ლახანა, ტა კორკოტა) - ვამზადებთ ფხალს, კორკოტს.

εκείν εσάν πεντένοματ (ეკინ ესან პენტენომატ) - ისინი ხუთნი იყვნენ;

თუ მსაზღვრელად ქვემდებარეს რიცხვითი სახელი მოუდის, ქვემდებარე მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც:

მაგ: δύο πάτσκαჯ αλεύρι (დიო პაჭკას ალევრი) - ორი შეკვრა ფქვილი;

Δίο λίτραჯ γάλα (დიო ლიტრას ღალა) - ორი ლიტრა რძე;

მაგრამ: εμείς τέσερα αδέλφια, παιδιά, τα κορίτσια (ემის ტესერა ადელფია, პედია, ტა კორიცია) - ოთხი დები, ბავშვები, გოგონები;

თუ ქვემდებარე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ გამოტოვებულია წინადადებაში, არის მხოლოდ მაშინ, თუ მასზე ლოგიკური მახვილია.

მაგ: τρία ισνιοις (**εγώ -მე**) παμε σιν α[sh]κβα (ტრია იუნიუ პამე სინ აშკვა - სამ იენისს მივდივარ აჭყვაში;

აჭარის მკვიდრ ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში გამოყენებულ ნასესხებ სახელებს ხშირად მოუდით ბერძნული ენის ბრუნვის ნიშნები:

Διο **ლიტრა-ჯ** γαλα, διο **პაჭკა-ჯ** αλεέρη, δεν έσανε **ცემენტი-ია**, των **ისტორია-v** εχά, **პესკირი-α** (ფეშკირი), **სკამ-ი-α...**;

სახელები როგორც ნასესხები, ასევე საკუთრივ ბერძნული, წინადადებაში ხშირად გვხვდება ფუძის სახით, არ დაირთავენ სახელობითი (ονομαστική) ბრუნვის ნიშანს, -იკარგება, რაც პონტოურის თავისებურებაა:

μετά δεκαπέντε **εικος(ι)** άτομα (მეტა დეკაპენტე იკოს ატომა), την **αγιξη** **εψ(ι)** μαιου (ტინ ანიქსი ექსი მაიუ), είχε μεσοχορείο **εικος(ι)** σπίτια (ინე მესოხოროიო იკოს სპიტია), κληδομένο με το **μποκλιομ..** (კლიზომენო მე ტო ბოკლომ) - დაკეტილია ბოქლომით;

2.1. კუთვნილებითი ნაცვალსახელის წყობა

სინტაქსური თვალსაზრისით ძველ ბერძნულში კუთვნილებით ნაცვალსახელებს პრეპოზიციური წყობა აქვთ, ანალოგიურადაა პონტოურ დიალექტშიც - აღნიშნავს ბერიკაშვილი და მოყავს მაგალითები το εμέτερον φιλον (ძვ. ბერძნული), **τεμέτερον το χοριόν** (ახ. ბერძნული) და აღნიშნავს რომ ახალი ბერძნულისთვის პირიქით, პოსტპოზიციური წყობაა დამახასიათებელი, ვინაიდან ახალმა ბერძნულმა პირის ნაცვალსახელთა სუსტი ფორმები შემოინახა. ის ყოველთვის საზღვრული სიტყვის შემდეგ დგას და მასთან შერწყმულად გამოითქმის (η **ικανότητά μου είναι μεγάλη**) (**ბერიკაშვილი, 2014:218**). ანალოგიურად პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ძველ ბერძნულსა და პონტოს დიალექტშიც საზღვრული სიტყვის შემდეგაა.

კითხვით და უარყოფით კონსტრუქციებშიც პონტოური ბერძნული წყობის თვალსაზრისით იმეორებს ძველი ბერძნული ენისთვის დამახასიათებელ წყობას, განსხვავებით ახალი ბერძნულისაგან.

2.2. კნინობით-ალერსობითი სახელები

ბერძნულისთვის დამახასიათებელია კნინობით-ალერსობითი სიტყვებიც. საწარმოებელი სუფიქსები ისეთივეა, როგორც სალიტერატური ენისთვისაა დამახასიათებელი.

ბერძნულში ზოგიერთი სიტყვა ქმნის ორ და მეტ კნინობით სახელს ახალი დაბოლოების დართვით, ასეთებია პონტოურში:

ბებია - η γιαιιά, γιαιιάκκ, γιαούκκ, γιαούτσι (იაიაკა, იაუცი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η γιαιιά].

აკი: ბატკანი - προβατάκι (პროვატაკი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το αρνάκι, το πρόβατο, ძვ. ბერძნული - τὸ πρόβατον];

დათვის ბელი - αρκουδάκι (არკუდაკი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το αρκουδάκι];

ოსლ: კატის კნუტი - κατοπούλ (კატოპულ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το γατάκι].

იკა: ბაბუა, პაპა - οπαπούλης (παπούλικα - კნინობითი) (პაპულიკა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - οπαπούς, ძვ. ბერძნული - ὁ πάππος].

ონ: მამა (მამიკო, მამილო) - οπατέρας, ο πάππας, παπον (პაპონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο πατέρας, ძვ. ბერძნული - ὁ πατήρ].

2.3. ნაწარმოები სახელები

ზმნური წარმოშობის მიმღობის ფორმები:

გალესილი - ακόνιγον (აკონიღონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ακονισμένος, οξსυμένος, τροχισμένος, ძვ. ბერძნული - ἀκονίω (გალესვა), ἦ ἀκόνη (სალესი)].

სავსე - γομάτον (ღემატონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - γεμάτος, ძვ. ბერძნული - γέμα].

გაჟღენთილი, დასველებული - βραχμένον (ვრახმენონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - μουςκεμένος, βρεγμένος, ძვ. ბერძნული - βρέχω].

პონტოური განსხვავებულად აწარმოებს ინფინიტივს:

ბაკუნი (ფეხის) - χτέπεμαν (ხტეპემან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το χτύπημα, ძვ. ბერძნული - τὸ κτύπημα];

გრუხუნი, ქუხილი - βρόντεμαν (ვრონდემან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - βρόντος, ძვ. ბერძნული - τὸ βρόντημα];

სტვენა - [sh]ίριμαν (შირიმან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το σφύριγμα, το σύρισμα, ძვ. ბერძნული - ὁ σφρυγμός];

მაგრამ:

ბლავილი ძროხის - χτήνικράκσιμον, καρὰζ (ხტინი კრაკსიმონ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το μούγκρισμα, ძვ. ბერძნული - τὸ μίκημα];

გალობა - ψάλσιμον (ფსალსიმონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το ψάλσιμο, το κελαίδημα];

გაჯახუნება - χτύπεμαν (ხტიპემან) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το χτύπημα, ძვ. ბერძნული - τὸ κτύπημα, προσπάλλα];

ბუტბუტი - μουρμούριμαν (მურმურიმან) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το μουρμούρισμα];

2.4. კომპოზიტები

ბერძნულისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია კომპოზიტების წარმოების ორი გზა:

1. სიტყვა თავში დაირთავს განუყოფელ ნაწილაკს, 2. ორი ან ორზე მეტი სიტყვა ერთიანდება ერთ სიტყვად (ტრიანდაფილიდისი, 1999:100).

პონტოურიც, კომპოზიტების წარმოების მსგავს გზებს მიმართავს.

განუყოფელი ნაწილაკებიდან ხშირია უარყოფის -α ნაწილაკის გამოყენების შემთხვევები:

უგემური - άνοστον, κεν νόστημον (ანოსტოს, კენ ნოსტიმონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - άνοστος, άγευστος];

უმარილო - αναλον (ანალონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ανάλατος];

წინააღმდეგ - ενανδῖον (ენანდიონ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - απέναντι, έναντι, ძვ. ბერძნული - ἐναντίος].

პონტოურისთვის დამახასიათებელია ე.წ. **განსაზღვრებითი კომპოზიტები**, რომელთა პირველი წევრი, რომელიც შეიძლება იყოს სახელები ან მთელი წინადადება, არის მეორე წევრის მსაზღვრელი:

გრიგალი **δυνατόναέρα** (δυνατόν+αέρα) (დინატონაერა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ολαίλαπας, οτυφάνας, ηθύελλα, οανεμοστρόβιλος, ძვ. ბერძნული - ἡ ἀήρ, δυνατός];

ჟინჟლი - **ψιβρε[sh]ήν** (ψιλος+βρε[sh]ήν (βροχη) (ფსილვრეშინ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ψιχαλίξει, ძვ. ბერძნული - ψιλός, βροχή (βρέχω)];

პილპილი - **άγρεπιπέρ** (άγρεα+πιπέρ) (აღრეპიპერ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το πιπέρι, შუასაუკუნეების - πιπέριον, ძვ. ბერძნული - τὸ πέπερι];

ბზიკი - **άγρενμελεσδ** (აღრენმელესიდ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η σφήκα, η σφήκα, η μέλισσα, ძვ. ბერძნული - ἡ μέλισσα, ἄγριος, ἄγρός];

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში სემანტიკურად მსაზღვრელ-საზღვრული ბერძნულში ერთი სიტყვით, კომპოზიტით გადმოიცემა, პონტოური კი ქართული ენის შესატყვის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს:

ხელისგული - **βούραν, τι [sh]έρισμ τα πες** (ტი შერისიმ ტა პეს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η παλάμη, ძვ. ბერძნული - ἡ παλάμη];

წაბლის ხე - **καστανίδέντρο** (კასტანიდენდრო) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η καστανιά];

მაგრამ: მაზლიშვილი - **ανδράφεουσιν το παιδί** (ანდრაეფუსინ ტო პედი) - [ახ. ბერძნული - το παιδί του κουνιάδου, το παιδί του ανδράδελφου];

მაზლი - **ανδράεφος** (ანდრაეფოს)(პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο ανδράδελφος, ο κουνιάδος (იტ. cognato), ძვ. ბერძნული - ανήρ+αδελφός];

დედისერთა - **μοναχογιός/μοναχοπαίδι** [ახ. ბერძნული - ο μοναχογιός/η μοναχοκόρη/το μοναχοπαίδι];

ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული **კომპოზიტები** პონტოურში:

დედობილი, ძიძა, გამზრდელი - **παραμάννα** (პარამანა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η παραμάννα, η νταντά, η τροφός, ψυχομάννα, η μετήμητέρα, შუასაუკუნეების ფორმა - παρα+μάννα];

მძახალი - συμπίερος/συμπεθέρα (სიმპეტეროს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ο συμπίερος/η συμπεθέρα, შუასაუკუნეების ფორმა - σίν+πειθέρως];

პურმარილი - φαπότη (ფაეპოტ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - το τραπέζι, შუასაუკუნეების - φαγί, πότης];

კომპოზიტის პირველი წევრი თურქული ნასესხობაა, მეორე წევრი ბერძნულია: ლურჯი (მუქი) μοβ/μάβιχρώμα [ახ. ბერძნული - μπλε].

და კავშირიანი კომპოზიტები:

ნეფე-დედოფალი - η νύφε και ο γαμπρός (ი ნიფე კე ო ღამბროს) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - η νύφη και ο γαμπρός, ძვ. ბერძნული - ἡ νύμφη καὶ ὁ γαμβρός];

აქეთ-იქით - ἀδά και αποκεί (ადა კე აპოკი) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - απόδα κι αποκει];

ჭექა-ქუხილი - βροντά και στραφτ (ვრონდა კე სტრაფტ) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - αστραπές και βροντές, ძვ. ბერძნული - βροντή, ἀστραπή];

მაგრამ: ახლო-ახლოს - σίσμα - κοντά (სუმა-კონდა) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - κοντά, ძვ. ბერძნული - ἔγγυς, παρά];

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტებია:

Τρέξον – τρέξον (ტრექსონ-ტრექსონ) - სირბილ-სირბილით;

Στεριά - στεριά (სტერია-სტერია) - ნელ-ნელა;

Αλίγορα – αλίγορα (ალიგორა-ალილორა) - ჩქარ-ჩქარა;

Εναν - έναν (ენან-ენან) - ცალკ-ცალკე;

Τρια-τρια (ტრია-ტრია) - სამ-სამი;

Στράτα-στράταν (სტრატა-სტრატან) - გზა-გზა;

თავი III. პონტოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი

§1. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების საკითხისათვის

როგორც აღვნიშნავთ, ბერძენთა ხანგრძლივი მიგრაციები, უცხო ენებთან კონტაქტები, კულტურათა შეხვედრები გარკვეულ კვალს ტოვებს მათ ყოფაცხოვრებაში, ენასა თუ ცნობიერებაში, რაც აისახება ლექსიკაში.

აჭარაში გადმოსახლებულ ბერძენებს ყველაზე წმინდად ჰქონდათ შემონახული ბერძნული ენა და ტრადიციები. ისინი განათლებისა და კულტურის საკმაოდ მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ (ბერძენიშვილი..., 1990:67). აქაურ ბერძენებს ენა დღესაც შენახული აქვთ და საკმაოდ კარგადაც, თუმცა მათ მეტყველებას უფრო მეტად ეტყობა ენათა კონტაქტების კვალი, თავს იჩენს კულტურათა შერევის შედეგად გაჩენილი ყოფითი ელემენტები თუ ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად აჭარის მკვიდრმა პონტოელმა ბერძენებმა იციან პონტოური ენა, - იციან მათმა შვილებმაც, შვილიშვილების თაობა უკვე ვეღარ იგებს პონტოურს, ნაწილს ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ახალ ბერძნულ ენაზე მეტყველებს.

კითხვაზე, თუ რამდენმა თაობამ იცის პონტოური, გვპასუხოვნ: „-შვილებმა იციან, აბა, შვილიშვილებმაც იციან, მაგრამ უფრო წმინდა ბერძნული იციან იმიტომ, რომ იქ დაბადებულები არიან“ (დაგვა).

ამჟამად აჭარაში მცხოვრები ბერძენების ძირითადი ნაწილი ხანდაზმულია, მათი შვილები და შვილიშვილები ევროპის სხვადასხვა ქალაქში (ძირითადად სალონიკში, ნიცაში, სტავროპოლში...) ცხოვრობენ და სამეტყველო ენად ელინური ბერძნული აქვთ. ყოველივე ეს კი დიალექტის ტრანსფორმირების კიდევ ერთ საფუძველს ქმნის.

პონტოელ ბერძენთა მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. მასში შეინიშნება როგორც დიალექტისთვის დამახასიათებელი გრამატიკული თავისებურებები, ასევე ენათა კონტაქტების, ენათა გავლენების კვალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუპერსტრატული დანაშრევები (თურქული, რუსული, ქართული ლექსიკა პონტოურში და პირიქით, ბერძნიზმები ლაზურსა თუ აჭარულში), რაც ორი

განსხვავებული ეთნოსის მჭიდრო კულტურულ-ენობრივმა ურთიერთობებმა მოიტანა და აირეკლა მათ ყოფასა და ენაში.

ადგილობრივ ბერძენთა მეტყველება საინტერესო თავისებურებებს ავლენს იმ მხრივაც, რომ ყველა ბერძენი ორენოვანია და მეტიც, ისინი კარგად მეტყველებენ როგორც პონტოურ დიალექტზე, ასევე ქართულად, აქედან გამომდინარე, როდესაც პონტოელ ბერძენთა ენობრივ თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, ყურადსაღებია **პონტოელ ბერძენთა არამარტო პონტოური მეტყველება**, არამედ მათი **ქართულიც** და პონტოელის, როგორც **ბილინგვალის/მულტილინგვალის** მეტყველება. აქედან გამომდინარე, ვიდრე უშუალოდ პონტოელ ბერძენთა ლექსიკურ თავისებურებებს განვიხილავთ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გვესაუბრა პონტოელთა მეტყველების სახეებზე, ვინაიდან მეტყველების სამივე ფორმა გარკვეულ ლინგვისტურ თავისებურებებს ავლენს.

1.1. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ქართული მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი

ქართული რომ აჭარაში მცხოვრებმა პონტოელმა ბერძენმა კარგად იცის, არცაა გასაკვირი: აქ დაიბადნენ, აქ გაიზარდნენ, ბავშვობიდანვე ეზიარნენ ქართულ კულტურას და შეისისხლხორცეს ადგილობრივთა ტრადიციები, ყოფა და ცხოვრების წესი. მათი ქართული მეტყველება ამის ნათელი დასტურია. ბუნებრივია, რომ ბერძნული ლექსიკა პონტოელთა ქართულ მეტყველებაშიც დაილექა.

ბერძენთა ნაწილი საკმაოდ კარგად მეტყველებს ქართულად, მაგრამ რუსული, ბერძნული ან თურქული აქცენტით, ზოგს კიდევ ქართული სკოლა დაუმთავრებია, აჭარული დიალექტიც შეუთვისებია და აჭარულისთვის დამახასიათებელი დიქციაც მიუღია.

ქართულად მოლაპარაკე პონტოელ ბერძენთა მეტყველებას ნათლად ეტყობა აჭარულის გავლენა. ვლინდება არამარტო აჭარული კილოსთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, არამედ დაჩნდება კონკრეტული სოციუმის კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ცნობიერების გარკვეული ელემენტებიც.

აღნიშნავთ, რომ პონტოელ ბერძენთა ნაწილს იმდენად კარგად შეუთვისებია აჭარული კილო, რომ მათ მეტყველებაში აჭარული ადგილობრივთა დიქციითა და ფონოლოგიური თავისებურებებით ისევე ბუნებრივად ისმის, როგორც ეს ქობულეთელს თუ ბათუმელს ახასიათებს (**აბულაძე, 2016:16-21**). მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე ფრთიან გამონათქვამს, რომლებსაც მეტყველების პროცესში აზრის, ემოციის ან არსებული სიტუაციის უკეთ გადმოსაცემად იყენებენ ბერძენები:

–ერთი ალალი ბერძენი ვარ, რომ ყველას ვუყვარვარ და ყველა მამფასებს, **ერთი ულვაშად, დაგრებილი „აჭარელი“**.

საკუთარ გარეგნობას ასე ახასიათებს ერთ-ერთი ბერძენი, ხრისტო ქსანდოპულო:- პატარა, შავი **ყარამანა** ხრისტო, შდრ. ყარაჯა-მ - შავი, შავტუხა, უშნო (**ნიჟარაძე, 1971:369**), აქვე შდრ. ყურუმი - ჭვარტლი, მური (**ნიჟარაძე, 1971:377**).

–**ბიბილა**, **მიბილა** - ყველა ერთი ხართ.

ბიბილა-მ, ბიბია-მ - მამიდას აღნიშნავს (**ნიჟარაძე, 1971:108**) - გადატანითი მნიშვნელობით - ყველა ერთი კუთხის წარმომადგენლები ხართო.

ცეცხლი მეკიდება - აქ ნიშნავს ძალიან მეჩქარება, დრო არ მაქვს.

გულზე დამარტყა - იტყვიან არასასიამოვნო ამბის გაგებისას.

ნამუსის კაცი ვარ - სიტყვის ერთგული ვარ, სიტყვას არ ვუღალატებ...

–ეს მაგარი **დაქექილი კაცი იყო** (მოხერხებული).

–ამის **ოჯახები ანათებს** იქა, წითელ ოქტომბერში (იგულისხმება, კარგად, შეძლებულად ცხოვრობენ).

გარდა ლექსიკისა, ბერძენთა ქართულ მეტყველებაში ჩნდება ის გრამატიკული თავისებურებები, რომლებიც აჭარული კილოს კუთვნილებაა, როგორცაა **ბაბად**, **სიძემ**, **მეძცამ**, **მეეწონა**, **გამეერია**, **შაინიძნები**, **მახარაძნები** და მისთ.

რამდენიმე საინტერესო ლექსიკურ ერთეულზე გავამახვილებთ ყურადღებას რომლებიც ასევე ქობულეთური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი.

მაგ: **ცოლი**, **ჭიათურელი ქალი**, **ბერძენი შეიძინა (შეირთო)**;

დედა უჩივა შვილს;

გიჩივი;

ოჯახზე დაყდა (იმ ოჯახში ცხოვრობს), ან **ზესიძედ მივიდა**;

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებაში გვხვდება აჭარული კილოსთვის დამახასიათებელი თურქიზმები, ვფიქრობთ, მათი ძირითადი ნაწილი ქართულის გზით შესული და დამკვიდრებულია ბერძენთა მეტყველებაში, თუ არ ჩავთვლით იმ თურქიზმებს, რომლებიც პონტოურ მეტყველებაში ჯერ კიდევ აჭარის შავიზღვისპირეთში მათ განსახლებამდე დამკვიდრდა და პონტოური დიალექტის ლექსიკური ფონდის კუთვნილებად იქცა.

–ჭო, ალაღემოს, ბერიძეს, იცნობ?

ემო - ემია-ე-ს შემოკლებული ვარიანტია, მომდინარეობს არაბულიდან და ნიშნავს - მამის ძმას, მამით ბიძას (**ნიჟარაძე, 1971:189**).

ალალი გავრცელებული საკუთარი სახელია აჭარულში, **ალალ-ემო** - იგივეა, რაც **ალალ ბიძა/ბიძია**.

ეთმა–ელამა, ბაბაის ჯიგარი ბიძაშვილია.

ეთმა–ელამა -ასევე აჭარული კილოსთვისაა დამახასიათებელი და ნიშნავს „კმარა“, „საკმარისია“.

ჯიგარი, სამეტყველო ქართულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულია, მომდინარეობს **სპარსული** სიტყვისგან **ჯიგარ**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა - სისხლით ნათესავი, ახლობელი. ამ შემთხვევაში - **ბაბაის ჯიგარი ბიძაშვილია** - ნიშნავს: მამის სისხლით ნათესავია, ახლობელია.

ჰაზირი, ხაზირი (არაბ, ქობ.)-მზა, მზა მდგომარეობაში, გამზადებული (**ნიჟარაძე, 1971:447**).

ფიშტო (თ. Pistov, pistol (იტ.) - თოფი - ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი, დამბაჩა (**ნიჟარაძე, 1971:347**).

მოსაფირი - სიტყვა არაბული წარმოშობისაა<თურქ.misafir - სტუმარი (**ჩოხარაძე..., 2015:538**). მოსაფირი აჭარულშიც გავრცელებულია სტუმრის მნიშვნელობით, **მოსაფირი** (არაბ) - სტუმარი, მნახველი, მომსვლელი (**ნიჟარაძე, 1971:267**).

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ის ფაქტი, რომ პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებაში შეინიშნება ბერძნული ლექსიკა, რაც ბერძნული კულტურის ნაწილია და მათი იდენტობის ნათელი დასტური.

κουμπάρος - პონტოურად აღნიშნავს ნათლიას, პონტოელთა ქართულ მეტყველებაში საკუთარი სახელის ფუნქციითაც გვხვდება. მიმართვისას გამოიყენებენ საკუთარი სახელის ნაცვლად.

მაგის მშობლები ჩემი თავი არ უნდოდენ და მოვტაცე, მე ვიყავი **κλέφτε** (ქურდი, მპარავი);

-სამი დღე რომ გავა გავაკეთებთ **კოკიას**;

-**კანონას** ვაკეთებთ, კანონას, წინ მიდის კანონა...;

მთქმელი: – **წადილი** ქვია მაგას, **კანონა** მიდის წინ, მერე ჯვარი...;

ჩვენი მიზანია აჭარის მკვიდრ პონტოელ ბერძენთა მეტყველების კვლევა და, შესაბამისად, პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებაზე დეტალურად აღარ შევჩერდებით, თუმცა ზოგადი სურათის ჩვენება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ პონტოელთა მეტყველების საერთო პროფილის საჩვენებლად.

1.2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა, როგორც ბილინგვალთა/ მულტილინგვალთა მეტყველების თავისებურებანი

საინტერესოა პონტოელ ბერძენთა, როგორც ბილინგვალთა/მულტილინგვალთა მეტყველება. ერთდროულად ორ და მეტ ენაზე მეტყველებენ გააზრებულად, სხვა ენის ლექსიკის გამოყენებით ცდილობენ სათქმელის იდენტიფიცირებას და როგორც ბილინგვის მატარებლები, „ხშირად ავსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც ჩნდება ორი განსხვავებული კულტურის თანაარსებობისას, როცა ენის გამო ისინი ვერ ახერხებენ კონბილინგვურ ტაქტს და იკეტებიან საკუთარ კულტურაში“ (შუბითიძე, 2010: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>).

მულტილინგვური მეტყველების პროცესში ხდება კოდების გადართვა ენის ყველა დონეზე. პონტოელი ბერძენები ხშირად ავლენენ ერთი ენიდან მეორეზე სპონტანურად გადართვის შემთხვევებს, რასაც სხვადასხვა მიზეზები განაპირობებს. ხშირად კოდების გადართვას იწვევს სათქმელის იდენტიფიცირება, როგორცაა მაგალითად:

დაგვას **στην παναγιά** (მარიამობას - იგულისხმება **დღესასწაული**), **σα ίκοσι επτά** (ოცდარვაში) იქნება კონცერტი, ორი ავტობუსი მოვა.. (დაგვა);

Εμείς ხულო εβδομάδαν, εμείς στο ბεშუმი, ενέ სოფელი, **ενέ** ოქტომბერი, დიოკნისი.. რა ვიცი, თელი ჩემი ცხოვრება მაქ გავატარე..(კვირიკე);

Ολον τον κοσμόν που τα χαρτιά πείναμε **στοлы-α, επείναμε** **τραπέδια,** გარმოშვა, ისა, დოლი, აკარდიონი..- მთელი ქვეყანა, ყველა ვშლით მაგიდებს და არის გარმოშვა, დოლი, აკარდიონი.. (კვირიკე);

Αβούτοε χαμουχτάς φιλό (ავუტოე ხამუხტას ფილო) - მარწყვის ფოთოლია (კვირიკე);

Απάμε το ზენჯირი **και μαυρόμ** (შავი) კასრული (კვირიკე);

Δεκά χρονεία (ათი წელია) არის ტრადიცია, **σμβολικά** (სიმბოლური)(კვირიკე);

Τελίσα το σχόλειον το გარადოკ, **μαιαკოვსკავა** **σχιλίον** ეტო ნომერ **πέντε** (ბათუმი) - დავამთავრე სკოლა გარადოკში, მაიაკოვსკის სკოლა, ნომერი ხუთი.

პონტოელთა ორ და მეტ ენოვანი მეტყველება განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა ისინი ქართველს (მათთვის უცხოელს) მოუთხრობენ თავიანთი წარსულის, კულტურისა თუ ყოფაცხოვრების შესახებ. ჩვენთან, როგორც ქართველებთან საუბრისას, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა - მოეთხროთ პონტოურად, ვინაიდან ჩვენ გვესმოდა მათი, - თხრობა ხშირად ორენოვანი გამოსდიოდათ (რუსულ-ბერძნული/ქართულ-ბერძნული) მეტყველებაში, ქართული ან რუსული ლექსიკის ჩართვით, თითქოს გაგრძნობინებენ, რომ ქართული კულტურის ნაწილი თავადაც არიან.

ამ შემთხვევაში საუბრისას გამოყენებული ქართული ან სხვა ენის ლექსიკა აშკარაა, რომ კოდების გადართვის შედეგია და ვერ გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაბამისი ბერძნული შესატყვისი არ ახსოვთ. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მეტყველებისას გამოვლენილი ქართული ლექსიკა უნდა გაიმიჯნოს იმ ქართული ლექსიკისგან, რომელიც პონტოელთა პონტოურ მეტყველებაში შესული და დამკვიდრებული ჩანს, რაც არ შეიძლება ჩავთვალოთ კოდების გადართვის შემთხვევებად. პირველ შემთხვევაში ქართულ ლექსიკას სათქმელის იდენტიფიცირებისთვის იყენებენ, მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინონ სათქმელს

უცხოს თვალში, ხოლო მეორე შემთხვევაში მივიწყებულია ქართული ლექსების ბერძნული შესატყვისები.

აქვე მოვიყვანთ აჭარაში გავრცელებულ ერთ ფრთიან გამონათქვამს, რომელიც ქართულსა და აქაურ ბერძენთა მეტყველებაშიც დამკვიდრებულა: **მოლამ ცხენზე შეჟდა და და ყისმეთო/დელოფალი ცხენზე შეჟდა და და ყისმეთ იძახდაო. და ყისმეთ ნიშნავს - შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც არ ელოდები.**

ყისმეთი არაბული სიტყვაა და ნიშნავს - ბედი, იღბალი, ხვედრი (**ნიჟარამე, 1971:373**).

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული პონტოურ მეტყველებაში განვითარებული ადსტრატია, ბერძნულ თარგმანში ამავე ფორმით შენარჩუნდა. ჩანს, რომ თარგმნისას ზოგჯერ სიტყვას ვერ უძებნიან შესაბამის ლექსიკურ შესატყვისს და იღებენ მზა ფორმით, ასეთია სწორედ - „და ყისმეთ“.

ადსტრატის შემთხვევები უნდა იყოს პონტოელთა მეტყველებაში დამკვიდრებული „გოგლი მოგლი“: **αφούτκα გოგლი მოგლი πείκανε ζαχάρη, και το βίπτουρο მარგარნი, λίγον τα ζαχάρια** (აფუსკო გოგლი მოგლი, პიკანე ზახარი, კე ტო ვუტურო მარგარნი, ლიღონ ტა ზახარია) - ამოვიყვან გოგლი მოგლის, გავუკეთებ შაქარს და კარაქს, მარგარინს, ცოტა შაქარს (**კვირიკე**).

ჭადის αλέτρια (ჭადის ალევრია) - მჭადის ფქვილი.

Απ'έναζ και სტაკან κανείζ ლიმონის სოკი (აპენას კე სტაკან კანის ლიმონის სოკი) - ერთი ჭიქიდან აკეთებ ლიმონის წვენს.

Κοκία ετα το εν κανόνα ტირილის დღე ἔφταμε την κοκία.

კოდების გადართვისას ადსტრატის საინტერესო შემთხვევებია, როცა ნასესხებ ლექსიკას ზოგჯერ დაერთვის ბერძნული სუფიქსები, არტიკლები ან კიდევ წინდებულები:

პაჭკა-ჯ αλέρη, δεν ἔσανε **ცემენტი-ია, ταν ისტორია-ν** εχω, **პეშკირი-α** (ფეშკირი), **სკამ-ი-α...** ლიტრა-ჯ γάλα.

ჟანგისფერს პონტოურში ეძახიან [ჟ]αγγιμένον χράμα [ახ. ბერძნული - το χράμασκουριάς]. აქ საინტერესო ისაა, რომ კომპოზიტის პირველი წევრი ქართულია,

მეორე წევრი ბერძნული, რაც ასევე კოდების გადართვის შედეგად დამკვიდრებული ადსტრატია. თოხნას ეძახიან „კრულოთოხუნ“, რაც ასევე ადსტრატია.

1.3. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური მეტყველების თავისებურებანი

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა პონტოური მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. გარდა ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებისა, მათ მეტყველებაში აღბეჭდილია თურქული, რუსული, ქართული და ელინური ბერძნულის გავლენების კვალი.

პაპანდოპულოსი აღნიშნავს, პონტოურისთვის უფრო მეტად თურქული ნასესხობებია დამახასიათებელი, ნაკლებად რუსული, თუმცა საქართველოში გავრცელებული პონტოურისთვის რუსული უფრო მეტია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პონტოელი ბერძენები არიან ბილინგვალები.

მართალია, რუსული ნასესხობები ბევრია და ეს განაპირობა რუსულმა განათლებამ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში არანაკლებ დასტურდება თურქული ნასესხობები, რის გავრცელებასაც ხელი შეუწყო აჭარულმა დიალექტმა, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელია თურქიზმები და ამ გზით პონტოურშიც გავრცელდა, საკმაოდ ბევრია ქართული ნასესხობებიც.

„სამი ენის ოჯახია აქ, დედა რუსი მყავს, მამა ბერძენი და რძალი ქართველია. აი ბაღნები სამი ჯიშისაა, ჩემი ბადიშები” - გვეუბნება პავლე მავროპულო (დაგვა).

ჩანს, პონტოურისთვის არაბუნებრივი ლექსიკური ერთეული უკვე გამხდარა ამ დიალექტის კუთვნილება, დამკვიდრებულა მეტყველებაში, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ქართულ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, „შეპარულა“ ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში, თუმცა საბოლოოდ დამკვიდრებული არ ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ზოგიერთი ბერძენი ვერ იხსენებს კონკრეტული საგნის ან მოვლენის სახელწოდების პონტოურ შესატყვისს და ქართულს გამოიყენებს, მაგრამ სხვაგან იგივე ლექსემა ჯერ კიდევ ახსოვთ.

არის შემთხვევები, როცა გაბმულ მეტყველებაში იყენებენ ქართულ დიალექტურ ლექსიკას, იდენტური ბერძნული სიტყვა არ ახსენდებათ, ან კიდევ, საუბრისას გამოყენებული ქართული სიტყვის ბერძნული შესატყვისი იციან, თუმცა კონკრეტულ კონტექსტში ქართული სიტყვა ახსენდებათ, ან უფრო ბუნებრივი ეჩვენებათ სათქმელის უკეთ გადმოსაცემად მოცემული კონტექსტისთვის.

მაგ: πίγαμε στο Τβίλισι, στο **კინოთეატრ ამირან** (ვიყავი თბილისში, კინოთეატრ ამირანში).

გაბმულ საუბარში ვერ იხსენებს **კინოთეატრის** ბერძნულ სახელს - **σινεμά** (სინემა).

მიცვალებულის გლოვის და გასვენების დღეს აჭარაში ეძახიან **ტირილის დღეს**||**ტირილს**, ამავე ლექსიკურ ერთეულს იყენებენ გაბმულ პონტოურ მეტყველებაში:

ტირილის დღეს ტრადიციულად ამზადებენ ბერძნულ კერძს, **კოკიას**.

პონტოურ გაბმულ მეტყველებაში ხშირად იყენებენ ბოსტნეულის სახელებს, ასეთია მაგ. ქინძი, ზოგან ამ ლექსემის ბერძნული შესატყვისი ახსოვთ, თუმცა ნიახურის ბერძნული შესატყვისი ვერ გაიხსენეს:

-Αύουτοεν **ქინძი**, ბერძნულად...(ფიქრობს), ბერძნულად **κόλιατρο**, წყავი-ბერძნულად **γαραψό**, αύουτο ჩიჩაკ ფლი, αβίπτοεν **ნიახური**, ნიახური - ნიახური ვიცით ჩვენც -აღნიშნავს ელენე ქსანდოპულო (**კვირიკე**). ბერძნულად ნიახური გამოითქმის **σέλινο** (სელინო).

-Πετρασόν πενινδά **ἐξι** (ორმოცდათექვსმეტი) **ტემპერატურა** καλά των φουρνί (ფურუნში).. **ტემპერატურა** ახ. ბერძნულად არის **θερμοκρασία**.

„**მაჭანკალი** როგორაა ბერძნულად არ ვიცი, მაგ როლს ვასრულებდი“ - იხსენებს ხრისტო ქსანდოპულო (**კვირიკე**).

-**ინფორმაცია** στην **ελνდა**. **ინფორმაცია** ბერძნულად არის **πληροφορία**.

გაუჭირდათ ქართული ბებიაქალის პონტოური შესატყვისის გახსენება, „**ბებიაქალი**. სხვა ახლა მე არ ვიცი, ქართულათ უფრო ლამაზათ გამოდის, ჩვენ ენაზე არ ვიცი“ -აღნიშნავს ხრისტო ქსანდოპულო (**კვირიკე**). ერთგან გამოიყენეს

ακου[sh]ερκα (აკუმერკა), რაც თავის მხრივ რუსულია. „ბებიაქალს“ თანამედროვე ბერძნულში ეწოდება μάια/μαμή (მაია/მამი).

ΕΖισλεβεν σ(τ)η ფაბრიკან, კანდიტერსკა ფაბრიკა.

ფაბრიკა ქართულში დამკვიდრებული ლათ. სიტყვაა და ნიშნავს სამრეწველო საწარმო, მანქანური წესით ნედლეულის გადამამუშავებელი. ბერძნულად ეწოდება **εργοστάσιο** (ერლოსტასიო).

გუგუმი აჭარლებსაც აქვთ - დასძენს ბერძენი ხრისტო ქსანდოპულო.

გუგუმი აჭარულში დამკვიდრებული თურქული სიტყვაა, წყლის სპილენძის ჭურჭელს, თუნგს ეძახიან. შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია - თუნგი, წყლის ჭურჭელი სპილენძისა (ნიჟარაძე, 1971: 149).

ასეთია ზოგადი სურათი უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი ერის მეტყველებისა, ერის, რომელმაც მრავალგზის განიცადა მიგრაციები, უკუმიგრაციები, მრავალგზის გახდა უცხო ენის, უცხო კულტურის ნაწილი და მუდმივად უხდებოდა ბრძოლა საკუთარი მეობის, საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად. მართალია, აჭარული დიალექტის გავლენა დიდია და ეს ბუნებრივიცაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პონტოელმა ბერძნებმა დაივიწყეს მშობლიური ენა, ტრადიციები და მთლიანად გაითქვიფნენ უცხო კულტურაში.

§2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური ლექსიკის

თავისებურებანი

2.1. პონტოური ბერძნული ლექსიკის მიმართება თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ე.წ. პონტოელ ბერძენთა საქართველოში გადმოსახლების დღიდან მათი დიალექტის შემდგომი განვითარება დაუკავშირდა იმ ახალ ენობრივ გარემოს, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, ისტორიულ ყოფას, რომელიც აქ დახვდათ.

შევეცადეთ, პონტოური ლექსიკის თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან ურთიერთმიმართებით, შეგვექმნა ზოგადი სურათი იმისა, თუ რამდენად არის დაცილებული დიალექტი საკუთრივ ენას.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში აღბეჭდილი ენათა გავლენების თუ კულტურათა კონტაქტების კვალი ბევრ საინტერესო თავისებურებას ავლენს.

შედარებითი ანალიზისთვის გამოვყოფთ სიტყვათა შემდეგ ჯგუფებს:

1. საერთო სიტყვები, რომლებიც ფორმითაც ერთნაირია და მნიშვნელობითაც;
2. საერთო ძირის მქონე ფონეტიკურად სახეცვლილი, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;
3. ფორმით განსხვავებული, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;
4. ფორმით/მნიშვნელობით განსხვავებული, მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები;

1. პონტოური ლექსიკის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს სიტყვები, რომლებიც პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ფონეტიკურადაც და სტრუქტურულადაც ზუსტად ისეა შენარჩუნებული, როგორც ეს თანამედროვე ბერძნულშია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგ შემთხვევაში სალიტერატურო ბერძნულში ერთი სემანტიკის მქონე სიტყვას რამდენიმე სინონიმი დაეძებნება ახალში, პონტოურს მათგან მხოლოდ ერთი შემოუნახავს და პირიქით.

ბიცოლა, მამიდა, დეიდა ახ. ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით - *θεία* (თია), ასევეა პონტოურშიც - *θεία* მამიდას, დეიდას, ბიცოლას აღნიშნავს;

ადამიანი - *άνθρωποι* (ანთროპო) (პონტ.) - *άνθρωποις* (ახ. ბერძ.);

დედამთილი - *πεθερά* (პეთერა) (პონტ.) - *πεθερά* (ახ. ბერძ.);

ვაჟი, ვაჟიშვილი - *γιοι* (იოს) - (პონტ.) - *γιοις* (ახ. ბერძ.);

მამამთილი *πεθερός* (პეთეროს) (პონტ.) - *πεθερός* (ახ. ბერძ.);

მამა (მამიკო, მამილო) *ο πατέρας, ο πάππας* (ო პატერას, პაპას) (პონტ.) - *ο πατέρας, ο πάππας* (ახ. ბერძ.);

სიძე - *γαμπρός* (ღამბროს) (პონტ.) - *γαμπρός* (ახ. ბერძ.);

ქალი - *γυναίκα, γαρίν* (ღინეკა, ღარინ) (პონტ.) - *γυναίκα, γαρίν* (ახ. ბერძ.);

სარკმელი - *παράθυρο* (პარათირო) (პონტ.) - *παράθυρο* (ახ. ბერძ.);

თევზი - *ψάρι* (ფსარი) (პონტ.) - *ψάρι* (ახ. ბერძ.);

ღამპა - *λάμπα* (ღამპა) (პონტ.) - *λάμπα* (ახ. ბერძ.);

კიბე - *σκάλα* (სკალა) (პონტ.) - *σκάλα* (ახ. ბერძ.);

კარი - πόρτα (პორტა) (პონტ.) – πόρτα (ახ. ბერძ.);
მაკრატელი - ψαλίδι (ფსალიდი) (პონტ.) – ψαλίδι (ახ. ბერძ.);
ტახტი - καναπέ (კანაპე) (პონტ.) – καναπέ (ახ. ბერძ.);
სახე - πρόσωπι (პროსოპი) (პონტ.) – πρόσωπι (ახ. ბერძ.);
სისხლი - αίμα (ემა) (პონტ.) – αίμα (ახ. ბერძ.);
თითი - δάχτυλο (დახტილო) (პონტ.) – δάχτυλο (ახ. ბერძ.);
გემრიელი - νόστιμο (ნოსტიმო) (პონტ.) – νόστιμο (ახ. ბერძ.);
წარბი - φέρδι (ფრიდი) (პონტ.) – φέρδι (ახ. ბერძ.);
ქინძისთავი - καρφίτσα (კარფიცა) (პონტ.) – καρφίτσα (ახ. ბერძ.);
დაკეტილი - κλειδομένος (კლიდომენოს) (პონტ.) – κλειδομένος (ახ. ბერძ.)..

დედა (დედიკო) პონტოურში არის - **μαμά** (მამა), **μάνα** (მანა), ახ. ბერძნულში ორივე ფორმა (μαμά, μάνα) გვაქვს, გარდა ამისა, **დედა** თანამედროვე ბერძნულში აღინიშნება აგრეთვე სიტყვით, **μητέρα** (მიტერა) რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება, რაც პონტოურში არ ჩანს.

დაბალი - **χαμηλόν** (ხამელონ), **κοντόν** (კონდონ) (პონტ.) – χαμηλός (ხამილოს) (ახ. ბერძნული) და მისთ.

წინა პერიოდის პონტოურ ტექსტებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პონტოური ლექსიკურადაც და გრამატიკული წყობითაც უფრო ახლოს დგას ძველ ბერძნულთან. აჭარის პონტოელთა დღევანდელ მეტყველებაში შეინიშნება თანამედროვე ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების დამკვიდრება, რაც ელინურად მეტყველ ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობებით უნდა აიხსნას. აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა შვილები და შვილიშვილები საბერძნეთში ცხოვრობენ, ელინურ ბერძნულზე მეტყველებენ და მათთან ხშირი კონტაქტების შედეგად პონტოურში მკვიდრდება ახალი ბერძნულის ლექსიკა და, ბუნებრივია, მოსალოდნელია ფონოლოგიური და გრამატიკული ცვლილებებიც.

2. გვხვდება სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებით საერთო აქვთ, მაგრამ პონტოურში ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილებით დამკვიდრებულა (**იხ. აბულაძე 2017:252**).

ბეზია (ბეზიკო) – γιαγιά (ააა)/γιαγιάκα (აააკა/ააასკა (ააუკა), ააასტა (ააუტი) (პონტ.) – γιαγιά (ააა) (ახ. ბერძ.). γιαγιάκα/ააასკა, ააასტა უფრო მოფერებითია - ქართული ბეზიკო/ბეზუკას შესატყვისი;

ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი ახალ ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით - ξάδερφοც/ξადέρφη (ესადერფოს/ესადერფი), დიშვილი, ძმიშვილი - ανειψιά/იც (ანეფშია), პონტოურში გვხვდება ადერფოპაიდ (ადერფოპედ) (ადერფიც/ადერფი+პაიდ);

ქალიშვილი ახალ ბერძნულში აღინიშნება - θυγατέρα (თილატერა), პონტოურში გამოითქმის მეγατέρ (თელატერ).

ბადრიჯანი - μελιτζάνα (მელინძანა) (ახ.ბერძ.), პონტოურში გამოითქმის მანჯანა (მანძანა) და მისთ.

შვილიშვილი - τη παιδίσιμ το παιδί (ტი პედისიმ ტო პედი) (პონტ.) (პაიდი+პაიდი), εγγισός/η (ენგონოს) - შვილიშვილი (ახ. ბერძ.);

3. პონტოური ლექსიკის დიდი ნაწილი ფონეტიკურად სრულიად განსხვავდება თანამედროვე ბერძნული ლექსიკისგან, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სტრუქტურულად ელინურისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან, თუმცა პონტოელთა ლექსიკაზე დაკვირვებითა და შედარებითი ანალიზით ნათელი ხდება, რომ დიდი ნაწილი ამ ლექსიკისა თურქული წარმომავლობისაა, ნაწილი რუსული ენიდანაა შესული, ნაწილი საკუთრივ ბერძნულია, შეინიშნება ქართული ენის გავლენის კვალიც, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ ნასესხები ლექსიკის სახით.

4. ცალკე გამოვყოფთ ლექსიკის იმ ნაწილს, რომელშიც სემანტიკური გადახრები იჩენს თავს, ახალ ბერძნულთან მიმართებით სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია, შეცვლილია ან გაფართოებულია.

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – χάταλον, ააისპ, μάριον (ხატალონ, აღურ, მორონ) (პონტ.) - ახ. ბერძნულში გამოითქმის ააირი (ალორი). Μαρπ (ახ. ბერძნულში - ჩვილ ბავშვს ნიშნავს - μάριον -კენკრა, μαρπც - ჭკუასუსტი.

კაცი (ყმაწვილი) – νέος - νείσα - ახალგაზრდა ქალი პონტოურში, -νεაპრც/ნέα - (ახ. ბერძ.), გარდა ამ მნიშვნელობისა, ახალ ბერძნულში νέον ზედსართავი სახელია - მისი მნიშვნელობაა -ახალი.

პონტოურში ცოლის და არის - **παλδის/γυναικάδεληφ** (პალდუ/ლინეკადელფი) შდრ. აჭარ. **ბალდუზი** (თ.baldiz-ცოლის და) (**ნიჟარაძე 1971: 101**) - ახ. ბერძნულში - **κουνιάδος** (კუნიადოს)/**γυναικάδεληφ** (γυναικα+ადელფი)/ - **κουνιάδα- ცოლის და**, ხოლო **ცოლის ძმა და ქმრის ძმა** ახალ ბერძნულში აღნიშნება ერთი სიტყვით **κουνιάδος**, რაც პონტოურში არ ჩანს. პონტოურში გვხვდება **γυναικάδελφος** (ლინეკადელფოს) - ცოლის ძმა, ხოლო **αντραδέλφομ** (ანდრადელფომ) - ქმრის ძმა, მაზლი;

ძმა პონტოურში არის **καρτάsh** (კარტაშ)/**ადელფός**, შდრ.აჭარ. **ყარდაში**<თურქ.-ძმა, ახალ ბერძნულში გვაქვს **ადელფός**. ასეთივეა **ბიძა - θείος** (თიოს), **ტაჩ** (ტაის) პონტოურში, შდრ. აჭარ. **ტაია** (თურქ.) - **ბიძა (დედის ძმა)**, ამავე მნიშვნელობით გვხვდება პონტოურშიც, **ელინურში** გვაქვს - **θείος** (თიოს) ;

პონტოურში **τσιτσία** (ციცია) აღნიშნავს **მკერდს** (ქალის), რასაც ახალ ბერძნულში **შეესაბამება στήθος** (სტითოს), ხოლო ამავე ფუძისგან ნაწარმოები **τσιτსი** (ციციდი)-აღნიშნავს - **დედიშობილას**;

პონტოურში - **ακόνη** (აკონი) აღნიშნავს **საფეთქელს**, **ელინურში** **სალესავს**. **საფეთქელი ელინურად** არის - **κρόταφος** (კროტაფოს).

იასამნისფერს პონტოურად უწოდებენ - **μελιτζανι χρώμα** (მელინძანი ხრომა) **თანამედროვე ბერძნულში** -**μενεξεδί/βιολετί** (მენექსეზი, ვიოლეტი) - **იასამნისფერი**, **იისფერი**, **მეწამული**, **μελιτζανί** (მელიძანი) **ელინურად ბადრიჯანს** აღნიშნავს.

დიდი - ზედსართავი სახელი პონტოურში არის **τρανόν** (ტრანონ), **ახალ ბერძნულში** - **μεγάλος** (მელალოს). **Τρανός** (ტრანოს) **ახალში** - **ბუმბერაზს**, სახელგანთქმულს აღნიშნავს.

პონტოურში **ბლაგვი** არის - **ακόνιον** (აკონილონ). ახალში - **αμβλός** (ამვლის). - **ακόνη** - თანამედროვე ბერძნულ ენაზე აღნიშნავს **სალესავს**, **ακόნიζა** - ვლესავ.

ადგილის ზმნიზედა -**ახლოს** პონტოურად არის -**σίσμα** (სუმა). ახალ ბერძნულ ენაზე **σίσμα** - ნიშნავს **ჯამს**, პირველნაყოფს.

სუნამოს პონტოელები **λεβάντι** (ლევანდი) ეძახიან, რაც ახალ ბერძნულ ენაზე ითარგმნება როგორც **ლავანდა** (მცენარის სახელი).

გასაღები - პონტოურად არის **ανοιγάρ** (ანიღარ), ახალ ბერძნულში **κλειδί** (კლიზი), შდრ. ახ. ბერძ. **ανοιγω** - ვაღებ, ვხსნი;

ვფიქრობთ, აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველების გამოწველივით შესწავლა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პონტოური დიალექტის ლინგვისტური სურათის აღდგენაში.

2.2. არქაიზმები პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

პონტოური დიალექტი გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო იზოლირებულად ვითარდებოდა, ამიტომაც საგრძნობლად დაშორდა როგორც ბერძნული ენის სხვა დიალექტებს, ასევე სალიტერატურო ენასაც. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პონტოური თანამედროვე ბერძნული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით უფრო კონსერვატულია, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ძველი ბერძნული ფორმების შენარჩუნება.

აქედან გამომდინარე, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტი მნიშვნელოვან თავისებურებებს ავლენს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, განსაკუთრებით ლექსიკაში.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტის კვლევა, ვფირობთ, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აქ დიალექტი განსხვავებულ მულტილინგვურ გარემოში მოხდა და, ბუნებრივია, სხვა ენათა გავლენაც განიცადა. უცხო ენათა გავლენების ფონზე პონტოური არ კარგავს თვითმყოფადობას, რაზეც ნათლად მეტყველებს მასში არქაული ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების არსებობა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც თანამედროვე ბერძნულში აღარ გვხვდება, ან სახეცვლილია, -პონტოურს შემოუნახავს, დაუცავს მცირე ფონეტიკური ცვლილებით, ზოგ შემთხვევაში კი ზუსტად ისეთივე ფორმით, როგორც არქაული ბერძნულისთვის იყო დამახასიათებელი.

შევეცადეთ, დაგვედგინა რამდენად არქაულია ესა თუ ის ფორმა, ან ენის განვითარების რომელ პერიოდს უკავშირდება.

საანალიზოდ ჩვენ ხელთ არსებული მასალის საფუძველზე რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ.

ა. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ბერძნული ენისთვის, თანამედროვე ბერძნულ ენაში კი შეცვლილია, ან საერთოდ აღარ არის, პონტოურს ძველი ფორმით შემოუნახავს, რაც გვაფიქრებინებს ისინი არქაიზმებად მივიჩნიოთ.

ზმნიზედა -უკან პონტოურში **οις** (ოპის) ფორმით დამკვიდრებულა. თანამედროვე ბერძნულში ამავე მნიშვნელობის ზმნიზედას აღნიშნავს **πισα** (პისო), ასეთივე ფორმით დასტურდება შუა საუკუნეების ბერძნულშიც, ძველ ბერძნულში გვხვდება **ὀπισθεν** (ოპის(თ)ენ) და **ὀπισα** (კლასიკური ὀπισα, შუასაუკუნეების **πισα**, ახ. ბერძნ. **πισα**) ფორმები. **პონტოური οἰς** (ოპის), ვფიქრობთ არქაული ბერძნულის ნიშანს უნდა ატარებდეს.

პონტოურში კერვას ეძახიან **ράφα** (რაფტო)/**ράπα** (რაპტო) τ-ს წინ $\pi > \varphi$ პროცესის შედეგად, თანამედროვე ბერძნულში გვაქვს **ράβα** (რავო), რომელიც მიღებულია **εραψα** ფორმისგან, ეს უკანასკნელი კი ძველი ბერძნული **ράπα** ფორმის აორისტია. თუმცა, ეს ფორმა (**ράπα**) დადასტურებულია კათარევუსაშიც, რომელიც დიმოტიკისთან ერთად არსებობდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ კლასიკური (არქაული) ფორმა შენარჩუნებული იყო შუა საუკუნეებშიც. ამდენად, ძნელია გადაჭრით იმის თქმა, **ράφα/ράπα** პონტოურს უშუალოდ ძველი ბერძნულისგან ჰქონდეს მიღებული.

კრეფა, შეგროვებას პონტოურში ეძახიან - **σπεσα** (ძვ. ბერძნული **σπεσα**). ახალი ბერძნული ამ მნიშვნელობით გამოიყენებს - **μαζσα**, რაც პონტოურში არ ჩანს. თანამედროვე ბერძნულში **μαζσα**-ს გვერდით **σπεσα**-ც დასტურდება, რასაც ცოტათი განსხვავებული სემანტიკა აქვს (საქმის დაგროვება..). ფორმა უშუალოდ ძველი ბერძნულისგანაა მიღებული. თანამედროვე ბერძნულში **σπεσα** - გროვას, ზვინს, დიდ რაოდენობას აღნიშნავს და მიღებულია გვიანი პერიოდის ბერძნულისგან, ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს არქაული ბერძნულისგან (**σπεσα** < **σπεσα** < **αρχ. σπεσα** < **σπερς**) - ავაგროვებ, გროვად დავყრი. მართალია - **σπεσα** უშუალოდ ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს, თუმცა დასტურდება

გვიანდელი პერიოდის ბერძნულშიც და შემონახული აქვს თანამედროვე ბერძნულსაც, ამდენად, ძნელია პონტოურში ამ ფორმის არსებობა უშუალოდ არქაულ პერიოდს დავუკავშიროთ.

ბ. პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომელთა არსებობაც უშუალოდ ძველ ბერძნულთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა განსხვავებით ძველი ბერძნულისა, პონტოურში მცირე ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია.

კვერცხი ძვ. ბერძნულში გამოითქმის - τὸ ψῖν (ტო ონ), საკუთრივ პონტოურ დიალექტში -β-ს გაჩენით მიღებულია **αβόν** (ოვონ), აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში იβᾶ (ოვა) ფორმით გვხვდება, ახ. ბერძნულში - **το αυγό** (ტო ავლო) (**Κωνσταντίνδου, 2013:** მის.: [//pontos-patridamou.blogspot.com/2013/12/blog-post.html#axzz2mcDN1rXH](http://pontos-patridamou.blogspot.com/2013/12/blog-post.html#axzz2mcDN1rXH));

ყური, ყურები - ძველ ბერძნულად არის - τὸ οὖς, **ατός**, (მხ.რ. ნათ. ბრ. **ατιον, მრ. სახ. ατα, ნათ. ᾶταν**) დორიულში **αζ.** პონტოურში **ατίν, ατία**, (ოტინ, ოტია) ფორმა დასტურდება, რაც ვფიქრობთ, არქაული ბერძნულის ნიშანს უნდა ატარებდეს. ახალ ბერძნულში გვაქვს **το αυτί/το αφτί** (ტო ავტი/ავტი), რომელიც მომდინარეობს ძვ. ბერძნულის **μρ.τα οὐτία<τ'αφτία<τ' αφτι'** ფორმისგან.

ქვაბი - ძვ. ბერძნულად - **χαλκός** (ხალკოს) (სპილენძისგან და ამ ლითონისგან დამზადებული ნივთების მნიშვნელობით), ასევე შემოუნახავს ზოგადად პონტოურ დიალექტსაც - **χαλκόν** (ხალკონ), აჭარის მკვიდრ ბერძენთა მეტყველებაში ასიმილაციის გზით ვღებულობთ **χαλγόν** (ხალღონ) ფორმას (თუჯის ქვაბი) /**καστρούλαν** (კასრულან) (რუს. кастрюля), ახ. ბერძნულში - **η κατσαρόλα** (კაცაროლა) (ვენეც. cazzeroia). **χαλκός** თანამედროვე ბერძნულშიც დასტურდება და აღნიშნავს სპილენძს, ბრინჯაოს, ლითონს. პონტოური **χαλγόν** ფორმითაც და სემანტიკითაც არქაულ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

ზეთისხილი პონტოურში არის - **ελέας** (ელეას), ასევეა არქაულ ბერძნულშიც **η ἑλαία** (ელეა), ახ. ბერძნულში - **η ελιά** (ელია), რაც ძველი ბერძნული **ελαία** -გან არის მიღებული, **ελια' <αρχ. ελαία**.

გველი - ძველი ბერძნულის მსგავსად პონტოურში არის - **ο φίδ** (ოფიდ), ძვ. ბერძნული - ὄφις, **εως, εως** (ოფის) და მამრობითი სქესის სახელია, ახალ ბერძნულში კი საშუალო სქესისაა - **το φίδι** (ფიზი), რაც მიღებულია შუა საუკუნეების ბერძნული - **Φίδι** ფორმისგან. გვიანდელი პერიოდის ბერძნულში კნინობითი ფორმით - **οφίδιον** შენარჩუნებულა, რაც თავის მხრივ მიღებულია ძველი ბერძნულის -**οφιδ** ფორმისგან. **φίδι**<μσν. **Φίδι**<μτγ. **οφίδιον**<**οφίδιον**<**οφιδ**. პონტოურში **οφίδ** ფორმის არსებობა, შესაძლოა, გვიანდელი პერიოდის ბერძნულის განვითარების შედეგი იყოს.

თხა - პონტოურში გამოითქმის -**ειδ** (ეიდ), მიღებული უნდა იყოს არქაული ბერძნულის **αιξ**, **αιγως** ფორმისგან, ახალ ბერძნულში თხის მნიშვნელობით სხვა სიტყვები გვხვდება - **η κατσικά, ο τράγος** (კაციკა, ტრალოს), **γίδα/γίδι** თანამედროვე ბერძნულში მიღებულია შუა საუკუნეების **γίδι** ფორმისგან, რომელიც მომდინარეობს ძველი ბერძნულის -**αιγίδιον** კნინობითი ფორმისგან, ეს უკანასკნელი კი მიღებულია ამავე პერიოდის - **αιξ**-გან, რაც ფარას (თხის) აღნიშნავს (**γίδα/γίδι**<μσν. **Γίδι**<αρχ. **Αιγίδιον**<**αιξ** - თხა).

პონტოურში **κεραμιά** (კერამია) აღნიშნავს კრამიტს, ძველ ბერძნულში გვაქვს **η κεραμίσ** (კერამის), გვიანდელი პერიოდის ბერძნულში ჩნდება არქაული **κεραμίδ** ფორმისგან მიღებული კნინობითი - **κεραμίδιον**, შუა საუკუნეების ბერძნულში გვიანდელი ეპოქის ბერძნულისგან ვლელობთ - **κεραμίδιον** ფორმას. თანამედროვე ბერძნულში ენის განვითარების შედეგად მკვიდრდება **κεραμίδი** (კერამიდი). (**κεραμίδι**<μσნ. **Κεραμίδι**<μτγν. **Κεραμίδιον**<**κεραμίδ**). აქედან, პონტოური **κεραμιά** არქაული პერიოდის ნიშანს უნდა ატარებდეს.

მატლი, ჭია პონტოურში გამოითქმის - **σκολέκ** (სკოლეკ), რაც არქაული ბერძნულის **τὸ σκώληξ** (სკოლექს) ფორმისგან მომდინარეობს, ახ. ბერძნულში დასტურდება -**το σκουλήκι** (სკულიკი) შუა საუკუნეების ბერძნულში გავრცელებულია **σκουλήκι**, რომელიც მიღებულია არქაული კნინობითი ფორმისგან -**σκαλήκιον**, ეს უკანასკნელი კი ამავე პერიოდის - **σκώληξ** -ისგან. პონტოურში -**σκολέκ** ფორმის არსებობა არქაულ პერიოდს უკავშირდება.

μετρούγα (მეტრულა) პონტოურში აღნიშნავს დედინაცვალს, რომელიც არქაული ბერძნულის **η μητρια** (მეტრუია) ფორმის ვარიანტია მიღებული ბგერის გაჩენით,

ახ. ბერძნულში ენის განვითარების შედეგად გვაქვს - **η μητριά** (მეტრია), რაც არქაული ბერძნული ფორმისგან **μητρσιά<μητηρ** მომდინარეობს.

პონტოურში თვალი გამოითქმის - **ομάτ, ομάτια** (οματιάζა-გათვალვა). ძველ ბერძნულში დასტურდება -**όμμα** ფორმით, აქედან ამავე პერიოდში ჩნდება კნინობითი - **ομαάτιον**, შუა საუკუნეების ბერძნულში ენის განვითარების შედეგად მკვიდრდება -**μάτιν**, აქედან ახ. ბერძნულში -**το μάτι** (τομάτι, <μσν. Μάτιν<αρχ. Ομαάτιον, σποκορ. Τουόμμα). პონტოურში **ομάτ, ομάτια** ფორმები არქაული პერიოდის შედეგი უნდა იყოს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბერძნული ენის ზოგ ლექსიკონში ძველი ბერძნულის **όμμα**-ც დასტურდება, თუმცა უშუალოდ არქაულისგანაა მიღებული.

ტანსაცმელი - **λάμαν, τα λάματα** - უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული **λαμάτιον** ფორმისგან, ახალ ბერძნულში ამავე მნიშვნელობის სიტყვაა **τα ρούχα, ρουχον**, რომელიც მომდინარეობს სლავური **ruho**-სგან.

წამალი - **φάρμακον** - ახალში გვაქვს - **φάρμακο**, ძველში მსგავსად პონტოურისა **φάρμακον**. ახალი ბერძნულის ფორმა მიღებულია უშუალოდ ძველისგან (Φάρμακον<αρχ. φάρμακον<φάρμα (=χτύπημα) - დარტყმა, ათქვევა).

ნესტო -პონტოურში გამოითქმის **ροθών** (როთონ) (მხ.რ.) **ροθώνια** (როთონია) (მრ.რ.)/**ροφών, ροφώνια** (φ>θ), ახ. ბერძნულში ფონეტიკური გავლენა (ο-ο>ου-ου) განუცდია -**το ρουθίνι** (რუთინი). იგივე სიტყვა ძველ ბერძნულში გვხვდება ასეთივე ფორმით - **τὸ ῥάθων** (ῥαθώνιον- კნინობითი ფორმა), რომელიც შუასაუკუნეების ბერძნულშიც ასეთივე სახით დასტურდება, თუმცა ამავე პერიოდშივე იწყება ლექსემის ფონეტიკური ცვლილების პროცესი (შუასაუკ. ρουθίνιον<ῥαθώνιον<αρχ. ῥάθων), რაც საბოლოოდ, თანამედროვე ბერძნულში სახეცვლილი ფორმით მკვიდრდება (ρουθίνι). აქედან გამომდინარე, პონტოური ფორმა უფრო არქაულ ბერძნულს უნდა უკავშირდებოდეს.

საცერი **პონტოურში** გამოითქმის -**κο[sh]κίν** (კოშკინ), ძვ. ბერძნულში -**τὸ κόσκιον** (კოსკინონ), ასეთივე ფორმითაა დადასტურებული ზოგადად პონტოურ დიალექტში - **κοσκιν**, ხოლო აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში **σκ** (სკ) კომპლექსი გვაძლევს **shκ** (შკ) კომპლექსს (დამახასიათებელია აჭარის პონტოელთა

მეტყველებისთვის), თანამედროვე ბერძნულში ამავე მნიშვნელობის სიტყვაა ὄρα<αρχ.ὄρα (=κασινίζα), ამასთან ერთად Κότιο ფორმაც დასტურდება ახ. ბერძნულში, თუმცა უშუალოდ არქაულისგან მიღებული.

ხახვი პონტოურში არის - κρομίν (კრომიზ), ძველ ბერძნულში დასტურდება τὸ κρόμμισ (კრომიონ), ძველი ბერძნულისგან გვიანდელი პერიოდის ბერძნულში κρέμμισ, აქედან შუა საუკუნეებში κρεμμύδιον, ხოლო თანამედროვე ბერძნულში ფონეტიკურ ნიადაგზე მკვიდრდება το κρεμμύδι (კრემიზი) ფორმით (<μσν.κρεμμύδιον კნინ.τουμτν. Κρέμμισ<αρχ. Κρόμμισ), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ το κρεμμύδι-ს პარალელურად κρομμύδι- ფორმაც დასტურდება თანამედროვე ბერძნულ ლექსიკონში, რაც მიღებულია შუა საუკუნეების Κρομμύδιον ფორმისგან, რაც, თავის მხრივ მიღებულია გვიანი პერიოდის ბერძნულის κρομμύδιον-საგან, ეს უკანასკნელი კი - ძველი ბერძნულის Κρόμμισον ფორმისგან (κρομμύδι<μσν. Κρομμύδι < μτν. Κρομμύδιον < αρχ. Κρόμμισον).

მაგ.: სიზმარი - ὄνειρον (ონირონ) (პონტ.), ახ. ბერძნულში - το όνειρο, ძვ. ბერძნულში -τὸ ὄνειρον, ὁ ὄνειρος<αρχ. Ονειρον.

გ. პონტოურში დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც თანამედროვე და ძველ ბერძნულში რამდენიმე სინონიმური შესატყვისი გააჩნია, თუმცა მათგან პონტოურს ერთი შემოუნახავს.

ოთახი ძველბერძნულად არის -η κάμαρα, η κάμαρη (კამარი) (ლათ. camara), ახალ ბერძნულში ოთახს აღნიშნავს აგრეთვე το δαμάτιο (დომატო), პონტოურში ვხვდებით მხოლოდ ერთ შესატყვისს - κάμαρι (კამარინ). არქაული κάμαρα-საგან გვიანდელი პერიოდის ბერძნულში მიღებულია კნინობითი ფორმა κάμαριον, აქედან შუასაუკუნეების ბერძნულში დასტურდება Κάμαρι და აქედან ახალ ბერძნულში - Κάμαρι. პონტოური ფორმა, ჩანს, უფრო შუა საუკუნეების ენიდანაა: κάμαρι<μσν. κάμαριον<μτν.κάμαριον<κάμαρα.

δαμάτιο<αρχ. δαμάτιον<δάμα<αρχ. δάμα<δέμα (οικιδίμα), რაც პონტოურში არ ჩანს.

ტაშტი, გობი - ახალ ბერძნულშია -η λεκάνη (ი ლეკანი), η σκάφη (ი სკაფი), პონტოურსა და ძველ ბერძნულში მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება σκαφίρ (სკაფირ)

(პონტ.), ძვ. ბერძნული - η σκάφη (ი სკაფი). ἡ σκάφη ახალ ბერძნულშიც გვხვდება უშუალოდ არქაულისგან მიღებული, თუმცა ეს არ არის საკმარისი საფუძველი პონტოურში არსებული იგივე ლექსემა უშუალოდ არქაულიდან მომდინარედ ჩავთვალოთ.

λεκάνη<αρχ. λεκάνη<λέκος(=πίατο).

ცისფერი ახალ ბერძნულში გვხვდება -γαλάζιος, γαλανός, ο σιρανής (დალაზიოს, დალანოს, ურანის) ფორმით, **ძველში** ამავე მნიშვნელობის სიტყვა გამოითქმის ο ἰράσιος (ურანიოს) (ციური, ზეციური), **პონტოურს** ცისფერის აღსანიშნავად ძველი ბერძნულის მსგავსად -σιρανήν χρώμα<σιρανήν+χρώμα (ურანინ ხრომა) (ცის,ზეცის ფერი) აქვს დამკვიდრებული, თუმცა **ο σιρανής ახალ. ბერძნულშიც** გვხვდება და, შესაბამისად, ვერ ჩავთვლით პონტოურისთვის უშუალოდ არქაულ ფორმად.

ბროწეული ძვ. ბერძნულად არის -η ροιά (როია), ἀνάριθμος (ანართიმოს)-**უთვალავი**, აქედან **პონტოურს** -ανάρ (ანარ) შემოუნახავს, **ახ. ბერძნულში** გვაქვს το ρόδι/ρόδι (როდი), το ρόδι (როიდი). Το ρόδι<μσν. Ροίδιον<αρχ.ροίδιον<ροιά. Αναριθμητος ახალ. ბერძნულშიც დასტურდება უთვალავის მნიშვნელობით.

ყეფა - **ιλάγμαν** (ილაღმან) (პონტ.), ძველ ბერძნულში - βιάζω, ἰλάω (ილაო), ἰλακτεω, ἰλάσκω, ἰλαγμα, **ახ. ბერძნულში** - το γάβγισμα (ღავღისმა) და ἰλακτώ ფორმაა გავრცელებული. ამდენად, პონტოურში დადასტურებული **ιλάγμαν არქაიზმი უნდა იყოს.**

დ. ცალკე გამოვეყოფთ პონტოურ ლექსიკას, რომლებიც მეტწილად ძველი ბერძნული ენის ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული:

ჯეირანი ძველ ბერძნულშია ἄγριος (აღრიოს) (ველური) ἵππος (იპოს), **პონტოურში** გვაქვს **αγρέιον** (აგრეიპონ), **ახ. ბერძნულში** - **ηγκαζέλλα** (კაზელა) ლათინური Gazella. αγρέιον – ἄγριος+ἵππος (ველური ცხენი), თუმცა ცხენს ბერძნები კიდევ ეძახიან **ἀλοιον**, რაც **პონტოელებთან არ ჩანს.**

ჟინჯლი თანამედროვე ბერძნულად გამოითქმის - ψιχαλιζει (ფსიხალიზი), ძველ ბერძნულში გვაქვს ψιλός (ფილოს), βροχη (ვროხი) (βρέχω), **პონტოურში** კომპოზიტის სახით დასტურდება **ψιλβρε[sh]ήν** (ფსილვრეშინ);

ე. პონტოურში დასტურდება სიტყვები, რომლებიც საერთოა ძველი და თანამედროვე ბერძნული ენისთვის, მათ ენის განვითარების არცერთ ეტაპზე ცვლილება არ განუცდიათ და პონტოურშიც ასეთივე ფორმით შენახულა. ამ შემთხვევაში ძნელია იმის მტიკიცება, ლექსემები რამდენად არქაულია, რომ პონტოურს უშუალოდ ძველი ბერძნული ენისგან მიუღია თუ პონტოურში მსგავსი ლექსემების არსებობა ენის განვითარების რომელიმე სხვა პერიოდის კუთვნილებათ. ასეთებია, მაგალითად:

კუთხე - $\gamma\alpha\nu\acute{\alpha}\nu$ (ღონიან) (პონტ.), ახ. ბერძნულში - $\eta\ \gamma\alpha\nu\acute{\alpha}$, ძვ. ბერძნულში - $\eta\ \gamma\alpha\nu\acute{\alpha}$ (<αρχ. Γανία);

ნერვები - $\tau\omicron\ \nu\epsilon\rho\omicron$ (ტო ნევრო) (პონტ.) - ახ. ბერძნული - $\tau\omicron\ \nu\epsilon\rho\omicron$ (ტო ნევრო) - ძვ. ბერძნული - $\tau\omicron\ \nu\epsilon\rho\omicron\nu$ (ტო ნევრონ), $\nu\epsilon\rho\omicron$ < $\nu\epsilon\rho\omicron\nu$;

პონტოურში საუზნობა - $\pi\rho\alpha\iota\zeta\acute{o}$ (პროიზნო) უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული $\pi\rho\acute{\alpha}\varsigma\zeta\alpha$ (პროიზა) - (დილით, ახალხანს) ფორმისგან, ახ. ბერძნული - $\tau\omicron\ \pi\rho\alpha\iota\omicron$ (პროინო). $\pi\rho\alpha\iota\omicron$, < $\mu\tau\upsilon\nu.\pi\rho\alpha\iota\omicron\nu\omicron$ < $\pi\rho\acute{\alpha}$ <αρχ.επιρρ. $\pi\rho\acute{\alpha}$ <πρo;

კითხვითი ზმნიზედა საიდან? **თანამედროვე ბერძნულში** არის $\alpha\pi\acute{o}\theta\iota\varsigma$ (აპოპუ), აჭარაში მცხოვრებ **პონტოელთა** მეტყველებაში მისი შესატყვისია- Απόθεν (აპოთენ), რაც შუა საუკუნეების ბერძნულის ორი სიტყვის $\alpha\pi\omicron$ (დან/გან) + $\omicron\theta\epsilon\nu$ (საიდან) შერწყმის შედეგს წარმოადგენს, თუმცა ორივე მათგანი ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს. $\acute{\alpha}\pi\omicron\theta\epsilon\nu$ - ძველ ბერძნულში შორს, შორიდან მნიშვნელობით გამოიყენება.

გალესილი - **პონტოურად** - $\alpha\kappa\acute{o}\nu\iota\omicron\nu$ (აკონილონ), $\kappa\alpha\lambda\acute{o}\nu\alpha\kappa\omicron\nu\epsilon\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\nu$, რომელიც მიღებული უნდა იყოს ძველი ბერძნული ზმნისგან - $\acute{\alpha}\kappa\omicron\nu\acute{\alpha}$ (აკონაო) - გალესვა, $\eta\ \acute{\alpha}\kappa\acute{o}\nu\eta$ (აკონი) - (სალესი), ახ. ბერძნული - $\alpha\kappa\omicron\nu\iota\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\varsigma$ (აკონიზმენოს), $\omicron\zeta\alpha\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\varsigma$, $\tau\rho\omicron\chi\iota\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\varsigma$. $\alpha\kappa\acute{o}\nu\eta$ <αρχ. Ακόνη , $\alpha\kappa\acute{o}\nu\iota$ < $\mu\tau\upsilon\nu$. კნინობ. Ακονιον <αρχ. Ηακόνη . Ακονίζω < $\alpha\kappa\acute{o}\nu\eta\sigma\alpha$, აორ. $\text{Τουαρχ. } \acute{\alpha}\kappa\omicron\nu\alpha$. პონტოური $\alpha\kappa\acute{o}\nu\iota\omicron\nu$ უფრო ახლოს დგას გვიანდელი ბერძნულის Ακονιον ფორმასთან - γ ფონემის დაკარგვით მიღებული (რაც ბერძნულისთვის ხშირია).

გრუხუნი, ქუხილი პონტოურად არის - $\beta\rho\acute{o}\nu\tau\epsilon\mu\alpha\nu$ (ვრონდემან), ასევე გამოითქმის ძველ ბერძნულში - $\tau\omicron\ \beta\rho\acute{o}\nu\tau\eta\mu\alpha$ (ვრონდემა) - (თ ძველ ბერძნულში

იკითხება როგორც ე), ახალ ბერძნულში -*φρόντις*- *φρόντις/φροντα*, <αρχ.
Φροντα<*φροντη* (ვრონტოს).

გამოვლენილი მასალა ცხადყოფს, პონტოურს დაუცავს ბევრი არქაული ფორმა, რაც, როგორც ჩანს, პონტოელ ბერძენთა კონსერვატულმა ბუნებამ და კომპაქტური ცხოვრების წესმა განაპირობა.

2.3. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ლექსიკის მიმართება საკუთრივ

პონტოურ დიალექტის ლექსიკასთან

ლექსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ დიალექტის ენობრივი თავისებურებების შესწავლაში. კონკრეტული კილოსთვის, კუთხისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი ყველაზე ხელშესახებად ხომ ლექსიკაში ჰპოვებს გამოძახილს. ისიც ცნობილია, რომ ენაში მეტ ცვლილებებს ლექსიკური ფონდი განიცდის, ნაკლებად კი ენის გრამატიკული სტრუქტურა. საზოგადოებრივ, სოციალურ-გეოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად, იცვლება ლექსიკური ფონდიც, რაც ამ ცვლილებების პირდაპირი ამსახველია. ამდენად, „თანდათან იშლება და დავიწყებას ეძლევა დრომოჭმული და საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები, მათ ნაცვლად მკვიდრდება და ფეხს იდგამს ახალი ყოფის ამსახველი ტერმინოლოგია“ (იხ. ძიძიგური, 1954) და როცა მსგავს ცვლილებათა ფონზე ხდება ენის არსებობის შენარჩუნება უცხო ენობრივ გარემოში სხვა ენათა გავლენების ფონზე, კიდევ უფრო საინტერესოა ამ ენის თუ დიალექტის განვითარების გზები და ინტეგრირების ფორმები.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საინტერესოა, ერთი კუთხის მეტყველება რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, სად ჩნდება ცვლილებები და როგორია ცვლილებათა ტრანსფორმირების სახეები.

ჩვენი ინტერესის სფერო ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაა. შევეცადეთ, აქაურთა ლექსიკა შეგვედარებინა საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკური ფონდისთვის, ვინაიდან „კუთხური მეტყველების პროფილი, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოულობს იმ მრავალფეროვან

და თავისებურ სიტყვიერ ფონდში, რის მიხედვითაც ერთი კილო განსხვავდება როგორც ლიტერატურული ენისგან, ისე სხვა დიალექტებისგან“ (ნიჟარაძე, 1971:5).

საანალიზოდ ვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკონებს (Τσοπουριδη, 1978; Μιλιαδη, 2014; ποντιακο Λεξικο, 2011), კომპლექსურ მონოგრაფიაში „ბერძენები საქართველოში“ წარმოდგენილ ლექსიკურ ფონდს, რომელიც ბერძენი მეცნიერის, ლაზარევის ხელნაწერებზე დაყრდნობით გამოიცა და საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებას ასახავს და შესადარებლად ვიყენებთ ჩვენ მიერ ჩაწერილ ემპირიულ მასალებს იმ ფორმით, რა ფორმითაც აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეხსიერებას შემორჩა და რა სახითაც დღემდე მოიტანეს.

აღნიშნული ლექსიკის ურთიერთმიმართების საკითხი გვაინტერესებს იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს, თუ რამდენადაა დაშორებული აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველება საკუთრივ პონტოურ დიალექტს და დროთა სვლა რამდენად ახდენს გავლენას ლექსიკაზე, რაც, თავის მხრივ, ერთი კუთხის მეტყველების ცალკე კილოკავად, ცალკე თქმად ფორმირება/არფორმირების მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა.

კლასიფიკაციისთვის რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ:

ა. საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში რუსული ნასესხობები ცვლის:

πορτοφιλ - საფულე (საკ.პონტ.) - κα[sh]ιλók (γομάτον κα[sh]ιλók - სავსე საფულე) (პონტ.).

პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში თურქული ნასესხობები ცვლის:

ჯანár το - ქამარი (საკ.პონტ.) - γá[sh] (პონტ.).

დანიშნული, საქმრო/საცოლე პონტოურში გამოითქმის vs[sh]αίς, ამავე სემანტიკის სიტყვა საკუთრივ პონტოურში ბერძნულია და გამოითქმის - σημαδευα.

პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ქართული ნასესხობები ცვლის:

παντελόν το - შარვალი (საკ. პონტ.) - [sh]αpβάλ (პონტ.);

μαντήλ (საკ. პონტ.) - თავსაფარი - κα[sh]κίν (პონტ.);

ბ. ფონოლოგიური ცვლილება:

აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა მეტყველება საკუთრივ პონტოურთან მიართებით ფონოლოგიურ ცვლილებას განიცდის:

σ>sh - βρεστή (საკ.პონტ.) - βρε[sh]ήν (პონტ.) - βροχη (ახ. ბერძ.) - წვიმა;

σονίζ (საკ. პონტ.) - [sh]ιονίζ (პონტ.) - χιονίζει (ახ. ბერძ.) - თოვს;

μασέρ (საკ.პონტ.) - μα[sh]αίρ (პონტ.) - μαχαίρι (ახ. ბერძ.) - დანა;

βρασól (საკ.პონტ.)- βρα[sh]ιόλ (პონტ.)- βραχιόλι (ახ. ბერძ.) - სამაჯური;

κοσκίν (საკ. პონტ.) - κο[sh]κίν (პონტ.) - η σήτα (ახ. ბერძ.);

χ> sh - χερ (საკ. პონტ.) - [sh]έρι (პონტ.) - το χέρι, το χέριον (ახ. ბერძ.) - მკლავი;

გ. ფონეტიკური ცვლილება განიცადა:

Νύχι/νήγς (საკ. პონტ.) - νύ[sh]α, νύ[sh]ι (პონტ.) - ονύχι, το όνυχας (ახ. ბერძ.)- ფრჩხილი;

στήθια (საკ. პონტ.) - τσιτσία (პონტ.) - ο στήθος/το στήθι (ახ. ბერძ.) - მკერდი (ქალის);

κορόμηλο (საკ. პონტ.) - κοκίμελον (პონტ.) - ტყემალი;

εξω, οξοσκα (საკ. პონტ.) - οκ[sh]οσκα (პონტ.) - εξω (ახ. ბერძ.);

ζακέτο (საკ. პონტ.) - ζακέτ (პონტ.) - ჟაკეტი;

ρασχίν (საკ. პონტ.) - რა[sh]α (პონტ.) - η ράχη, η πλάτη, τα νάτα (ახ. ბერძ.) - ზურგი;

ψιχάλα/ψιχάλισμαντο (საკ. პონტ.) - ψιβρε[sh]ήν (პონტ.) - ψιχαλίζει (ახ. ბერძ.)- ჟინჟლი;

დ. იდენტური:

σουμά (საკ. პონტ.) - σούμα, κοντά (პონტ.) - κοντά (ახ. ბერძ.) -ახლოს;

εκικά (საკ. პონტ.) - εκικά (პონტ.) - εκεί (ახ. ბერძ.) -იქ;

χαλγόν (საკ. პონტ.) (<ძვ. ბერძნული -calkov~) - χαλγόν (პარალელურად გამოიყენება καστρούλαν (რუს. кастрюля)- η κατσαρόλα (ახ. ბერძნ.) - თუჯის ქვაბი);

κορίτσι – κορτσόπον (საკ. პონტ.) - κορίτς, κορτσόπον (პონტ.) - το κορίτσι (ახ. ბერძ.) - გოგო;

αδερφοπαίδ (საკ.პონტ.) – αδερφοπαίδ (პონტ.) - ο ξάδελφος/η ξαδέλφη (ახ. ბერძ.) - ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი;

πουσίχια (საკ.პონტ.) - πουσίχια (პონტ.) – το μυστάκι (ახ. ბერძ.) - ულვაშები;

κατσαπράν (საკ. პონტ.) - κατσαπράνια (პონტ.) – τα κατσαβραχα, απόκρημνος, απότομος (ახ. ბერძ.) - ციცაბო;

κουκουβάκας (საკ. პონტ.) - κουκουβάκας (პონტ.)- το μανιτάρι (ახ. ბერძ.) - სოკო;

ე. შედარების მიზნით ცალკე წარმოვადგენთ ლაზარევის ხელნაწერების საფუძველზე წარმოდგენილი წლების წინ ჩაწერილი ლექსიკისა და დღევანდელი ლექსიკის პარადიგმას, სადაც ნათლად ვლინდება ლექსიკურ ერთეულთა სახეცვლილებანი:

პონტოური დიალექტი		
<i>პონტოური ლექსიკა (ლაზარევის მასალები)</i>	<i>პონტოური ლექსიკა დღეს</i>	<i>მნიშვნელობა</i>
მატოცაცა	მატოჩაჩა	წამწამი
მირაზო	მირიაზო	ვყოფ, ვანაწილებ
თინაზო	ტინიაზო	ვბერტყავ
პოპას	პაპას, პოპას	მღვდელი
ფორთაკა	ვფროსაკა	ბაყაყი
ელაპ	ალაპი	სიყვარული
შელიზონ, ხილადონ	შელიდონ	მერცხალი
სტილო	ასტილო	ვგზავნი
ოროტო	როტო	ვეკითხები
ტემელია-თამაღ<ძვ. თემელიონ	ფუნდამენტ	სადირკველი
ალრატიკოს<ძვ. ერგატიკოს	კამატეროს	შრომისმოყვარე

დეენახო<დიაგრეხო	ვრეხო, ანალისა	ვასველებ, ვნამავ
ეორტი<ძვ. ჰეორტე	იორტი	დღესასწაული
შოროს	შოროს	ქვრივი კაცი
შორა	შორა	ქვრივი ქალი
კუნიდმან	კუნინ	აკვნის რწევა
სუმა	სუმა	ახლოს
ლეღნოს	სტენონ	ვიწრო, თხელი
იპნოს	კიმასე	ძილი
სფურინ	სვირიზა	ურო, ჩაქუჩი
აშორონ	აშორონ	საბძელი, სათივე
მუსკარ	მუსკარი	ხბო
პუტამ	პოტამი	მდინარე
კალაპუკ	ცუპად / როკა	სიმინდი
სერევი	სერევი	კვრეფ, ვაგროვებ
სიდერემან	სიზერონო	გაუთოება
კუფოს<კოფოს	კოფი	ყრუ
დგვოლოს	დიავოლოს	ემმაკი, სატანა
ხტინონ	ხტინონ	ძროხა
შკინინ	შკინინ	თოკი
შკიზო<სხიძო	აკოფსა ქსილა	დაპობა, ვაპობ შემას
შკია<ძვ. სკია	სერინ	ჩრდილი
კალაჩი/კალაჩემან	კალაჩევომე	საუბარი
ჩაიზო	ჩაიტაზენა	ვუყვირი
ჩირახანტოს	შირახანდოს	ზღარბი
ჩორჩულა	კატარებტის	ჩანჩქერი
ციხნა	ზატმენი/სკოტინევი	ნისლი
ძუნგრისმან	ძუნგრისმან/ტო მორონ კლეი	ბავშვის ტირილი
ცინკალიდაროს	კაცარა	ხუჭუჭა
შიმონგოს	შიმონგოს	ზამთარი
ჭიტოზო	ჩიტოზო	ვიჭვრიტები

წიწიკას	ჩიხრიტის	ჭრილინა
კუცა	კუწა	მეჭეჭი
წილილ	ცილიზია	ნაკვერჩხალი
წაწალოს	ცაცალოს	შიშველი
ეცუემულმა	ძარმულიდმან	ჩქმეტა
ალეტრონ / კუთან	გუთან	გუთან
პელისტერ	პერისტერ	მტრედი
ართოპოს / ათროპოს	ა(ნ)თროპოს	ადამიანი
ადეფლოს / ალფოს	ადელფონ / კარტაშ	ძმა
პენდე	პენდე	ხუთი
პენდაკომა	პენდაკომა/პენდაკოსია	ხუთასი
თაკოს	ეიდ	თხა
შკილინ	შკილოს	ძალი
კამელ	ქამელ	აქლემი
ელაფ	ელაფ	ირემი
პრიკა	პრიკა	მზითევი
ადა	ადაკა	აქ
ეკი	ეკიკა	იქ
აშიკ	კუტინ	ყუთი
ი ვედრა	ვედრან	ვედრო

გარდა ამისა, პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში დავაფიქსირეთ ისეთი ლექსემები, რომლებიც აშკარაა, რომ აქაურთა კუთვნილებაა:

ტა ხუტუმა - ქუნჩალი

ტა როკას ტა ძალია - სიმინდის თმა

ექსო - გარეთა ბიძაშვილი

ჩალა - ჩალა

ხორტარი სემონ - ბალახის ზვინი

ჩალა სემონ - ჩალის ზვინი

ქინძი - ქინძა

ნიახური - ნიახურა

კლიონკა -მაგიდის საფარი

სტოლი ჩარჩავ- მაგიდის გადასაფარებელი (ნაჭრის)

მასალები ცხადყოფს, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება ენის იერარქიის ყველა დონეზე ავლენს მეტ-ნაკლებ განსხვავებებს როგორც ძველ და ახალ ბერძნულთან, ასევე საკუთრივ პონტოურ დიალექტთან მიმართებით. ჩანს, აჭარელ ბერძენთა პონტოური ბევრ ლექსიკურ ერთეულს საკუთარ ყალიბში აქცევს, რითაც თავისებურ იერს სძენს მას, რაც განასხვავებს საქართველოში მცხოვრებ პონტოელთა ბერძნულს საკუთრივ პონტოური დიალექტისგან, ეს უკანასკნელი კი აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ცალკე კილოკავად განხილვის საფუძველს გვაძლევს.

§3. ნასესხები ლექსიკა

3.1. თურქიზმები აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა ბერძნულში

საქმრო/საცოლე პონტოურად გამოითქმის - **vou[sh]αλός** (ნუმალუ), ახ. ბერძნულად - **αργαβανιαστικός/η** (არავონიასტიკოს/ი), **შდრ. თურქ. Nisanli** (ნეფე, საქმრო), **შდრ. აჭარ. ნიშანლობა** (ზ. აჭ. ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა) (**ნიჟარაძე 1971: 287**), საკუთრივ პონტოურში არის - **συσμαδέμενος**.

ილლია - **κολδούχια** (კოლზუხია)(პონტ.) - **μασχάλη** (მასხალი) (ახ. ბერძ.), **შდრ. თურქ. Koltukalti**-ილლია.

სისხლძარღვები -**ταμάρια** (ტამარია) (პონტ.) -**αμοφόριο/αγγείο** (ახ. ბერძ.) **შდრ. აჭარ. ტამარი** (**თურქ. „damar“**-1.ძარღვი, ნერვი; 2. გად. ზნე, ხასიათი (**ნიჟარაძე, 1971:328**).

ულვაში - **πουσχια** (პუიხია) (პონტ.) - **μουστάκι** (ახ. ბერძ.), **შდრ. თურქ. Biyik-**ულვაში. გავრცელებულია ლაზურშიც - **ბუფუდი**. ეს სიტყვა თურქულიდან შემოსულია აჭარულში, შავშურში, კლარჯულსა და ტაოურში (**ჩოხარაძე..., 2015:512**). საკუთრივ პონტოურში დასტურდება - **Μουστάκι** ().

ლურჯი (მუქი) - **μοβ** (მოვ) (პონტ.) - **μπλε** (ახ. ბერძ.), **შდრ. თურქ. Mavi** - ლურჯი;

მოხერხებული - **πε[ch]αροχλής** (პეჩაროხლის) (პონტ.) - **δεξιόσυνη - επιδεξιότητα** (ახ. ბერძ.), **შდრ. თურქ. Becerikli** - მოხერხებული.

ია - **μανου[sh]άκια** (მანუშაკია) (პონტ.) - **ίον** (ახ. ბერძ.), შდრ. **თურქ. Menekse**-ია, საკუთრივ პონტოურში - **μανουσάκ**.

ნესვი - **γαβούν** (ღავუნ) (პონტ.) - **πεπόνι** (პეპონი) (ახ. ბერძ.), შდრ. **თურქ. Kavun-**ნესვი.

ავეჯი - **τα μεμπέλια** (ტა მემბელია) (პონტ.) - **έπιπλα** (ეპიპლა) (ახ. ბერძ.), შდრ. **თურქ. Mobiya**, რუს. **мебель** -ავეჯი, აჭარ. **მებელი** - ავეჯი.

ზეწარი **[ch]αρ[ch]άφ** (ჩარჩაფ) (პონტ.) - **σεντόνι** (სენტონი) (ახ. ბერ.), შდრ. **თურქ. carsaf** - თეთრეული, საკუთრივ პონტოურში - **σεντόν**.

ლეიბი - **τε[sh]άκ** (ტეშაკ) (პონტ.) - **στρώμα** (სტრომა) (ახ. ბერ.), შდრ. **თურქ. dosek/yatak** - ლეიბი, ლოგინი.

ყავადანი - **[j]εβζέ** (ჯევზე/ჯეზვე) (პონტ.) - შდრ. აჭარ. **ჯეზბე/ჯეზვე** (თურქ. **Cezve** - სპილენძის ან თუნუქის პატარა ჭურჭელი, რომელშიც ყავას ადუღებენ (ნიჟარაძე 1971: 443).

ატამი - **[sh]οφάκια** (შოფტალია) (პონტ.) - **ροδάκινο** (როზაკინო) (ახ. ბერ.), შდრ. **თურქ. Seftali** - ატამი.

ქამარი **γά[sh]** (ყაიშ) (პონტ.) - **ζώνη** (ზონი) (ახ. ბერ.), შდრ. **თურქ. Kayis**, შდრ. აჭარ. ყაიში - ქამარი (ნიჟარაძე 1971: 367), საკუთრივ პონტოურში - **ζανάρ**.

პირსახოცი - **πε[sh]κίρ** (პეშკირ) (პონტ.), (**თურქ. peşkir**) [ახ. ბერძნული - η πετσέτα (იტალ. pezzetta)] - **πετσέτ** (პეცეტ) (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. **ფეშკირი** > **თურქ. Peskir**-პირსახოცი.

ბიძა - **ο θείος** (თიოს), **παίς** (ტაის) (პონტ.), (**თურქ. Dayı** - ბიძა, დედის ძმა) [ახ. ბერძნული - ο θείος, ძვ. ბერძნული - ὁ θεῖος]. შდრ. აჭარ. **ტადა** - დედით ბიძა (ნიჟარაძე, 1971:327). დასტურდება შავშურსა და მუჰაჯირების მეტყველებაშიც (იხ. **შავშეთი, 2011; კლარჯეთი, 2016**).

ცოლის და - **παλδის** (პალზუ) (პონტ.), (**თურქ. baldız**), **τηγάρισμαδέλη** [ახ. ბერძნული - η γυναικαδέλη], შდრ. აჭარ. **ბალდუზი/ბალდიზი** -ცოლის და, ქვისლი (ნიჟარაძე, 1974:101). გავრცელებულია შავშურშიც (კორპუსი, მის.: <http://corpora.co/#/>).

ძმა - **Καρτά[sh]** (კარტაშ) (პონტ.), (**თურქ. kardeş**), **αδέλφον** [ახ. ბერძნული - ο αδελφός, ძვ. ბერძნული - ὁ ἀδελφός], საკუთრივ პონტოურ დიალექტში - **αδέλφον**,

შდრ. აჭარ. **ყარდაში** - ძმა, დადასტურებულია ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაშიც.

ჯიბე - [ch]όπιαν (ჩოპიან) (პონტ.) [ახ. ბერძნული - η τσέπη], უნდა მომდინარეობდეს თურქული - **cep** ფორმისგან.

არაყი - ρακίν (რაკინ) (პონტ.) [ახ. ბერძნული - η ρακή (**თურქ. raki**), ახალ ბერძ. το ούζο], შდრ. აჭარ. **რახი** - მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი (**ნიჟარაძე, 1971:303**), რახი ქართული ენის სხვა დიალექტებშიც ფართოდაა გავრცელებული.

გუფთა - κοφτάδες, σαρμάδες (კოფტადეს, სარმადეს) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ο κεφτές], მიღებული უნდა იყოს ამავე მნიშვნელობის თურქ. **Köfte** ფორმისგან, ο σαρμάς (თურქ. **sarma**) - შეხვეული, ჩოხიანი გუფთა.

ჰალვა - χάλβα (ხალვა) (პონტ.), (**თურქ. helva**) [ახ. ბერძნული - ο χαλβάς], შდრ. აჭარ. **ჰალვა**, ხალვა (არაბ.) - ერთგვარი ტკბილეული (**ნიჟარაძე, 1971:448**).

სასწორი - γαντάρ (ღანტარ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - η ζυγαριά, ძვ. ბერძნული - ζυγάριον, ζυγός] - (თურქ. **Kantar**), საკუთრივ პონტოურში - ζύγιντο.

საზამთრო - χαρπούζ (ხარპუზ) (პონტ.) (**თურქ. karpuz**) - [ახ. ბერძნული - το καρπούζι, σδροπέπων], შდრ. აჭარ. **ყალფუზი/ყარფუზი** - საზამთრო (**ნიჟარაძე, 1971:369; ფუტკარაძე, 1993:616**).

ტყე - όρμαν (ორმან) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το δάσος, ορμάνι] (**თურქ. orman**), ძვ. ბერძნული - τὸ δασύ], საკ. პონტოურში - όρμαν.

ყვავილი - ch|[ch]ák (ჩიჩაკ) (პონტ.), (ყვავილის ფურცელი - [ch]|[ch]άκι φύλλο) (**თურქ. çiçek**), [ახ. ბერძნული - το λουλούδι, το άνθος, ძვ. ბერძნული - το ἄνθος].

ბარტყი - ιαβρίν (იავრინ) (პონტ.), (**თურქ. yavru**) [ახ. ბერძნული - ο νεοσσός, το κλασσοπουλι], საკ. პონტოური -τσιτσάκ.

მწყერი - πουλδούρ[ch]ι (პულდურჩი) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το ορτύκι, ძვ. ბერძნული - ὄ/ῆ ὄρτυξ] (**თურქ. Bildircin**), საკ. პონტოურში - ορτύκ.

შაშვი - καρατάγους (კარატალუ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - η κίχλη, ძვ. ბერძნული - ἡ κίχλη], **თურქ. Karatavuk**.

მღებავი - **μποια[ch]ις** (ბოიაჩის) (პონტ.), [ახ. ბერძნული - ο μπογιατζής (თურქ. **boyacı**)], აქედან საღებავი - **ποιάν** [ახ. ბერძნული - η βαφή, η μπογιά, ძვ. ბერძნული - ἡ βαφή], თურქ. **boya**) - შეღებვა, **πογιάτισμα** [ახ. ბერძნული - βιάσιμο] (თურქ. **boyama**);

ცომის გასაბრტყელებელი ხის ჯოხი - **χλαός** (ხლაუ) (პონტ.), (ახ. ბერძ. Ομπλάστρης). ამავე დანიშნულებით აჭარულში გამოიყენებენ **უხლაოს**.

დახრილი - **αχταπαμένον** (ახტაპამენონ) (პონტ.), (თურქ. **Aktarma**) - ახ. ბერძ. σκυμμένος, κατεασμένος, γερμένος).

შუშაზანდი - **ch]αμία** (ჩამიკია) (პონტ.), ახ. ბერძნული - το λιακάτ), უნდა მომდინარეობდეს **თურქ. Cam** სიტყვისგან, რაც შუშას აღნიშნავს;

დაწინწკლული - **κουκουτλήν** (კუკუცლინ) (პონტ.) (თურქ. **Kukuc**) [ახ. ბერძნული - πιτσιλισμένος (πιτσιλιστός), κηλιδάμενος, ძვ. ბერძნული - κηλιδάω].

3.2. რუსული ლექსიკა პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

თავსაფარი - **κα[sh]κίν** (კაშკინ) (პონტ.) – **μαντήλι** (მანდილი) - თავშალი, მანდილი, ცხვირსახოცი (ახ. ბერძ.), შდრ. რუს. **Косышка**/აჭარ. **კასინკა/კაშნითავსაფარი**.

ქუდი - **[sh]άπκων** (შაპკან) (პონტ.) - **καπέλο/πίλος** (კაპელო/პილოს) (ახ. ბერ.), შდრ. რუს. **Шарка**, შდრ. აჭარ. **შაფხა** - ქუდი, ცილინდრი.

ქოლგა - **ζόντικον** (ზონტიკონ) (პონტ.) - **ομπρέλα** (ომბრელა) (ახ. ბერ.), შდრ. რუს. **зонтик**- ქოლგა.

მუსიკოსი - **μουσικαντ** (მუზიკანტ) (პონტ.) – **μουσικός** (მუსიკოს) (ახ. ბერძ.), **музыкант** (რუს.) (ჩემი დიშვილია, მუზიკანტია, კად სიმღერაა, თან მუზიკაც იცის (კვირიკე)).

ჭიქა - **στακάν** (სტაკან) (პონტ.) – **стакан** (რუს.), **ποτήρι** (პოტირი) (ახ. ბერძ.). პარალელურად ბერძნულ ფორმასაც გამოიყენებენ.

ცისარტყელა - **ραδούκα** (რადუკა) (პონტ.) – **ουρανιοτόξο** (ურანიოტოქსო) (ახ. ბერძ.), პარალელურად ბერძნულ ფორმასაც გამოიყენებენ, რუს. **радуга**.

პონტოური **τραπέζι** (ტრაპეზი) - მაგიდა სიტყვის პარალელურად გამოიყენებენ რუსულ ტერმინს - **стол** (რუს.) - მაგიდა.

საიდუმლო - **σέκρετι** (სეკრეტი) (პონტ.) – **секрет** - რუსული სიტყვაა და საიდუმლოს ნიშნავს.

ბუნება - **πυρίδα** (პირიოდა) (პონტ.) – **природа** (რუს.) - ბუნება. Φύση (ახ. ბერძ.) - ბუნება.

ორნამენტი - **αρναμέντ** (არნამენტ) (პონტ.) – **орнамент** (რუს.) – διακόσμηση (ახ. ბერძ.).

გაჩერება - **ασταναβίτ** (ასტანავიტ) (პონტ.) – **остановить** (რუს.), **στάση** (სტასი) (ახ. ბერძ.).

მეტყველებაში ხშირად გამოიყენებენ სიტყვას **καυ[sh]να** - რა თქმა უნდა, რაც რუსული სიტყვაა (**конечно**), თუმცა ამავე სიტყვის ბერძნული შესატყვისი ლექსემაც ახსოვთ - **βέβαια** (ვევია) (ახ. ბერძ.).

ასევე ხშირად გამოიყენებენ რუსულ სიტყვას **постоянно** - ყოველთვის, მუდამ, (მაგ: წმინდა გიორგის ეკლესიაში დავდივართ პასტააანა, იქ ახლოსაა; პასტააანა δέκαχρονα - ყოველთვის ათი წელია; ოთხი, ხუთი კაცი პასტააანა ვართ) (**ახალშენი**).

საჩუქარი - **παδάρκα** (პადარკა) (პონტ.) – **подарок** (რუს.), **δώρο** (ახ. ბერძ.).

კუნთი - **μουσκούλαμ** (მუსკულამ) (პონტ.) – **мускул** (რუს.) - **μυς/μύνας** - ახ. ბერძ.).

საწებელი - **βαδλίβκα** (ვადლივკა) – **подливка** (რუს.), **σάλτσα** (ახ. ბერძ.).

ბერძნული **καρότο** (კაროტო) (პონტ.) - სტაფილო, პარალელურად იყენებენ რუსულ ტერმინს - **морковка**, ასევე **μπουράκι** (ბურაკი) (პონტ.) - ჭარხალი, **бурак** (რუს.), ζαχαρότευτλο (ახ. ბერძ.).

ბარი - **λαπάτκα** (ლაპატკა) (პონტ.), **лопатка** (რუს.), **φτύρι** (ახ. ბერძ.).

ნესტიანი - **έχομεσίροστ** (პონტ.) (სპეციფ. რუს. **сырость**), [ახ. ბერძნული - **κάνειυγρασία**, ძვ. ბერძნული - ἡ ὑγρασία].

ჩანთა - **σύνγκαν** (სუნკან) (პონტ.), (რუს. **сумка**), [ახ. ბერძნული - **η τσάντα/ο σάκος**], სუნკა/სუმკა გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებშიც.

თარო (წიგნების) **πόλκας** (პოლკას) (პონტ.), (რუს. **полка**) [ახ. ბერძნული - **ράφι** (თურქ. raf), ძვ. ბერძნული - ἡ σάνις];

კატლეტი - **κατλέτια** (კატლეტია) (პონტ.), (რუს. **Котлета**, ფრან. *côtelette*) [ახ. ბერძნული - *οκεφτές, η μπριζόλα*].

საფეკავი (ყავის) - **καφέσμα[sh]ίνα** (კავესმაშინა) (პონტ.), [ახ. ბერძნული - *μύλιοςκαφέ, καφέ+μα[sh]ίνα*], პირველი კომპონენტი თურქულია (**kahve**), ყაპვე - გავრცელებულია აჭარულშიც (**ნიჟარაძე, 1971:617**), მეორე კომპონენტი რუსულია, **машина** -მანქანა.

კომბოსტო - *ασπιολάχανο, καπούστα* (ასპროლახანო, კაპუსტა) (პონტ.), (რუს. **капуста**), [ახ. ბერძნული - *το λάχανο*, ძვ. ბერძნული -*τὸ λάχανον*], **კაპუსტო** - დამკვიდრებულია ქართულშიც.

ლედვი - *σύκα, ιν[τζ]ίρ* (სუკა, **ინჟირ**) (პონტ.), (რუს. **инжир**) [ახ. ბერძნული - *το σύκο*, ძვ. ბერძნული -*τὸ σύκον*].

ნავთი - **καζ** (კაზ) (პონტ.), (რუს. **газ**), [ახ. ბერძნული - *η κηροζίνη, πετρελαίο*].

ნახერხი - **απίλκων** (აპილკან) (პონტ.), (რუს. **опилка**), [ახ. ბერძნული - *τα πριονίδια*, ძვ. ბერძნული - *τὸ ῥίνημα, τὸ ῥίσισμα*].

სამირკველი - **φουνδάμεντον** (ფუნდამენტონ) (პონტ.), (რუს. **фундамент**)[ახ. ბერძნული - *το θεμέλιο*, ძვ. ბერძნული -*τὸ θεμέλιον*], ფუნდამენტი გავრცელებულია აჭარულშიც და ინგილოურ მეტყველებებში (კორპუსი, მის.: <http://corpora.co/#/>).

ლუმელი - **πέ[sh]κο** (პემკო) (პონტ.), (რუს. **печь, печка**), [ახ. ბერძნული - *η θερμάστρα, η σόμπα, οκλίβανος, οφούρνος*].

ჩაიდანნი - **τσάνικα** (ჩაინიკა) (პონტ.), (რუს. **Чайник**), [ახ. ბერძ. *Η τσαγιέρα, τσαγιερό*].

ორცხობილა - **σουχάρι** (სუხარი) (პონტ.), (რუს. **сухарь**) –[ახ. ბერძ. *Το παξιμάνδι* (თურ. *Peksimet*)].

3.3. ქართული ლექსიკა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებებში

მუშტი - **μούστα** (მუსტა) (პონტ.) - **γροθιά** (ღროთია) - მუჭი, მუშტი, მჯილი (ახ. ბერძ.). შდრ. ქართ. **მუშტი**;

კოკორი - **κουκούτς** (კუკუც) (პონტ.) - შდრ. აჭარ. კუკუტი - კოკორი, შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია - 1. წაწვეტებული თავი რისამე, წვეტი, 2. მაჭვის თავი (ნიჟარაძე, 1971: 234) - **μπουμπουκιάζω** - ვიკოკრები, **μπουμπουκι** - კოკორი (ახ. ბერძ.).

შარვალი - **[sh]αρβάλ** (შარვალ) (პონტ.) - **παντελόνι** (პანდელიონი) (ახ. ბერ.), შდრ. ქართ. შარვალი;

მუთაქა - **Μουρτάκα** (მურტაკა) (პონტ.) - **μαξιλάρα** (მაქსილარა) (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. მურთაქა - ბალიშის მსგავსი, გრძელი, ვიწრო, ბალიშის ქვეშ დასაადებად იყენებენ.

სკამი - **σκάμιν** (სკამინ) (პონტ.) - **καρέκλα** (კარეკლა) (ახ. ბერ.). შდრ. სკამი.

პიჯაკი <pea-jacket (ინგ.) - **πιτζάκ** (პიჯაკ) (პონტ.) - **παλτό** (პალტო), **πανωφόρι** (პანოფორი) (ახ. ბერძ.).

ჩაქუჩი <çekic (თურქ.) - **Τσακούτς** (ჩაკუც) (პონტ.) - **σφυρί** (სფირი) (ახ. ბერ.), შდრ. ქართ. ჩაქუჩი > თურქ. cekic.

ბრინჯი - **πριντς** (ბრინძ) (პონტ.) - **ρύζι** (რიზი) (ახ. ბერ.).

თუთა - **τούτια** (ტუტია) (პონტ.) - **μούρι** (ახ. ბერძ.), შდრ. ქართ. თუთა.

კარტოფილი - **καρόφα** (კარტოფა) (პონტ.) - შდრ. აჭარ. ყართოფი/ყართოფა-კარტოფილი (ნიჟარაძე, 1971: 369) - **πατάτα** - (ახ. ბერ.).

ღრძილი - **γρίντζιλια** (ღრინჯილია) (პონტ.), [ახ. ბერძნული - **το ούλο/τα ούλα**, ძვ. ბერძნული - **τὸ οὐλον/τὰ οὐλα**]. შდრ. ქართ. ღრძილი.

კოჭი - **το πουχ, το κότσι** (კოცი) (პონტ.), [ახ. ბერძნული - **ο αστράγαλος**, ძვ. ბერძნული - **ὁ ἀστράγαλος**], შდრ. ქართ. კოჭი.

ქუსლი - **κό[ch]α**, **το κότσι** (ტა კოტსია), [ახ. ბერძნული - **η φτέρνα, η πτέρνα**, ძვ. ბერძნული - **ἡ πτέρνα**].

ჭიპი - **τσίπαν** (ჭიპან) (პონტ.), [ახ. ბერძნული - **ο αφαλός, ο ομφαλός**, ძვ. ბერძნული - **ὁ ὀμφαλός**].

მუშამალა (ზღმარტლი) - άγρευμου[sh]μουλά- muşmula - თურქ. შდრ. ქართ. მუშმალა/მუშმულა (აჭარ.) - მრგვალი ან ოვალური წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, ნარინჯისფერი ან ყვითელი, კურკოვანი ხილი (ცოცანიძე..., 2014:440);

კოკორი - κουκούτς (კუკუც) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το μπουμπούκι, το κουκούτσι (კურკა, იტალ. Cucuzza)].

წიწმატი - τσιτσμάτ (წიწმატ) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το λεπίδιοτοήμερο, το κάρδαμο, ძვ. ბერძნული - τὸ κάρδαμοι].

ხურმა - χουρμά (ხურმა) (პონტ.), (სპარს. khormaliu, khorma), [ახ. ბერძნული - ολωτός, το μήλο της Ανατολής, ლათ. diospyros], ხურმა/ხუმრა დამკვიდრებულია ქართულშიც.

ინდაური - ινδεγούρ (ინდეღურ), [ახ. ბერძნული - η γαλοπούλα, ο ινδιάνος, ο γάλλος].

კამეჩი - [ch]αμέ[sh] (ჩამეჩი)(პონტ.), [ახ. ბერძნული - βισύβαλος, ძვ. ბერძნული - ὀ βισύβαλος], შდრ. კამეჩი.

ხოხობი - χόχορας (ხოხორას) (პონტ.), [ახ. ბერძნული - οφασιανός, ძვ. ბერძნული - ὀ φασιανός (Φάσις)].

ხუმრობა - μασχάριαν (მასხარიან) (პონტ.), [ახ. ბერძნული - το αστείο, ძვ. ბერძნული - ἀστείος, ἡ παιδιά, ὁ παιγμός, τὸ γελοιόν, τὸ σκῶμμα, ἀστείος λόγος].

ჭიშკარი - τι[sh]κάπι (ტიშკაპი) (პონტ.), [ახ. ბერძნული - η πύλη, εἴσωπορτα], შდრ. **ჭიშკარი.**

კორპუსის მასალებზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნასესხები ლექსიკის უმრავლესობა რუსულია (იხ. **berikashvili, 2016: 258**), რაც განპირობებული ჩანს იმით, რომ განათლება რუსულენოვანი აქვთ უმრავლეს მათგანს. აჭარის პონტოელთა მეტყველებაში ამავდროულად ბევრია თურქულენოვანი ლექსიკაც, რაც, ვფიქრობთ, აჭარულის გზითაა მიღებული.

საქართველოს პონტოურში გავრცელებული თურქული ლექსიკა, ხშირ შემთხვევაში, არ არის ბილინგვური, მათ მეტყველებაში გამოვლენილი თურქული სიტყვები არ შეიძლება იყოს კოდების გადართვის შედეგი. ეს ელემენტები მემკვიდრეობითაა მიღებული იმ პერიოდიდან, როცა პონტოელები თურქეთში

ლაპარაკობდნენ ბერძნულ ენაზე (berikashvili, 2016:258), ვიზიარებთ ბერიკიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თურქული ნასესხობები არ შეიძლება იყოს კოდების გადართვის შედეგი. ისინი მემკვიდრეობითია, მომდინარე თურქულისგან, თუმცა მიგვაჩნია, ზოგიერთი თურქული სიტყვა აჭარულის გზით შეთვისებული აქვს პონტოურს. ბოლო ხანებში ბევრი სიტყვა მიიღო პონტოურმა ქართულიდან და თანამედროვე ბერძნულიდან.

§ 4. ბერძნიზმები ქართულში

პონტოელი ბერძნები სახლობდნენ იმ რეგიონებში, სადაც მათ ისტორიულად ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ხალხთან, პირველ რიგში კი ქართველურ ტომებთან.

ლაზებსა და ბერძნებს შორის სწორედ ახლო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ერთი მხრივ, თურქეთის ლაზური მოსახლეობის ენაში პონტოური დიალექტის გავლენის კვალი და, მეორეს მხრივ, პონტოურში -ქართველურისა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანამედროვე ლაზეთის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში შედიოდა რომისა და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და განიცდიდა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის დიდ გავლენას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უცხო ტომთა ხანგრძლივი ბატონობისა, ლაზურ-ჭანური მეტყველება აქ არ შეწყვეტილა.

ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მაჩვენებელია, რომ „ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე არსებობდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსინიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ჭანურად მეტყველებდნენ, რომ ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ (ჯავახიშვილი, 1984:415).

ლაზურ გარემოში მოხვედრილმა ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურაც განავითარა, ადგილობრივებზეც გავლენა მოახდინა და ამავდროულად, დამხვედურისგანაც ბევრი შეითვისა, რაც, ბუნებრივია, აისახა მის მეტყველებაში, უპირატესად - ლექსიკაში.

სიტყვათა სესხების პროცესი ორივე მიმართულებით მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა როგორც ბერძნულიდან ლაზურში სიტყვათა სესხების პროცესს, ასევე პირიქით, ბერძნულში მკვიდრდებოდა ლაზური ლექსიკა.

პონტოური ბერძნული დროთა განმავლობაში ლაზურიდან ისეთ სიტყვებს ითვისებდა, რომლებიც აჭარულსა და საერთოდ ქართველურ ენებში იყო გავრცელებული. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს სიტყვები პონტოურში ლაზურიდან მკვიდრდებოდა, რაც არც აჭარულისთვის იყო უცხო.

ამ ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ არსებობს ბერძნულში ქართველური პლასტები. მრავალი ბერძნული სიტყვა, ბუნდოვანი თუ უცნობი ეტიმოლოგიისა პარალელებს პოულობს ქართველურში (**გორდეზიანი, 1985:5**).

სწორედ ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობების შედეგია ბევრი ბერძნული სიტყვა, რომლებიც ოდითგანვე დამკვიდრებულია ქართულში, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა ადრეული პერიოდის ნასესხობები, არამედ გასული საუკუნის მიგრაციის შედეგად გამოწვეული ენობრივი კონტაქტებისა და ამ კონტაქტების შედეგად მიღებული ნასესხობები ლაზურსა და ქართული ენის აჭარულ დიალექტში.

სიტყვათა სესხებისას საინტერესოა ძიება ინტეგრაციის გზებისა, რომლებიც მრავალფეროვანია და ლინგვისტური თვალსაზრისით არაერთ საყურადღებო ფაქტს წარმოგვიდგენს.

ბერძნულ-ქართული ურთიერთობებისას, უპირველესად, საინტერესოა სუპერსტრატული დანაშრევები, რომლებიც ამ ურთიერთობებს მოჰყვა და, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება. დომინანტი ლექსიკა ბერძნულია, თუმცა გრამატიკული წყობა, სინტაქსური კონსტრუქციები სესხების საინტერესო შემთხვევებს ავლენს (**იხ. ხახუტაიშვილი, 2016: 284**).

ლაზურში არსებული ბერძნიზმების უმეტესი ნაწილი სახელებია, თემატურად საყოფაცხოვრებო შინაარსის ამსახველი. გვხვდება რამდენიმე ზმნური ერთეული, კავშირები და ზმნიზედები (**იხ. აბულაძე 2017**).

ა. ბერძნული ლექსიკური ერთეულების ნაწილი როგორც სემანტიკურად, ასევე ფონეტიკური გაფორმებით უცვლელადაა დამკვიდრებული ლაზურში. ჩანს, ნასესხებ სიტყვათა ერთ ნაწილს ლაზურში შეუნარჩუნებია როგორც ფონეტიკური სახე, ასევე სემანტიკაც.

კარავი (ლაზ.) – **το κάραβι** (ტო კარავი) (ბერძ.) – გემი;

კარფი (ლაზ.) – **το κάρφι** (ტო კარფი) (ბერძ.) – ლურსმანი;

ლიმანი (ლაზ.) – **το λιμάνι** (ტო ლიმანი) (ბერძ.თურქ.) – პორტი, ნავსადგური;

ოტი (ლაზ.) – რა, რაკი, რომ – **ότι** (ოტი) (ბერძ.);

ოფრიდი (ლაზ.) – **το φρύδι** (ტო ფრიდი) (ბერძ.) – წარბი;

ტურპანი (ლაზ.) ბურღი – **τουρμπάνι/τουρπάνι** (ტურბანი/ტურპანი) (ბერძ.) – ჩალმა, ტურბანი;

ღნოსი (ლაზ.) ჭკუა – **η γνάση (ღნოსი)** (ბერძ.) – ცოდნა, ჭკუა, შეცნობა (βιάζα γνάση – ჭკუაში ვჯდები);

პაპაზი (ლაზ.) – ქრისტიანული მღვდელი (შდრ. აჭარ. კლარჯ. შავშ. ტაოური ფაფაზი). სამხრულ კილოებში დამკვიდრებული **ფაფაზი** ამავე მნიშვნელობისაა (თ. papaz – ბერძ. **παπάς**)- სასულიერო პირი, მღვდელი – გადატანით – ბრაზიანი, მზაკვარი, ფლიდი, ოინზაზი, თვალთმაქცი (შ. ნიჟარაძე, 1971: 341). **η παπαδιά** (ი პაპადია) – ბერძნულში მღვდლის ცოლს ნიშნავს.

სომუნი (ლაზ.) – მრგვალი პური (შდრ. აჭ. სომუნი, თურქ. **somun**, ბერძ. **ψαμί** (ფსომი) პური);

დულა (ლაზ.) – **η δύλια** (დულია) (ბერძ.) – საქმე, სამუშაო. **δύλια** ბერძნულში ორი მნიშვნელობით გვხვდება. მნიშვნელობის ცვლას, ერთი სიტყვის ფარგლებში, მახვილის მონაცვლეობა იწვევს. თუ სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის – **δύλια** – აღნიშნავს **მონობას**, რაც ლაზურში არ ჩანს.

ბერძნულ ენაში მახვილი დისტინქტური ფუნქციის მატარებელია, მახვილის მონაცვლეობა სიტყვას უცვლის მნიშვნელობას. ლაზურში, რომლისთვისაც მსგავსი ენობრივი მოვლენა უცხოა, სიტყვა **დულია** შევიდა მხოლოდ ერთი მნიშვნელობით – **საქმე, სამუშაო**.

Ποτέ (პოტე) ბერძნულში ბოლოდან პირველ მარცვალზე მახვილით ნიშნავს – **ოდესღაც, არასდროს, ძველად**, მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე – **πότε** კი გამოხატავს კითხვას – **როდის?**

პოტე ლაზურში ისეთივე გრამატიკული გაფორმებით შევიდა, როგორც ბერძნულისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით ერთი მნიშვნელობით დამკვიდრდა – **ოდესღაც, არასდროს, ძველად**. მეორე მნიშვნელობა – გამოხატოს კითხვა – ლაზურში არ ჩანს. დავიმოწმებთ ლაზურ ტექსტს „დო ე სქანი ნენაფე, კო პოტეს ვა ბოგნატი“ - და ეს შენი სიტყვები არასდროს გამეგონა (**ნარაკიძე, 2016:168**).

ბ. რიგი ბერძნობებისა ლაზურში მცირე ფონეტიკური თუ გრამატიკული სახეცვლილებით დამკვიდრებულა. ბერძნული ენის მრავლობითის ფორმა ლაზურში მხოლობითადაა გააზრებული.

Τα αυλά (ტა ავლა) – ეზოები ბერძნულში **η αυλή** (ეზო) სახელის მრავლობითის ფორმაა. **ავლა** – ლაზურში მხოლობითადაა გაგებული – ეზო, სამეფო კარი, დარბაზი (შდრ. აჭ. ჰავლი).

შ. ნიჟარაძესთან **ჰავლი** (თურ. havla - ბერძ. αυλή) იგივეა, რაც ბაკი, მუთვადი, სამზარეულო ოთახში შესასვლელი დერეფანი (**ნიჟარაძე, 1971:447**).

მეორე მნიშვნელობით – ახორს აქვს წინ **ჰავლი** – საქონლის მოსაცდელი, გამოსაყვანი.

რახნა (ლაზ.) – ობობა – **η αράχνη** (ი რახნი) (ბერძ.);

ზიმარი (ლაზ.) – ცომი – ბერძნულში – **η ζύμη**;

კრომი (ლაზ.) – ხახვი, ახ ბერძნულში - **κρεμμύδι /κρόμμυσον** (კრემიდი/კრომიონ)-
ძე. ბერძნულში. ლაზურში დამკვიდრებული კრომი გრამატიკული გაფორმებით ბერძნული ენის არქაულ წყობასთან უფრო ახლოსაა.

მიკნატისი (ლაზ.) – მაგნიტი – **μαγνήτης** (მალნიტის) (ბერძ.);

მსორა//სორა (ლაზ.) – ბღერი (შდრ. აჭარ. ხორა). ხორა აჭარულში კანის ერთგვარი დაავადებაა დამახასიათებელი ძლიერი ქავილით (**ნიჟარაძე, 1971:439**). ხორა საბასთან ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. **ხორან** (ხორასი) – **შემის ზვინი** (შდრ.

ბერძ. **σάραια** – გროვა, ზვინი, დიდი რაოდენობა), **2. ხორა** (ხორისა) – ხმელი მუნი (ქეგლ, მის.:<http://ena.ge/explanatory-online>);

სინორი (ლაზ.) საზღვარი – **το σύνορο/τα σύνορα** (ტო სინორო) (ბერძ.) – საზღვარი (შდრ. აჭარ. სინორი) – აჭარულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. **სინორი** (თ. sinir – ბერძ. Σύνορον) **საზღვარი, მიჯნა**. 2. სინორი//სირონი – **კერძი**, სახელდახელოდ მისატანი საჭმელია სტუმართან (**ნიჟარაძე, 1971:319-320**). ლაზურში საზღვრის მნიშვნელობით დამკვიდრებულა, მაგ.: „ნანდიდის ონტულე თურქიეში სინოიკალა მაქინი ულუტუ...“ - ბეზიას ბოსტანი თურქეთის საზღვართან ახლოს ქონდა.

სკაფინდი (ლაზ.) - სარეცხის გასარეცხი დიდი ვარცლი – **η σκάφη** (ბერძ.) – ტაშტი, ვარცლი;

ტრადოდუ (ლაზ.) – სიმღერა – **το τραγούδι** (ბერძ.);

ფენეი (ლაზ.) ფანარი – **το φανάρι/οφάντζ** (ბერძ.) – ფანარი, შუქნიშანი (შდრ. აჭარ. ფენერი – ერთგვარი გასანათებელი საშუალებაა). ლაზურშიც ამავე მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ.: „ფენეი დოქაჩერი, სერ დო სერი გოფთათენ – ფანარდაკავებული ღამღამობით ვიაროთ (**ნარაკიძე, 2016:168**).

ქერემიდი (ლაზ.) კრამიტი – **το κεραμίδι/η κεραμίδα** (ბერძ.) – კრამიტი (შდრ. აჭარ. ქერემეთი – თ. kiremit– ბერძ. κεραμιδός). ქეგლ-ის მიხედვით, კრამიტი სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტაა, ხმარობენ შენობის სახურავად. ქერემიდი ტრანსლიტერირებულია ბერძნულიდან ლაზურში, სავარაუდოდ, სწორედ ლაზურია დასახელებული ლექსემის აჭარულში ინტეგრაციის გზა (**ხახუტაიშვილი, 2016:287**).

ქილისე (ლაზ.) – ეკლესია (შდრ. აჭარ. ქილისა – თ. **kilise**– ბერძ **η εκκλησία**).

ქესტანე (ლაზ.) წაბლი – **το κάστανο, η καστανιά/καστανέα** (კასტანო) (ბერძ.) – წაბლი (შდრ. აჭარ. ქესტანა – ხაპი, წაბლა ხაპი);

ხარსუვი (ლაზ.) ჩუქება – **το χάρισμα** (ტო ხარისმა) (ბერძ.);

ხორონი (ლაზ.) – ცეკვა – **ο χορός** (ხოროს) (ბერძ.) – ცეკვა, ქორო, ფერხული (შდრ. აჭარ. ხორომი//ხორუმი//ხორონი – ჯგუფური საფერხულო ხალხური (აჭარულ–გურული) ცეკვა (**ნიჟარაძე, 1971:438**). აჭარაში იტყვიან „გარედან ხორონი ადვილია=გარედან ცეკვა ადვილია).

შამანდურა (ბერძ. თურქ) – მინიშნება, ნიშანი, ტიპტივა, ლივლივა (**ნარაკიძე, 1986.:88**).

გ. ლაზურ მეტყველებაში დამკვიდრებულ რიგ ბერძნულ ლექსიკურ ერთეულებში შეცვლილია სემანტიკა, დავიწროებულია მნიშვნელობა ან ადგილი აქვს მნიშვნელობის გაფართოებას, სემანტიკურ გადახრას.

მაგ: **პარამეთი** (ლაზ.) ზღაპარი – **το παραμύθι** (ტო პარამითი) (ბერძ.) – ზღაპარი.

პარამითი ლაზურში – საუბარს, ლაპარაკს აღნიშნავს, ბერძნულში ამ მნიშვნელობით გამოიყენება **μια/μίαμα** (მილა) – ლაპარაკი/**παραμια** (ბერძ.) – ზედმეტად ვლაპარაკობ, ვლაქლაქებ. შესაძლებელია, ლაზურის **პარამითი** გადატანითი მნიშვნელობით ბერძნულის ანალოგიით – უაზრო, არარეალურ საუბარს ნიშნავდეს (მაგ: ზღაპარს მელაპარაკები, ზღაპარია შენი საუბარი...).

ლოდოზი (ლაზ.) – სამხრეთის ქარი, ტრაპიზონის ქარი?

აღვნიშნავთ, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა ლაზურში საეჭვოდ მიაჩნია ალი თანდილავას და სვამს კიდევ კითხვის ნიშანს. სამხრეთ აღმოსავლეთის ქარი ბერძნულად ითარგმნება როგორც – **σιρόκος**. ლოდოზი შდრ. აჭარ. ლოდოსი – (ბერძ. λιτός) თბილი, მოღრუბლული, დაბურული ამინდი, რომელიც ხელს უწყობს, აჩქარებს თოვლის დნობას (**ნიჟარაძე, 1971:240**). შესაძლებელია, ლაზურში შესული **ლოდოზი** ამავე მნიშვნელობის იყოს.

ღრამათი//ღრამეთი (ლაზ.) – მწერალი. ბერძნულში **το γραμμά/τα γραμμάτα** ნიშნავს ანბანს, წერილს (შდრ. ბერძ. γράφω – ვწერ, συγγραφέας – მწერალი).

ქირეზი//ქირეზაი (ლაზ.) – ბალი, ბლობა – (თურქ. kirez + ayi - ბერძ. κέρασι – ბალი, ბლობის თვე) – კომპოზიტი მოდელითურთ ნასესხებია (შდრ. აჭარ, ქირეზაი – ივნიისი, ხალხური სახელწოდება წლის მეექვსე თვისა (**ნიჟარაძე, 1971:357**). ლაზურში ქირეზა ივნიისია, როგორც თურქულში, აჭარულშიც ივნიისის სახელწოდებაა. როგორც ჩანს, „ბლის თვის“, ანუ ივნიისის მნიშვნელობა აჭარულში შეინარჩუნა სიტყვა „ქირეზამ“ იგივე სიტყვა სახელდებისთვის გამოიყენეს და უწოდეს მსხალს, ხოლო ქობულეთურში აღნიშნული სიტყვა მხოლოდ ივნიისში მოსული მსხლისთვის გამოიყენება (**ხახუტაიშვილი, 2016: 287**). ქირეზაი ბალია კლარჯულსა და ტაოურში.

გვხვდება ბერძნული ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ლაზურში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია:

პოტე (ლაზ.) 1. ოდესღაც, არასდროს, ძველად; 2. **პოტე** – ძალიან, ნამეტანი. ლაზურში დამკვიდრებული **პოტე** სიტყვის მეორე მნიშვნელობის გამოსახატავად ბერძნულში გამოიყენება - **πάλυ**.

ელა (ლაზ.): 1. **მოდი** 2. **ἐλα** – **ზმნისწინი**; 3. **ἐλα** – **ელა/ელი(?)...**

ἐλα (ელა) ბერძნულში ერთი მნიშვნელობით გვხვდება – **მოდი**.

მანგანა (ლაზ.): 1. **დინგი**, საცეხველი წყლით მოწყობილი. 2. **მანქანა?**

მანქანა ბერძნულში გამოითქმის – **η μηχανή** (ი მიხანი).

ბარუთი (ლაზ.) - დენთი, ბერძ. **Μπαρούτι** (ბარუთი) თოფის წამალი. ბურუთი გვხვდება აჭარულშიც.

სირა (ლაზ.) - რიგი, ჯერი. „სირა ჩქიმი ქომოხთუ“ ჩემი რიგი მოვიდა - **σειρά** (ბერძ). აქედან გასირავება, რაც რიგზე დაწყობას, დალაგებას, გამწკრივებას ნიშნავს. ეს ლექსემა გავრცელებულია აჭარულშიც. სირა-სირაი - რიგ-რიგობით.

დრეპანი - ლაზურში აღნიშნავს ცელს. **Δρεπάνι** ძველ ბერძნულსა და ახალ ბერძნულშიც ქვია ნამგალს, უროს. ცელი არის - **κόσσα** (კოსა). შდრ. აჭარ. თირფანი/თილფანი.

თომათისი -(ლაზ.) პომიდორი, თურქ. **domates** მიღებული უნდა იყოს ბერძნული - **ντομάτα**-საგან. რაც ასევე პამიდორს აღნიშნავს. თომათესი შავშურშიც გვხვდება.

თემელი - (ლაზ.) სახლის საძირკველი, შენობის ფუნდამენტი. **θεμέλιο** - საძირკველი. თემელი შავშურშიც გვხვდება.

კორდელა (ლაზ.) - ბანტი, ლენტე, ბაფთა. მაგ.: ე ბოზოს ქოუპი კორდელა მეკიდეი“ - იმ ქალიშვილს დავუნახე ბანტი მიბმული (**იხ. თანდილავა, 2013**). **Κορδέλλα** - ბერძნულად არის **ლენტე**, **φίγκος** - ბაფთა.

ლივადი (ლაზ.) - ყანა, ბაღი. ბერძნულად **λιβάδι** - აღნიშნავს - მდელოს, ველს, ხოლო ბაღი, ბოსტანი არის - **κήπος/λαχανόκηπος** (კიპოს/ლახანოკიპოს).

მამუნი - (ლაზ.) - არის **ბეზიაქალი** - ბერძნულად **ბეზიაქალი** არის **μάια/μαμμή/μαμή**. პონტოურში ბეზიაქალის ბერძნული შესატყვისი აღარ ახსოვთ, გამოიყენებენ რუსულ ტერმინს - **кушерка**.

სკალა - (ლახ.) - კიბე - ბერძ. σκάλα -კიბე. აჭარულში სკელა - ხარაჩოს აღნიშნავს.

საბატონი -(ლახ.) - შაბათი - „საბატონის ვა ვიჩალიშეფთ“ - შაბათს არ ვმუშაობთ. Σάββατο (ახ. ბერძ.) - σαββατον (ძვ. ბერძ.).

თემბელი - ლახურში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულია და ზარმაცს, უქნარას აღნიშნავს. Τεμπέλης (ახ. ბერძ.), შდრ. Tembel (თურქ.).

თემბელი აჭარულშიც არის გავრცელებული.

პოღია - წინსაფარი (ნარაკიძე, 2016:168);

კორიზა - (ბერძ. Κορίτζ)- ბაღლინჯო. ბერძნული სიტყვისგან მომდინარეობს, ლახურში გვხვდება კორიდა ფორმით, რაც კედლის ტილს აღნიშნავს (ხახუტაიშვილი, 2016:286). კორიზა აჭარულმაც იცის.

ქობულეთურ მეტყველებაში დასტურდება სიტყვა კონდო. იგი ბერძნული κωνδακίον (კონზაკიონ)-ისაგან მომდინარედ ითვლება, აღნიშნავს საგალობელს, რომელშიც მოკლედაა აღწერილი ესა თუ ის დღესასწაული ან წმინდანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. კონდაკი - ამ ტერმინით ქართულ ღვთისმსახურებაში მოიხსენიება წიგნი, რომელშიც მოთავსებულია წირვის ტიპიკონი.

ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ კონდო განმარტებულია როგორც - გომბიო, რაც მხოლოდ ქობულეთურში დასტურდება. ამ სიტყვის კონოტაციური შეფერილობით კონდოს ეძახიან დაბალი ტანის გოგონებს. აღნიშნულ ლექსემას ირონიული დატვირთვა აქვს ქობულეთურში. „დეგესია კონდუები“ -ამას მაშინ იტყვიან, როცა კაცს ბევრი გოგო შეეძინება, კონდუები დეიბადა (იხ. ხახუტაიშვილი, 2016:288).

ქობულეთური კილოკავის თავისებურებებს სხვადასხვა გარემოება განაპირობებს, მათ შორისაა ბერძნულის დანაშრევი, რომელიც აღნიშნულ ეთნოსთან ყოფითი თუ ენობრივი კომუნიკაციის რეალური დასტურია. ზემო აჭარულსა და ქობულეთურში დამკვიდრებულ ლექსიკას შორის ინტეგრაციის გზა განსხვავებულია. რიგი ბერძნიზმებისა გვხვდება მხოლოდ აჭარულში, ისევე როგორც ლახურში და ამ შემთხვევაში თურქულია ინტეგრაციის გზა. საინტერესოა

ბერძნიზმები, რომლებიც მხოლოდ ქობულეთურში გვხვდება და უცხოა აჭარულისთვის, რაც უშუალო სესხების დასტურია (ხახუტაიშვილი, 2016:288).

ლაზურმა ენამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცხო ენების -ბერძნულისა და თურქულის გავლენას განიცდიდა, მაინც შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურს სხვა რომელიმე ენისაგან არ შეუთვისებია ფლექსია, მაგრამ უცხო სიტყვებისა და გამოთქმების შეთვისებამ ლაზურის ფონეტიკურ მოდელს თავისი დადი დაასვა (ნარაკიძე, 2016:169).

გამოვლენილი მასალა, ვფიქრობთ, ნათლად აჩვენებს ლაზურისა და პონტოური ბერძნულის, აჭარულისა და ბერძნულის ურთიერთგავლენების თუ კულტურული შეხვედრების სურათს.

თავი IV. ქართულ-ბერძნული ურთიერთობების სოციოკულტურული ასპექტები

§1. ქართული კულტურის ასახვა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

პონტოელმა ბერძენებმა ჯერ კიდევ ანატოლიაში ყოფნისას გაითავისეს ადგილობრივთა კულტურისთვის დამახასიათებელი ყოფითი ელემენტები, რომლებიც, ბუნებრივია, თან წაიღეს განსახლების ჟამს. საქართველოში ჩამოსახლებულ ბერძენებს ახალი გარემო, ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ტრადიციული ყოფა დახვდათ და ახალი კულტურის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

კულტურული ინტეგრაცია გარდა ენისა, ტრადიციულ ყოფაშიც აისახა, რაც ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩანს. ადგილი აქვს კულტურათა სინთეზის, შერწყმის პროცესს.

პონტოელმა ბერძენებმა, შეიძლება ითქვას, საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები ჩამოიტანეს, რაც მათ ყოველდღიურ ყოფასა თუ მატერიალურ და სულიერ კულტურაში, დარგობრივ ლექსიკაში აისახა. ამასთან ერთად, პონტოელ ბერძენთა ცხოვრებაში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა, ბუნებრივია, თავისი კვალი დაამჩნია როგორც მათ ყოფას, მეტყველებას, ასევე კულტურასა და მსოფლმხედველობას. მათ წლების განმავლობაში უხდებოდათ ბრძოლა საკუთარი მეობის, იდენტობის შესანარჩუნებლად და ადგილის დასამკვიდრებლად უცხო გარემოში.

ზღვისპირეთში ბერძენების მიერ დაარსებული არაერთი დასახლება, ადგილობრივ მოსახლეობასთან კულტურულ ინტეგრაციას უწყობდა ხელს. მათ განიცადეს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სერიოზული გავლენა, მაგრამ, ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობა მათგან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მეცნიერულ ცოდნა-გამოცდილებას ითვისებდა (მგელაძე, 2017:312).

ბერძნული ეთნიკური ჯგუფები მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სამშობლოს, თითქოს იზოლირებულად ვითარდებოდნენ, ქართველებთან თანაცხოვრების დროს ინარჩუნებდნენ მამაპაპისეულ ტრადიციებს, დამხვდურთა ტრადიციებსაც ითვისებდნენ, საკუთარ თავისებურ იერს სძენდნენ, რის ფონზეც ხდებოდა კულტურათა შერწყმა, რაც ერთობლივ ტრადიციულ სტერეოტიპებს ქმნიდა.

ბუნებრივია, უცხო გარემოში თანაცხოვრებისას, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული კულტურის წიაღში მემკვიდრეობითი ღირებულებები ცვლილებას განიცდის. საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ტრადიციული იერსახე ამგვარი ცვალებადობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს (**მგელაძე 2017:313**).

საველე მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბერძენი მოსახლეობა საკუთარი ტრადიციების ფონზე ქართული ყოფისთვის ნიშანდობლივ წესჩვეულებებს, ტრადიციულ კულტურას ითვისებდა და საკუთარ კულტურასთან სინთეზის საფუძველზე ამდიდრებდა. დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ბერძენთა ამჟამინდელი ყოფიდან.

ქართულ-ბერძნული ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს ბერძენთა ყოფაში გავრცელებული ავადმყოფობის „განკურნება“ **შელოცვის** ძალით. სხვადასხვა დაავადების შელოცვები ბერძენებსაც სცოდნიათ, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამჟამად შელოცვისთვის პონტოელი მიდის მეზობლად მცხოვრებ ეროვნებით ქართველთან, რომლის შელოცვაც, მისივე თქმით, „შველის“: „ხანდახან თვალი მეცემა, ცუდათ ვარ, ვითომ კტარი ვარ, აქ შვიდობა. აქ მეზობელთან ვიარები, იცის ლოცვა, აჭარელია და ახლა მედნათლა, იცის ლოცვა და.. ხო შველის, რომ დედწყოფს ლოცვას, მილოცავს ერთ ნახევარ საათში, დედსვენებ ლოგინში, დავწვები მდივანზე, გიმიარს“ (**ელენე ქსანდოპულო, კვირიკე**).

პონტოელ ბერძენებში საქონლის შელოცვის შემთხვევებიც ხშირია, ძირითადად **შეულოცავენ მარილით**, რომელსაც ძროხის საჭმელში შეურევენ და აჭმევენ: „მარილით ლოცავს, მარილით კითხულოფს, ლოცავს ხომ, ი მარილი ჩავასხამ ნაცხში და ვაჭმევ“ (**ელენე ქსანდოპულო, კვირიკე**). მსგავსი ტრადიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდაა გავრცელებული, ზემოაჭარაში მარილს, წყალს, პურის ნაჭერს.. შეულოცავენ აჭმევენ „თვალნაცემ“ პირუტყვს.

შელოცვები ვინმე ბერძენ, აწ გარდაცვლილ ალაია ჩილინგარიდსაც სცოდნია, „კურნალობდა ვიცხა შეეშინდებოდა, შეიძლება ზოგი გველი შეხდება, შეიძლება გადავარდებოდა, ხანდახან ვერ ძინავს. ამნაირათ კურნალობდა მაი ქალი. კონდა იგი, ნაქარგები და ციგნი ღმერთის, კითხულობდა“ (კვირიკე).

ალაია ჩილინგარიდს კარგად სცოდნია მოტეხილობის მკურნალობაც. კვერცხით და ფქვილით აკეთებდა რაღაცას, თუმცა რას აკეთებდა აღარ ახსოვს და იმით შეახვევდა მოტეხილ ადგილს, რაც განკურნების ერთგვარი საშუალება იყო. აღნიშნავთ, რომ კვერცხით და ფქვილით აკეთებენ არტაშანს, იყენებენ მოტეხილის ან ამოვარდნილის დასაფიქსირებლად, რაც გიფსის, თაბაშირის შემცველია. ზემო აჭარაში ზუთხს ეძახიან - ზუთხი გავაკეთე და დავაკარ მოტეხილობაზეო, - იტყვიან.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთათვის არც „უჯმური“ და მასთან დაკავშირებული შელოცვებია უცხო: „-მაჲ არის ბავშვის საცხა რომ გეიარს, ღელეა, რაცხა იარს და შეეშინდება ბაღანა, არ დეიძინებს, - აი ამბობენ უჯმურია“ (კვირკე). უჯმური და მასთან დაკავშირებული წესები ფართოდაა გავრცელებული აჭარულში. აღნიშნავენ, რომ მსგავსი ტრადიცია აჭარლებისგან შეითვისეს, ეს ტრადიცია ბერძნული არ არის.

აჭარულში - „უქმურ წაკრა, პირს აღებიებს, ავათ გახდება, გულ მუურევს, ემენ, ბნედას დეიწყობს“, -ეს ის ძირითადი სიპტომებია, რაც უქმურის დაავადებაზე - მიუთითებდა, რასაც სხვადასხვა საშუალებებით მკურნალობენ. შესალოცად წყალს იყენებდნენ, რომელზეც შვიდ, ცხრა, ან ორმოც ქალს უნდა შეელოცა, შელოცვილი წყალი კი ავადმყოფს უნდა დაეღია და წყლით დაეებანა. უქმურთან დაკავშირებით **დახჩოლვის** რიტუალსაც ასრულებდნენ. „შვიდი კარი, შვიდი კარიზღული, შვიდი სოია, ესენი ამხელვანათ მოგეთალანა. წინწკალ გამეველებდით სობიდან ასტამზე და იმ წინწკალზე დავყრიდით ამას, ფქვილს და იაღსაც მუუტოლებდით, ფუჭი იყო წინწინ, სანთლიდან აკეთებდენ.. ისიც კაი იყო დახჩოლება, იმასაც დავდებდით და დუუხჩოლებდით (სევიე აბულაძე, ზემო აჭარა). აღნიშნული რიტუალი ადგილობრივი ბერძნებისთვის უცხო არ არის, თუმცა თავად რიტუალის წესებს კარგად ვერ იხსენებენ.

ქართული სამზარეულო საკმაოდ კარგად აქვთ შეთვისებული და იგი ყოველდღიური ყოფის ნაწილია. ბერძენი ქალბატონი, ელენე ქსანდოპულო აღნიშნავს, რომ მისთვის კერძების მომზადება არავის უსწავლებია, ისწავლა ურთიერთობების შედეგად: „ქორწილები რომ ვიხდოდით, აკეთებს ხალხი, გიყურევენ, რაფერ აკეთებოდით **ტოლმა**, რას ურევ, იგი რას აკეთებოდა **ხაჩაპურის ცომი** ამას ვიყურებოდი, იმის რაფერ აკეთებოდა **ქათმის საცივი** და ამნაირათ ვისტავლე“ (კვირიკე).

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარიდან საბერძნეთში საცხოვრებლად წასულ ბერძნებს თან მიაქვთ მათ ყოფაცხოვრებაში, ცნობიერებაში არსებული ქართული კულტურის ელემენტები. ქორწილებს საბერძნეთში ქართული ტრადიციის მიხედვით ატარებენ, არც კერძები ავიწყდებათ: „**ხაჩაპური, საცივი, შაშლიკები...**“, რაც საბერძნეთში, ადგილობრივ ბერძენთა გაკვირვებას იწვევს: „ამდენი ხარჯი, ასეთი დიდი ქორწილები“ უცხოა მათთვის, თუმცა საქართველოდან წასულ პონტოელ ბერძნებს პასუხი აქვთ – „ჩვენ იქ ისე ვიყავით და აქაც ვაკეთებთ ისე, როგორც აქა ვასრულებდით ქორწილის წესებს, ისე იქ ვასრულებთ“ (დაგვა).

„ხან **შაშლიკი**, ხან **სალიანკა**, ქათამი, მე დაჟე ის ვაკეთებ ბავშვებს **ხინკალი**, **საცივს**, ყველაფერს ვაკეთებთ, ჭამენ ჩემი ბავშვები, -აღნიშნავს საბერძნეთიდან ამჟამად სტუმრად ჩამოსული ბერძენი მარია დელიანიდი - სალვარიდი.

ახალ წელს „**კექსავით**“ ნამცხვარს აცხობენ, რაშიც „**კაპეკს**“ ჩადებენ. დაჭრიან იმდენ ნაჭრად, რამდენი წევრიც არის ოჯახში ერთის დამატებით, ვინაიდან „პირველი ღმერთისაა“. მეორე ნაჭერი დიასახლისს ეკუთვნის, შემდეგი - ბავშვებს. ვინც „**კაპეკს**“ იპოვის, ის იმ წელს ბედნიერი იქნება. მსგავსი ტრადიცია საქართველოშიცაა გავრცელებული, ზემოაჭარაში კექსის ნაცვლად, ხაჩაპურს აცხობენ.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ყოფითი სამყარო ძალიან ჩამოგავდა ქართულ წეს-ჩვეულებათა ციკლს, რაც, ვფიქრობთ, არამარტო ხანგრძლივმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობებმა განაპირობა, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რელიგიურმა ფაქტორმაც.

აჭარაში მცხოვრები ბერძნები მსხვერპლშეწირვის რიტუალს **ბაირამს** ეძახიან, თუმცა რიტუალის წეს-ჩვეულებები ძირითადად ისეთივეა, როგორც მართლმადიდებლური საზოგადოებისთვის მიღებული. აქვე აღნიშნავენ, რომ ბაირამს პონტოურად **ბანოირ** ქვია - „ბანოირ იყო პონტიურად, ბანოირ“ (ახალშენი).

ბაირამი - დღესასწაული - სიტყვა ნასესხებია თურქულიდან. სიტყვის წარმომავლობაზე მეცნიერებს სხვადასხვა აზრი აქვე გამოთქმული (**ჩოხარაძე...**, **2015:509**). ეს სიტყვა თურქულის გზით ბევრ ენაშია შესული, მათ შორის პონტოურშიც.

საინტერესოა რელიგიური დღესასწაულები – კერძოდ, მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ძირითადად გიორგობის დღესასწაულზე სწირავენ ცხვარს. მათივე მონათხრობით: „ბაღნები იყო პატარები, ავადები და მე დაპირდი გიორგობას, რომ უნდა დაკლა“. ყურადღებას იქცევს თვით სახელწოდება **ღურბანი < ყურბანი**. რიტუალი თავისი შინაარსით წარმართულია, მაგრამ დღემდე ასრულებენ, თუმცა სახელწოდება თურქულიდან შეუთვისებიათ.

ცხვრის დაკვლა **შეპირებას** უკავშირდება. როგორც ჩანს, ეს რიტუალი თურქულიდან აქვე გადმოღებული, თუმცა წინარექრისტიანული ელემენტებით გაჯერებული. აღნიშნავენ, რომ ეს ბერძნული ტრადიცია არაა, იქაური ბერძნები ამ წესს არ იცავენ, მაგრამ სჯერათ და მთელი რუდუნებით ასრულებენ მას, თავს ვალდებულად თვლიან, რაკი შეპირდნენ უფალს შვილების და სხვათა ჯანმრთელობის სანაცვლოდ, უნდა შეასრულონ კიდევ, „**ღურბანე ეკანე**“ - ყურბანი გავაკეთე (**დაგვა**).

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ტრადიცია არ არის საბერძნეთის მკვიდრთა ცხოვრებაში მიღებული. ეს ტრადიცია თურქულიდან აჭარულის გზით შეითვისეს, თუ თურქეთიდან მიგრირებულმა ბერძნებმა ჯერ კიდევ ანატოლიაში ცხოვრებისას გაითავისეს, ძნელი სათქმელია, ფაქტია, აჭარის შავიზღვისპირეთიდან წასული, ამჟამად საბერძნეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნები, ე.წ. **ღურბანის** რიტუალის ჩასატარებლად აჭარაში მოდიან და ასრულებენ.

პონტოელი ბერძნები ახალდაბადებული ჩვილის პირველად ნახვისას ამბობდნენ „**არ იყოს თვალი**“, რაც იგივეა, აჭ. „**თვალი არ ეცეს**“, „**არ გაითვალოს**“.

პონტოელთა ყოფაში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული „ბავშვის ყიდვის“ ტრადიცია, რაც იდენტურია აჭარაში გავრცელებული მსგავსი ტრადიციისა, როცა ერთი ოჯახის შვილს, სადაც ბავშვი მუდმივად ავადმყოფობდა, მონათესავე ოჯახი გარკვეული თანხის (ხურდა ფული უნდა ყოფილიყო, „რკინის ხურდა“) სანაცვლოდ „ყიდულობდა“. ზრდასრულ ასაკში მშობლებს ბავშვი იმავე თანხად უნდა გამოესყიდათ, რათა შვილი ისევ მათ სახელზე გადასულიყო და იმქვეყნად ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ტრადიციათა თანხვედრა ჩნდება ჩვილი ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით. ჩვილის ჭიპს ისევე აშრობდნენ, ქსოვილში ახვევდნენ და რუდუნებით ინახავდნენ, რათა მოზარდის სკოლაში წასვლის დროს, სკოლის შენობასთან დაეგდოთ, ან იქვე მიწაში ჩაეფლათ (რაც ბავშვის კარგად სწავლასთან ასოცირდებოდა) როგორც აჭარაში, სადაც ჩვილის ჭიპს წიგნში ინახავდნენ - ბავშვს წიგნები ეყვარებაო, „ დიდ“ შენობაში (იგულისხმება სამთავრობო, სასწავლო...) შეიტანდნენ „დიდი კაცი გამუა, დიდ სკამზე დაჟდებაო“, ან ნასწავლი და თანამდებობის პირი გახდებაო. ერიდებიან კარადაში შენახვას, - „მჩხრეკავი გამუაო“ და სხვა.

მსგავსი მაგალითები მოწმობს, რომ ტრადიციულ კულტურას ხანგრძლივად არსებობის უნარი აქვს. იგი ეთნოსის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. „ტრადიციას კულტურულ ფასეულობათა ტრანსმისიისა და მემკვიდრეობით მიღებული კულტურული თავსებადობის უნარიც აქვს. თუმცა უცხო გარემოში დიასპორა განსაკუთრებულ ეთნიკურ უმცირესობას თუ წარმოადგენს, მაშინ ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, ხშირ შემთხვევაში ტრადიციული კულტურის წიაღში მემკვიდრეობითი ღირებულებები ცვლილებას განიცდის“ (გიორგაძე..., 2017:313).

ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ პონტოელმა ბერძნებმა ეს ტრადიციები უშუალოდ საქართველოში მიგრირების შემდეგ შეითვისეს, თუ ჩანმოიტანეს პირველი საცხოვრისებიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციულ კულტურაში ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ ადრე უნდა დაწყებულიყო. მათ ჯერ კიდევ ანატოლიაში ყოფნისას უნდა ჰქონოდათ ბევრი რამ მიღებული და გათავისებული. მსგავსი ტრადიციების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის ხელი იმასაც უნდა

შეეწყო, რომ საქართველოში, ფაქტიურად ამ მხრივ დიდი სხვაობები არ დახვედრიათ, „რადგან ქართულ-კავკასიური და ანატოლიური მოსახლეობის კულტურის ისტორია მსგავსი იყო, ბუნებრივია, ეთნიკური და ეთნო-კონფესიური ჯგუფების ლოკალური ნიშნების თანამონაწილეობით“ (გიორგაძე..., 2017:215).

კულტურათა კომუნიკაციების შედეგია პონტოელთა ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები, ანეგდოტები, რომლებიც, ვფიქრობთ, უფრო ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

მაგ: ამის ოჯახები ანათებს იქა, წითელ ოქტომბერში, ძმები მოხელეები და თელი ამბები, – შეძლებული ოჯახიდან არისო, ამას ნიშნავს.

ჭადის სახელი დამავიწყდა ..

ცუდი მეზობელი შორეულ ძმას ჯობიაო.

მთავარი სტამბოლი ხოჯა მე ვარ აქ! - მთავარი წარმომადგენელი მე ვარ;

სულს ვატრევთ და ...;

-რადცა გული შემსტკივა;

სისხლი ვფურთ(ხ)ე;

ჩაიცვი ის ქუდი, ყველას რომ აცვია, -ეს ბაბუას სიტყვებია - აღნიშნავს სოფ. კვირიკის მკვიდრი ხრისტო ქსანდოპულო, რაც ისეთივეა, როგორც „სადაც წახვალ იქაური ქუდი დაიხურეო;

შვილისთვინ ღელიხუხუნია - ზედმეტია საუბარი;

აჭარის შავიზღვისპირეთის ქართულ კულტურას ნებსით თუ უნებლიეთ განსაკუთრებული როლი აქვს პონტოელ ბერძენთა ცხოვრებაში. საქართველო მათი მეორე სამშობლოა და ასეც მოიხსენიებენ საუბრებში: „ჩვენი კუთხე, ჩვენი საქართველო..“,

„ვიყავი წასული საბერძნეთში, შვილები იქ არიან, მაგრამ ვერ გავძელი, ჩემ სახში დავბრუნდი, სამშობლოში..“, ჩვენ ღელე-ღურდანს გაუმარჯოს, სადაც დავიბადე, სადაც გავიზარდე, სადაც ისარი გვისვრია“ (იხ. აბულაძე, 2016:211-212).

ადგილობრივ პონტოელ ბერძენთა და არა მარტო ადგილობრივ, არამედ საქართველოდან წასულ ბერძენთა დიდ ნაწილში, ფაქტია, დღემდე რჩება იმის განცდა, რომ კვირიკე, დაგვა, ახალშენი და ა.შ. მათი კუთხეა, მათი სამშობლოა.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მსოფლმხედველობა, არცაა გასაკვირი, ქართულ მიწაზე დაიბადნენ, ქართულ გარემოში გაიზარდნენ და ბუნებრივია, უყვარდეთ, ან მათ კუთხედ მიაჩნდეთ საქართველო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა, ტრადიციები, ფასეულობები.

საქართველოს, როგორც პონტოელ ბერძენთა მეორე სამშობლოს სიყვარულის შედეგია ალბათ ის „ცრემლები“, რომლებიც საბერძნეთში შვილებთან სტუმრად ჩასულ ბერძენს თვალებს უსველებს, ტელევიზორში „ქობულეთის“ ხსენებისას - „სიყვარულის ცრემლები - მიწა მემახის მე“ (**ხრისტო, კვირიკე**) და ბერძენთა და ქართველთა კეთილმეზობლური ურთიერთობების შედეგი ათქმევინებს სწორედ ერთ-ერთ ბერძენს: „მეგობრობა და მშვიდობა რომ გულში შეინახოს ადამიანმა, პენსიაც არ დასჭირდება ისე იცოცხლებსო, ისეთი მეგობრობა გვაქ, -ჩვენ ერთად გაზრდილი ხალხი ვართ, ასეთ მეგობრობას ყველგან ვერ ნახავთ, ჩვენთან რომ არის აქა“ და რომ „ქობულეთს სხვანაირი სუნი აქვს“ (**დაგვა**).

ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, აღზრდით, ტრადიციებით, ენით, რომელზეც საუბრობს და აზროვნებს. თუმცა წლების განმავლობაში ხდება ბევრი რამის გადააზრება, გადაფასება, ახლის შექმნა, რის ნათელ მაგალითსაც ბერძენთა ყოფის ამსახველი მასალა წარმოადგენს - ყველაფერი ეს ენაში აისახება. ფაქტი ერთია, ქართული ენის, კულტურის გავლენა დიდია, თუმცა გავლენათა ფონზე ბერძნებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი იდენტობის, მეობის ამსახველი ბევრი ელემენტი, რაც ცალკე კვლევის საგანია.

§2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობა

პონტოელ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ცხადია, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რაც ეთნოკულტურული პროცესების გაანალიზების აუცილებლობით და იმ კულტურული ურთიერთგავლენების შესწავლის მნიშვნელობითაა განპირობებული, რომლებიც როგორც მოსულმა ბერძნებმა, ისე დამხვდურმა მოსახლეობამ განიცადეს.

სამომავლოდ, შესაძლოა, შეუძლებელი გახდეს პონტოელი ბერძნების ტრადიციული ყოფის შესწავლა, რადგანაც უკუმიგრაციები საქართველოში მცხოვრები ბერძნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ ფასეულობებს და ტრადიციული ცხოვრების წესის ბერძნულ-ქართული ერთიანი კულტურული იერსახის დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

ეთნოკულტურული კუთხით კვლევის პროცესში გასათვალისწინებელია ტრადიციული კულტურის როლი, როგორც ეთნიკურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა.

იმ ფონზე, როცა საუბარია ბერძენთა იდენტობის, თვითმყოფადობის საკითხებზე, გასათვალისწინებელია, რომ ეს ბერძენთა მასობრივი ცნობიერებით ასახული კულტურაა, რომელიც ბერძენთა მეტყველების, ეროვნული ცნობიერებისა და კომუნიკაციის თავისებურებებს ავლენს. ეს იმ კულტურის ნაწილია, რომელიც მათ მეხსიერებას შემორჩა და მეტ-ნაკლებად დღემდე ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალმხრივი უცხოენობრივი გავლენებისა, პონტოური დიალექტი არ კარგავს თვითმყოფადობას, რაც ბერძენთა მეობის, იდენტობის დასტურია.

ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობის მთავარი დასტური ენაა. აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძნებმა კარგად იციან პონტოური ბერძნული და დღემდე ერთმანეთში ურთიერთობის ენად პონტოური კილო აქვთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის შავიზღვისპირეთიდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა შორის შეინიშნება მცდელობა, შვილებს, შვილიშვილებს ასწავლონ პონტოური, რომ არ დაიკარგოს მათი ენა და გადაეცეს თაობიდან თაობას.

„სამი წლის იყო ჩემი ბიჭი, რომ იქ მივეცი, ისწავლა ბერძნული სუფთა ენა. მერე მე შემემინდა და ვუთხარი, რომე სახლში უნდა ვილაპარაკოთ პონდიურათ, რომ ბავშვი არ დაავიწყდეს, რომ იცოდეს“ (მარია სალვარდი, სოფ. დაგვა) - ცდილობენ, შვილების თაობამ მაინც იცოდეს პონტოური ენა.

ბერძნები განსაკუთრებული ძალისხმევით ზრუნავენ ეკლესიებზე, რომლებიც თავად ააშენეს ძველ ქართულ ეკლესიათა ნანგრევებზე. წირვა-ლოცვას ბერძნულ ენაზე ატარებენ. ყველა წმინდა რელიგიურ დღესასწაულს ერთად ზეიმობენ, გარდა

ამისა, ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან ეკლესიაში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენახვისა და გაფრთხილების მცდელობები ნათლად აისახება ენაში.

ბერძნულ ეკლესიებს წმინდანების სახელებს არქმევენ, ერთ პატარა ეკლესიას კვირიკეში აიას კერეკის ეძახიან.

აიას კერეკი – სახელდებას ასე ხსნიან: ერთი მოხუცი ქალი ყოფილა და უთქვამს, მოდი, ერთი უქმე გავაკეთოთო, ანუ დასვენების დღე გამოვაცხადოთო, გამომდინარე იქედან, რომ კვირა დღე დასვენების დღედაა გამოცხადებული და კვირა ბერძნულად კირიაკი, ეკლესიისთვის დაურქმევიათ **კერეკი <კირიაკი**.

ეროვნული მემკვიდრეობის დაცვას აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელები პონტოურ სამზარეულოშიც ცდილობენ. ხშირად ამზადებენ პონტოურ კერძებს, ჩამოთვლიან:

ღალატოფაი, ბრინძოსილ - ეძახიან, (რიზი), ვრასტი, ლახანა, ჩურვან, ხასილია, ხავიწ, ტრიმან, კრომიზატონ, ტილანია, ხაფსოპულია, კარტოფლინ.

ვრასტის მომზადება: „ფხალი, ჭარხალი, პრასა, ქინძი, მაკიდო, ყველაფერს ურევთ, კიდევ რაცხა ბალახი არის, იმასაც ურევთ, ბერძნულია. ნიორიც უნდა, პირპილა უნდა, კორკოტა უნდა“ (კვირიკე).

კინდეატას ჭინჭრისგან დამზადებულ კერძს ეძახიან. **ჯინჭრი შორვას** ზემოაჭარაშიც ამზადებენ და აღმოსავლეთშიც იციან. კერძის მომზადების რეცეპტი ერთნაირია, თუმცა კერძი თავად რამდენად პონტოურია, ძნელი სათქმელია. აქ მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ბერძნულ სახელს არქმევენ, რაც იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი მახასიათებელია. „ვხარშავთ, მერე ნიორი, პირპილაი და ცოტა იგი .. ჭადის ფქვილს. კოვზით აურევთ ყველაფერს. ახლა რომ მეიხარშება კინდეატა, იმას ცოტა უშვებთ სიმინდის ფქვილს. მერე ი მოიხარშება, ის უნდა გქონდეს მზად, ნიორი, პირპილა ურეული და მერე ჩადებ თუ გინდა ნიგოზიც ცოტა ურევთ. მერე ცოტა ერთი ხახვი უნდა დაჭრა წვრილათ, მერე ზეთზე მოხარშავ ცოტა, რომ წითლათ გამოვდეს“ (დაგვა).. თანამედროვე ბერძნულად ჯინჭარს ეძახიან (τσουκνίδα -ცუკნიზა).

შავშურ მასალებშიც დასტურდება **ჯინჭრი შორვა**, რასაც ჭინჭრით დამზადებულ წვნიან კერძს ეძახიან.

ამზადებენ ხავიწს, კაიმალით და მჭადის ფქვილით. იმერხევის მასალებში „ხავიწი“ ნაღბისგან კეთდება. აჭარულშიც ფართოდაა გავრცელებული ეს კერძი და ასევე ნაღებს, ფქვილს და კარაქს იყენებენ მის დასამზადებლად, თუმცა აღნიშნავენ, რომ კერძი ბერძნულია.

ამზადებენ კერძს **ღულია** – „ლახანას ვუძახით ბერძნულათ, შავი ფხალი რომ არის. სიმინდს ცოტა მოხალავთ, მერე იმას, კრუპნი უნდა იყოსო.. მაგი და ხმელი ლობიო ერთათ იხარშება. სანამ ის მეემზადებოდეს, მერე წვრილათ გარეცხილ ფხალს ვჭრი და ვდობთ შიგნით და იგიც რომ მეიხარშება და არის მზად, მერე მოთუშავ ზეთში ხახვს, ხოდა მერე იმას მოხალავენ ჩაყრიან მარილს და ვსიო. ქვია იმას „ღულია“. ესაა ბერძნული ღულია (კვირიკე). აღნიშნული კერძი ახლოსაა აჭარულ ფხალ-ლობიოსთან.

„ღალატოკოლონ“ რეცეპტია, - გაჭრი ხაპს, კანს მოაცილებ, იგი მეიხარშება, მერე ჩაასხამ რძეს, ხოდა ქაშივით კეთდება.. ისევე მზადდება, როგორც აჭარაში ხაპიშორვა.

„კერძებს ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი მე, რა სახელი უნდა გითხრა.. ხაფსოპულია კაია, დამარილებული ხამსიადან ვაკეთებთ, ხამსიას ვამარილებთ“ (კვირიკე). ლობიოსგან დამზადებულ კერძს „ფასულიას“ ეძახიან. იციან **ზომერა ფასულია** – წვნიანი ლობიო და **სტერნა ფასულია** – მშრალი ლობიო, – „უწვენოთ შეკაზმული“ (ახალშენი). როგორც თავად აღნიშნავენ, პონტოელები წვნიან ლობიოს ამზადებენ ძველთაგანვე, თუმცა როცა აჭარაში დასახლდნენ, მათგან ისწავლეს მშრალი ლობიოს დამზადება, – „შეკაზმული ლობიო რომაა, ესეიგი უწვენო, იმას ვუძახით ქართულ ლობიას, ქართველების ლობიას“.

წადილის მოსამზადებლად ხარშავენ პურის „კეკალს“, მერე გაწურავენ „დრუმლაკში“, მერე „სტოლზე დააფენ ტილოს და კოვზით კიდო მოურევ დროგამოშვებით. ის იქნება თითო-თითო. იმას დიდ თასში ჩამოვყრი, მაქ დამზადებული მოხალული პურის ფქვილი, დანაყილი ნიგოზი, შაქარი მზათ სტოლზე და „არნამენტს“ ვაკეთებ. ზემოდან ვაფორმებ ჯვარი და.. ჩავყარე პურის კეკალი, ქაღალდი მაქ სუფთა, თეთრი, იმას გავასწორებ, მერე ვყრი შიგნით ნიგოზ დანაყილს, იმასაც ასე, მერე მოხალულ ფქვილს. ასე იარუსებათ რო მშრალათ შერჩეს

და ბოლოს შაქარს. მერე გინდა პატარა კამფეტებით ირგვლივ დაალამაზებ და შუაში გააკეთებ ჯვარს. მე პატარა თხილი რო არი, იმას მოვხალავ, კანგაცილის ვაკეთებ ირგვლივ და შუაში ჯვარს და მშრალი რჩება“ (ბათუმი). წადილს ბერძნულად „კოლივა“ ქვია.

სააღდგომო პასკის საკუთარი რეცეპტი აქვთ, „პონდიურ პასხას“ ეძახიან.

ახალ წელს აცხოვენ ტრადიციულ -პიტას (ერთგვარი ნამცხვარია), რომელსაც ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ხაჭაპურს საქართველოში.

„პიტაში „კაპიკს“ ვდევ, როგორც კეიკი (სხვა – პონტიურად ჩურეკია). მერე ვჭრი ნაჭრებად. არ ვუყურებ სადაა და ვჭრი. მერე მიდის. მე ვარ უფროსი, მერე ჩემი ბიჭი, მერე ჩემი რძალი და მერე ბავშვები. იმაზე დამყდარი ბავშვები იცდიან როდის.. მაი დედა აკეთებდა, ბებია აკეთებდა. ეს ბერძნულია. აკეთებენ იქაც“ (დაგვა).

საინტერესოა პონტიური სამზარეულოს შედარება სხვა ქვეყნების (ქართული, თურქული..) სამზარეულოებთან და კერძების ინტეგრაციის გზების კვლევაც, რაც კიდევ ერთი დასტურია კულტურათა შერევის ხანგრძლივი პროცესისა.

მიცვალებულის გასვენებისას ელოდებიან ჭირისუფალს საბერძნეთიდან და ისე ასვენებენ, განსაკუთრებული კერძი აქვთ – კოკია, მას გასვენების დღეს აკეთებენ, გასვენებიდან მეცხრე და მეორმოცე დღესაც კეთდება. კოკიას ძირითადად კაცები ამზადებენ, ქალმა არ უნდა გააკეთოს, „კანონას“ (წადილი) აკეთებენ, წინ მიდის კანონა და მერე ჯვარი. აღნიშნავენ, რომ შავებს იცვამენ ორმოცი დღე, „მეზობელს ორმოცი დღე, მთავარი მეზობელია, კაი, გლახა – მეზობელია“.

მეტ-ნაკლებად განსხვავებული სააღდგომო ტრადიცია აქვთ. აღდგომის დღეს ოჯახში დღესასწაულობენ, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, კვირას მიდიან საფლავებზე, მიცვალებულთა მოსახსენიებლად, რასაც ფომას ეძახიან.

ხილის ჯიშების ჩამოთვლისას (დემირადა ვაშლი, ფაშა მსხალი, თეთრი გულაბი, სხალყვითელია, ფაშა მსხალი, მესხიძურაი..) იხსენებენ განსაკუთრებული არომატის მსხალს, რომელსაც ბერძნული სახელი ქვია „ქიტრონაფე“ – ბაბუის სამოსახლოზე ყოფილა გაზრდილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კიდევ ერთი დასტურია ის, რომ შვილებს ბერძნულში გავრცელებულ სახელებს არქმევენ, როგორცაა:

ხრისტო, ლაზარე, ესტაფი, პავლე, ტრიანდაფილე, პანაიოთი, გიორგი, იანე (ივანე), კონსტანტინე, თეოდორე, ლისანდრე, ნიკოლოზი, ანესტი, სტავრო, სპირიდონი, ვასილი, ჰერიკლი, პავლე, ლისანდრე, ტრიანაპოლი, ქალის სახელებში კი ჭარბობს: მარიამი, ეფიმია, ემორფილე, მორფილი, ევრიკლი, ელენე, ანთიგონა (ანთილონა), მარინა, ანგელინა, არღირო, სოფიო, ზინა, ქსენია, მარგარიტა, ოლდა...

შვილებს სახელს ბებია-ბაბუის საპატივცემულოდ არქმევენ: შვილებიდან ვიღაცა მაინც უნდა ატარებდეს მშობლის სახელს. „ბებიაჩემს რვა შვილი ყავდა და იმდენი შვილიშვილებიდან მე მომცენ ბებიაჩემის სახელი -ეფიმია” (ახალშენი).

პონტოელი ბერძნების საქორწინო ტრადიციათა ციკლს მიეკუთვნება საქორწინო მაყრიონისთვის ბაწრის გაბმის ტრადიცია. ეს ტრადიცია არც ქართული კულტურისთვის არის უცხო, განსაკუთრებით გავრცელებულია აჭარულში, ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც და დღემდე სრულდება. თუმცა განსხვავებით აჭარულისა, სადაც ბაწრის გაბმის ტრადიცია ძირითადად სრულდება პატარძლის წაყვანისას (პატარძლის „გატანების“ სანაცვლოდ სიძის, ზოგჯერ მეჯვარის მხრიდან თანხის გადახდის მიზნით) პონტოელ ბერძნებში ეს ტრადიცია ქათმის გამოსყიდვის სახელითაა ცნობილი. ბაწარს გააბამდნენ სიძე-მაყრიონის მოსვლისთანავე. პატარძალთან შესვლის ნებართვის სანაცვლოდ, სიძის მეჯვარეს ქათამი უნდა გამოესყიდა, რომელიც სპეციალურად საქორწინოდ იყო მორთული.

ქორწილში ცეკვავენ ტრადიციულ ცეკვას – **კოჩარი**, თუმცა არც **სემსოროკი**, **განდაგანა**, **შალახო** ავიწყდებათ.

თურქეთში მცხოვრებმა ბერძნებმა, მიუხედავად თურქების დაუდევარი საქციელისა მათ მიმართ, მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს ტრადიციები, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დასტურია.

პონტოელ ბერძენთა ყოფისთვის დამახასიათებელია ნიჭარების ასხმა ე.წ. სათვალოები, რაც ოჯახისა და კარმიდამოს თითქმის ყველა ელემენტზე გვხვდება, თვალსაჩინოდ არის მიმაგრებული და ბერძენთა გადმოცემით ოჯახს ავი თვალისა და ბოროტი ძალებისგან იცავს. მსგავსი სათვალოები არც სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაა უცხო საქართველოში ხშირია ხარის რქა, ნალი, ჯინჭარი, ეკალი, პიმპილი... საქართველოში ნიჭარას აკვანზე დაკიდებენ - ბავშვი არ გაითვალოსო.

პონტოელი ბერძნები მორწმუნეები არიან და დიდი რუდუნებით ასრულებენ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. რელიგიისადმი დიდ სიყვარულსა და წინაპართა პატივისცემაზე მეტყველებს პონტოელ ბერძენთა ოჯახებში განთავსებული სალოცავი კუთხე, რასაც ხატების კუთხეს ეძახიან, სადაც დიდი სიყვარულით უვლიან და უფრთხილდებიან ხატებს, რომელთა შორისაც მათ წინაპართა მიერ საბერძნეთიდან ან ტრაპიზონიდან წამოღებული ხატები ინახება დღემდე. მას შემდეგ თაობიდან თაობას გადასცემენ თვით ხატებს და ხატებთან დაკავშირებულ წინაპართა ისტორიებსაც.

„(ხატებს) ბერძნები ზოგადად წინაპრებს უწოდებენ, რომლებიც სამშობლოსთან, საბერძნეთთან და მცირე აზიასთან -ტრაპიზონის მხარესთან დამაკავშირებელ ერთგვარ უხილავ ძაფებს წარმოადგენდნენ“ (გიორგაძე..., 2017:88).

ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის ნიშანი უნდა იყოს სპეციფიკური სასაფლაოები, რომელთაც ოთხი ძირითადი ნიშანი აერთიანებთ: ოთხკუთხა და მომადლო ფორმა-მოყვანილობა, ეპიტაფია ბერძნულად შესრულებული, ქვაზე ზემოდან დადგმული ჯვარი და სასანთლე, რომელიც ზოგან საფლავის ქვაშია გამოკვეთილი, ზოგს სპეციალური დასახური კარიც აქვს (იხ. გიორგაძე..., 2017).

ილია წინასწარმეტყველის დღესასწაულზე დღისით თანასოფლელები ერთმანეთს შეხვედრისა და დამშვიდობებისას მისალმების ნაცვლად ურთიერთს მიმართავდნენ როგორც „ნა ვოითა“, რაც ნიშნავს - დაე მან გვიშველოს.

ბერძნული საზოგადოების რელიგიურმა, კულტურულმა და სულიერმა ცხოვრებამ განაპირობა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება უცხო მიწაზე.

უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილი ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფები ყოველთვის ცდილობდნენ სათუთად დაეცვათ მათთვის დამახასიათებელი ტრადიციები, ყოფითი რეალიები, კულტურა და ენა, რაც ეროვნული მეობისა და ეროვნული ცნობერების დაცვის ტოლფასი იყო. სწორედ კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტობის დაცვამ შეაძლებინა პონტოელ ბერძნებს როგორც ანატოლიაში, ისე სხვა რეგიონებში მათ შორის საქართველოში ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება (გიორგაძე..., 2017: 287).

მემკვიდრეობითი ღირებულებების შენარჩუნებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მეზობლად მცხოვრები ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის წევრები ურთიერთობათა ყველა სფეროში ერთად იყვნენ, რაც განსხვავებულ ეთნიკურ გარემოში საკუთარი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გამოხატულებაა.

ძირითადი დასკვნები

ნაშრომში აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებით შევისწავლეთ მათი ენობრივი მდგომარეობა, ის თუ რამდენად აისახა ენაში უცხო ტომებთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები, რა ცვლილებები განიცადა მათმა ენამ უცხო გარემოში, რა ფორმით შემორჩა იგი პონტოელთა მეხსიერებას და რით აიხსნება ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები.

შევეცადეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, რის საშუალებასაც მოპოვებული მასალა იძლეოდა, შეგვესწავლა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ფონეტიკური და ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები. ყურადღება გავამახვილეთ ეთნო-მენტალურ მარკერებზე ბერძნულ-ქართულ ენობრივ თუ კულტურულ ურთერთობათა ფონზე, სად დაჩნდება კულტურული ურთიერთგავლენები და რამდენად შეიძლება საუბარი ბერძენთა იდენტობის, თვითმყოფადობის საკითხებზე.

1. მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება მნიშვნელოვან ფონეტიკურ თავისებურებებს ავლენს არამარტო ძველ და თანამედროვე ბერძნულ ენასთან მიმართებით, არამედ საკუთრივ პონტოურ დიალექტთანაც.

ნათელი ხდება, რომ პონტოურის ბგერათა სისტემა ძველ და ახალ ბერძნულთან მიმართებით მეტ-ნაკლებ თავისებურებებს ავლენს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ იგი დიდად არ განსხვავდება საკუთრივ პონტოური დიალექტის ბგერითი სისტემისგან.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ე.წ. უმლაუტიანი ხმოვნები, რომლებიც როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში გავრცელებული პონტოურის ბგერითი სისტემის კუთვნილებადაა მიჩნეული, ჩვენი დაკვირვებით, აჭარის მკვიდრ ბერძენთა მეტყველებაში გავრცელებული არ ჩანს, რასაც ქართული ენის გავლენით ვხსნით, ვითვალისწინებთ, რა პალატალიზებული ხმოვნების წარმოებას ქართულ კილოებში.

შესაძლებლად ვთვლით, პონტოელთა მეტყველებას თურქულის გავლენით მართლაც გადმოჰყოლოდა საქართველოში მიგრირებისას უმლაუტი, თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა, თუმცა გავრცელება ვერ ჰპოვა.

-პონტოურისთვის, მსგავსად ძველი და თანამედროვე ბერძნულისა, დამახასიათებელია რთული ხმოვნები, ანუ დიფთონგები, რაც ბერძნული ენის სხვა კილოებისთვისაც ნიშანდობლივია, მაგ.: γυναῖκα (ლინეკა) - ქალი, ἄριον (ავრიონ) - ხვალ, ὄνειρον (ონირონ) - სიზმარი, ἔσ(φ)κερον (ევ(ფ)კერონ) - ცარიელი, οἰκοκρά (იკოკირა) - ცოლი, στῆνδι (სტუდი) - ძვალი.

-ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოში გავრცელებული პონტოურისთვის კავკასიური და ინდოევროპული ენებისთვის დამახასიათებელი აფრიკატების (ძ.წ.ც.ჯ.ჭ.ჩ), ნაპრალოვნების (ყ-შ) შემცველი ბგერების არსებობის შესახებ და აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მასალების მიხედვით, პონტოურში საკმაოდ პროდუქტიულია აღნიშნული ბგერები, როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ პონტოურ ლექსიკაში. განსაკუთრებით გავრცელებულია -შ ფონემა, შედარებით ნაკლებია -ჩ, -ც და -ძ ხმულები, ხოლო, -წ, -ჭ და -ჯ ფონემები მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა. ასეთებია, მაგ: κα[sh]κίν (კაშკინ) - თავსაფარი; [sh]λία (შილია) - ბაგე; [τσ]ιτρίσσια (ციტრუსია) -ციტრუსი; παρὰκρ[τσ] (პარაკირც) - მამინაცვალი; γριυ[τჯ]άνιμαν (ღრინჯანიმან) -ღრენა; μπριυ[ტჯ]/μπριυ[ტჯ]ილიც (პრინძ/პრინძოლის) - ბრინჯი; μυ[ტჯ]ίν (მინძინ) (პონტ.) - ხაჭო; [ch]αμέ[sh] (ჩამეჩ) - კამეჩი; τα παπὸς[ch]ιαμ (ტა პაპუჩიამ) - ფეხსაცმელები; [ტჯ]αγγομένον χράμα (ჯანგომენონ ხრომა) - ჟანგისფერი; [ტჯ]ι[ტჯ]μάτ (წიწმატ) - წიწმატი; [ტჯ]ίπαι - ჭიპი..

აღნიშნულ ფონემათა გამოყენების შემთხვევებისა და სიხშირის გათვალისწინებით, ამ მოვლენას ქართული ენის გავლენით ვხსნით.

მსგავსი ნასესხობანი კულტურათა დიალოგის შედეგია. ბერძნები ძირითადად ეკონტაქტებოდნენ ქართულ, რუსულ და თურქულ კულტურებს, შესაბამისად, სესხების პროცესი მხოლოდ ლექსიკით არ შემოფარგლულა. ენათა გავლენები ენის განვითარების ყველა დონეზე ვლინდება მეტნაკლებად. ჩანს, რომ ენათა ხშირი კონტაქტების შედეგად მსესხებელი ენის ფონემათა სტრუქტურა პონტოელ ბერძენთა მეტყველებისთვისაც ბუნებრივი ხდება და ნასესხები ლექსიკის მეშვეობით უკვე საკუთრივ პონტოურ ლექსიკაშიც მკვიდრდება.

2. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება მრავალფეროვანი და საკმაოდ საინტერესო ბგერათცვლილებებით ხასიათდება. გამოვლინდა სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებით საერთო აქვთ, პონტოურში კი გარკვეული ფონეტიკური სახეცვლილებით დამკვიდრებულა. დასტურდება ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, მეტათეზის და ბგერათშენაცვლების შემთხვევები, როგორცაა, მაგ.: εϷο: γεμάτος > γομάτος; γγ>γκ: στρωγγυλός > στρωγκιλόν; το μάγυλο > το μάγλο; τινάζω > ατινιάζω; κνίδη > κινδέα, μσυριά > μόρια და მისთ.

-აღსანიშნავია, რომ აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელთა მეტყველებას დაუცავს ძველ ბერძნულში ფართოდ გავრცელებული ელიზიის და კრასისის გამოყენების შემთხვევები, რაც ძველი ბერძნულის ისტორიზმია საკვლევ კილოში, თანამედროვე ბერძნული იშვიათად გამოიყენებს, როგორცაა მაგ.: ელიზია: απ'οπίς (აპოპის)(პონტ.) - [ახ. ბერძ.- απόπίσω] (აპოპისო); კრასისი: τ'εμόν ο πατέρας - მამაჩემი;

-ბერძნულისთვის დამახასიათებელი ორმაგი თანხმოვნები აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ერთი ბგერით გადმოიცემა. დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ ეს მოვლენა ქართველური ფონოტაქტიკის გავლენის შედეგია, ორი იდენტური თანხმოვანი ერთად ვერ ძლებს. შესაძლებლად მიგვაჩნია, ქართულ გარემოში მოხვედრილ დიალექტში ქართული ენის ფონოტაქტიკის გავლენით (ამბობენ ისე, როგორც ესმით) იწყება ორმაგი თანხმოვნის გამარტივების პროცესი. როგორცაა κρεββάτι > κρεβάτι და მისთ.

3. გრამატიკულ თავისებურებათაგან სქესი პონტოურში ძველ და ახალ ბერძნულ ენასთან მიმართებით ცვლილებებს განიცდის. დასტურდება როგორც მდებდრობითი სქესის, ასევე მამრობითი სქესის სახელები, თუმცა არსებითი სახელის მეტი ნაწილი საშუალო სქესისაა.

ხშირ შემთხვევაში ძველი ბერძნულის მამრობითი სქესის არსებითი სახელები პონტოურში საშუალო სქესისს გამოხატავს, ზოგ შემთხვევაში კი თანამედროვე ბერძნული ენის მდებდრობითი სქესის სახელები პონტოურში საშუალო სქესისაა, თუმცა აღვნიშნავთ, რომ პონტოურში მდებდრობითი სქესის სახელებს ნაკლებად

განუცდია სქესის ცვლილება, ძირითადად იმავე სქესს აღნიშნავენ, რასაც ძველი და თანამედროვე ბერძნულის არსებითები.

ხშირად პონტოურს, განსხვავებით ახალი ბერძნულისაგან, შენარჩუნებული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ფორმები, თუმცა რიგ შემთხვევაში თანამედროვე ბერძნულის მსგავსია: **ο ψάρ** (ძვ. ბერძ.), **το ψάρι** (ახ. ბერძ.), **ο ψάρ** (პონტ.) - თევზი; **ἡ χείρ** (ძვ. ბერძ.), **το χέρι** (ახ. ბერძ.), **το [sh]έρι** (პონტ.) - ხელი.

პონტოურში მამრობითი სქესის სახელი, შესაბამისი სუფიქსის გარეშე გვხვდება, მაგ: მამინაცვალი - **παράκυρτς** (პონტ.), **ο πατριός** (ახ. ბერძ.), **ὁ πατριός**, **ὁ πατρῶς** (ძვ. ბერძ.).

საშუალო სქესის სახელები პონტოურში გაცილებით პროდუქტიულია და განსაკუთრებულ თავისებურებებს ავლენს.

პონტოურში საშუალო სქესისად ითვლება ის სახელები, რომლებიც ძველ ან თანამედროვე ბერძნულ ენაში **ორსქესიანი**, მდედრობითი ან მამრობითი სქესის სახელებად იწოდებიან. მაგ: ბეჭი, მხარი - **το αμίν** (პონტ.), **η αμοπλάτη**, **ο άμοος** (ახ. ბერძ.), **ἡ άμοπλατη**, **ὁ άμοος** (ძვ. ბერძ.).

ზოგჯერ ნასესხები სიტყვები სქესს ვერ აწარმოებს და შესაბამისად, არ ხდება სქესის გრამატიკული მარკირება. შესაძლებლად ვთვლით, მსგავსი მოვლენა აიხსნას უცხო ენის გავლენით, სადაც არ არის გარჩევა გრამატიკული სქესის და სესხების გზით რა ფორმითაც ბერძნულში შევიდა, ისეთივე ფორმით დამკვიდრდა, ასეთია, მაგ: **საქმრო** (მამრ. სქესი) და **საცოლე** (მდედრ. სქესი) - **vous[sh]αίος** (ნუშალო).

ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, მსგავსი მოვლენა მივიჩნით როგორც „შესაძლო ფონოლოგიური უმოქმედობის შედეგი“.

ჩანს, აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელთა მეტყველებაში სქესი როგორც გრამატიკული კატეგორია აღრეულია, რაც, ვფიქრობთ, პონტოურში ნასესხები ლექსიკის რაოდენობის ზრდით უნდა იყოს განპირობებული. მსესხებელი ენების (თურქული, ქართული) ბუნებისთვის სქესის კატეგორია არ არის დამახასიათებელი, შესაბამისად, არ ხდება ნასესხები ლექსიკის სქესის მიხედვით მარკირება. შესაძლოა, ნასესხები ლექსიკის გავლენით იყოს შესუსტებული სქესის კატეგორია საკუთრივ პონტოურშიც.

-პონტოური დიალექტი ძველ და თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით, მრავლობითის წარმოების განსხვავებულ მოდელს გვიჩვენებს. მრავლობითობას აწარმოებს სუფიქსები: -ς, -α, αρα, αδεξ, ιδεξ, ανδ – οι, -ομε, -ნულოვანი... μάνα (მხ.რ.) –μανα-δεξ (მრ.რ.) - დედა, πλεκος (მხ.რ.) – πλεκ-ομε (მრ.რ.), ποδι/ποδαρι (მხ.რ.) – ποδ-αρα (მრ.რ.) - ფეხი, δαχτυλο (მხ.რ.) – δαχτυλα-ς (მრ.რ.) - თითი..

-ზედსართავი სახელების წარმოებასთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ პონტოურს თანამედროვე ბერძნული ენისგან განსხვავებით, შემონახული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი წარმოება, კერძოდ, საშუალო სქესის საწარმოებლად -v სუფიქსი, როგორცაა: μικρόν (პონტ.), μικρός/η/ο (ახ. ბერძ.), μικρός/α/v (ძვ. ბერძ.) და მისთ.

ზედსართავი სახელების ხარისხის საწარმოებლად პონტოური გამოიყენებს დამხმარე სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულია ძველი და თანამედროვე ბერძნულისგან, რაც პონტოურში ზედსართავი სახელების წარმოების განსხვავებული მოდელის არსებობაზე მეტყველებს, რომელიც არც ძველი და არც თანამედროვე ბერძნულისთვის არ არის დამახასიათებელი. მაგ.: Μικρόν – κι άλλο μικρός- πόλλα μικρός/[ch]π μικρόν - პატარა, უფრო პატარა, ძალიან პატარა; κάλον-ολιγόν κάλο - [ch]π κάλον -კარგი -უფრო კარგი -ძალიან კარგი.

ფერის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს, რომლებიც არსებითი სახელებისგან არის მიღებული, პონტოური, მსგავსად ქართულისა, აღწერთად აწარმოებს. მაგ: ვარდისფერი - τριαντάφυλιχρώμα (პონტ.) - τριανταφυλλής, ροζ (ახ. ბერძ.)..

-პონტოურისთვის დამახასიათებელია მიმდებარე ფორმებიც, განსაკუთრებით გავრცელებულია ვნებითი გვარის მიმდებარე და, თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, ხშირად ზედსართავი სახელის ფარდია: M-εν-οც/η/α, μ-εν-τდა, μενον/σεν: განქორწინებული - χარიσμ-έν-οც, χარიμ-έν-τζαγáριν, ανδρισμ-έν-τζακεν [ახ. ბერძ. - χარიσμένοც/χარიσμένη, შუასაუკ. ბერძნულის ფორმიდან χარიσμός - გაყრა, დაშორება].

-რიცხვითი სახელებიც მეტ-ნაკლები თავისებურებით ხასიათდება პონტოურში. გავრცელებულია -αφ, -οφ სუფიქსებით ნაწარმოები რიცხვითი სახელები, რომლებსაც ქართულში შეესაბამება იან სუფიქსიანი წარმოება (ენα>εναφ -ერთინი, διο>διαφ/διοφ (διο>დიარ)-ორიანი).

-ისევე როგორც ძველი და თანამედროვე ბერძნულისთვის, პონტოურისთვისაც ნაცვალსახელთა სუპლექტური წარმოებაა დამახასიათებელი. გავრცელებულია ჩვენებითი, კითხვითი, უარყოფითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. ნაცვალსახელების წარმოების თვალსაზრისით, პონტოური ხშირად ინარჩუნებს ძველი ბერძნულის მოდელს.

-აღსანიშნავია, რომ ძველ ბერძნულში საკუთრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარდა, კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიც გამოიყენებოდა, ანუ პარალელურად გვხვდებოდა ფორმები: ο εμὸς φίλος/ο φίλος μου, პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შემორჩა ახალ ბერძნულს. პონტოურს კი ორივე ფორმა შემოუნახავს და პარალელურად გამოიყენებს. მაგ: τῆμον ἢ μᾶλλον (ტემონ ἢ მამა)/ἢ μᾶλλον μου (ἢ მამა მუ) - ჩემი დედა/დედაჩემი.

-პონტოური მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოიყენებს ჩვენებით ნაცვალსახელს (εκεῖνος -εκειν) ისევე, როგორც ატიკური დიალექტი: მაგ.:εκεῖνος ἐπὶ τοῦ οἴκου; ἐκεῖν ἐστὶν - ისინი იყვნენ; ἐκεῖν ἐστὶν πεντένιματα - ისინი ხუთნი იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცვალსახელი თანამედროვე ბერძნულში არქაულთან მიმართებით ტრანსფორმირებულია და შეიძლება ითქვას ამ მხრივ პონტოური ნაცვალსახელები უფრო ახლოს დგას ახალ ბერძნულთან, მაინც ბევრი ელემენტი აქვს შემონახული ძველი ბერძნულის. განსაკუთრებით არქაული ელემენტების შემონახულობით გამოირჩევა კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

ძველი ბერძნულის მსგავსად, პონტოური დიალექტი კუთვნილებით ნაცვალსახელების პრეპოზიციულ წყობას ავლენს, რაც თანამედროვე ბერძნულისგან, რომლისთვისაც პირიქით, პოსტპოზიციური წყობაა დამახასიათებელი, განასხვავებს პონტოურს. Το ἐμέτερον φίλον (ძვ. ბერძ.), τῆμέτερον το χοριόν (ახ. ბერძ.). ახალი ბერძნულისთვის პოსტპოზიციური წყობაა დამახასიათებელი, ვინაიდან ახალმა ბერძნულმა პირის ნაცვალსახელთა სუსტი ფორმები შემოინახა. ის ყოველთვის საზღვრული სიტყვის შემდეგ დგას და მასთან შერწყმულად გამოითქმის (ἡ κακότητά μου εἶναι μεγάλη).

კითხვით და უარყოფით კონსტრუქციებშიც პონტოური ბერძნული წყობის თვალსაზრისით იმეორებს ძველი ბერძნული ენისთვის დამახასიათებელ წყობას, განსხვავებით ახალი ბერძნულისგან.

-თანამედროვე და ძველი ბერძნული ენებისგან განსხვავებით, რომელთათვისაც ზმნის ერთპირიანობაა დამახასიათებელი, პონტოური განსაკუთრებულ თავისებურებას ავლენს, რაც ზმნის მრავალპირიანობაში გამოიხატება და კავკასიური ენების გავლენით აიხსნება. **ψῆ[sh]κετε** φάην (ფსეშკეტე) - მზადდება. **ψένω** φάη (ფსენო) - ვამზადებ. **Ψένω** φάη **γεία το παιδίον** - ვუმზადებ (შვილს, შვილისთვის), **ψέν[ძ]μεν** φάη (ფსენძმენ) - მიმზადებ.

-ზმნიზედების წარმოების თვალსაზრისით პონტოური საკმაოდ განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებს ძველსა და ახლა ბერძნულთან მიმართებით, როგორც წარმოების თვალსაზრისით, ასევე ფონეტიკური გაფორმების მიხედვითაც. მაგ: აქ - **αδακά** (პონტ.), **εδά** (ახ. ბერძ.) < **ἄδε** (ძვ. ბერძ.), **μιάν** - ერთჯერ, **δίον** - ორჯერ, **πολλάφορα** - ბევრჯერ...

-პონტოურში წინდებულები ისეთივე ფუნქციის მატარებელია, როგორისაც თანდებულები ქართულ ენაში, თუმცა გამოვლინდა, რომ პონტოურში წინდებულებთან ერთად თანდებულებიც გვხვდება, რაც პონტოურის თავისებურებაა და ქართული ენის გავლენით აიხსნება, მაგ.: **Αποφκακίαν** - დაბლიდან (პონტ.), **απόκατα** (ახ. ბერძ.), **κάτωθεν** (ძვ. ბერძ.), **γεία το σπίτι** - სახლისთვის, **σι σπιλ απάν** - მაგიდაზე..

3. სინტაქსური თვალსაზრისით პონტოურში განსაკუთრებული თავისებურებები არ ვლინდება. დადასტურდა კნინობით-ალერსობითი სიტყვებიც, რომელთა საწარმოებელი სუფიქსები ისეთივეა, როგორიც სალიტერატურო ენაში. **Προβατάκι, κατοπούλ, παππούλικά, παπον** და მისთ.

-აჭარის მკვიდრ ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში გამოყენებულ ნასესხებ სახელებს ხშირად მოუდით ბერძნული ენის ბრუნვის თუ რიცხვის ნიშნები: **ლიტრა-ς, ცემენტი-ია, των ისტორია-v...**

4. ლექსიკის შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ აჭრის პონტოელთა მეტყველებას უფრო მეტად ეტყობა ენათა კონტაქტების კვალი, თავს იჩენს

კულტურათა შერევის შედეგად გაჩენილი ყოფითი ელემენტები თუ ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები.

-პონტოელ ბერძენთა **ქართულ მეტყველებაზე** დაკვირვება ავლენს აჭარულის დიდ გავლენას. ვლინდება არამარტო აჭარული კილოსთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, არამედ მათ მეტყველებაში დაჩნდება კონკრეტული სოციუმის კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ცნობიერების გარკვეული ელემენტებიც, რაც არცაა გასაკვირი, აქ დაიბადნენ, აქ გაიზარდნენ, ბავშვობიდანვე ეზიარნენ ქართულ კულტურას და შეისისხლხორცეს ადგილობრივთა ტრადიციები, ყოფა და ცხოვრების წესი. მათი ქართული მეტყველება ამის ნათელი დასტურია. მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ბერძნული ლექსიკა პონტოელთა ქართულ მეტყველებაშიც დაილექა, რაც მათი მენტალობის უტყუარი დასტურია, როგორცაა, **κλέφτε** (ქურდი, მპარავი), **კუმბარე** (ნათლია) და მისთ.

პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებაში მრავლად გვხვდება აჭარული კილოსთვის ბუნებრივი თურქიზმებიც, როგორცაა **მოსაფირი** (სტუმარი), **ემო** (მამით ბიძა), ვფიქრობთ, უმეტესწილად ქართულის გზით შესული და დამკვიდრებულია მათ მეტყველებაში, თუ არ ჩავთვლით იმ თურქიზმებს, რომლებიც ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში ჯერ კიდევ აჭარის შავიზღვისპირეთში მათ განსახლებამდე დამკვიდრებულა და პონტოური დიალექტის ლექსიკური ფონდის კუთვნილებად ქცეულა.

-პონტოელ ბერძენთა **მულტილინგვური მეტყველების** პროცესში ხშირია კოდების გადართვის შემთხვევები ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე. ხშირად კოდების გადართვის მიზეზი, ვფიქრობთ, სათქმელის იდენტიფიცირებაა, სხვა შემთხვევაში ბილინგვიზმი. მგ: **Εμείς ხულო εβδιμάρδαν, εμείς στι ბემუმი, ενέ** სოფელი, **ενέ** ოქტომბერი, დიოკნისი.. რა ვიცი, თელი ჩემი ცხოვრება მაქ გავატარე..

მულტილინგვური მეტყველებისას გამოვლენილი ლექსიკა გაიმიჯნება იმ ლექსიკისგან, რომელიც პონტოელთა პონტოურ მეტყველებაში შესული და დამკვიდრებული ჩანს, რაც არ შეიძლება ჩავთვალოთ კოდების გადართვის მაჩვენებლად. პირველ შემთხვევაში ქართულ ლექსიკას სათქმელის იდენტიფიცირებისთვის იყენებენ, მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინონ მონათხრობს

უცხოს თვალში, ხოლო მეორე შემთხვევაში მივიწყებულია ქართული ლექსემების ბერძნული შესატყვისები, როგორცაა, ნიახური, ქინძი და მისთ.

პონტოელთა მეტყველებაში ვლინდება **ადსტრატის** საინტერესო შემთხვევები, რაც ორი დამოუკიდებელი ენის ურთიერთობის შედეგია, როგორცაა, **გოგლი მოგლი, ჭადის αλέσια, „ა ყისმეთ“..**

5. პონტოელ ბერძენთა **პონტოური მეტყველება** ნასესხები ლექსიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, გვხვდება უმეტესად თურქული, რუსული და ქართული ნასესხობები, რაც სესხების ფორმებითა და ინტეგრირების გზებით საინტერესო სურათს ავლენს, როგორცაა მაგ: **πουχια** (პონტ.), **μυστάκι** (ახ. ბერძ.), შდრ. **თურქ. Biyik** -ულვაში; ქუდი - **[sh]άπκων** (პონტ.), **καπέλο /πιλος** (ახ. ბერ.), შდრ. **რუს. Шапка** - ცილინდრი; მუშტი - **μύστα** (პონტ.) - **γροθιά** (ღროთია) - მუჭი, მუშტი, მჯიღი (ახ. ბერძ.). შდრ. **ქართ. მუშტი**;

6. პონტოური ლექსიკის თანამედროვე ბერძნულთან მიმართებისას გამოვლინდა გარკვეული მსგავსება-განსხვავებანი. ბევრი ლექსიკური ერთეული პონტოურს ისევე დაუცავს, როგორც ძველი და თანამედროვე ბერძნულისთვის არის დამახასიათებელი. ლექსიკის ნაწილში შეინიშნება ფონოლოგიური, ფონეტიკური თუ სემანტიკური ცვლილებები.

7. გამოვლინდა ბევრი არქაული ენობრივი პლასტი როგორც ლექსიკის, ასევე ფონეტიკის, გრამატიკისა და სინტაქსის დონეზე. ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც თანამედროვე ბერძნულში აღარ გვხვდება, ან სახეცვლილია, პონტოურს შემოუნახავს, დაუცავს მცირე ფონეტიკური ცვლილებით, ზოგ შემთხვევაში კი ზუსტად ისეთივე ფორმით, როგორც არქაული ბერძნულისთვის იყო დამახასიათებელი, რაც, ბუნებრივია, პონტოურის კონსერვატულმა ბუნებამ და აქაურთა კომპაქტურად ცხოვრების წესმა განაპირობა, როგორცაა **οβιά** (პონტ.), **τὸ ψῖσ** (ძვ. ბერძ.), **το αυγόν** (ახ. ბერძ.) - კვერცხი და მისთ.

გამოვლენილ ლექსემათაგან, ბევრი პონტოურს უშუალოდ არქაულისგან აქვს მიღებული და შემონახული, თუმცა ზოგი ლექსემა ძველი და თანამედროვე ბერძნული ენისთვის საერთოა, მათ ენის განვითარების არცერთ ეტაპზე ცვლილება არ განუცდიათ და პონტოურშიც ასეთივე ფორმით შემონახულა.

8. შევეცადეთ, აჭარის შავიზღვისპირეთის მეტყველების შედარებას საკუთრივ პონტოურ დიალექტთან იმდენად, რამდენადაც „კუთხური მეტყველების პროფილი, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოულობს იმ მრავალფეროვან და თავისებურ სიტყვიერ ფონდში, რის მიხედვითაც ერთი კილო განსხვავდება როგორც ლიტერატურული ენისგან, ისე სხვა დიალექტებისგან“.

სახეცვლილებანი მეტ-ნაკლებად შეინიშნება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე. მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელად ვთვლით, დავუშვათ ზოგიერთი თავისებურება უკვე ქცეულა აქაურ პონტოელთა მეტყველების ენობრივ კლიშედ, რაც განასხვავებს საკუთრივ პონტოური დიალექტისგან და ამასთან ერთად თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებული პონტოური დიალექტის ენობრივი მდგომარეობის შესახებ მეცნიერთა დაკვირვებებს, ნათელი გახდება ცვლილებები, რაც გვაფიქრებინებს, აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა მეტყველება ხომ არ უნდა ჩაითვალოს პონტოური დიალექტის ცალკე კილოკავად.

ჩვენი მასალის ლინგვისტური ანალიზით ნათელი ხდება, რომ ლექსიკურადაც და გრამატიკული წყობითაც პონტოური უფრო ახლოს დგას ძველ ბერძნულთან, თუმცა აჭარის პონტოელთა დღევანდელ მეტყველებაში შეინიშნება თანამედროვე ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების მასობრივი დამკვიდრების ტენდენციაც, რაც ელინურად მეტყველ ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობებით აიხსნება. მათთან ხშირი კონტაქტების შედეგად, პონტოურში ფეხს იკიდებს ახალი ბერძნულის ლექსიკა, რაც თავისთავად პონტოური დიალექტის ტრანსფორმირების კიდევ ერთ საფუძველს ქმნის.

9. აღსანიშნავია, რომ პონტოური არამარტო განიცდის სხვა ენათა გავლენას, არამედ თავადაც ახდენს გავლენას სხვა ენებზე, ამ შემთხვევაში ქართულსა და ლაზურზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ლაზებისა და ბერძნების მჭიდრო ენობრივი კავშირი. მათი ახლო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ცალკეული ენობრივი ელემენტები, რომელნიც, ერთი მხრივ, თურქეთის ლაზური მოსახლეობის ენაში

პონტოური დიალექტის გავლენის კვალს ასახავენ და, მეორეს მხრივ, პონტოურში - ლაზურისას.

ბევრია ბერძნიზმები დამკვიდრებული ლაზურში და აჭარულში, როგორცაა, მაგ: ქესტანე (ლაზ.) წაბლი – το κάστανο, η καστανιά/καστανέα (კასტანო) (ბერძ.) – წაბლი (შდრ. აჭარ. ქესტანა – ხაპი, წაბლა ხაპი); ხორონი (ლაზ.) – ცეკვა – ο χορός (ხოროს) (ბერძ.) – ცეკვა, ქორო, ფერხული (შდრ. აჭარ. ხორომი//ხორუმი//ხორონი – ჯგუფური საფერხულო ხალხური (აჭარულ-გურული) ცეკვა.

10. პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში გარდა გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებებისა, ვლინდება კულტურათა ნასესხობების არაერთი საინტერესო შემთხვევა, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით ბევრ საყურადღებო ფაქტს წარმოგვიდგენს. ვლინდება პონტოელთა ეთნო-მენტალური მახასიათებლები.

საველე მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბერძენი მოსახლეობა საკუთარი ტრადიციების ფონზე ქართული ყოფისთვის ნიშანდობლივ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციულ კულტურას ითვისებდა და საკუთარ კულტურასთან სინთეზის საფუძველზე ამდიდრებდა. ხშირია ტრადიციათა თანხვედრის მაგალითები, როგორცაა, „ბავშვის ყიდვის“, „უშუმურის შელოცვის“ და სხვა.

ვფიქრობთ, რთულია იმის მტკიცება, რომ პონტოელმა ბერძენებმა ეს ტრადიციები უშუალოდ საქართველოში მიგრირების შემდეგ შეითვისეს, თუ ჩამოიტანეს პირველი საცხოვრისებიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციულ კულტურაში ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ ადრე უნდა დაწყებულიყო. მათ ჯერ კიდევ ანატოლიაში ყოფნისას უნდა ჰქონოდათ ბევრი რამ მიღებული და გათავისებული. მსგავსი ტრადიციების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის ხელი იმასაც უნდა შეეწყო, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, მსგავსი ტრადიციები დახვდათ, რადგან ქართულ-კავკასიური და ანატოლიური მოსახლეობის კულტურის ისტორია მსგავსი იყო.

11. ბუნებრივია, უცხო ენათა ეთნო-მენტალური გავლენები დიდია, თუმცა გავლენათა ფონზე შეინიშნება კულტურული დანაშრევები, რაც მათი მენტალობის დასტურია.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უცხო ენათა გავლენებისა, სხვა კულტურათა შერწყმისა ტრადიციულ კულტურასთან, პონტოელი ბერძნები არ კარგავენ თვითმყოფადობას და ეროვნულ მენტალობას, ცდილობენ აქამდე მოტანილის შენარჩუნებას და რუდუნებით ასრულებენ წინაპართა წესებს, რაც მათი იდენტობის დასტურია. შემონახული აქვთ ტრადიციული სამზარეულოც, როგორცაა „ხაფსოპულია“, „პრასოტიდანო“, „ვრასტი“, „დალატოკოლონ“, „ღულია“ და მისთ. იხსენებენ განსაკუთრებული არომატის მსხალს, რომელსაც ბერძნული სახელი ქვია „ქიტრონაფე“, ამზადებენ ბერძნულ „კოკიას“ და ასრულებენ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს, რაც „კანონას“ სახელითაა ცნობილი.

ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობის მთავარი დასტური კი მაინც **ენაა**. აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძნებმა კარგად იციან პონტოური და დღემდე ერთმანეთში ურთიერთობის ენად პონტოური აქვთ.

ბერძენთა იდენტობის, თვითმყოფადობის საკითხებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია, რომ ეს ბერძენთა მასობრივი ცნობიერებით ასახული კულტურაა, რომელიც ბერძენი ხალხის მეტყველების, ეროვნული ცნობიერების და კომუნიკაციის თავისებურებებს ავლენს. ეს იმ კულტურის ნაწილია, რომელიც მათ მესხიერებას შემორჩა და დღემდე მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში, როგორც ცნობილია, განარჩევენ კულტურა დონორს და კულტურა რეციპიენტს. პირველი უფრო მეტს გასცემს, ვიდრე იღებს, მეორე -პირიქით, ითვისებს. თუმცა, როგორც აღინიშნავენ, დროთა განმავლობაში მათი როლები შეიძლება შეიცვალოს.

თუ გავითვალისწინებთ აჭარის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ბერძენთა კულტურულ გავლენებს, გამოვლენილ სოციოკულტურულ ასპექტებს, ვფიქრობთ, დონორის ფუნქციას მაინც ბერძნულ-ქართული კულტურა ითავსებს და ეს ბუნებრივიცაა.

თუმცა ისიც ცნობილია, რომ ყოველ კულტურას აქვს დაცვითი მექანიზმის მთელი სისტემა, რომელიც იცავს მას სხვა კულტურათა ინტენსიური ზემოქმედებისაგან. ეს მექანიზმი პონტოელ ბერძენთა შემთხვევაშიც მოქმედებს,

რაზეც მოპოვებული მასალაც მეტყველებს. მიუხედავად უცხო ტომებთან ხშირი კონტაქტისა, ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად თვითმყოფადი ბერძნული კულტურა.

-გამოვლენილი ენობრივი ფაქტები, ვფიქრობთ, აქტუალურია იმ თვალსწრისითაც, რომ დიალექტი ზეპირი გზით გადაეცემა თაობიდან თაბას და იშლება მეხსიერებიდან და გადადის კულტურულ მეხსიარებაში. თაობა, რომელიც ჯერ კიდევ საუბრობს პონტოურ დიალექტზე მცირერიცხოვანია. ენა ცვლილებებს განიცდის და, შესაძლებელია, პონტოურის სრული ასიმილირება მოხდეს. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ჯერ ჯიდევ გადარჩენილის აღწერა და ფიქსაცია.

თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებული პონტოური დიალექტისთვის ბუნებრივია თურქულის დიდი გავლენა. სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივი მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ ენა გაქრობის საფრთხის წინაშეა, ზოგიერთ სოფელში გადაშენების ზღვარზეა, იმდენად ბევრია ნასესხები ლექსიკა და გრამატიკული ცვალებადობა. დიალექტის ზეპირი გზით გადაცემა საფრთხეს უქმნის პირვანდელი სახის შენარჩუნებას.

თურქულის გავლენების ზრდას ერთგვარად ხელი შეუწყო პოლიტიკურმა ფაქტორმაც. ცნობილია, რომ გამუსლიმანებული პონტოელების ზოგიერთი ოჯახი ცდილობდა არ გამოეყენებინათ ოჯახში პონტოური, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ამ გზით მათი შვილები თავისუფლად შეძლებდნენ საზოგადოებაში ინტეგრირებას (**იხ. Meckidze, 1987:117**).

აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოური გარდა თურქულისა, რუსულის, ქართულის და თანამედროვე ბერძნულის გავლენას განიცდის, შესაბამისად, საინტერესო და განსხვავებულ თავისებურებებს ავლენს საკუთრივ პონტოურ დიალექტთან მიართებით. სახეცვლილებანი შეინიშნება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნენთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოვლენა, შესაძლოა, ამ ეტაპზე მხოლოდ ინდიკატორის როლს ასრულებდეს, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ინდიკატორი ერთგვარ მარკერად შეიძლება იქცეს, მარკერები კი „საბოლოოდ ქმნიან თავისებურებას, რომლებიც, შესაძლოა, იმდენად იყოს განსხვავებული სხვა ჯგუფებისგან, რომ სტერეოტიპადაც გადაიქცეს“ (**ქართული, 2008**).

დაბოლოს, ვფიქრობთ, ძველი ცივილიზაციის მქონე ერის იმ ნაწილის მეტყველების ფიქსაციას და კვლევას, რომელიც ბედის უკუღმართობამ უცხო სამყაროში გადაისროლა და არაერთი საუკუნე უცხოთა გვერდით არგუნა ცხოვრება, მნიშვნელოვანი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს როგორც სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ისე ბერძნული ენის ისტორიის შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. აბულაძე, 2016:** აბულაძე თ., „ქართული ლექსიკა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში და ბერძენთა იდენტობის ზოგიერთი საკითხი“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი;
- 2. აბულაძე, 2016:** აბულაძე თ., „აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“, „ჰუმანიტარული კვლევები. ჟ. სემიოტიკა“, № XVI, ნაწილი მეორე, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი;
- 3. აბულაძე, 2017:** აბულაძე თ., „აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების მიმართებისათვის სალიტერატურო ბერძნულთან“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები II, გამომც. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა“, ბათუმი;
- 4. აბულაძე, 2017:** აბულაძე თ., „ბერძნული ლექსიკა ლაზურში“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი;
- 5. ბერიკაშვილი, 2014:** ბერიკაშვილი სვეტლანა, „ახალი ბერძნულის

პონტოური დიალექტის ერთი თავისებურებისათვის (არქაული ელემენტები ნაცვალსახელთა სისტემაში)“, „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი;

6. ბერძენიშვილი, 1990: ბერძენიშვილი ლ., გარაყანიძე ი., გორდეზიანი რ., მიქაბერიძე ა., ტონია ნ., ფხაკაძე მ., შახპაზიძე მ., ჩეპიძე ა., ჯანაშია ნ., „ბერძნები საქართველოში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი;
7. გიორგაძე..., 2013: გიორგაძე მ., მგელაძე ნ., „საქართველოს შავიზღვისპირეთის ბათუმის პონტოელი ბერძნების ყოფა (საქორწინო ტრადიციები), საერთაშორისო კონფერენცია „ბათუმი -წარსული და თანამედროვეობა“, ტ. IV, ბათუმი;
8. გიორგაძე..., 2017: გიორგაძე მარინე, მგელაძე ნუგზარ, ტუნაძე თემურ, ძნელაძე ნინო, ლორია მანუჩარ, აბულაძე თეონა, ჩხარტიშვილი სოფიკო, „პონტოელი ბერძნები აჭარაში -წარსული და თანამედროვეობა“, გამომც. „ემ ჯი ემ“, ბათუმი;
9. გორდეზიანი, 2007: გორდეზიანი რისმაგ, „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები“, ტ. II, გამომც. „ლოგოსი“, თბილისი;
10. გორდეზიანი, 2007: გორდეზიანი რისმაგ, „მედიტერანულ - ქართველური მიმართებები“, ტ. III, გამომც. „ლოგოსი“, თბილისი;
11. გორდეზიანი, 2001: გორდეზიანი რისმაგ, დარჩია ირინე, შამანიძე სოფიო, „ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკა“, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი;

12. დემუროვა, 1983: დემუროვა ლ., „ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში (ს. ახალშენის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, ტ. X, თბილისი;
13. დემუროვა, 1986: დემუროვა ლ., „აჭარაში მცხოვრები ბერძენების საოჯახო ყოფის შესწავლისათვის (ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალები)“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, ტ. XI, თბილისი;
14. თანდილავა, 2013: თანდილავა ალი, „ლაზური ლექსიკონი“, გამომც. „საარი“, თბილისი;
15. კახიძე, 2004: კახიძე ნ., „ხელოსნობა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში“, ბათუმი;
16. კლარჯეთი, 2016: „კლარჯეთი“, ავტორები: მამია ფაღავა, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, მამულაძე შოთა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, გამომცემლობა „სამშობლო“, ბათუმი;
17. ლადარია, 2002: ლადარია ნოდარ, „სოციოლინგვისტიკა“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი;
18. მგელაძე, 2017: მგელაძე ნ., „ანატოლიელ ბერძენთა ეთნონიმიკის, კულტურული იდენტობისა და ქართველურ-ბერძნული სოციოლინგვისტური ურთიერთგავლენების საკითხისათვის“, „პონტოელი ბერძენები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“, თბილისი;
19. მგელაძე..., 2017: მგელაძე ნ., ტუნაძე თ., „ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტამარი“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VII, თბილისი;

20. ნარაკიძე, 2016: ნარაკიძე ციალა „ბერძნული ენის გავლენა ზანური ენის ლაზურ დიალექტზე“, ჟ. „ჰუმანიტარული კვლევები, სემიოტიკა“, N XVI, ნაწილი მეორე, თბილისი;
21. ნარაკიძე, 1986: ნარაკიძე ციალა, „მეთევზეობა - ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში“, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. V, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი;
22. ნიჟარაძე, 1971: ნიჟარაძე შოთა, „ქართული ენის აჭარული დიალექტი“, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, თბილისი;
23. ონიანი, 1966: ონიანი ალ., „ქართული იდიომები“, გამომც. „ნაკადული“, თბილისი;
24. სიხარულიძე, 1959: სიხარულიძე ი., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“, ტ. II, ბათუმი;
25. ტრიანდაფილიდისი, 1999: ტრიანდაფილიდისი მანოლის, „ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე კურსი“, თესალონიკი;
26. ურუშაძე, 1987: ურუშაძე აკაკი, „ძველი ბერძნული ენა“, გამომც. „განათლება“, თბილისი;
27. ურუშაძე, 1969: ურუშაძე აკაკი, „ძველი ბერძნული ენა“, გამომც. „განათლება“, თბილისი;
28. ფაღავა, 2002: ფაღავა მამია, „უმლაუტი სამხრულ კილოებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, კრებული II, ბათუმი;
29. ფაშაევა, 2008: ფაშაევა ლ. „ბერძნები“, ისტორიული ნარკვევი, კრ. „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი;

30. ფუტკარაძე, 1993: ფუტკარაძე შორენა, „ჩვენებურების ქართული“, წიგნი პირველი, „აჭარის ჟურნალ - გაზეთების გამომცემლობა“, ბათუმი;
31. ქართული, 2008: ქართული ენა, „ენციკლოპედია“, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი;
32. ყაუხჩიშვილი, 1942: ყაუხჩიშვილი სიმონ, „ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში“, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედიანსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი;
33. ყაუხჩიშვილი, 1946: ყაუხჩიშვილი სიმონ, „ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში“, ქუთაისის ა.წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედიანსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი;
34. შავშეთი, 2011 „შავშეთი“, ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, თბილისი;
35. ჩოხარაძე, 2015: ჩოხარაძე მალხაზ, თანდილავა ლილე, ფაღავა მამია, მემიშიში ომარ, ბარამიძე მათა, ვარშალომიძე ჯემალ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, შიოშვილი თინა, თავდგირიძე მანანა, ნარაკიძე ციალა, მიქელაძე ჯემალ, „სარფი“ გამომც. „აჭარა“, ბათუმი;
36. მიძიგური, 1954: მიძიგური შოთა, „მიეზანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, თბილისი;
37. ძნელაძე, 2017: ძნელაძე ნინო, „ბერძნული სკოლები აჭარაში და ბერძნული ენის სწავლების თავისებურებები“, სამხრეთ - დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები, VII, თბილისი;
38. წიკლაური, 2014: წიკლაური მერი, ჯაფარიძე ასმათ, „თურქული ენის
სახელმძღვანელო“, გამომც. „ჰოროსი XXI“, თბილისი;
39. ხახუტაიშვილი, 2016: ხახუტაიშვილი მზია, „ბერძნობები ეობულეთურ
მეტყველებაში“, ჰუმანიტარული კვლევები, 5.
„სემიოტიკა“, № XVI, ნაწილი მეორე, თბილისი;
40. ჯორბენაძე, 1989: ჯორბენაძე ბესარიონ, „ქართული დიალექტოლოგია“,
თბილისი;
41. ჯავახიშვილი, 1984: ჯავახიშვილი ივანე, „საქართველოს მოსახლეობა
XVIII-XIX საუკუნეებში“, თბილისი;
42. Αγγελιδης, 1999: Αγγελιδης Σωκράτης, „Σύντομη ιστορία των ελλήνων της
Γεωργίας“, εκδ. „Art of Text“, Θεσσαλονικη;
43. Αγγελιδης, 1999: Αγγελιδης Σωκράτης, „η ιστορία των Ελληνικων
εκκλησιών και των σχολείων της νότιας και δυτικής
Γεωργίας και της Ατζαρίας,, εκδ. „ωματείου παναγία
σουμελά“, Θεσσαλονίκη;
44. Ελληνικος, 1947: „Ελληνικος Ποντος Μορφες και Εικονες Ζωης“, εκζοτικον
τμημα ινστιτουτου λαμπαδι, Συλλογος „Αργοναυται-
κομνηνοι“, Αθηναι;
45. Κωνσταντινίδης, 2013: Κωνσταντινίδης Θεόδωρος, „Ποντιακά παροιμίας,
ρήσεις και ανέκδοτα“, Θεσσαλονίκη;
46. Παναγιωτιζου, 2013: Θαιλια Παναγιωτιζου - Κατω απο τη Σκια το φως
Χωρεγει, Βολος, Μαιος;
47. Ποντος, 2012: Ποντος Μαρτυριο και Δοξα Ελλαδα και Ορθοδοξια,
Ελευθερηωρα, Αθηναι;
48. Τριανδαφυλλιδη, 2005: Τριανδαφυλλιδη Μανοδη, „Νεοελληνικη Γραμματικη“,
Οργανισμος εκδοσσως Διδακτικων Βιβδιων, Αθηναι;

49. **Τσοπουρίδης, 1989:** Τσοπουρίδης Θωμάς, „Ποντοακά ήθη και έθιμα: πίνακες εγκατάστασης προσφύγων στην Ελλάδα (Ποντίων, Καυκασίων, Θπακών, Μικρασιατών και Ανατολικής Ρωμυλίας», Θεσσαλονίκη;
50. **Χαιρόπουλος, 1998:** Χαιρόπουλος Πάυλος „Ανέκδοτα και μύθοι στην ποντιακή διάλεκτο”, Θεσσαλονίκη;
51. **Аκριτας, 1962:** Ακριτας π., „Греки,Кавказа Народи кавказа, М.;
52. **Berikashvili, 2016:** Berikashvili Svetlana, „Morphological integration of Russian and Turkish nouns in Pontic Greek”, Language Typology and Universals, Stuf-Sprachtypologie and Universalienforschung, 2016. Volume 69. ISSUE 2;
53. **Berikashvili, 2017:** berikashvili s. Morphological aspects of Pontic Greek spoken in Georgia, (Hardbound). Languages of the World 54. 168pp
54. **MACKRIDGE, 1987:** Mackhidze Peter, „Greek-Speaking Moslems of North-East Turkey:Prolegomena to a Study of the Ophitic Sub -Dialect of Pontic, BMCS II (1987) 115-137;
55. **Schwyzler, 1939:** Schwyzler E., Griechische Grammtik, Bd. I, München;

ლექსიკონები

56. **ბერძნულ-ქართული 2005:** ბერძნულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი“, „Ελληνο-Γεωργιανο λεξικο“, რედაქტორი ლელა ხოჭოლავა, თბილისი;
57. **ქეგლ, 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, თბილისი;
58. **ცოცანიძე..., 2014:** ცოცანიძე გიორგი, ლოლაძე ნანა, დათუკიშვილი ქეთევან, „ქართული ლექსიკონი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი;

59. Τεγοπουλος, 1998: Τεγοπουλος Φυτρακης, „Ελληνικο Λεξικο, ορθογραφικο ερμηνευτικο ετυμολογικο συνωνυμων αντιθετων κυριων ονοματων“, „ελευθεροτυπια“, τεσσαλονικι, 1998;
60. Κηπυκοπουλος, 2014: Κηπυκοπουλος Μιλτιαδης Ι, „Λεξικο της ποντιακης διαλεκτου“, εκδ. „Graphicart“, Αθηνα;
61. Τσοπουριδη, 1978: τσοπουριδη Θωμα, „Ελληνοποντιακο Λεξικο“, Θεσσαλονικη;
62. РУССКО-НОВОГРЕЧЕСКИЙ, 1966: „РУССКО - НОВОГРЕЧЕСКИЙ СЛОВАР“, „Издательства советская енсиклпедия“, МОСКВА;
63. ДРЕВНЕГРЕЧЕСКО-РУССКИЙ, 1958: „ДРЕВНЕГРЕЧЕСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ“, ТОМ Ι, составил и. х. Дворецкии, Москва;
64. ДРЕВНЕГРЕЧЕСКО-РУССКИЙ, 1958: „ДРЕВНЕГРЕЧЕСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ“, ТОМ ΙΙ, составил и. х. Дворецкии, Москва;

ინტერნეტ რესურსები - წყაროები

65. ბერძნულ-ქართული: ბერძნულ-ქართული ლექსიკონი“, <https://ka.glosbe.Com/el/ka/>;
66. თურქულ-ქართული: თურქულ - ქართული ლექსიკონი, <https://ka.glosbe.com/tr/ka/>;
67. კორპუსი: პონტოური მასალების კორპუსი, მის: corpusresource: TLA, DonatedCorpora, XTYP Lab;
68. კორპუსი: საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი, <http://www.corpora.co/>;

69. პონტოური: პონტოური დიალექტის შესახებ, მის: <http://pontospatridamou.blogspot.com/2012/07/blog-post.html#axzz1zOYQKwPf>;
70. რუსულ-ქართული: რუსულ-ქართული ლექსიკონი, მის.: <https://ka.glosbe.com/ru/ka/>;
71. ქართული-ბერძნული: ქართული - ბერძნული ლექსიკონი, მის: <https://ka.glosbe.com/ka/el>
72. ქართულ-თურქული: ქართულ - თურქული ლექსიკონი, მის: <https://ka.glosbe.com/ka/tr/>
73. ქართულ-რუსული: ქართულ - რუსული ლექსიკონი, მის: <https://ka.glosbe.com/ka/ru/>
74. ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <http://ena.ge/>;
75. შუბითიძე, 2010: შუბითიძე ირინა, ხშირად დასმული შეკითხვები ბილინგვიზმის ირგვლივ, ბილინგვური განათლება: სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი, მოძიებულია 10 ივნისი 2015. N1-მის. - <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>;
76. Γραμματική, 2011: Γραμματική η βικιπαιδεια στα Ποντιακα τα ρωμαικα τη ποντονος. (14 Οκτωμβριου, 2011). მოძიებულია 15 მაისი, 2017, http://pontospatridamou.blogspot.com/2011/10/blog-post_14.html#axzz1xqmLpWSn;
77. Κωνσταντινίδου, 2013: Κωνσταντινίδου Αρχοντούλα, „Αρχαίες λέξεις που διασώζονται στην ποντιακή“ (Δεκεμβριου, 2013). მოძიებულია 5 მაისი, 2017, მის: <http://pontospatridamou.blogspot.com/2013/12/blog-post.html#axzz2mcDN1rXH>;

78. **Πολατίδης, 2011:** Πολατίδης Βασίλη. (12 Οκτωβρίου, 2011). „η ποντιακή διάλεκτος“. მოძიებულია 10 მაისი, 2017, http://pontos-patridamou.blogspot.com/2011/10/blog-post_7913.html#axzz1xqmLpWSn;
79. **Ποντιακό Λεξικό, 2011:** „Ποντιακό Λεξικό“. (21 Οκτωβρίου, 2011). მოძიებულია 12 მაისი, 2017, http://pontos-patridamou.blogspot.com/2011/10/blog-post_21.html#axzz1xqmLpWSn;
80. **Σαχαρίδη, 2014:** Σαχαρίδη Κυριάκι. (11 Νοεμβρίου, 2014). „Εννοιολογικές διευκρινήσεις για την ποντιακή διάλεκτο“, მოძიებულია 8 მაისი, 2017, http://pontos-patridamou.blogspot.gr/2014/11/blog-post_11.html#axzz3lkjtzcdT;
81. **Вейсман** Вейсман „Греческо-русский словарь.djvu“, მოხ.: <https://drive.google.com/file/d/0B-Cupk0rGFrmB1hPdGg4bjN1S0E/view>
82. **Дворецкий** Дворецкий, „Древнегреческо-русский словарь“. Т.1.pdf, მოხ.: <https://drive.google.com/file/d/0B-Cupk0rGFrmVndxdVh0MHVIMk0/view>
83. **Дворецкий** Дворецкий, „Древнегреческо-русский словарь“. Т.2.pdf მოხ.:<https://drive.google.com/file/d/0B-Cupk0rGFrmdFNpX29udVFGSmc/view>
84. **Dawkins:** R.M.Dawkins, „Modern Greek in Asia Minor“, The Journal of Hellenic Studies, Vol.30 (1910), pp. 267-291, გადმოტვირთულია: 05/03/2012 08:06, მოხ.: http://www.jstor.org/stable/624306?seq=1#page_scan_tab_contents
85. **PNT-TRA-PC-00000-B22:** "PNT-TRA-PC-00000-B22.eaf" from The Language Archive: <https://hdl.handle.net/1839/C996CEEB-6F9D-43AA-8627-626ED024D211@view>

86. **PNT-TRA-PC-00000-B25:** PNT-TRA-PC-00000-B25.eaf" from The Language Archive: <https://hdl.handle.net/1839/1253F360-4DA5-4120-B51A-8D2FCA2829EC@view>
87. **PNT-TXT-LG-00000-A04:** "PNT-TXT-LG-00000-A04.eaf" from The Language Archive: <https://hdl.handle.net/1839/00-0000-0000-0022-8DDB-9@view>